

რატები

მართლაც



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით



Օ Ե Ւ Յ Ա Ր Ա Ր Ա Ր

Ա Ր Ա Ր Ա Ր Ա Ր Ա Ր

Ա Ր Ա Ր Ա Ր Ա Ր Ա Ր

არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო
კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სი-
ქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომ-
ლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინავთ-
გან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ —
მოწამე არს ჭეშმარიტება!

ოუის-ურბნისის საეპლისიო პრების
ძეგლისზე



ქართული ეკლესიის ავტოკეფალია

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, საუკუნეთა მანძილზე გამოთქმული იყო ორი განსხვავებული თვალსაზრისი: პირველის მიხედვით ქართული ეკლესია დააფუძნა იერუსალიმიდან ჩამოსულმა წმიდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და მისმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: მოციქულები – სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე, თომა, თადეოზი და ზოგიერთი წყაროს მინიშნებით, პეტრეც. ამიტომაც ქართული ეკლესია დაფუძნებისთანავე იყო ავტოკეფალური, ისევე როგორც ყველა სხვა მოციქულის მიერ I-II საუკუნეებიდანვე დაარსებული ეკლესიები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული თვალსაზრისი, რომ ქართული ეკლესია დაარსებისთანავე დამოუკიდებელი იყო, დამოწმებულია შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა, წმიდა გიორგი მთაწმინდელის პასუხები ანტიოქიის პატრიარქთან კამათის დროს 1054–1056 წლებში. თვალსაზრისს ანდრია პირველწოდებულის და სხვა მოციქულების, აგრეთვე II-III საუკუნეებში რომის იმპერიიდან ჩამოსული ქრისტიანი მისიონერების მიერ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და მათ მიერ ეკლესიის დაფუძნების შესახებ, მხარს უჭერს ქართული, ბერძნული, ლათინური, სირიული და სხვა წყაროები. II-IV საუკუნეებში კი, იმ დროს მსოფლიო ეკლესიაში არსებული კანონების თანახმად, ყოველი საეპისკოპოსო და საეკლესიო „სამთავრო“ ავტოკეფალური იყო, განსაკუთრებით კი იმპერიის საზღვრებს გარეთ. მეორე თვალსაზრისით – ქართული ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ექვემდებარებოდა ჯერ კონსტანტინოპოლის, შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქოებს და მხოლოდ V-XI საუკუნეებში მიენიჭა მას ავტოკეფალია. ეს თვალსაზრისი ძირითადად ეფუძნება ეფრემ მცირის თხზულებას და ბალსამონის ერთი ცნობის არასწორ ინტერპრეტაციას.

ქართული ეკლესია მისი დაარსების დროს კონსტანტინოპოლის ვერ დაექვემდებარებოდა – რადგანაც: ა) კონსტანტინოპოლი (რომელიც 330 წელს დაარსდა) ჯერ კიდევ არ არსებობდა; ბ) კონსტანტინოპოლის დაარსების შემდეგ მისი ეპარქია შედიოდა თრაკიის დიოცეზში და იქაური ეპისკოპოსი თვით ექვემდებარებოდა სხვას – ჰერაკლიის ეპისკოპოსს; გ) ასეთ დაექვემდებარებას მაშინ არსებული საეკლესიო კანონი კრძალავდა. ასევე ვერ შევიწყნარებთ იმ თვალსაზრისაც, რომ ქართული ეკლესია მისი ოფიციალურად აღიარებისთანავე დაექვემდებარა ანტიოქიის ეპისკოპოსს. თვალსაზრისი, რომ მსოფლიო სამწყსოს განაწილების დროს აღმოსავლეთი ანტიოქიას შეხვდაო, ასახავს არა IV საუკუნეში არსებულ ვითარებას, არამედ ჩამოყალიბებულია შემდგომ საუკუნეებში, „პენტარქიის“ თეორიის შექმნის პერიოდში, განსაკუთრებით 451 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ. ანტიოქიის ძლიერ ეკლესიას IV საუკუნეში ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა პონტოს დიოცეზის ასევე ძლიერი ეკლესია, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა საქართველოს. 381 წელს II მსოფლიო საეკლესიო კრებამ საგანგებო კანონით დაამტკიცა ყველა დიოცეზის ეკლესიების დამოუკიდებლობა და პონტოს ეკლესია გაუთანაბრა ანტიოქიის ეკლესიას. ბუნებრივია პონტოს ძლიერი ეკლესია IV საუკუნეში არ დაუშვებდა, რომ ანტიოქიას, მის თანაბარ ეკლესიას, იურისდიქცია გაევრცელებინა პონტოს უშუალოდ მოსაზღვრე მეზობელ საქართველოზე, თუნდაც იმის გამო, რომ ანტიოქიის სამწყსოსა და საქართველოს შორის სწორედ პონტოს ვრცელი დიოცეზი (მთელი მცირე აზია) იყო გადაჭიმული.

ის ფაქტი, რომ ქართული წერილობითი წყაროები ერთხმად მიუთითებენ ანტიოქიის ეპისკოპოსის მონაწილეობაზე ქართული ეკლესიის ოფიციალურ დაფუძნებაში, შეიძლება აიხსნას იმით, რომ კონსტანტინოპოლის დაარსებამდე, ქალაქი ანტიოქია, ფაქტობრივად წარმოადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს, როდესაც რომში იმპერატორთან ჩავიდნენ მირიან მეფისა და წმიდა ნინოს მიერ გაგზავნილი ელჩები და ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების სურვილი გამოთქვეს, ამ მისის შესრულება, ჩანს, იმპერატორმა ანტიოქიის ეპისკოპოსს დაავალა. სავსებით შესაძლებელია, რომ იმპერატორის საგანგებო დავალებით ანტიოქიის მაშინდელი ეპისკოპოსი IV საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ჩამოსულიყო, მაგრამ ეს სრულებით არ იძლევა უფლებას გაკეთდეს დასკვნა, რომ ამის შემდეგ ქართული ეკლესია ანტიოქიას დაექვემდებარა.

რით გამოიხატებოდა IV საუკუნეში ცალკეულ ეკლესიათა და მათ შორის ქართული ეკლესიის ავტოკეფალია? იმით, რომ ამა თუ იმ ეკლესიის მეთაურს საეკლესიო „ქვეყანაშივე“ (პროვინციაშივე) ადგენდნენ, გარედან ჩაურევლად. ქართულ ისტორიულ წყაროებში, სადაც IV საუკუნის ამბებია მოთხოვნილი, ეკლესიის მეთაურებს (მთავარეპისკოპოსებს) საქართველოშივე „ადგენდნენ“ ან „სვამენ“ მეფე და შესაბამისი წრეები (იგულისხმება ეპისკოპოსთა კრებული).

როგორც თავის ალფაბეტურ სინტაგმაში წერს მათეოს ბლასტარი: „არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს ეკლესიები ბულგარეთისა, კვიპროსისა და იბერიისა (ე. ი. ქართული), რადგანაც მღვდელმთავრები ამ ეკლესიებისა ჩვეულებრივ იღებენ ხიროტონიას თავისივე ეპისკოპოსებისაგან“. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას საფრთხე ემუქრებოდა არა IV საუკუნეში, არამედ V-VI საუკუნეებში, როდესაც დასრულდა და დაკანონდა იმპერიის პროვინციათა ეკლესიების ავტოკეფალიის გაუქმება და ურთიერთშერწყმა.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ ჩატარებულმა საეკლესიო რეფორმამ და მთავარეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსების ინსტიტუტის შემოლებამ, აქტიური საგარეო პოლიტიკის პირობებში, შესაძლებელი გახადა სრულიად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვიდრე იგი სრულიად უკანონოდ არ გააუქმა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ XIX საუკუნეში.



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მნიშვნელობა

ივერიის უძველესი ეკლესია ქრისტეს მოციქულთა მიერ არის დაარსებული პირველი საუკუნის 40-იან წლებში, რაც დადასტურებულია ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებით. სწორედ ამ ფაქტის საფუძველზე იწოდება საქართველოს ეკლესია სამოციქულოდ, რაც განსაკუთრებული პატივია, რადგან ამ ტიტულის ტარების უფლება იმ ეკლესიებს აქვთ, რომელთა ტერიტორიაზე პირველ საუკუნეში სახელმწიფოები არსებობდა და მოციქულებმა იქადაგეს. მეხუთე საუკუნეში რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსდა ავტოკეფალური ეკლესიები: რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის. ძველი ქართული წყაროების მიხედვით საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია (თავისთავადობა) წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა მოუპოვა. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოს ჯუანშერისა და „მოცევად ქართლისაას“ მიხედვით ავტოკეფალიის მოპოვება ვახტანგ მეფესა და ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს შორის მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება. როგორც ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა მეფესა და მღვდელმთავარს შორის სარწმუნოებრივი დაპირისპირება არ ყოფილა. შესაბამისად ვახტანგ გორგასლის დადანაშაულება მონოფიზიტობაში მკრეხელობასთან ერთად არარეალურიცაა, რადგან მეფე ცდილობს სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას დააღწიოს თავი და ბიზანტიის იმპერიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს, რადგან ბიზანტიისათან მას სარწმუნოებრივი ერთობა აქვს. სწორედ ამიტომ მთავარეპისკოპოს მიქაელის მიერ მიყენებულ შეურაცხყოფას ვახტანგი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ატყობინებს. ჯუანშერი ასახელებს ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდს (457–474 წწ.), რომლის დროსაც ვახტანგ მეფე აგზავნის ბიზანტიაში მოციქულს, რომელსაც უნდა ჩამოეყვანა მისი საცოლე და პეტრე კათალიკოსი. ე. ი. ქართლის

პირველი კათალიკოსის ჩამოყვანა ლეონ დიდის მმართველობის პერიოდში მომხდარა და ავტოკეფალიის მოპოვების ზედა ზღვრად 474 წელი უნდა მივიღოთ.

ვახტანგ მეფე უნათესავდება იმპერატორს და ეკლესიურადაც იმპერიის უმთავრეს იერარქთან ამყარებს კავშირს, ამ დროისათვის კონსტანტინოპოლის პატრიარქი წმიდა გენადია (458–471 წწ.). გამოთქმული მოსაზრება, თითქოს გენადი კონსტატინეპოლელმა კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი ანტიოქიის მწვალებელ პატრიარქთან გააგზავნა ხელდასასხმელად, სიმართლეს არ შეესაბამება. ქართული წყაროები გარკვევით მიუთითებენ, რომ საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, სწორედ ამიტომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი პეტრეს ანტიოქიის პატრიარქთან აგზავნის საკურთხებლად. ეს არის შეთანხმებული მოქმედება ქართველი მეფისა და უმაღლესი საეკლესიო იერარქების მხრიდან, რაც საეკლესიო წესებიდან იყო გამომდინარე. ვახტანგ გორგასალი, იმპერატორი ლეონ დიდი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი გენადი, ანტიოქიის პატრიარქი მარტინიუსი (456–468 წწ.) და კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი პეტრე, ყველანი მართლმადიდებლებები არიან და საეკლესიო ისტორიაში არ არსებობს შემთხვევა, როდესაც მართლმადიდებელ იერარქს მწვალებელთან გაეგზავნა საკურთხებელი კანდიდატი.

ჯუანშერის ცნობით ვახტანგ მეფემ სიყრმიდანვე ბერძენი მღვდელმთავრისაგან შეიმეცნა მართლმადიდებლური სარწმუნოება: „ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“. ვახტანგ მეფის განხორციელებული რეფორმა (კათალიკოსობის დაწესება) რელიგიურთან ერთად პოლიტიკური მიზნებითაც იყო ნაკარნახევი. მხოლოდ ბიზანტიისათან მჭიდ-

რო კავშირში უნდა შეენარჩუნებინა საქართველოს თავისი თვითმყოფადობა, სწორედ სპარსეთის აგრესიას აღუდგა წინ მეფე და შეენირა კიდეც ქრისტიანობის დაცვის საქმეს. მისი უკანასკნელი სიტყვებიც ამას მონმობს, სპარსელებთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი მეფე ასე მიმართავს კათალიკოსსა და წარჩინებულებს: „აწ გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“. ვახტანგ მეფის პერიოდშივე ითარგმნა სახარება და ფსალმუნები ბერძნულიდან ქართულ ენაზე, სწორედ ამ დროიდან დაიწყო ქართველების დამკვიდრება იერუსალიმში, რაზეც გვაუწყებს საბა განწმედილის ანდერძი მეექვსე საუკუნის დამდეგს. ანდერძის მიხედვით ცნობილია, რომ ქართველებს თავისი ეკლესია ჰქონიათ იერუსალიმში, სადაც შეეძლოთ წაეკითხათ ჟამნი, სამოციქულო და სახარება ქართულ ენაზე. ის ფაქტი, რომ ქართველებს მეექვსე საუკუნის დასაწყისში თავიანთი მონასტერი ჰქონდათ იერუსალიმში, ვახტანგ გორგასლის დამსახურება იყო, მისმა სწორმა მოქმედებებმა, სპარსეთის მიმართ წარმოებულმა ომებმა, შესაძლებელი გახადა ბიზანტიას მიეცა ქართველებისათვის იერუსალიმში მონასტერი, სადაც ქართულად სრულდებოდა ღვთისმსახურება. მეფის დიდმა პოლიტიკურმა წონამ განაპირობა კათალიკოსობის დაწესება და ქართველების წმიდა მინაზე დამკვიდრება, ამასთანავე მისი დამსახურებით ქართველებმა მშობლიურ ენაზე დაიწყეს ღვთისმსახურების აღსრულება, რაც უდიდესი მიღწევა იყო. ავტოკეფალის მოპოვება არის უდიდესი მონაპოვარი, სახელმწიფოს სიძლიერის გარანტი, საკათალიკოსოს არსებობამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველო. ამიერიდან მცხეთის კათალიკოსები ამოუდგნენ საერო ხელისუფლებას ქვეყნის განვითარებისა და აღმავლობის გზაზე. ვახტანგ გორგასლისა და პეტრე კათალიკოსის დამსახურებით აიგო სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარი, სადაც გამოსახული იყო წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ფრესკა; ეს ფრესკა განადგურდა რუსული მმართვე-

ლობის პერიოდში. დღემდე არ არის სრულად შესწავლილი და შეფასებული ვახტანგ მეფის ღვაწლი, რაც დიდი დანაკლისია და მომავლის გამოწვევა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის შესახებ განსაკუთრებით ფასეულია XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ეფრემ მცირის თხზულება „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“. ეფრემს ცნობები „ანტიოქიური ქრონიგრაფიდან“ ამოუღია და იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის უკავშირდება. წყაროს მიხედვით ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741–775 წწ.) დროს საქართველოდან ანტიოქიაში პატრიარქ თეოფილაქტესთან (744–750 წწ.) ჩასულა ორი მონაზონი და „მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან“. ანტიოქიის პატრიარქმა ერთი მონაზონი იოანე ქართლის კათალიკოსად აკურთხა და „მისცა ქართველთა პროტოპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რათა თვით მათისა საზღვარისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდიან ჟამადუამად საკათალიკოსოსა ქართლისასა“. მიუხედავად წყაროში არსებული ზოგიერთი ტენდენციური ცნობისა, ეფრემის თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უცხოური წყაროდან მომდინარეობს და მასში საუბარია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის წერილობით დოკუმენტზე, რომელიც გაუცია ანტიოქიის პატრიარქს. როგორც ჩანს, ქართველებს ანტიოქიის ეკლესიასთან გარკვეული ვალდებულებები კვლავ ჰქონდა და ისინი ამჯერადაც საეკლესიო კანონიკის სრული დაცვით მოქმედებენ. ავტოკეფალის შესახებ განსაკუთრებით ფასეულია ახალი უცხოური წყარო, სიმონ დე სენ კვენტინის ცნობები, რომელიც ისტორიკოსმა დავით ნინიძემ თარგმნა ფრანგულიდან. წყარო XIII საუკუნეშია შექმნილი და რიგ შემთხვევაში სენ კვენტინის ცნობები ეფრემის ცნობებს ემთხვევა. მასში სიახლეა ის ფაქტი, რომ ანტიოქიაში დელეგაცია დასავლეთ საქართველოდან ზღვით გამგზავრებულა, ამასთანავე ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში მირონთან ერთად წერილობითი დოკუმენტიც გაუგზავნია, რომლის მიხედ-

ვითაც „ვისაც აირჩევდნენ, მას კათალიკო-სის კანონიკური უფლება ეძლეოდა“.

ორივე წყარო ეფრემ მცირეც და სენ კვენტინიც გარკვევით მიუთითებენ საქართველოს ეკლესიის მიერ VIII საუკუნეში ავტოკეფალიის სრულ აღიარებაზე, ამასთანავე ორივე ავტორი საუბრობს წერილობით დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც ქართველებს სრული უფლება ეძლეოდათ კათალიკოსის ხელდასხმაზე მცხეთაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით კათალიკოსის ხელდასხმა თავიდანვე მცხეთაში ხდებოდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უშუალო დამადასტურებელი დოკუმენტია იოანე გუთელის ცხოვრება, რომელიც წარმოადგენს ბერძნულ წყაროს. მის მიხედვით 750-იან წლებში საქართველოში ყირიმიდან ჩამოდის ეპისკოპოსად საკურთხებელი კანდიდატი იოანე გუთელი, რომელიც ეპისკოპოსად აკურთხა თეოფილაქტეს მიერ ნაკურთხმა ქართლის კათალიკოსმა იოანე მესამემ 744–760 წ.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს ასევე, საქართველოს ეკლესიის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვას, რადგან ამ დროს კონსტანტინოპოლიში ხატმებრძოლობის ერესი მძვინვარებდა, საქართველოს ეკლესია კი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ბერძენი მოღვაწეების მხრიდან არაერთგზის დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მათწმინდელის ღვანლი ავტოკეფალური უფლებების დაცვის საქმეში. გიორგი მცირემ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ აღმნერელმა საკმაოდ დაწვრილებით შემოგვინახა ცნობები ანტიოქიაში მომზდარი კამათის შესახებ. ბერძნებმა ეჭვი შეიტანეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებაში. თუმცა ბერძნები თავადვე აღიარებენ, რომ ქართველები „თავადვე დაისმენ კათალიკოსს“, ასევე „ყოველი საეკლესიო წესი და რიგი მათ მიერ განეგება“. ბერძნებმა ძირითადად ორი მიმართულებით დადეს ბრალი ქართველებს: **ბრალდება პირველი „რაი არს სარწმუნოება მათი?“.**

ბრალდება მეორე – არც ერთ მოციქულს არ უქადაგია საქართველოში.

გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს ბერძნული წყაროებითვე დაუსაბუთა საქართველოში მოციქულთა ქადაგებისა და ქართველთა მიერ სარწმუნოების წმინდად დაცვის შესახებ.

1. ნიკიტა პაფლაგონელის „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“.

2. იოანეს სახარება. „ამან მოიყვანა, იგი იესუისა“ (ანდრიამ პეტრე მოციქული).

3. დიდი სვინაქსარი, რომელშიც მოცემული იყო იოანე გუთელის ცხოვრება.

გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას ასევე გაუღერებული იქნა სვიმონ კანანელის საქართველოს ტერიტორიაზე ნიკოფისიაში დაკრძალვის ფაქტი. მან ბერძნებს განუმარტა, რომ „წმიდათა მოციქულთა განათლებული ვართ, ვინათგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა რა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წუალებათა მიმართ მიდრეუილ არს ნათესავი ჩვენი“. გიორგი მთაწმინდელის სიტყვით საქართველოს ეკლესია რადგან ანდრია პირველწოდებულის მიერ არის განათლებული, მას ისეთივე რანგი და ღირსება ჰქონდა, როგორც პეტრე მოციქულის მიერ დაარსებულ ანტიოქიის ეკლესიას, უფრო მეტიც, ვინაიდან პეტრე მოციქული თავისი უფროსი ძმის ანდრიას მიერ იქნა მოწმდებული სამოღვაწეოდ, ამის საფუძველზე მოუწოდა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს, რათა მათი ეკლესია ქართულს დამორჩილებოდა. ამასთანავე გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიაში კამათისას განმარტა, **რადგან საქართველოს ეკლესია სამოციქულო წარმომავლობისაა, არავითარი საჭიროება არ არსებობდა იმისათვის, რომ ქართულ ეკლესიას ანტიოქიიდან მიეღო უფლებამოსილება.**

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიები მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების სახით ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რუსულ მმართველობას 10 წელი დასჭირდა ავტოკეფალიის გასაუქმებლად. 1810 წლის 16 სექტემბერს კათალიკოსი ანტონ II (ბაგრატიონი) გენერალ

ტორმასოვს სწერდა: „ჩემამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ გუბერნიის პროექტორი ახორციელებს ჩემზე მუქარას, რომელიც ცრუ დასმენებს ემყარება. ჩემს შესახებ დაწერილი საჩივრები არ არის მართალი. საეკლესიო მამულების ბოძებისას მევხელმძღვანელობდი იმ წესით, რომელიც საქართველოში 1400 წელია არსებობს“. საქართველოს ეკლესიაში 1810 წლის 3 ნოემბერს დადგა ისეთი მომენტი, რომელსაც წინათ ადგილი არ ჰქონია. ავტოკეფალური ეკლესის მამამთავარი გაემგზავრა რუსეთში, ფაქტიურად იძულებით. იმპერიისათვის მიუღებელი იყო ავტოკეფალური ეკლესის არსებობა საქართველოში, მით უფრო, როდესაც მისი მეთაური სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. საქართველოს ეკლესის ტყვეობა 106 წლის მანძილზე გაგრძელდა, რასაც ურთულესი შედეგები მოჰყვა, წირვა-ლოცვა მშობლიურის ნაცვლად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხალხში დაეცა ქრისტიანული რწმენა, გაიძარცვა და გაღარიბდა ქართული ეკლესია-მონასტრები. 1811 წლის 30 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალის გაუქმების ბრძანებას, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით კი გაუქმდა ბიჭვინთის უძველესი საკათალიკოსო, საკათალიკოსოს გამგებელი მიტორპოლიტი დოსითეოს წერეთელი კი 1820 წლის მარტში იძულებით წაიყვანეს ქუთაისიდან და ხიშტების ჩხვლეტით სისხლისაგან დაიცალა, რის გამოც გასაიდუმლოებული წესით დაკრძალეს ანანურის ეკლესიაში. საქართველოს ეკლესის ავტოკეფალის გაუქმებით დაირღვა მოციქულთა, მსოფლიოს და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა კანონები.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებმა შესაძლებელი გახადა საქართველოში ავტოკეფალის აღდგენისათვის ბრძოლის დაწყება. ავტოკეფალურ მოძრაობაში ჩართული იყვნენ საერო და სასულიერო პირები, ვის სიტყვასაც წონა გააჩნდა. მათ შორის უნდა გამოვყოთ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, თედო უორდანია, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშ-


ვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვები. საეკლესიო მოღვაწეთაგან კი უნდა გამოვყოთ: დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი), ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი) და მრავალი სხვა. ავტოკეფალისტებმა თბილისში ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს და ავტოკეფალის აღსადგენად ბრძოლა პეტერბურგში გააგრძელეს. ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთის სინოდის წინარე თათბირის სხდომებზე რუსეთის ეკლესის წარმომადგენლებს დაუსაბუთეს ავტოკეფალის აღდგენის სამართლიანობა და საჭიროება. თუმცა რუსმა მეცნიერებმა და საეკლესიო პირებმა საქართველოს ეკლესის ისტორიული ავტოკეფალია ეჭვ ქვეშ დააყენეს. ეპისკოპოსმა ლეონიდემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ეგზარქოსთა ანტიქართულ პოლიტიკაზე: „ისინი თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს, საქართველოს ეკლესის წმინდა ტრადიციებს, რიტუალებს, სპობდნენ წმიდა ეკლესის სიძველეებს“. კრებაზე გამოვიდა რუსი დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელმაც აღნიშნა: „თუკი მოგცემთ ავტოკეფალიას, მაშინ რუსები განაწყენდებიან, რადგან ახლა ძალზე ბევრნი არიან ამიერკავკასიაში და თუკი შეიძლებოდა საუბარი ავტოკეფალიაზე, ალბათ გასული XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა იქ არც რუსული სამრევლოები და არც რუსი სამღვდელოება არსებობდნენ, ახლა კი ცხოვრებას ვერ შეცვლი“. საბოლოოდ სინოდის შეკრება უშედეგოდ დასრულდა, ქართველი მოღვაწეების მოთხოვნა კრებაზე არ გაითვალისწინეს, როგორც დიდი ილია (ჭავჭავაძე) ბრძანებდა, „მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო“ იდევნებიან. ნ. დურნოვოც დაახლოებით იმავეს იზიარებდა თავის წიგნში: „ქართველებმა რუსებს თავიანთი სამეფო ჩააბარეს მშვიდობიანი და კულტურული აღორძინებისათვის... აი, რას დაამგვანეს ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის ნავსაყუდელი – ივე-

რიის ეკლესია? სარწმუნოება დაეცა, ხალ-ხმა ზურგი აქცია ეკლესიას, ჩამორთმეულ იქნა საეკლესიო ქონება, საღვთო ტაძრები დაცარიელდა, მონასტერში აღარ არიან ბერები“. ავტოკეფალიის იძულებით შეჩერებამ მრავალი პრობლემა შეუქმნა ქართველებს, ეს ცხადი იყო, ამიტომ ავტოკეფალიისათვის მებრძოლებმა გადაწყვიტეს „ლოდინის ტაქტიკას“ დაყრდნობოდნენ“, რამაც გაამართლა. 1917 წელს რუსეთის იმპერიაში მომხდარი თებერვლის რევოლუციის შემდეგ სანუკვარ მიზანს მიაღწიეს. 1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. წირვის დასრულების შემდეგ გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება: „დღეიდან, ე. ი. 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომლის აღდგენის აქტში, რომელიც ეპისკოპოს ანგონ გიორგაძის მიერ (შემდგომში ქუთათელი) იყო შედგენილი, ხაზგასმით იყო აღნიშნული: „ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არა-კანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა“. საქართველოს ეკლესიაში დასრულდა 106 წლიანი ურთულესი პერიოდი, როგორც ეპისკოპოსი ლეონიდე ბრძანებდა: „12 მარტს მცხეთაში, სარწმუნოებრივი მონობის ბორკილების ნამსხვრევები გავაყოლეთ მტკვრისა და არაგვის ზვირთებს... დღეიდან ქართველ ერს აღარა გადაეღობება რა, რომ მშობლის ენაზე ილოცოს და ადიდოს ლმერთი“. სექტემბერში არჩეული იქნა საქართველოს ეკლესიის მამამთავარი, ავტოკეფალიი-

სათვის მებრძოლი კირიონ საძაგლიშვილი, რომელიც პირველი კათალიკოს-პატრიარქი იყო ავტოკეფალიააღდგენილ ეკლესიაში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საჭირო იყო ჩვენი ავტოკეფალია ეცნოთ მსოფლიოს ავტოკეფალურ ეკლესიებს, მათ შორის რუსეთის ეკლესიას. 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, 1990 წლის 4 მარტს კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული. პირველი დოკუმენტით აღიარებულ იქნა საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი. მეორე დოკუმენტით განისაზღვრა, საქართველოს უწმინდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდის განჩინება. ეს იყო ისტორიული კანონზომიერება, რომლის საფუძველზეც საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა იგივე პატივი და ლირსება, რითაც საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა.

ავტოკეფალია, უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა ყველა ერისათვის, საქართველოს საერო და სასულიერო მოღვაწეები V საუკუნიდან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში თითქმის მუდმივად იყვნენ ჩართული. ამ ბრძოლამ მრავალი მოღვაწე აღზარდა, გამოაწრთო და გარდა სულიერ-ზნეობრივი ზეამაღლებისა დიდ ეროვნულ-პატრიოტულ სამსახურში ჩააყენა. ავტოკეფალია და ერის თვითგამორკვევა ორი უდიდესი უფლებაა საქართველოს უძველესი სახელმწიფოსი, ორივე მონაპოვარს ჩვენი ერის უდიდესი მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ამ ორ მონაპოვარს დღეს კიდევ უფრო მეტი თავდადებით სჭირდება დაცვა.

ლევან ტყეშელაშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი



ვახტანგ გორგასალი

ხატწერა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-სა

ძლევანი ყოვლად დიდებულნი საჭურველითა ცხოველსმყოფელისა
ჯუარისამთა წარმართენ, საწუთოდ სამეფოდ სიბრძნითა განაგე და
ეკლესიად ქართლისად ღუაწლითა შენითა განაშუენე, და აწ იხარებ
წინაშე უკუდავისა მეუფისა, წმიდაო, დიდო კეთილმსახურო მეფეო
ვახტანგ, მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდვილთა.

საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია

ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობის ანუ ავტოკეფალიის გაფორმება საეკლესიო ტრადიციებშიაც და ისტორიკოსთა უმეტესობისთვისაც საკმაოდ მტკიცედ V საუკუნის მოვლენადა მიჩნეული და მეფე ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობას მიეკუთვნება.

ამ მოვლენის გარკვევისათვის, ძირითად წყაროს XI საუკუნის მემატიანის ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ წარმოადგენს. ეს თხზულება ბევრ ანაქრონიზმს, ზღაპრულ მონათხობს შეიცავს, მაგრამ ვახტანგის მიერ საეკლესიო რეფორმის ჩატარების, ქართლში კათალიკოსობის შემოღებისა და საეპისკოპოსოთა დაარსების შესახებ თხრობა საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს და, როგორც ეტყობა, სანდო წყაროებს ემყარება. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ვახტანგის საეკლესიო ღონისძიებათა შესახებ, მართალია მოვლე, მაგრამ სრულიად გარკვეული ცნობები გააჩნია „მოქცევად ქართლისას“ ქრონიკასაც და ბევრი რამ შემდგომი ვითარებითა და არქეოლოგიურადაც დასტურდება. „მოქცევად ქართლისას“ თხრობიდან ირკვევა, რომ ვახტანგის დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო თავდაპირველად იოველ, ხოლო შემდევ მიქაელ. მეფესა და ამ უკანასკნელს შორის რაღაც განხეთებილება მომხდარა და მიქაელი ფიზიკურადაც შეხებია მეფეს: „ამან [მიქაელ] მიამთხვა ფერხი გორგასალსა რომლისთვის მიზეზისათვს და განაძო ეკლესიისაგან“. ვახტანგს წარუვლენია მოციქული საბერძნებს“ (ე. ი. ბიზანტიის) და უთხოვია კეისრისა და პატრიარქისაგან (იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქი) კათოლიკოსი. კეისარსა და პატრიარქს გამოუგზავნიათ ქართლში კათოლიკოსად პეტრე, რომელსაც ახლდა მონაზონი სამუელი. და ეს პეტრე იყო ქართლის პირველი კათოლიკოსი. „აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამამთავრობად“, – ასკვნის „მოქცევად ქართლისას“ ავტორი.¹

უფრო დაწვრილებით აქვს ეს მოვლენები აღნერილი ჯუანშერს, თანაც ამბავი უფრო ადრეული ხანიდან იწყება. ჯუანშერის მოთხოვნით, თავისი მეფობის პირველ პერიოდში ვახტანგი ირანის შაჰის ერთგული ქვეშევრდომი და ირან-ქართლის ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის მთავარსარდალია. და აი, როცა ამ ლაშქრობის დროს ვახტანგი პონტოში იმყოფებოდა, სხვებთან ერთად, მის ლაშქარს ტყვედ ჩაუვარდნენ მღვდელნი და მონაზონი, მათ შორის გრიგოლ ღვთისმეტყველის² ორი მიმდევარი: პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი. ვახტანგის ბრძანებით დატყვევებული სამღვდელონი გაათავისუფლეს, ხოლო ორი უკანასკნელი მეფემ დაიახლოვა, რადგან პეტრემ იკისრა მოციქულობა კეისართან და მათი მორიგება. ვახტანგმა აქ ნახა სიზმარი, რომელშიაც იგი, პეტრე და სამოელი წარსდგნენ გრიგოლ ღვთისმეტყველის, კეისრისა და წმ. ნინოს წინაშე. გრიგოლ ღვთისმეტყველმა მისცა მას გვირგვინი ნათელი, ისეთივე, როგორიც თვით ედგა თავზე და უბრძანა პეტრესთვის დაედგა იგი; ხოლო პეტრემ გვირგვინი უფრო მცირე, ნაკლები ხარისხის („უდარე“) დაადგა სამოელს, შემდგომ სიზმარშივე პეტრემ აუხსნა ვახტანგს, რომ მისთვის გრიგოლისაგან გვირგვინის მიცემა ნიშნავს მისი, ე. ი. პეტრეს განწესებას „ეპისკოპოსთა მთავრად“, ხოლო სამოელისთვის „უდარესი“ გვირგვინის დადგმა – მის ეპისკოპოსად დადგენას პეტრეს მიერ. გრიგოლმა, ამასთანავე, უწინასწარმეტყველა მეფეს: „შენგან აღეშენეს ეკლესიანი და განენესენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარნი.³

1. მოქცევად ქართლისად – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ქვემოთ ძეგლები...), ნ. I, 1963, გვ. 93.

2. გრიგოლ ღვთისმეტყველი იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი 379–381 წ.წ. პეტრე და სამოელი მის საფლავს ემსახურებოდნენ ქ. ნაზიანზენში.

3. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, 1955, გვ. 163–177.

მალე კეისარი და ვახტანგი მორიგდნენ, მაგრამ სიზმარში ნაწინასწარმეტყველებ მოვლენათა განხორციელება დიდხანს ვერ მოხერხდა. ვახტანგს, მართალია, პირველი ცოლი – ირანელი ქალი გარდაეცვალა, მაგრამ ვერ მოიცალა კეისართან შეთანხმებისამებრ მისი ქალიშვილის ცოლად მოყვანისათვის, ვერც პეტრეს „ეპისკოპოსთა მთავრად“ განწესებისათვის, რადგან ბიზანტიისათან ომის დამთავრების შემდეგ შაჰმა იგი ირანს გაიწვია და აღმოსავლეთს გაგზავნა სალაშქროდ. მხოლოდ ირანიდან მობრუნების შემდეგ წარავლინა ვახტანგმა მოციქული, რათა მათ მოეყვანათ მისთვის ცოლი და მღვდელმთავარნი. და აი აქ, როდესაც მიქაელ მთავარეპისკოპოსმა შეიტყო მეფის განაზრახი, განრისხდა, ბრალი დასდოვ ვახტანგს ქრისტესგან განდგომაში და თვით მეფე მისი ლაშქრითურთ დაწყევლა. ვახტანგმა თავი იმართლა, მორჩილად ეახლა ეპისკოპოსს და როცა უნდოდა მის ფერთა მთხვევა, მთავარეპისკოპოსმა გაჰკრა ფეხი და კბილები ჩაუმტვრია. განრისხებულ ვახტანგს თავის დესპანებთან ერთად მიქაელი კონსტანტინოპოლს გაუგზავნია, რათა პატრიარქს იგი დაესაჯა, ქართლში კი ახალი მღვდელმთავრები გამოეგზავნა; პატრიარქმა მიქაელი შერისხა და მღვიძარეთა მონასტერში ექსორია ქმნა, ხოლო ქართლის მეფის დესპანები ანტიოქიას მიავლინა, რათა აქაურ პატრიარქს კათოლიკოსად პეტრე, ეპისკოპოსად სამოელი ეკურთხებინა და შეერჩია კიდევ 12 ეპისკოპოსი ქართლში გასაგზავნად. კეისარი და პატრიარქი ასე მოიქცნენ, რადგან ქართლი ეკლესიურად ანტიოქიის პატრიარქზე იყო დამოკიდებულ-დაქვემდებარებული, ანტიოქიის პატრიარქმა შეასრულა კეისრისა და კონსტანტინოპოლის მღვდელმთავრის თხოვნა. ახლადნაკურთხი მღვდელმთავარნი კვლავ კონსტანტინოპოლის მოსულან, სადაც კეისარს ისინი დაუსაჩუქრებია და ქართლს გამოუსტუმრებია. ასე გამხდარა პეტრე ქართლის კათალიკოსად, სამოელი – მცხეთის მთავარეპისკოპოსად და სამეფოში კიდევ თორმეტი ეპისკოპოსი გამწესებულა.¹

როგორც ირკვევა, პოლიტიკურ სფეროში ვახტანგს არავითარი კავშირი ბიზანტიისათან არ ჰქონია, მაგრამ საეკლესიო სფეროში ბიზანტიისათან ურთიერთობა აშკარაა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც ქართლი ეკლესიურად ბიზანტიიზე იყო დამოკიდებული. ცხადია, რომ საეკლესიო რეფორმა ვახტანგის საერთო საშინაო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, იგი ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა,² მაგრამ ამჯერად ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ ვახტანგის ლონისძიებანი მიმართული იყო ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალური სტატუსის მოპოვებისაკენ.

ჯუანშერის ზემომოყვანილი მოთხოვა ვახტანგის მიერ პეტრე მღვდლისა და სამოელ მონაზონის ადრევე გაცნობის შესახებ, სავარაუდოა, იმის ანარეკლი იყოს, რომ ვახტანგი საეკლესიო რეფორმას ადრევე ამზადებდა და მომავალი კათოლიკოსის კანდიდატურაც წინასწარ ჰქონდა შერჩეული, მაგრამ რატომ ექვებს ვახტანგი სხვა კანდიდატს და არ ფიქრობს ქართლის მთავარეპისკოპოსის პოსტზე მყოფ მიქაელის გაკათოლიკოსებას? ვარაუდი იმისა, რომ მიქაელსა და მეფეს კონფლიქტი რომ არ მოსვლოდათ, ვახტანგი მიქაელს არჩევდა კათოლიკოსად საეჭვოა, რადგან თუ ჯუანშერს დავუჯერებთ, ამ კონფლიქტის საბაბი სწორედ ის შეიქნა, რომ მიქაელმა ქართლის ეკლესიის მეთაურად სხვა პირი გამოითხოვა ბიზანტიიდან. ამ კონფლიქტის შესახებ სპეციალურ ლიტერატურში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. სპეციალისტები (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე და სხვ.) მიქაელისა და ვანგტანგის ურთიერთის წინააღმდეგ ამხედრებას დიდხანს კონფლესიურ ნიადაგზე ხსნიდნენ: მონოფიზიტობა-დიოფიზიტობის ბრძოლის ფონზე.³ ვფიქრობთ, დღეს უკვე ასეთი ახსნა გაუმართლებელია. ჩვენი აზრით, ზ. ალექსიძემ სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ კონფესიური წინააღმდეგობანი ამ შემთხვევაში

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 178–191.

2. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 291.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნ. I, 1979, გვ. 370–380, ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 115–116, 292, კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 332–335.

არაფერ შუაშია და მეფე-მთავარეპისკოპოსის შეტაკება სულ სხვა ნიადაგზე მოხდა.¹ ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ გამოდის ცნობილი ბელგიელი ქართველობოგი მ. ვან ესბროკი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვახტანგ გორგასალის დროს საქართველოში ისეთივე მწვავე სარწმუნოებრივი წინააღმდეგობანი იყო, როგორც იმდროინდელ ბიზანტიაში და მიქაელ ვახტანგის კონფლიქტი სწორედ კონფესიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული: მიქაელი უკიდურესი ორთოდოქსი-ქალკედონიტი იყო, ვახტანგი კი – ან აშკარა მონოფიზიტი, ან შემრიგებლურ (ზენონის „ჰენოტოკონის“) პოზიციაზე მდგარი.²

მ. ვან ესბროკის ნაშრომი უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან დაკვირვება-დებულებებს შეიცავს; გასაგებია ამიტომ მისი მაღალი შეფასება სპეციალისტების მიერ,³ მაგრამ ვახტანგის დროინდელი ქართლის სარწმუნოებრივი სურათი, რომელიც მ. ვან ესბროკმა წარმოადგინა, ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩინია. ამ საკითხს დაწვრილებით შევეხეთ ადრე გამოსულ ნაშრომში და ამჟამად იმ მსჯელობას აღარ გავიმეორებთ,⁴ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მ. ვან ესბროკმა ვერავითარი სიცხადე ვერ შეიტანა V ს.-ის მეორე ნახევრის რელიგიურ სიტუაციაში, ვერც ის აჩვენა, რომ ქართლში მწვავე წინააღმდეგობა იყო დიოფიზიტ-მონოფიზიტებს შორის. ჩვენ სრულიად დასაბუთებულად გვეჩვენება ზ. ალექსიძის დებულება, რომ V ს.-ის მეორე ნახევრის ქართლში შინა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არ ყოფილა და ქვეყნის მთავარი საზრუნავი ირანისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლა გამხდარიყო.⁵ როგორც ჩანს, სრული უფლება ჰქონდა XI საუკუნეში განეცხადებინა გიორგი მთაწმიდელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან საუბრისას „ამათ წმიდათა მოციქულთა (ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელისა, ნ. ლ.) განათლებულნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიღრეკილ არს ნათესავი ჩუენი“.⁶

რა ნიადაგზე მოხდა ვახტანგსა და მთავარეპისკოპოსს შორის განხეთქილება დღესდღეობით ნათელი არაა; აյ სხვადასხვა ვარაუდია დასაშვები. ერთი რამ ცხადია, რომ ვახტანგს არ ანყობდა მიქაელის ქართლის ეკლესის საჭეთმპყრობელის პოსტზე ყოფნა, იგი მისთვის არასასურველი პირი იყო და მეფეს მისი შეცვლა იმთავითვე ჰქონდა განზრახული, მან ეს განახორციელა და რეფორმირებული ეკლესის მღვდელმთავრად დასვა თავისთვის სასურველი პირი.⁷

უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს თვით ფაქტი ქართლის ეკლესის მღვდელთმოძღვრის კათოლიკოსის რანგში აღზევებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებულია შეხედულება, რომ ეს წინავდა ქართლის ეკლესის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალის მოპოვებას. ბოლოს და ბოლოს ავტოკეფალის ერთ-ერთი მთავარი წიშანია, მისი უფლება თვით დაადგინოს, გაასამართლოს და გადააყენოს თავისი

1. ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალსა და მთავარეპისკოპოსის შორის კონფლიქტის გამო – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 99–107.

2. Les plus anciens homelaires georgiens, etude descriptive et historique par Michel van Esbroeck, Louwnin-la-neuve, 1973, გვ. 97-2.

3. ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე – მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, №4, 1976, გვ. 981; თ. მგალობლიმვილი, საქრისტიანო ქართლი IV-VI სს.-ში. მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, №1, 1988, გვ. 3-4;

4. 6. ლომოური, საქართველო და ბიზანტ. ურთიერთობა V საუკუნეში, 1989, გვ. 51–53.

5. ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

6. გიორგი მცირე, ცხორებად და მოქალაქეობად წმიდისა და წეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა. ძეგლები... ნ. II, 1967, გვ. 154.

7. წინამდებარე წერილი უკვე წარმოებაში იყო, როდესაც გამოვიდა გ. მამულიას სტატია: ვახტანგ გორგასალის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ – მაცნე, ისტორიის სერია №1, 1990, ტ. 61–73. ჩვენ არ გვქონდა საშუალება მისი დებულებების სათანადო ადგილებში ციტირება-განხილვისა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თავისთავად საყურადღებო წერილში, ავტორმა, ჩვენის აზრით, მაინც ვერ შესძლო დასაბუთება ვახტანგ-მიქაელის კონფლიქტის კონფესიური საფუძვლებისა.

მღვდელმოძღვარნი, პირველ რიგში, ეპისკოპოსები. ეპისკოპოსის ხელდასხმა-გადაყენების უფლება უნდა ჰქონდეს ეკლესიის მეთაურს და ამ ეკლესიაში შემავალ ეპისკოპოსთა კრებას. თავდაპირველად ასეთი უფლებები ჰქონდათ მიტროპოლიტებსა და ექსარხოსებს, შემდეგ უკვე პატრიარქებს.¹ აშკარაა, რომ ვახტანგის დროს განხორციელებულ რეფორმამდე აღნიშნული უფლებები ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა, რადგან დამნაშავე მიქაელი ადგილობრივ ვერ დასაჯეს და კონსტანტინოპოლის გაზიავნეს, სადაც ეს აქცია პატრიარქმა განახორციელა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები, რომ რეფორმის შემდეგ ასეთი უფლებები ქართულმა ეკლესიამ მიიღო, მაგრამ გარკვეული მინიშნებები საამისოდ თითქოს მოიძებნება.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზემოხსენებულმა ვახტანგის სიზმარმა, რომელშიაც გარკვეული სიტუაციური სცენაა გადმოცემული: პატრიარქი გრიგოლ ღვთისმეტყველი გადასცემს მეფე ვახტანგს ისეთსავე გვირგვინს, როგორიც თვით ედგა და უბრძანებს ამ გვირგვინით შეამკოს პეტრე. ეს მომენტი ფრიად საგულისხმოა: მომავალ კათოლიკოსს ადგამენ ისეთსავე „გვირგვინს ნათლისასა“, როგორიც ედგა თვით პატრიარქს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პატრიარქი და კათოლიკოსი თანასწორუფლებიანი მღვდელმთავრები არიან.²

იმავე სიზმარში, პეტრეს პატრიარქის მსგავსი გვირგვინით შემკობის შემდეგ, უკვე თვით პეტრე ადგამს „უდარეს“ გვირგვინს სამოელს – მომავალ ეპისკოპოსს. ვთიქრობთ, რომ ესეც ერთგვარი სიმბოლური მინიშნებაა პეტრეს, როგორც ქართლის უმაღლესი საეკლესიო გამგებლის უფლებაზე, თვით დაადგინოს თავისი ეპისკოპოსები.

მეორე მომენტი, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, ესაა ვახტანგის მიერ 12 ეპისკოპოსის გამოთხვა და შემდეგ ქართლში სწორედ თორმეტი საეპისკოპოსოს დაარსება; მეცამეტე იყო მცხეთის სამთავარეპისკოპოსო, რომელსაც სათავეში სამუელი ჩაუდგა; ვახტანგის დროს ქართლში სწორედ 12 საეპისკოპოსო დაარსდა. საეკლესიო სამართლის ძეგლებში არსებობს მითითება, რომ ეპისკოპოსთა გასამართლებისა და ასევე ახალ ეპისკოპოსთა ხელდასხმისათვის აუცილებელი იყო საეკლესიო კრება, რომელშიაც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსი უნდა შესულიყო,³ უფრო ნაკლები ეპისკოპოსის მონაწილეობა ბრალდებული სამღვდელოს განსჯასა თუ ახლის არჩევაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაიმვებოდა.⁴ საინტერესოა 419 წლის კართაგენის საეკლესიო კრების მე-12 კანონის კომენტარი, რომელიც XII საუკუნის ცნობილ ოურისტისა და საეკლესიო მოღვაწეს თეოდორე ბალსამონს ეკუთვნის. ეხება რა კანონს ეპისკოპოსის განკითხვისას საეკლესიო კრებაში, არანაკლებ 12 ეპისკოპოსის მონაწილეობის შესახებ, მას მოჰყავს ასეთი შემთხვევა: კ. კვიპროსის ეპისკოპოსი ითანე ამატუნი გაუსამართლებია და განუკვეთავს 11 ეპისკოპოსისაგან შემდგარ კრებას და, თუმცა მეთორმეტე იყო კრების თავმჯდომარე კვიპროსის არქიეპისკოპოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუუქმებია კრების დადგენილება სწორედ იმ მიზეზით, რომ გასამართლება მოხდა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა არა თორმეტი, არამედ თერთმეტი ეპისკოპოსი თავმჯდომარის გარდა.⁵

1. В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви, кн. III, СПБ., с. 210-222.

2. ეს საკითხები ჩვენს მიერ განხილულია წიგნში: საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. აღმოჩნდა, რომ უფრო ადრე ამ საკითხებზე გამოკვლევა დაუწერია ბ. ლომინაძეს (იხ. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია – საღვთისმეტყველო კრებული №12, 1989. გვ. 31–99, ამ ნაშრომს გავეცანით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი წიგნი გამომცემლობაში იყო და სათანადო მითითებათა გაკეთება მაშინ ტექნიკურად ვერ მოხერხდა. ვახტანგის სიზმრის ახსნასთან დაკავშირებით იხ. ჟურნ. გვ. 29).

3. კართაგენის კრების კანონები – დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 295, შეად. იქვე, გვ. 308; Правила православной церкви с толкованиями Никодима. Т. II. СПБ. 1912, стр. 153-154.

4. დიდი სჯულის კანონი, გვ. 296.

5. Правила православной церкви... т. II, стр. 154. ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. ბ. ლომინაძე, იქვე, გვ. 66–68.

მაშასადამე, კანონიკურად დამოუკიდებლად მოქმედებდა ეკლესია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნდა სულ ცოტა 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება; სწორედ ასეთ კრებას ჰქონდა ეპისკოპოსთა გადაყენებისა და ხელდასხმის უფლება. ამრიგად, შემთხვევითი არ იყო ქართლში სწორედ 12 საეპისკოპოსოს დაარსება: ამიერიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო თავისი შინაგანი საქმეები – ეპისკოპოსთა ხელდასხმა-გადაყენება – თვითვე განეგო. ეს გარემოებაც ადასტურებს ქართლის ეკლესის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მიღებას.

მაგრამ ასეთ დასკვნას თითქოს ენინაალმდეგება შემდგომ პერიოდში მომხდარი ფაქტები. XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს ეფრემ მცირეს ბერძნულიდან გადმოუღია ანტიოქიაში შედგენილი „ქრონოგრაფიიდან“ ის ცნობები, რომლებშიდაც დაწვრილებითაა აღნერილი იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს ქართლის ეკლესის მიერ ავტოკეფალიის მიღება. ამ ცნობის თანახმად, ამ დროს ანტიოქიაში მოსულა ქართლიდან მოციქულად ორი მონაზონი, რომელთაც პატრიარქისათვის ქართული ეკლესის გასაჭირი მოუხსენებიათ, კერძოდ ის, რომ ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის დროიდან აღარ ხდებოდა ქართლის კათალიკოსის კურთხევა ანტიოქიის პატრიარქის მიერ, რადგან „აგარიანთა“ /არაბეთი/ შიშით შემწყდარი იყო მიმოსვლა ქართლსა და ანტიოქიას შორის. პატრიარქ თეოფილაქტეს თავის მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებით მიუცია ქართლის ეკლესისათვის ე. წ. „პროპრეპტიკონი“, ე. ი. ნებართვა ამიერიდან ადგილობრივ, საკუთარ ეპისკოპოსთა კრებაზე აერჩიათ და ხელდაესხათ კათოლიკოსი; სამაგიეროდ, ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და მასში 1000 დრაჟანი გადაეხადა, ამასთან, ქართლის ეკლესის წირვა-ლოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენიებიათ ანტიოქიის პატრიარქი.¹

ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ ქართლის ეკლესიას დამოუკიდებლობა მიუღია არა V საუკუნის 70–80-იან წლებში, არამედ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741–775) და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს (745–751) დროს, ე. ი. VIII საუკუნის 40-იან წლებში ანტიოქიის საეკლესიო კრების საგანგებო განჩინებით. ამ ცნობის ოდნავ გადაკეთებული ვარიანტი ჩანართის სახით მოიპოვება ჯუანშერის თხზულების XVIII საუკუნის ხელნაწერებში, ოღონდ ქრონოლოგია დარღვეული – იგი ჩართულია იმპერატორ ირაკლის (610–641) დროინდელ ამბების აღნერაში.²

თავის დროს ნ. მარმა აჩვენა, რომ ამ თხრობაში ბევრი რამ არაა დამაჯერებელი, ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ქრონოლოგიური პერსპექტივა, ცალკეული ფაქტები (მაგალითად, მირონის ანტიოქიიდან მოტანა, ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიების დაწესება და სხვა, რეალურ დადასტურებას ვერ ჰპოვებენ. მაგრამ ნ. მარის აღიარებით, მთავარი ბირთვი ცნობისა – VIII ს.-ის 40-იან წლებში ქართლის ეკლესის ავტოკეფალიის დამტკიცება ანტიოქიის პატრიარქატის საგანგებო კრების მიერ, ეჭვს არ იწვევს).³

ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს „მარტვილის ხელნაწერთა აღნერილობა“. ამ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთის („სიტყვის-გებაი ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთა მიერ“) ბოლოს წერია: „რამეთუ ესრეთ შესასწავლებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინოპოლისასა და აღათონ რომთა პაპისასა, გიორგი კონსტანტინოპოლელისა და თეოფანე ანტიოქელისასა და მათ თანა ასოციათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა

1. ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, ტექსტი გამოსცა ო. ბრეგაძემ, 1959, გვ. 9-10, შეად. M. Tamarati; L'Eglise georgienne, Rom, 1910, გვ. 354–357.

2. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226-227.

3. Н. Я. Марр. Исторический очерк Грузинской церкви – Журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия, т. III, СПБ., 1907, №5, с. 130–333.

საქართველოსა, და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და გაპატიონსნდა, რამეთუ არღარავისგან ხელქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარ არს¹. ეს ცნობაც, ოლონდ უფრო ვრცელი რედაქციით, ჩართულია „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხებში.²

აქ დასახელებული ყველა ისტორიული პირი VII საუკუნის მოღვაწეა, ხოლო VI მსოფლიო საეკლესიო კრება მიმდინარეობდა 680-681 წწ.-ში კონსტანტინოპოლში. მოტანილი ცნობებით ისე გამოდის, თითქოს ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ორჯერ დასმულა – პირველად VII საუკუნის 80-იან წლებში და ამ დროს კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრებაზე იგი დადებითად გადაწყვეტილა და მეორედ VIII საუკუნის 40-50-იან წლებში, როდესაც ანტიოქიის საეკლესიო კრებას მოუცია ქართლის კათოლიკოსისათვის დამოუკიდებლობა. თავისთავად უკვე ეს გარემოება ეჭვს იწვევს, რატომ გახდა საჭირო ამ საკითხის ორჯერ დასმა, მით უფრო, რომ, თუ აღნიშნულ ცნობებს ვენდობით, ორივეჯერ საეკლესიო კრებებზე დამტკიცებულა ქართლის ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზემოხსენებულ ცნობებში აისახა ქართლის ეკლესიის მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სხვადასხვა ეტაპი. ასე მაგალითად, 6. მარი ვარაუდობდა, რომ ქართლის ეკლესია თავისი მდგომარეობით ავტოკეფალური გახდა უკვე VI საუკუნის დასაწყისში (ასე ათარიღებდა იგი ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმას), მაგრამ საიმპერიო-საეკლესიო მასშტაბით ამ ფაქტის დამტკიცება საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მოხდა მხოლოდ VIII საუკუნეში.³

მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მეორე ვარაუდი: როგორც ჩანს, რაღაც მიზეზით ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე რამდენჯერმე დასმულა; ანტიოქიის პატრიარქები ცდილობდნენ კვლავ დაექვემდებარებინათ ქართლის ეკლესია, ან, ყოველ შემთხვევაში, ანტიოქიის საპატრიარქოზე მისი რაღაც დამოუკიდებულება აღედგინათ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი შემთხვევა სხვაც იყო. კერძოდ, ოდესლაც ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი კ. კვიპროსის მიტროპოლია, შემდეგ ავტოკეფალიას მოიპოვებს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქები ორჯერ ცდილან ამ მიტროპოლიის დაქვემდებარებას; საჭირო შეიქმნა ეფესოს და ქალკედონის საეკლესიო კრებათა მიერ კვიპროსის ავტოკეფალიის ხელახლა დადასტურება,⁴ საფიქრებელია, ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ქართლის ეკლესიის შემთხვევაში. მაშასადამე, მოტანილი ცნობები ვერაფრით ვერ შეარყევენ დებულებას ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ. პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, რომ, მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა, საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეგზის დადასტურებული იყო საეკლესიო კრებების მიერ, კერძოდ კი კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრების მიერაც.

როგორც ცნობილია, ანტიოქიის საპატრიარქო XI საუკუნის შუა ხანებში კიდევ ერთხელ ეჭვის ქვეშ დააყენა ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი და მაშინ დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს გიორგი მთაწმიდელს მოუხდა ჩვენი ეკლესიის დაცვა. ამ დროს დაძაბული ურთიერთობა შეიქნა ქართველ და ბერძენ სამღვდელოთა შორის და უკანასკნელთ მოისურვეს ქართველი ბერძების გაძევება სვიმონწმინდის მონას-

1. ძველი საქართველო, ტ. III, განვ. I, 1911, გვ. 117.

2. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231-232.

3. H. Я. Mapp, Исторический очерк Грузинской церкви, с. 133; შეად.: M. Tarchnishvili, Die Entstehung..., გვ. 118-119.

4. დიდი სჯულის კანონი, გვ. 266; В. В. Болотов, Лекции..., გვ. 244.

ტრიდან. ამ მიზნით მათ ანტიოქიის მაშინდელ პატრიარქთან თეოდოსისთან (1057–1059) ქართველი ბერები არამართლმადიდებლობაში დაადანაშაულეს, ხოლო როცა გიორგი მთანმიდელმა ეს ცილისნამება გაჰვანტა, ბერძენმა სამღვდელოებამ ახლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებამოსილება დააყენა ეჭვის ქვეშ. მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ: გიორგი მთანმიდელმა ურყევი არგუმენტებით ბრწყინვალედ დაასაბუთა ქართული ეკლესიის უფლებები. პატრიარქი თეოდოსი და მისი ხელქვეითი ეპისკოპოსები იძულებული იყვნენ ეცნოთ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის სრული უფლებამოსილება,¹ ამრიგად, უშედეგოდ დამთავრდა ანტიოქიის ეკლესიის კიდევ ერთი ცდა – დაექვემდებარებინა საქართველოს ეკლესია.²

პატრიარქ თეოდოსისთან გიორგი მთანმიდელის პაექრობასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის ცნობილი იურისტისა და საეკლესიო მოღვაწის თეოდორე ბალსამონის ცნობა იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, თეოდორე ბალსამონი კომენტატორია „სჯულის კანონთა“ კრებულისა, ითვლება ფრიად კომპეტენტურ კომენტატორად. ამასთან, ის ეყრდნობა მრავალ ისეთ საინტერესო საბუთს, რომლებიც სხვაგან არსად მოიპოვება. ამრიგად, მის ცნობებს თითქმის დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება.³

კონტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების (383 წ.) მიერ მიღებული ॥ კანონის განმარტებისას ბალსამონი აღნიშნავს: „ნუ გაიკვირვებთ თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც მაგალითად, ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას... იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უნინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“.⁴

ამ ცნობაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიქცია გამოთქმამ ბოლო წინადადების დასაწყისში: „ამბობენ“, ამან ზოგ სპეციალისტს აფიქრებინა, რომ მთელი ცნობა იბერიის ავტოკეფალიის შესახებ დამყარებულია ზეპირ გადმოცემაზე. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი, გამოთქმა „ამბობენ“ ეკუთვნის მხოლოდ ბოლო წინადადებას, ამდენად, თვით ფაქტი იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა და ამ უფლების ამ ეკლესიისათვის ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ მინიჭებისა, ბალსამონისთვის საეჭვო არაა.

მაგრამ უფრო მეტიც: რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ ბალსამონის მუშაობის მეთოდს, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ მხოლოდ ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობა, გამოთქმაში „ამბობენ“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომდევნო ცნობებს ამბობენ რაღაც წყაროები, რაღაც დოკუმენტები.

მეორე საკითხი ეხება ბალსამონის ცნობაში მოხსენებული ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს ვინაობის დადგენას. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული მოსაზრება, რომ ბალსამონის „უფალი პეტრე“ არის ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III, რომელიც ანტიოქიის პატრიარქი იყო 1053–1057 წწ.-ში, ე. ი. იყო ზემოხსენებული თეოდოსის უშუალო წინამორბედი,⁵ ეს გაიგივება იმდენად უეჭველად არის მიჩნეული, რომ მაგალითად, ბ. ლომინაძე გადმოგვცემს რა გიორგი მთანმიდელისა და

1. გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთანმიდელისა, გვ. 150–153.

2. XI ს.-ში უკვე შეიძლება ლაპარაკი სრულიად საქართველოს ეკლესიაზე და არა ლოკალურად ქართლის ეკლესიაზე.

3. H. G. Beck. Kirche und theologische Literatur Byzantinischen Reich. 1959. გვ. 657-658.

4. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, VIII, 1950, გვ. 17-18.

5. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, VIII, 1950, გვ. 18, შენ. 2.

თეოდოსის დროინდელ პაექრობას, პირდაპირ ამბობს, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განხილულ იქნა ორ კრებაზე: პეტრესა და თეოდოსის დროს.¹ პეტრეს-დროინდელი კრება ბალსამონიდანაა აღებული, თუმცა გიორგი მთაწმიდელის გიორგი მცირისეულ „ცხოვრებაში“ არც პეტრეა ამ კონტექსტში ნახსენები, ხოლო მის დროინდელ კრებაზე რაიმე მინიშნებაც კი არაა.

ამავე დროს, ბალსამონისეული „უფალი პეტრეს“ მაინცა და მაინც პეტრე III-სთან გაიგივება სულაც არაა უდავო და ბალსამონის დადანაშაულება, რომ მან შეცდომით გადმოიტანა XI საუკუნეში ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, არასამართლიანია. ჯერ კიდევ 1910 წ. მ. თამარაშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბალსამონის „უფალი პეტრე“ არ შეიძლება იყოს პეტრე III და უფრო სავარაუდოა მისი გაიგივება V საუკუნის 70–80-იანი წლების მოღვაწესთან, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონთან ანუ მკანწრველთან.² შემდგომ, 1934 წ. ერნსტ ჰონიგმანმა ეჭვი გამოთქვა, რომ ძნელი სათქმელია, ვის გულისხმობს ბალსამონი – პეტრე მკანწრველს თუ პეტრე III-ს.³ ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ბალსამონისეული „მეუფე პეტრეს“ გაიგივება პეტრე III-თან გამორიცხულად გვეჩვენება, პირველ რიგში, გიორგი მცირის თხზულების საფუძველზე. შეუძლებელია, თეოდოსი პატრიარქს მისი წინამორბედის პეტრე III-ის დროს შემდგარი კრების დადგენილება არ სცოდნოდა, ამ საქმეში სრულიად გაურკვეველი ყოფილიყო, როგორც „ცხოვრებიდან“ აშკარად ჩანს და ასე მოკლე დროში კვლავ საჭირო გამხდარიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო მსჯელობა.

ამრიგად, ბალსამონის ცნობა, ჩვენის აზრით, სწორედ იმის მყარ საბუთად გამოდგება, რომ ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია V საუკუნეში იყო აღიარებული და დამტკიცებული ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ დავასკვნით: V საუკუნის 70–80-იან წლებში ქართლის ეკლესიამ მოიპოვა დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსი, იგი გაფორმდა როგორც სრულუფლებიანი ავტოკეფალური ეკლესია, საკუთარი საეკლესიო კრებით (12 ეპისკოპოსი), ეპისკოპოსთა ხელდასხმა-განკვეთის შეუვალი უფლებით, დამოუკიდებელი საჭეომპურობელით, რომელიც კათოლიკოსის ტიტულს ატარებდა. გავიხსენოთ „მოქცევად ქართლისას“ სიტყვები, რომ „აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამამთავრობად“. იგივე ტერმინია ჩვენს მიერ დამოწმებულ მარტვილის ხელნაწერშიც. ქართული ტერმინი „მამამთავარი“ კი ფაქტობრივად პირდაპირი თარგმანია ტერმინისა „პატრიარქი“. საინტერესოა, აგრეთვე, იგივე „მოქცევად ქართლისას“ ცნობა, რომ გარკვეული დროიდან ქართლის კათოლიკოსებად, ხდებიან ადგილობრივი წარმომავლობის პირი.⁴ რაც ჩვენ აქადე ვილაპარაკეთ, შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის ეკლესიას. ამავე ხანებში სულ სხვა ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. როგორც ცნობილია, ძვ.წ.-ის I საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველო სხვადასხვა ფორმით რომზე იყო პოლიტიკურად დამოკიდებული და შესაბამისად ეკლესიურადაც ჯერ რომს და შემდეგ ბიზანტიის ექვემდებარებოდა, ოლონდ განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის ანტიოქიის ან რომელიმე სხვა აღმოსავლური საპატრიარქოს ხელქვეითი კი არ იყო, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქისა.

ადრეული ხანებიდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის შესახებ ჩვენ მხოლოდ ცალკეული ფაქტები ვიცით. ქართული ტრადიციის თანახმად, რომელსაც მხარს უმაგრე-

1. ბ. ლომინაძე. დასახ. შრომა, გვ. 93.

2. M. Tamarati, L'Eglise georgienne, Rom, 1910, გვ. 357-358.

3. E. Honigmann, Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches, Bruxelles, 1934, გვ. 211.

4. ძეგლები... I, 7, 94; M. Tarchnishvili, Die Entstehung....118.

ბენ ბიზანტიური წყაროებიც, დასავლეთ საქართველოში, ისევე, როგორც სამცხის ცალკეულ ოლქებში, ქრისტიანობის გავრცელება ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოღვაწეობას უკავშირდება. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოშიაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.¹ 325 წ. ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, რომლის სამწყსო აღმოსავლეთ რომის პოლემონის პონტოს ეპარქიას ეკუთვნოდა.² შემდგომი ხანიდან კონკრეტული ფაქტები ჩვენ არ ვიცით, ხოლო VI საუკუნიდან, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკის ეკლესიას განაგებდა მიტროპოლიტი, რომელიც ფაზისში იჯდა და რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოში შედიოდა; უკანასკნელს ექვემდებარებოდა, აგრეთვე, აბაზგის არქიეპისკოპოსი, რომელიც სებასტოპოლისში ანუ ცხუმ-სოხუმში იჯდა. ასეთი სურათი ასახულია ე. წ. ნოტიციებში ანუ ტაქტიკონებში, რომლებიც წარმოადგენდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელქვეით საეკლესიო კათედრათა ნუსხებს. ამ ნოტიციათაგან უძველესი VII საუკუნისაა, თუმცა ამ საეკლესიო სისტემის ჩამოყალიბებას სპეციალისტები იუსტინიანე I ხანას, ე. ი. VI საუკუნეს აკუთვნებენ.³

აღნიშნულ ნოტიციათაგან, იმათში, რომლებიც IX საუკუნის პირველი ნახევრით და უფრო ადრეული ხანით თარიღდებიან, ფაზისის მიტროპოლიტი, თავისი ხელქვეითი ეპისკოპოსებით და სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებიან, ხოლო IX საუკუნის 80-იან წლების შემდგომ შედგენილ ნოტაციებში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მღვდელმთავართა ნუსხებში აღარ შედიან აღარც ფაზისის მიტროპოლიტი, აღარც სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი.⁴ ამ ფაქტის საფუძველზე თავის დროს ნ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ეს აზრი შემდეგ გაიზიარეს სხვა მკვლევარებმაც.⁵

როგორც ცნობილია, VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ გააერთიანა აფხაზეთის საერისთავო და ეგრისი და გაათავისუფლა ეს გაერთიანებული ქვეყანა ბიზანტიის ბატონობისაგან, მიიღო რა „აფხაზთა მეფის“ ტიტული. ასე წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოში ე. წ. „აფხაზთა სამეფო“, რომელიც არსებითად ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ანუ მოსახლეობის გადამწყვეტი უპირატესობით, კულტურულად და მის მესვეურთა პოლიტიკური მრნამსითა და მიმართულებით ქართული სახელმწიფო იყო. აფხაზთა სამეფოს გაფორმების შემდეგ, ეკლესიურად დასავლეთ საქართველო გარკვეული ხანი კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოში რჩებოდა, მაგრამ IX საუკუნეში იგი გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, დამოუკიდებლობა მოიპოვა და შემდეგ მცხეთის საკათოლიკოსო ტახტს დაექვემდებარა.

ყველა არსებულ წყაროთა ანალიზის საფუძველზე, ნ. ბერძენიშვილს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების თანამიმდევრობა შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიიდან ერთბაშად არ ხდება. ჯერ საკუთრივ აფხაზეთის (აბაზგის) ეკლესია მოიპოვებს გარკვეულ დამოუკიდებლობას; ეს უნდა მომხდარიყო VII საუკუნის ბოლოს, როდესაც აბაზგის არქიეპისკოპოსი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის სტატუსს მოიპოვებს, შემდეგ ხდება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება (VIII ს.-ის ბოლოს ან IX ს.-ის დასაწყისში) და გაერთიანებულ ეკლესიას სათავეში უდგება აფხაზთა კათოლიკოსი; ბოლოს, IX საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზთა სამეფოს ეკლესია გამოეყო

1. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968.

2. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1961, გვ. 24.

3. Parthey. Hierocles Synckdemus et Nolitiae graece episcopatum, Berotini, 1866, p.

4. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, 1959, გვ. 131–148.

5. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 291–293.



სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭე ასომთავრული წარწერით: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული მეოხე ჩვენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოსი რომელმან მეორედ აღაშენა წმინდა კათოლიკე ესე სალხინებელად სულისა მათისა“.

აგებულია 1029 წ., კათალიკოს მელქისედეკის ბრძანებით

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს დაექვემდებარა, ხოლო აფხაზთა კათოლიკოსი ქართლის კათოლიკოსს დაემორჩილა. საეკლესიო რეფორმა აფხაზეთში ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით საბოლოოდ X საუკუნეში დასრულდა. უფრო მოგვიანებით, როგორც ჩანს, აფხაზთა კათოლიკოსის სახელი გაუქმდა.¹

ამრიგად, IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლის ავტოკეფალი კათოლიკოსი რეალურად სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმოძღვარი ხდება, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იწოდება კათოლიკოს-პატრიარქად. პირველად ამ ტიტულით იხსენიება 1010-1033 წლების საქართველოს მღვდელმთავარი მელქისედეკ | მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შენირულების საბუთში.²

ვფიქრობთ, რომ ეს ტიტული ასახავს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესების დასრულებას, სრულიად საქართველოს ეკლესიის საბოლოო ჩამოყალიბებას. ამასთან, საქართველოს ეკლესიის მეთაურის ეს ტიტული კანონიკური წესით ყოფილა უდავოდ მიღებული, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტულით შემდგომში მიმართავენ რომის პაპი და სხვა მაღალი რანგის უცხოელი სამღვდელო პირნი.³

1. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 296–299, მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 187–193.

2. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 18.

3. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1912, გვ. 19-20; ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, III, 1913, ტ. 33, ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, 1984, გვ. 88.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სათავეებთან

საქართველოს ეკლესია სამოციქულო წარმომავლობისაა, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ იგი მოციქულთა მიერ არის დაფუძნებული და შესაბამისად თავისთავადი, ანუ ავტოკეფალურია, ისევე როგორც ქრისტეს მოწაფეთა მიერ დაარსებული სხვა ეკლესიები. ასეთივე იქნებოდა ანდრია მოციქულის მიერ ანუურში დაარსებული ეკლესიაც. მაგრამ IV ს.-ში წმ. ნინოს და მირიან მეფის ძალისხმევით ფორმირებული და გამართული ეკლესია უკვე წარმოადგენდა არა ერთ ლოკალურ ადგილას არსებულ მორწმუნეთა თემს, არამედ მთლიანად ქართული სამეფოს ფარგლების მომცველ ორგანიზაციას. რას წარმოადგენდა ისტორიული ქართული მიწები I-V სს.-ში, როდესაც ქრისტიანობა იკიდებდა ფეხს? I-II სს. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედის, გარდა აღმოსავლეთ საქართველოსი, აგრეთვე არგვეთი, ასევე მდინარე ჭოროხის სამხრეთით, ძიდრიტების ტომით დასახლებული ტერიტორია. ფარსმან ქველის დროს ქართლის სამეფომ გასასვლელი მოიპოვა შავ ზღვაზე. ამავე დროს კოლხეთის შავიზღვისპირეთში რომის ლეგიონები იდგნენ. ფლავიუს არიანეს (131 წ.) ცნობით რომაული გარნიზონებიდან ყველაზე დიდი – V კოპორტა იდგა აფსაროსში (გონიო), რადგან აფსაროსი ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და უშუალოდ ესაზღვრებოდა ფარსმანის სამეფოს. IV საუკუნის პირველ ნახევარში მირიან მეფის ქართლის სამეფოც, დაახლოებით, ამ საზღვრებში მოიაზრებოდა. V საუკუნის ბოლოს ლაზთა მეფეებმა დაიმორჩილეს აფშილები, აბაზგები, სანიდები, წაართვეს არგვეთი ქართლის სამეფოს და ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავეს. ამ სახელმწიფოს ქართველები ეგრისს უწოდებდნენ, ხოლო ბიზანტიელები ლაზიკას. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის დროს ციხე-გოჯი რომის მფლობელობიდან ქართლის სამეფოს იურისდიქციაში შემოდის, აგრეთვე კლარჯეთი და ჰერეთი. ვახტანგ გორგასლის სამეფოს გაძლიერებით დასავლეთ საქართველოს დიდი ნანილი (არგვეთი, თაკვერი, სვანეთი), სავარაუდოა, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. გამოთქმულია ბევრი ვარაუდი, თითქოს ამ ჰერიოდში ქართლში მოწყობილი ეკლესია რომელიმე სხვა ეკლესიის პატრინაუის ქვეშ იმყოფებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ეკლესიის მოწყობა რომის იმპერიის დახმარებით გახდა შესაძლებელი, მაშინ ამ ვერსიებს, შესაძლოა, ჰქონდეს საფუძველი. რომელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ შეიძლება ყოფილიყო ქართული ეკლესია IV ს.-ში – ანტიოქიის, იერუსალიმის თუ კონსტანტინოპოლის? როგორც I ისე II მსოფლიო კრებების დროისთვის „მსოფლიო განაწილების“ პრობლემა არ არსებობდა. ასეთი გაგება მხოლოდ იმის შემდეგ გაჩნდა, რაც იმპერიის დედაქალაქების ეკლესიები გადაიცნენ საპატრიარქოებად და ამ საპატრიარქოებმა იმპერიის ტერიტორია ერთმანეთს შორის გაინაწილეს, ე. ი. უფრო გვიან, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს ეპოქაში (VI ს.) და მის შემდეგ. ის აზრი, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა იმის გამო, რომ მსოფლიოს განაწილების დროს აღმოსავლეთი ანტიოქიას შეხვდა, ასახავს არა IV საუკუნეში არსებულ ვითარებას, არამედ ჩამოყალიბებულია შემდგომ საუკუნეებში, „პენტარქიის“ თეორიის ჩამოყალიბების პერიოდში, განსაკუთრებით 451 წლის მსოფლიო კრების შემდეგ. ანტიოქიის ძლიერ ეკლესიას IV ს.-ში ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა პონტოს დიოცეზის ასევე ძლიერი ეკლესია, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა ქართლის სამეფოს. 381 წელს II მსოფლიო კრებამ მეორე კანონით დაამტკიცა ყველა დიოცეზის ეკლესიების ავტოკეფალია, მათ შორის პონტოსი, და გაუთანაბრა ის ანტიოქიის ეკლესიას. პონტოს ძლიერი ეკლესია IV ს.-ში არ დაუშვებდა, რომ ანტიოქიას, მის თანაბარ ეკლესიას, იურისდიქცია გაევრცელებინა პონტოს უშუალოდ მოსაზღვრე, მეზობელ ისტორიულ ქართულ მიწებზე, იმის გამო, რომ ანტიოქიასა და ქართულ მიწებს შორის სწორედ პონტოს ვრცელი დიოცეზი (მცირე აზია) იყო გადაჭიმული (პონტოს დიოცეზი ფაქტობრივად მთელ

მცირე აზიას მოიცავდა). რითია გამოწვეული, რომ ქართული ეკლესიის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო ანტიოქიის ეპისკოპოსმა? ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ 330 წელს, კონსტანტინოპოლის დაარსებამდე, ქალაქი ანტიოქია, ფაქტობრივად, იყო დედაქალაქი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილისა, ამიტომაც როდესაც ქალაქ რომში ჩავიდნენ წმიდა ნინოს მიერ გაგზავნილი ელჩები და სურვილი გამოთქვეს ქართული ეკლესიის დაარსებისა, იმპერატორმა ანტიოქიის ეპისკოპოსს დავალა ამ მისის შესრულება. საქმე ის იყო, რომ იმის შემდეგ, რაც იმპერატორმა დიოკლეტიანემ იმპერია რამდენიმე ნაწილად დაჰყო (ე. წ. „ტეტრარქია“), იმპერიის აღმოსავლეთის ყოველგვარი საქმე, სამხედრო თუ სამოქალაქო, უნდა გადაჭრილიყო არა რომში, არამედ აღმოსავლეთშივე მისივე საგანგებო მმართველის მიერ. აღმოსავლეთის საეკლესიო საქმეებიც ასევე აღმოსავლეთის მმართველს დაეკისრა. ამიტომაც ეპისკოპოსს, რომელიც ანტიოქიაში იჯდა, დაევალა დახმარებოდა ქართველებს საეკლესიო საქმის მოწყობაში.

ქართული ეკლესიის საქმის გადაჭრა აღმოსავლეთში მჯდომ მთავარი ქალაქის ეპისკოპოსს დაეკისრა IV ს.-ის დასაწყისში. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, იმპერატორის საგანგებო დავალებით ანტიოქიის ეპისკოპოსი ქართლში ჩამოსულიყო IV ს.-ის დასაწყისში, მაგრამ ეს სრულებით არ იძლევა უფლებას გაეკეთდეს დასკვნა, რომ ამის შემდეგ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ეკლესიის დაფუძნების დროს იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი რომ ყოფილიყო, ქართული ეკლესიის ორგანიზაციის საქმეში დახმარების გაწევა დაევალებოდა არა ანტიოქიის ეპისკოპოსს, არამედ დედაქალაქისას (საუბარია არა იერარქიულ დაქვემდებარებაზე, არამედ ეკლესიის ორგანიზაციაში დახმარების გაწევაზე).¹

მიტროპოლიტ ანანიას აზრით, ქართული ეკლესია მისი დაარსების დროს ვერც კონსტანტინოპოლს დაექვემდებარებოდა, რასაც ჩვენ ვეთანხმებით, რადგანაც: 1. თვითონ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი სხვაზე იყო დაქვემდებარებული: ჰერაკლიის ეპისკოპოსზე თრაკიის დიოცეზში; 2. ასეთ დაქვემდებარებას მაშინ არსებული საეკლესიო კანონი კრძალავდა; 3. ქართული ეკლესიის დაარსების დროს, რაც უთუოდ 326 წლამდე მოხდა, კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ის 330 წელს დაარსდა.

ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი, ბალსამონი, წერს, რომ IV ს.-ში რომის იმპერიაში ავტოკეფალური იყო ყველა პროვინციის ეკლესია. IV ს.-ში იმპერია დაყოფილი იყო პროვინციებად, არსებობდა 100-ზე მეტი პროვინცია. ბალსამონის აზრით, იმ დროს 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა მხოლოდ რომის იმპერიაში, რადგანაც ყველა პროვინციის მიტროპოლია ავტოკეფალური იყო და მიტროპოლიტები ხელდასხმულნი იყვნენ თავისივე პროვინციის საეკლესიო კრების მიერ.²

IV-V სს.-ში პატრიარქატის ჩამოყალიბების პერიოდში გაჩნდა მისწრაფება მოესპოთ მიტროპოლიტების ავტოკეფალია და დიოცეზის მეთაურ „უპირველეს“, „უწარჩინებულეს“ მიტროპოლიტებს (მომავალ პატრიარქებს) მიეღოთ ეპარქიის „თავის“, „მიტროპოლიტის“ დადგენის უფლება. მაგრამ ვიდრე პატრიარქატის სისტემა საბოლოოდ გაიმარჯვებდა (ქალკედონის 451 წ. IV მსოფლიო კრების კან. 28), და ვიდრე ყველა მიტროპოლიტის ავტოკეფალია გაუქმდებული არ იყო, საეკლესიო კრებები საკმაოდ იძლეოდნენ მიტროპოლიტების ავტოკეფალიის შენარჩუნების გარანტიას (ნიკეის I, კან. 7; ეფესოს, კან. 8), ამიტომაც ჯერ კიდევ არ იყო ძნელი სადავოდ ქცეული ავტოკეფალია ისევ ძველი ავტოკეფალიის სასარგებლოდ გადაჭრილიყო (კვიპროსის მაგალითი 431 წელს ეფესოს კრებაზე).³

ქართლის სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ამიტომ მისი ეკლესია ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ რომის იმპერიაში არსებული პროვინ-

1. ვ. გოილაძე „ქართული ეკლესიის სათავეებთან“, თბ., 1991, გვ. 190.

2. „დიდი სჯულისკანონი“, თბ. 2004, გვ. 39.

3. ბ. ლომინაძე „საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია“, იხ. გვ. 71.

ციების ეკლესიები ავტოკეფალური იყო. მიუღებელი და მოუთმენელი იქნებოდა IV ს. არსებული საეკლესიო კანონების დარღვევით დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკლესია დაქვემდებარებოდა იმპერიის რომელიმე პროვინციის ეკლესიას.

რით გამოიხატებოდა IV ს.-ში ეკლესის ავტოკეფალია? I-II მსოფლიო საეკლესიო კრებების და წმიდა მამათა დადგენილებების მიხედვით, ეკლესია ავტოკეფალურად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ეკლესის მეთაურს საეკლესიო ოლქშივე (პროვინციაში) დაადგენდნენ გარედან ჩაურევლად.¹ ქართული წყაროებიც ადასტურებენ IV ს.-ში ქართული ეკლესის მეთაურების ადგილზევე დადგენის ფაქტს, ქართველ მეფე-თა და გავლენიანი წრეების მიერ ჩვენში „ისმებოდნენ“ ეკლესის მეთაურები, გარედან ჩაურევლად. წმ. ნინო ევედრებოდა მეფე მირიანს, რომ ეპისკოპოსად „დაესვა იაკობი“. ქართული ეკლესის მეორე ეპისკოპოსი იაკობი მეფე მირიანის ნებით დაჯდა ეკლესის მეთაურად. ამ ეპისკოპოს იაკობის საკვდილის შემდეგ ქართველთა მეფემ ეპისკოპოსად „დაესვა“ ელია. „...მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია“. ასევე ქართლშივე მღვდელი მიქაელი „დაადგინეს ეპისკოპოსად“. ეს მღვდელი საბერძნეთიდან ყოფილა ჩამოსული, მაგრამ ეპისკოპოსი კი არ ყოფილა, არამედ მღვდელი, ეპისკოპოსად ის ადგილზევე „დაადგინეს“ – „მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად“ და ა. შ.² ეპისკოპოსებს აქვე, ქართლშივე „ადგენენ“ ან „სვამენ“ შესაბამისი წრეები. ამ დროს, როგორც ჩანს, იმ საეკლესიო კანონს ეყრდნობიან, რომლის თანახმადაც ეკლესის მეთაურ ეპისკოპოსს ირჩევს და ადგენს საეკლესიო კრება, რომელშიც ადგილობრივი ეპისკოპოსები მონაწილეობენ ხელისუფლების ნებართვით.

იყო თუ არა ქართლში IV ს.-ში რამდენიმე ეპისკოპოსი? ქართული წყაროს თანახმად, უკვე მირიან მეფის სიკვდილის დროისთვის (IV ს.-ის 60-იან წლებში) ქართლში იყო რამდენიმე ეპისკოპოსი. მირიანმა თავისი უკანასკნელი ნება განუცხადა რამდენიმე ეპისკოპოსს, იმუამად მყოფ ეპისკოპოსებს, „ეპისკოპოსთაო“ – წერია წყაროში. სწორედ ეს „ეპისკოპოსი“ თავიანთ კრებაზე ირჩევდნენ ქართული ეკლესის მეთაურს, ხოლო მეფე „სვამდა“ მას.

ცნობილია, რომ საეკლესიო რეფორმის შემდეგ ვახტანგმა ეპისკოპოსთა რიცხვი გაადიდა, მაგრამ მატიანის ცნობა, რომ ამ რეფორმამდეც ქართულ ეკლესიაში იყო არაერთი ეპისკოპოსი, ძალზე მნიშვნელოვანია. თვით ვახტანგის სიჭაბუკის დროსაც ქართულ ეკლესიაში ორი გამორჩეული და დიდი ავტორიტეტის ეპისკოპოსი ყოფილა; „და განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპას-პეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე...“³

კათალიკოსების დაწესებამდე IV და V სს.-ში ქართულ ეკლესიაში იყო მრავალი ეპისკოპოსი, ამიტომაც უპირველეს ეპისკოპოსს ენოდებოდა „მთავარეპისკოპოსი“. მთავარეპისკოპოსის კათედრა მცხეთაში (დედაქალაქში) იყო და არსებული წესის თანახმად, ის სამოქალაქო მთავრობის ნებით უნდა „დამჯდარიყო“ საყდარზე, ქართული ეკლესის მეთაური უცხოეთიდან კი არ ჩამოჰყავდათ, არამედ ადგილზევე ირჩევდნენ თანამდებობაზე და აძლევდნენ შესაბამის წოდებას, თუმცა ის ეროვნებით შეიძლება არაქართველი, ანდა დაბალ ხარისხში მყოფი ჩამოსულიყო ქართლში. მაგალითად, მიქაელი უბრალო მღვდელი იყო როცა საბერძნეთიდან ჩამოიყვანეს. ის ადგილზევე აკურთხეს და დასვეს მთავარეპისკოპოსის ტახტზე, ხოლო იობი დიაკონის ხარისხში მყოფი ჩამოვიდა ქართულ სამეცოში. ის ასევე აქვე იღებს ახალ, მაღალ ტიტულს. შეიძლება დაისვას კითხვა: თუ ქართული ეკლესია IV ს.-ში ისევე ავტოკეფალური იყო, როგორც იმპერიის პროვინციათა ეკლესიები, მაშინ რატომ გამოგზავნა ქართული ეკლესის პირველი ეპისკოპოსი რო-

1. მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტომი I, გამომცემლობა „მერანი“, 1996, გვ. 85–87.

2. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1955, გვ. 137–145.

3. С. Троицкий „О церковной автокефалии“, ЖМП, 1950, №7, გვ. 147.

მის იმპერატორმა კონსტანტინემ? „ქართლის ცხოვრების“ და „მოქცევად ქართლისადს“ ცნობების თანახმად, ქართული ეკლესიის ფორმირებისას, ხალხის მონათვლისა და დამოძღვრისათვის საჭირო იყო უცხოელი სამღვდელოების დახმარება, მაგრამ შემდეგში, ქართული ეკლესია, ცხადია, ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც მთელ მაშინდელ რომის იმპერიაში იყო მოწყობილი სხვა ეკლესიები, კერძოდ, ყოველი პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო, და მათი მეთაური პროვინციის სამღვდელოების მიერვე ირჩეოდა. როცა ანტიოქიის დიდი ეკლესია შეეცადა დაექვემდებარებინა კვიპროსის პატარა ეკლესია, II მსოფლიო კრებამ მერვე კანონით ასეთი ცდა დაახასიათა როგორც „საქმე, რომელიც ენინააღმდეგებოდა ეკლესიისა და მოციქულთა კანონებს (იგულისხმება მოციქულთა 35-ე კანონი)“. V საუკუნის ბოლოსათვის იმპერიაში ავტოკეფალურ ეკლესიათა რიცხვი ძლიერ შემცირდა და VI საუკუნეში უკვე ექვსი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა მთელ იმპერიაში. VI ს.-ში ავტოკეფალია დაკარგეს ისეთმა ძველმა ეკლესიებმაც, რომელთაგან ზოგიერთი თვით მოციქულთა მიერ იყო დაარსებული. თვით იერუსალიმის ეკლესიებმაც კი დაკარგეს ავტოკეფალია და კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის ხელქვეით იმყოფებოდნენ. IV მსოფლიო კრებამ მისი ავტოკეფალია მთლიანად აღადგინა. ასევე, მოციქულთა მიერ დაარსებულმა ათენის ეკლესიამაც ავტოკეფალია დაკარგა და მხოლოდ მრავალი ასეული წლის შემდეგ, XX ს.-ში, აღიდგინა იგი.

რით გამოიხატება ეკლესიის ავტოკეფალია? ავტოკეფალიის არს ხედავენ სწორედ ხელდასხმაში მოცემული ეკლესიის ეპისკოპოსებისა თავისივე ეპისკოპოსების მიერ. არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს ეკლესიები ბულგარეთისა, კვიპროსისა და იბერიისა (ე. ი. ქართული), რადგანაც მღვდელმთავრები ამ ეკლესიებისა იღებენ ქიროტონიას თავისივე ეპისკოპოსებისაგან, – წერს თავის ალფაბეტურ სინტაგმაში მათეოს ბლასტარი.¹

ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 320-იან წლებში ორგანიზებული ქართული ეკლესია უსათუოდ ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც იმპერიაში არსებული სხვა ეკლესიები. იმპერიაში კი ყველა პროვინციის ანუ ადმინისტრაციული ერთეულის ეკლესია ავტოკეფალური იყო. ქართლის სამეფო რომის პროვინცია არ ყოფილა, ის იყო იმპერიის გარეთ არსებული სახელმწიფო. თუკი იმპერიაში ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს ჰქონდა თავისი ავტოკეფალური ეკლესია, ბუნებრივია, მის ფარგლებს გარეთ მდებარე სახელმწიფოს ეკლესიაც ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას საფრთხე ემუქრებოდა არა IV ს.-ში, არამედ V და VI სს.-ში V ს.-ის შუა წლებისათვის სავსებით შესაძლებელი იყო იმპერიის რომელიმე დედაქალაქს პრეტენზია განეცხადებინა ქართულ ეკლესიაზე, რადგან მათ მოიპოვეს გავლენა იმპერიის გარეთ არსებულ ტერიტორიებზე. პონტოს დიოცეზი 451 წლის მსოფლიო კრებამ დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის, ამიტომაც, პონტოს დიოცეზის გავლენის ქვეშ მყოფი იმპერიის გარეთა ქრისტიანებიც კონსტანტინოპოლის დაექვემდებარენ. ასევე ანტიოქიაც, თავისი მისიონერული მოღვაწეობის გამო გავლენას ძველთაგანვე ავრცელებდა ახლადმოქცეულ ბარბაროსებზე (იმპერიაში ან იმპერიის გარეთ მცხოვრებ არა ბერძნულ ხალხებზე): სწორედ V ს.-ში გაჩნდა მისწრაფება იმპერიის დედაქალაქისა და სხვა საპატრიარქოებისა, რომ თავიანთ იურისდიქციაში მოქმედია სხვა ეკლესიები. ამიტომაც ქართული ეკლესია შეიძლებოდა ავტოკეფალური ყოფილიყო IV ს., ხოლო V ს. მისი ავტოკეფალია, შესაძლოა, სადაც გაეხადათ, მაგრამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა არათუ მოისპო, არამედ ვახტანგ გორგასლის მიერ განხორციელებული ეკლესიის ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა.

ლევან მათევაზილი დეპარტამენტი, ისტორიის დოკუმენტი

1. „Правила святых апостолов и вселенских соборов с толкованиями“, ч. I, 1977, გვ. 85–87.

მოციქულ ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა საქართველოში



საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას XVIII საუკუნის ჩათვლით უწოდებდნენ – საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რადგან იგი მოციქულთა მიერაა დაარსებული და თავისი შინაარსით ყოველთვის მართლმადიდებლური იყო. პირველ საუკუნეში იერუსალიმიდან საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად გამოგზავნილი იყვნენ ქრისტეს მოციქულები: წმიდა ანდრია (პეტრე მოციქულის ძმა) და სიმონ კანანელი. უფალმა, იქსო ქრისტემ ანდრიას პირველს მოუწოდა გაევრცელებინა ქრისტიანობა, ამიტომ ეწოდა მას პირველწოდებული.

როგორც ცნობილია, ქართული სამეფო (ქართლი, ეგრისი) ქრისტიანობის მიღებამდე წარმართულ აღმსარებლობას მისდევდა (მას ამა თუ იმ ზომით ქვეყნის მთელი მოსახლეობა აღიარებდა). ქრისტიანობამ რწმენის ერთიანობით წაშალა თემობრივი კარჩაკეტილობის ზღვარი და გზა გაუხსნა ეთნიკური ერთობის შეგნებას, რასაც საბოლოოდ მონათესავე ხალხების ერთ ეროვნულ ორგანიზმად შეკავშირება მოჰყვა. საქართველოში ქრისტიანობა IV საუკუნის პირველ ნახევარში იქცა სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ მას წინ უძლოდა მნიშვნელოვანი მოვლენები.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მატიანეში გადმოგვცემს: „ადერკის მეფობასა (ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მეფობდა ქართლში 1–57 წლებში – ავტ.) შინა მოვიდეს ათორმეტთა მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთსა და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფილისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელი (ტრაპიზონის მხარეს „მეგრელთა სოფელი“ ერქვა – ავტ.) და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“. როცა მეფე ადერკიმ გაიგო მეგრელთაგან რჯულის შეცვლა: „განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელი. და დამალნეს ხატნი და ჯუარნი, და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა დაიწყო არა ბიზანტია-კონსტანტინოპოლიდან, არამედ იერუსალიმიდან. ამას მოწმობს ის, რომ საქართველოში იყო ჩამოტანილი: „ძელი (ძეველ ქართულში აღინიშნებოდა ხე, დირქ, დასჯის იარაღი) ცხოვრებისა“, „ფერხთა ფიცარნი ქრისტესაი“ და „სამსჯუალნი“ (ლურსმანნი) მისნი. მემატიანეს თხრობით, ქრისტიანობის დამყარებამდე, ქართლს წილად ხვდა „სამოსელი იგი ქრისტესი ზეგარდმოქსოილი, რომელ არს კუართი უფლისა“. თვით ნინო წმიდა (IV საუკუნე) ქართლში ქრისტიანობის საქადაგებლად იერუსალიმიდან მოვიდა. ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ წერია – ქართლის ქვეყანა „წილხვდომილია“ ღვთისმშობლისა. ქართველთა განმანათლებლის როლი ანდრია მოციქულს დაკისრებია. საყურადღებოა ნაშრომი „მოსახსენებელი, მიმოსლვათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი“, რომელიც ბერძნულადაა დაწერილი IX საუკუნეში. მასში აღინიშნულია, რომ ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა დასავლეთ საქართველოში, „სოფელსა მეგრელთასა“ და „ქვეყანასა ქართლისასა“. ანდრია მოციქული აღიარებული იქნა ჯერ კიდევ 357 წელს, როდესაც მისი ნეშტი იმპერატორმა კონსტანტინემ კონსტანტინოპოლიში გადაასვენა. ნაშრომი, რომლის მიხედვითაც ანდრია პირველწოდებული ორჯერ ყოფილა საქართველოში, ექვთიმე ათონელმა თარგმნა. ვარაუდობენ, რომ მესამედაც უნდა ჩამოსულიყო. ანდრია მოციქული, სახარების მიხედვით, იქსო ქრისტეს 12 რჩეულთა-განი იყო, მისი მუდმივი თანამგზავრი და ქრისტეს ამაღლების შემდეგ ქრისტიანულ საზოგადოებათა მეთაური. გადმოცემით, ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებული გამოგზავნა თავის წილხვდომის ქვეყანაში – საქართველოში, რათა ექადაგა ქრისტიანობა. წმიდა მარიამია სახე დაისველა, ფიცარი „დაიდვა პირსა ზედა თვისსა“ და ფიცარზე გამოისახა ღვთისმშობელი ყრმა იქსოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა.

ანდრია პირველწოდებული წამოვიდა იერუსალიმიდან, „მიიწია ქალაქ ტრაპეზუნტად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლი-



ანდრია პირველწოდებულის გზა

სასა, ვინაცა იგი დაჰყო უამი ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყვითა მოძღვრებისა მისისაითა”, ხოლო მესამე მგზავრობისას „შემდგომად მარტვილისა კუალად განვიდა საქმე-სა მას ქადაგებისასა...” ამ მოგზაურობის დროს მასთან ყოფილა სვიმონ კანანელი, მატათა მოციქული და თადეოზი. თადეოზი დარჩენილა ედესე ქალაქს (ძველი ქალაქი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში), ხოლო დანარჩენებს გაუგრძელებით ქალაქსა და სოფლებში ქადაგება.

ტრაპიზონიდან მოციქულები მდინარე ჭოროხამდე მისულან. აქედან გადასულან ნი-გალს (მხარე აჭარაში). სწორედ იქ დარჩენილა მატათა მოციქული და იქვე აღესრულა. დაკრძალეს აფსაროსში (გონიო). ანდრია პირველწოდებულს სვიმონ კანანელთან ერთად გზა გაუგრძელებია. მისულან ზემო აჭარაში – დიდაჭარას. ანდრია პირველწოდებულს აქ აუშენებია ეკლესია, რომლის ნანგრევები შემორჩენილია. ანდრიას ეკლესიაში ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დაუბრძანებია.

შემდეგ გეზი სამცხისაკენ აულიათ. გადაუვლიათ ფერსათის მთა და უღელტეხილ-ზე ჯვარი აღუმართავთ. ოძრხედან (აბასთუმანი) იმერეთში გადამავალ უღელტეხილს დღემდე შერჩა სახელი „რკინის ჯვარი“. აქედან აწყურში მისულან. აქ ქადაგებასთან ერ-თად ანდრიას მრავალი სასწაული მოუხდენია. ღვთისმშობლის ხატის ძალით აღფრთო-ვანებული ხალხი ქრისტეს სჯულზე მოქცეულა. ეს ხატი ანდრიას აწყურში პატარა ეგ-ვტერში (მცირე ნაგებობა, სამლოცველო) დაუსვენებია.

მე-11 ს.-ის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის გადმოცემით, კეისარი პერაკლე (ბიზანტიის კეისარი 610–641 წ.წ.) მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა საქართვე-ლოში, რათა მოეძებნა „ძელი ცხოვრებისა“. პირველად მისულან სამცხეს, სადაც იხა-ხებოდა ხატი ღვთისმშობლის გამოსახულებით. კეისარს ხატისათვის თაყვანი უცია და ტაძრის მშენებლობისათვის საძირკველი ჩაუყრია. აწყურის თანამედროვე ტაძრის ნან-გრევები X-XI საუკუნეების გუმბათიანი ნაგებობის ნაშთია, რომელიც XII-XVI საუკუნეში სამცხის საეკლესიო ცენტრი ყოფილა.

სამცხეში დღესაცაა შემორჩენილი წმიდა ანდრიას სახელობის ეკლესია, რომლის მი-ხედვით თვით სოფელსაც ანდრიაწმიდა ეწოდა. ეს არის ერთადერთი დასახლებული პუნ-ქტი საქართველოში, რომელიც ანდრია პირველწოდებულის სახელს ატარებს. სოფელი ახალციხიდან 17 კილომეტრზე მდებარეობს, ხოლო საფარის მონასტრიდან დაახლოებით 3 კილომეტრითაა დაშორებული.

ამის შემდეგ მათ მოუვლიათ ტაო, კლარჯეთი, არტაან-კოლა და იერუსალიმში დაბრუნე-ბულან. იერუსალიმიდან ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი კვლავ საქართვე-ლოში წამოსულან, მოუვლიათ ქართლი, გადასულან დასავლეთ საქართველოში, ყოფილან სამეგრელოში, სვანეთში და აფხაზეთში. „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქვეყანასა აფხაზეთისასა“. სვიმონ კანანელი აფხაზეთს დარჩენილა, ხოლო ანდრია პირ-ველწოდებული ჯიქეთს გამგზავრებულა. იქ ანდრია არ მიუღიათ, სიკვდილს გადარჩენილი უკან გამობრუნებულა. ხოლო სვიმონ კანანელი აფხაზეთში გარდაცვლილა და ანაკოფიაში (ახალი ათონი) დაუკრძალავთ. ახალ ათონში ახლაც არის სვიმონ კანანელის ეკლესია. წმი-და ანდრია პირველწოდებული მიდის სკვითა ქვეყანაში, იგი მდინარე დნეპრის აყოლებით კიევში მისულა. ბოლო ქალაქი, სადაც მან იქადაგა პატრა (საბერძნეთი) იყო, სწორედ იქ წამებით აღესრულა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, კონსტანტინე დიდის ზეობისას, წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინოპოლში.

ყოველივე ზემოთქმულიდან ქართული საისტორიო ტრადიცია ხაზს უსვამს იმას, რომ ქართული ეკლესია სამოციქულო საყდართა რიცხვს მიეკუთვნება და ეს მოციქუ-ლები იერუსალიმიდან მოვიდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომ-ბრის განჩინებით, 12 მაისი დადგინდა წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსე-ნების დღედ.

კოპა ხარაბე
გეოგრაფიის მაცნეობებითა დოკტორი

საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია¹

საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ ეკლესიათა შორის. იგი შეიქმნა IV ს. 30-იან წლებში, როცა ქართლის (იბერიის) სამეფოში მირიან მეფის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. იბერიის სამეფო კარისა და მოსახლეობის გაქრისტიანების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ. მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება ამაზე გაცილებით ადრე დაწყებულა. პირველ მქადაგებლებად დასავლეთ საქართველოში მოსულან მოციქულები წმ. ანდრია და წმ. სვიმონ კანანელი. შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში IV ს.-ში უკვე საეკლესიო ორგანიზაციაც არსებობს, სადაც ქრისტიანულ მრევლს ბერძენ მოახალშენეთა გარდა ქართველი მოსახლეობაც შეადგენდა, ქ. ბიჭვინთის (ბერძ. პიტიუნტი) ეპისკოპოსი სტრატოფილოსი და ქ. ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დამნუსი იხსენიებიან ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების (326 წ.) მონაწილეთა შორის.

საქართველოს ეკლესიის ისტორია მისი დაარსების დღიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სამოქალაქო-პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ეკლესიის აღმავალ თუ დაღმავალ გზას, ცვლილებებს მის შინაგან ცხოვრებაში განსაზღვრავდა ქვეყნის საერთო საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

IV-V სს.-ში ქართლის ეკლესიის მეთაური ატარებდა „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულს და იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს. V ს.-დან ქართულმა ეკლესიამ ანტიოქიისაგან მიიღო ავტოკეფალია; მისი მეთაური იყო ქართლის „კათალიკოსი“, ხოლო XI ს.-ის 10-იანი წლებიდან „სრულიად საქართველოს პატრიარქი“. ქარ-

თულ ეკლესიაში ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ცვლილებები მოხდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მომწიფებისა და სრულყოფის შესაბამისად.

VI-VII სს.-ში ქართული ეკლესია აერთიანებდა 33-35 საეპისკოპოსო-ეპარქიას. ქართული ეკლესიის გაფართოებისა და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მონასტრების მშენებლობას, რომელსაც დიდი ღვაწლი დასდო „ათცამეტმა“ ასურელმა (სირიელმა) მამამ. ისინი აქ მოვიდნენ რამდენიმე პარტიად: VI ს.-ის პირველ ნახევარში ქ. ანტიოქიიდან მოვიდა დავით გარეჯელი, VI ს. შუა წლებში – იოანე ზედაზნელი თანმხლები მონაფეხებითურთ და ქ. ედესიდან – ანტიონ მარტყოფელი. VI ს. 70-იან წლებში – აბიბოს ნეკრესელი. სირიელი მამების მოღვაწეობა დაემთხვა ქართლში ირანელთა ბატონობის პერიოდს; ქრისტიანობის განმტკიცებით მათ ხელი შეუწყვეს ქართველთა ეროვნული შეგნების ამაღლებას და მტერთან წარმატებით ბრძოლას. ასურელმა მამებმა აღმოსავლეთ საქართველოში დააარსეს 16-ზე მეტი მონასტრი: იოანე-ზედაზნის, შიომღვიმის, ალავერდის, მარტყოფის, იყალთოს, სამთავისის, გარეჯის საარქიმანდრიტო, რომელიც თავის მხრივ აერთიანებდა რამდენიმე მონასტერს (დავით-გარეჯს, იოანე ნათლისმცემელს, დოდოს...) და სხვ.

VIII ს.-ის დამლევიდან ფართო სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში. აქ დაარსდა ხანძთის საარქიმანდრიტო, რომელშიც ერთიანდებოდა ხანძთა, შატბერდი, გუნათლე და სხვ. ამ მხარეში იყო აგრეთვე სახელგანთქმული მონასტრები ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა, ხახული,

1. პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“, №12, თბილისი, 1983 წ., მაგრამ ფართო მკითხველმდე არ მისულა, რადგან აღნიშნული კრებულის ტირაჟი იყო სულ 200 ეგზემპლარი და თანაც ფაქტობრივად მისი გავრცელება იყრდალებოდა – კრებულის გარეკანზე ეწერა „სამსახურებრივი მოხმარებისათვის“.

ზარზმა და სხვ. ყველა ეს სამონასტრო ცენტრი VIII-X სს.-ში იმავე დროს თვალსაჩინო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ცენტრებად იქცა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერი და მწიგნობარი საეკლესიო მამები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ მოდრევილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსიმე, საპა მტბევარი, სერაპიონ ზარზმელი და სხვ. X ს.-სთვის ქართულ ენაზე უკვე შექმნილი იყო მდიდარი ორიგინალური აგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობა. ბერძნულიდან ითარგმნა თითქმის მთელი ძირითადი ლიტერატურა ლიტურგიკის, დოგმატიკის, ჰომილეტიკის, აგიოგრაფიკის, ბიბლიოლოგიკის და სხვა დარგებში. საბერძნეთის საეკლესიო ცენტრებიდან გადმოღებული იქნა ან აქვე დაიწერა სამონასტრო ტიპიკონები. მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო არქიტექტურამ (ოშკი, ხახული და სხვ.), ხელოვნებამ.

ქართული ეკლესიის მორალური ავტორიტეტი და გავლენა გასცდა საქართველოს ფარგლებს. ჯერ კიდევ V ს.-დან ცხოველი ურთიერთობა დამყარდა მიმოსვლისა და მიმოწერის სახით რომის, ანტიოქიის (სირია), იერუსალიმის (პალესტინა) საპატრიიარქოების საეკლესიო ცენტრებთან. ამასთან ქართული სამონასტრო ცენტრები პალესტინა-სირიაში გაჩნდა V ს.-დანვე, ხოლო X ს.-ის დამლევს დაარსდა ქართველთა მონასტერი ათონზე (საბერძნეთი), ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ იქაურ სავანებში (საპანმიდა, შავი მთა, სინა და სხვ.), ყოველივე ეს ხელს უწყობდა გარეშე საქრისტიანოსთან საქართველოს ინტენსიურ კონტაქტებს და ქართული ეკლესიის წვლილის შეტანას ზოგადქრისტიანულ კულტურაში.

აღსანიშნავია ისეთი განთქმული ქართული ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური ნაწარმოების შექმნა X ს.-ში, როგორიც იყო „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც შემდეგ ქართველი ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულად ითარგმნა, ხოლო XI ს.-ში ლათინუ-

რადაც და ასე მთელს ევროპაში გავრცელდა. ქართული ეკლესიის ავტორიტეტი შორეულ გუთიაშიც (ახლ. ყირიმის სამხ. ნაწილი) აღნევდა. დაახლ. VIII ს. შუა წლებში საქართველოში ჩამოვიდა გუთელი იოანე, რომელმაც ეპისკოპოსის ხელდასხმა მცხეთის კათოლიკოსისაგან მიიღო, გუთელი ეპისკოპოსი საკურთხებლად ჯერ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გამგზავრებულა, რომელსაც ის იერარქიულად ემორჩილებოდა, მაგრამ რადგან იქ მაშინ იმპერატორის კარზე და სამღვდელოებაში ხატმებრძოლობა იყო გაბატონებული (725–843 წწ.), უკურთხებლად უკან გამობრუნებულა. გუთეთის მთავრობამ და სამღვდელოებამ, რომელიც მხარს არ უჭერდა ხატმებრძოლობას, იოანე საქართველოში გამოგზავნა“.¹

ასევე, ქართული ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ IX ს.-ში იერუსალიმის პატრიარქის სერგის (843–859) თანხმობით ქართულმა ეკლესიამ მიიღო უფლება მცხეთის სვეტიცხოველში „მირონის კურთხევისა“ (მანამდე მირონი იერუსალიმიდან იგზავნებოდა). ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ეფრემ მაწყვერელმა (დაახლ. 845–885).²

ქართული ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობა X ს.-ში გაიშალა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, უპირველეს ყოვლისა ჩერქეზებსა და ალანებში.

ქართული, როგორც ეკლესიის ერთადერთი ენა, საყოველთაოდ გავრცელდა VIII-X სს.-ში. ამან გააფართოვა „ქართლის სამეფოს“ პოლიტიკური შინაარსიც, რადგან „ქართლად“ განიხილებოდა ყველა ის ტერიტორია – საკუთრივ ქართლის, ტაო-კლარჯეთის, კახეთის, ჰერეთისა და აფხაზეთის სამეფოები – სადაც უამისწირვა და ლოცვა ქართულად სრულდებოდა. ამრიგად, ეკლესიამ და ქრისტიანობამ კულტურულ-რელიგიურად უფრო ადრე გააერთიანა ქართველი ხალხი, ვიდრე მისი პოლიტიკური გაერთიანება მოხდებოდა „ყოველი საქარ-

1. იოანე გუთელის შესახებ ცნობა ფიქსირებულია X-XI ს.-ის ბერძნულ „დიდ სვინაქსარში“, რომელიც ქართულად თარგმნა გიორგი მთაწმინდელმა (1009–1065).

2. მირონის შესახებ ცნობა ფიქსირებულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაგ“ (დაინ. 958 წ.).

თველოს“ სახით (XI ს.). XI-XII სს.-ში დიდად გაიზარდა ქართული ეკლესის მატერიალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა. საქართველოს ეკლესის მესაჭე, ახლა უკვე „პატრიარქი“, ისეთივე დიდი ტერიტორიის განმგებელი იყო, როგორც თვით საქართველოს მეფე – „ნიკოფილიდგან დარუბანდამდე“; გაიზარდა ეპარქიების რიცხვიც. ამ ეპოქაში ცხოველი მუშაობა გაჩაღდა ქართულ ენაზე ახალი ბიზანტიური მწერლობის სრულად გადმოღებისათვის (მაგალითად XI-XII სს.-ში ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ სრულად ითარგმნა „დიდი სჯულის კანონი“, ნომოკანონი); ითარგმნა და დაინტერი მნიშვნელოვანი საისტორიო, ფილოსოფიური, ფილოლოგიური, პოეტური თხზულება. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ სწავლული მამები ექვთიმე და გიორგი ათონელები, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისას“ ავტორი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწონელი, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვ. მუშაობა წარმოებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში: ათონზე, პეტრიწონის მონასტერში (დაარს. 1083 წ. ბულგარეთი), იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (დაარს. XI ს. პირ. ნახ.) და სხვ. ამ პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი არქიტექტურის ტაძრები ბედიისა (აფხაზეთში), „ბაგრატის ტაძარი“ (ქუთაისში), სვეტიცხოველი და სამთავრო (მცხეთაში), სამთავისი (ქართლში), ალავერდი (კახეთში), ნიკორწმიდა (რაჭაში) და სხვ. მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის განმტკიცების პროცესში უკვე საბოლოოდ შემუშავდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების ფორმა. ეს გამოიხატა დავით ალმაშენებლის დროს ეკლესის სრული დაქვემდებარებით სახელმწიფოსადმი, მეფემ მიიღო ეკლესის საქმეებში ჩარევის უმაღლესი უფლება, საეკლესიო საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დაინიშნა პირველი მინისტრი: მწიგ-

ნობართუხუცესი ქუმნდიდელი (ქუმნდიდის ეპისკოპოსი). ამას მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებული ზრუნვა ეკლესის მდგომარეობის ამაღლებისა და მოწესრიგებისათვის; დაარსდა ახალი საეპისკოპოსო კათედრები, სამეფო-მონასტრები (გელათი, ვარძია), სამეფოდ აქციეს ძველი მონასტრები (შიო-მღვიმე, დავით-გარეჯი) და ა. შ.

ქართული ეკლესია დაარსების დღიდანვე გახდა მფლობელი ორგანიზაცია. შემოსავლის წყაროს შემოწირული, ნასყიდი მამულები შეადგენდა, თეთრი სამღვდელოების შემოსავალი უმეტესად საწესო-სამრევლო გადასახადებით განისაზღვრებოდა. მონასტრებს ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა. მსხვილი მონასტრები და საეპისკოპოსო ცენტრები ფეოდალურ სენიორებს ქმნიდნენ. ეკლესიამ დიდ ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია X-XIII სს.-ში.

ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIII-XVIII სს.-ში თანდათანობით დაცემის გზას დაადგა, რაც გამოწვეული იყო უცხოელ დამპყრობთა – მონღოლი ნომადების, ირანის, თურქეთის განუწყვეტელი შემოსევებითა და ხანგრძლივი ბატონობით. ისე როგორც სამოქალაქო ცხოვრებაზე, ეკლესიაზეც მძიმე გავლენა იქონია თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ (1453 წ.) და ბიზანტიის ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მოსპობამ. ამიერიდან ქრისტიანული საქართველო მაპმადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა ქრისტიანობა და ქართული სახელმწიფოებრიობა.¹ უცხოელ დამპყრობლებს კი – საქართველოსათვის ეროვნული გადაგვარება მოჰქონდათ მათვის უცხო ისლამის რელიგიით და დაბალი საზოგადოებრივი წყობილებით.

ამ პერიოდში ქართული ეკლესიის მთლიანობას არღვევდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა (სამი სამეფო და სამთავროები). ზოგი საეკლესიო ცენტრი, მაგ, აწყურის (ეპის-

1. მართალია კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გაუქმებულა, მაგრამ უცხოელთა უდლის ქვეშ ის თანდათან ძალას ჰკარგავდა, სხვა საპატრიარქოები (ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის) ჯერ კიდევ ადრიდანვე, სპარსელების და შემდეგ არაბების ბატონობის შედეგად, გამოეთხოვნენ თავიანთ ძველ დიდებას.

კოპოსი – მაწყვერელი) XV–XVI სს.-ში მხარს უჭერდა ადგილობრივი საერო ფეოდალების, სამცხის მთავრების, სეპარატიზმს. XV ს. 70-იან წლებში სრულიად საქართველოს მცხეთის საპატრიარქოს ჩამოსცილდა და-სავლეთ საქართველოს ეკლესია, რომლის მეთაურს – „აფხაზეთის“, ანუ „ბიჭვინტის“ კათოლიკოსს – ამის სანქცია მისცა და-სავლეთ საქართველოში მაშინ შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა (1470/74–1484). XVI ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა მიიღო „პატრიარქის“ ტიტული. დას. საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია თავიდან ბიჭვინტაში იყო (პიცუნდა)¹, მაგრამ XVI ს.-ის უკანასკნელ მეოთხედში, კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558–1578) დროს, სამეფო-სამთავროებს შორის ამ-ტყდარი შინაფეოდალური ბრძოლებისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ოსმალ-თურქების მოძალების გამო, კათოლიკოსის რეზიდენცია გადატანილ იქნა გელათში იმერეთის სამეფო კარის, ქუთაისის ახლოს.

XVI–XVIII ს.-ში დას. საქართველოს საკათოლიკოსომი შედიოდა საეპისკოპოსოები: ქუთაისის, ბედის, დრანდის, მოქვის, ცაიშის, შემოქმედის, ნინოწმინდის, ჯუმათის, გელათის, ქუთაისის, ხონის, ცაგერის და ნიკორწმიდისა. სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტერიტორიულად შემცირდა XVI ს.-ის მიწურულს თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს სამთავროს მიტაცებისა და იქ ისლამის გავრცელების გამო: აქაურ ტაძრებში თანდათან გაუქმდა ქრისტიანული წირვა-ლოცვა, ქრისტიანული მრევლი შემცირდა, დაიფანტა.

XVIII ს.-ში, როცა საქართველო გათავისუფლდა ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან, იმერეთში სოლომონ I-მა (1752–1784) და ქართლ-კახეთში ერეკლე II-მ (1762–1798)

სცადეს სხვადასხვა ღონისძიებით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შერყეული მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის ცარიზმა საქართველოს სამეფოს გაუქმებასთან ერთად გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია, მოსპონ კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წ., დას. საქართველოში 1814 წ.) და საქართველო ეკლესიურად იქცა რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ.

ნე. მოციქულების, ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგება საქართველოში

ძველი ქართული ტრადიციული შეხედულების მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ წმ. მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. ეს აზრი ფიქსირებულია საქართველოს ძველი პერიოდის ამსახველ საისტორიო თხზულებებში (ლეონტი მროველისა, XI ს.,² ეფრემ მცირისა XI ს.³), იგი, როგორც ქართული ეკლესიის ოფიციალური აზრი, შეტანილია აგრეთვე ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ოქმში (1103 წ.).⁴ ქართული წყაროებით ვიცით ის საყურადღებო ფაქტიც, რომ ეს აზრი გაზიარებული ყოფილა XI ს.-ში ანტიოქიის საპატრიარქოს ოფიციალურ წრეებში, პატრიარქ პეტრეს (1052–1056) და თეოდოსის (1057–1059) დროს, როცა ანტიოქიის საპატრიარქოში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი იხილებოდა, გიორგი მთაწმინდელმა ქართული ეკლესიის აპოსტოლური წირმოშობის დასამტკიცებლად მოიშველია ბერძენი ავტორის ნაშრომი „მიმოსვლად ანდრია მოციქულისად“ და მას-

1. „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსებას ზოგი VIII, ზოგი X ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებს, იგი წარმოიქმნა როგორც ცენტრალიზებული ეკლესია, მისი პოლიტიკური საფუძველი იყო „აფხაზთა სამეფო“ (დას. საქართველო). აფხაზეთის საკათოლიკოსომ შესცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიერის სამიტროპოლიტო და აბაზგის საარქიეპისკოპოსო.

2. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 38.

3. ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თბ. 1959, გვ. 4.

4. დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 345.

ში შეტანილი ცნობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოსვლისა და ქადაგების, სვიმონ კანანელის აფხაზეთში ქ. ნიკოფისაში გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ.¹ დღემდე ქ. სოხუმის მახლობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, დაცულია სვიმონ კანანელის საფლავი, რომელიც ბერ პილიგრიმს იზიდავს. გიორგი მთაწმინდელის მიერ მოტანილი ცნობა ანტიოქიის საპატრიარქო კრებას დამაჯერებლად და მისაღებად ჩაუთვლია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანტიოქელებმა მაშინ აღნიშნული ცნობა სხვა მასალებითაც შეამოწმეს. და ძველი ბერძენი საეკლესიო მწერლების (ორიგენე, ევსევი კესარიელი, წმ. ისიდორე, ნიკიფორე კალისტე და სხვ.) თანახმად, წმ. ანდრიამ იქადაგა სკვითიაში. ხოლო წმ. ანდრია მცირე აზიდან სკვითიაში რომ მოხვედრილიყო, მას უეჭველად საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაევლო. გარდა ამისა, VII–X სს. ბერძენ მწერლებს, მაგ. ეპიფანე მონაზონს (გარდაც. 780 წ.) თხზულებაში „ანდრიას ცხოვრება“, ნიკიტა პაფლაგონელს თხზულებაში წმ. ანდრიასა და წმ. სვიმონ კანანელის შესახებ მოეპოვებათ დამატებითი ცნობები მათი მოღვაწეობის კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტების მითითებით: შავი ზღვის სანაპირო, აფხაზეთი (ქ. სებასტოპოლი, იგივე სოხუმი), სვანეთი, ალანია და სხვ.²

ყოველივე ზემოთქმული სარწმუნოს ხდის წმ. მოციქულების ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობას საქართველოში.

წმ. ნინო

წმიდა ნინო, „ქართველთა განმანათლებლად“ და „მოციქულთასწორად“ წოდებული,

წარმოშობით იყო კაბადოკიელი. მისმა ქადაგებამ დიდად შეუწყო ხელი ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (დაახლ. 330-იანი წლები).

წმიდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შემონახულია ცნობები IV-V სს.-თა ბერძენ-ლათინელი ისტორიკოსების (გელასი კესარიელი, ტირანიუს რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, გელასი კვიზიკელი, სოკრატე და სხვ.) თხზულებებში, სადაც აღნერილია ქართლის გაქრისტიანების ამბავი. წმ. ნინოს შესახებ ცნობები დაცულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში: „მოქცევად ქართლისადმი“ (VIII ს.), ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“. ეს ორი თხზულება თავის მხრივ ეყრდნობა დღემდე მოუღწეველ უძველეს წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს. ნინოს შესახებ შეუდგენიათ ცალკე ბიოგრაფიული ნაწარმოებებიც (მაგ. არსენ ბერის „ცხოვრებად და მოქალაქობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოები“ XII ს.).³ ცნობები დაცულია აგრეთვე ძველ სომხურ წყაროებში (მოსე ხორენელი).

წმ. ნინოს მშობლებისა ან მისი პირადი ცხოვრების შესახებ საქართველოში მოსულამდე მეცნიერებამ უტყუარად ძალიან ცოტა რამ იცის, უფრო დადგენილია და გამოკვლეულია მისი საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბები: ქართულ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, წმ. ნინოს მამა ზაბულონი იყო რომის იმპერატორის მოხელე, რომელიც იერუსალიმში ბერად შემდგარა, ხოლო დედას სუსანას იერუსალიმშივე გლახაკთა სამზრუნველოში

1. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II., თბ., 1967 წ., გვ. 153.

2. Patrologia Graeca, ტ. 120, გვ. 221; ტ. 105, გვ. 64; გეორგიკა, 1, თბ., 1961, გვ. 29, ტ. VII, 1967, გვ. 113–115.

3. ბერძენ-ლათინთა ისტორიკოსების ნაშრომების შესახებ: A. M. Ceriani, Moruitmenta sacra et profana ex codicibus praesertim bibliothecae Ambrosianae, T. I. Medialani, 1861, p. 137; Anton Glass, Die Kirchen geschichte des Gelasios von Kaisaria; die Vorlage für die Beiden letzter Bücher der Kirchengeschichte Rufin, 1914, v. 1; Theodorat, Kirchengeschichte, ... Leipzig, 1911, p. 9, V 67; იხ. გეორგიკა, 1, თბ. 1961. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, 1964; III, თბ., 1967; ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955; ეფრემ მცირე, „უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. გამოც, თ. ბრეგაძისა, თბ., 1959, ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1928 წ., და სხვ.

დაუწყია სამსახური, წმ. ნინო იერუსალი-მიდან იმპერატორის კარზე მოხვედრილა, სადაც მას დედოფალ ელენესათვის და სე-ფე ქალებისათვის ქრისტიანობა უქადაგნია. რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო საქართველოში გამომგზავრებულა.

წმ. ნინოს შესახებ არსებული ქართული და ბერძნულ-ლათინური წყაროების მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა საფუძველს იძლევა მისი მოღვაწეობა საქართველოში შემდეგი ფაქტებით წარმოვიდგინოთ: წმ. ნინო საქართველოში მოვიდა ჯავახეთის გზით, ქ. ურბნისის გამოვლით. საცხოვრებელი ბინა ქართლის სატახტო ქალაქ მცხეთაში დაიდო, მას ადგილობრივი მოსახლეობა „ტყვესაც“ უწოდებდა, როგორც მათვის უთვისტომო, უცხოელ ადამიანს¹. ნინოს თავის სადგომში აღუმართავს ვაზის ტოტისაგან („ნასხლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი², რამდენიმე ხნის შემდეგ (ქართული წყაროები ასახელებენ მეოთხე წელს) წმ. ნინოს ხალხში დაუწყია ქრისტიანობის ქადაგება, ამასთან ენეოდა ავადმყოფთა მკურნალობას, რის გამოც სიყვარული და სახელი დაუმსახურებია. მას განუკურნავს მძიმედ დაავადებული ყმაწვილი, განუკურნავს ქართლის მეფის მეუღლე დედოფალი ნანა. ნინო ხალხს ურჩევდა დაეტოვებინათ კერპები და ელიარებიათ ღმერთად იესო ქრისტე. ქრისტიანობის მიმდევარი გახდა მძიმე სენისაგან განკურნებული ნანა დედოფალი. გარდა ამისა, წმ. ნინოს თანდათან მონაფებიც შეუძნია, რომლებიც მას ეხმარებოდნენ ქადაგებაში. ბოლოს მირიან მეფემაც აღიარა ქრისტე და ნინოს რჩევით იმპერატორ კონსტანტინესთან ელჩები გაგზავნა სამღვდელოების ჩამოსაყვანად. მცხეთაში სამეფო სახლობისა და წარჩინებულთა მონათვლის შემდეგ, ქრისტიანობის გასავრცელებლად ნინომ იმოგზაურა მთიანეთში, სადაც გააქრისტიანა წილკრელები, ჭართა-

ლელები, ფხოველები, ერწო-თიანეთელნი. აქედან უკან დაბრუნებული წმ. ნინო კახეთში დასწეულდა და გარდაიცვალა ს. ბოდბეში, სადაც დაუსაფლავებიათ. ქართული ეკლესია წმ. ნინოს ხსენებას დღესასწაულობს 14 იანვარს (27 იანვარს ახალი სტილით).

ქართული ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია IV ს.-ში (კათოლიკოსობის დაწესებამდე)

ქართლში (ბერძ. „იბერიაში“) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისთანავე (დაახლ. 330-იანი წლ.), ჩამოყალიბდა საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის მეთაური მოავლინა ქართლის მეფის, მირიანის თხოვნით იმპერატორმა კონსტანტინემ (306–337).

ქართული წყაროებით ცნობილია ამ პირველი ეპისკოპოსის სახელი – იოანე, მას ახლდა ორი მღვდელი (ერთის სახელი – იაკობი) და ერთი დიაკონი. ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის შესახებ ცნობები დაცულია IV-V საუკუნეთა ბერძნულ-ლათინურ და უძველეს ქართულ წყაროებში.

1. განვიხილოთ წყაროთა ჩვენებანი საბერძნეთიდან სამღვდელოების მოსვლისა და ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულების შესახებ.

გელასი კესარიელის (გარდ. 395 წ.) ცნობა რედაქტირებული სახით დაცულია გელასი კვიზიკელის ნაშრომში (დაიწერა დაახლ. 475 წ.). გელასი აღნერს „ტყვე ქალად“ მიერ იპერიის სამეფო კარისა და ხალხის გაქრისტიანების ამბავს, ბოლოს წერს: „მაშინ მეფისა და იპერთა კრებულის მიერ გაგზავნილი ელჩები მიდიან კონსტანტინოპოლში³, აუწყებენ კონსტანტინე მეფეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას და სთხოვენ მიეცეს მათ მისგან ეპისკოპოსი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე საეკლესიო

1. ბერძნულ-ლათინურ წყაროებში წმ. ნინო სახელით არ მოიხსენიება, ის ნაწილებია „ტყვე ქალად“ (misulier captiva) სომხურში – „ნუნუდ“, არაბულ-კოპტურში „თეოგნოსტად“.
2. თბილისის სიონის ტაძარში დღემდე დაცულია ქალის თმებით შეკრული ვაზის ჯვარი („ჯვარი ვაზისა“), რომელიც გადმოცემით ნინოს მიეკუთვნება, იგი ქართული ეკლესიის ეროვნულ სიწმინდედ ითვლება.
3. „კონსტანტინოპოლი“ არის გელასი კვიზიკელის ინტერპოლაცია, ის გელასი კესარიელს არ ეკუთვნის, ამის შესახებ ქვემოთ.

წესების ჩამოყალიბებისათვის. სათნო და ქრისტეს მოყვარე ქრისტიანე მეფემ ისათნი მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის; მან შეინუნარა თხოვნა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი¹, ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას.

ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთისმოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოა ომი ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა².

გელასი კესარიელის თხზულება, რომელშიც შეტანილი იყო მოკლე ისტორია იბერთა გაქრისტიანების შესახებ, უშუალოდ მოღწეული არ არის, იგი შემონახულია V ს.-ის ავტორის გელასი კვიზიკელის ნაშრომში, რომელიც მას შეუდგენია (დაახლ. 475 წელს (ეხება პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორიას). ასე რომ, ზემოციტირებული ტექსტი უშუალოდ ეკუთვნის არა გელასი კესარიელს (IV ს.), არამედ გელასი კვიზიკელს (V ს., იხ. ჩერიანი³).

გელასი კესარიელის თხზულება გამოუყენებიათ აგრეთვე სხვა მომდევნო ახლო დროის ბერძენ და რომაელ ავტორებს, რომლებთანაც გელასი კესარიელის ტექსტს განუცდია რედაქცია, ზოგიერთი ცნობა დაუმატებიათ ან გამოუკლიათ.

გელასი კესარიელის თხზულება უთარ-გმნია ლათინურად რომაელ ისტორიკოს რუფინუს (გარდ. 410 წ.) და შეუტანია ეკლესიის ისტორიის იმ თავებში, სადაც მიმოხილულია 324–395 წწ. ამბები. ნაშრომი დაიწერა დაახლოებით 402–410 წწ.-ში⁴.

ბერძენ თეოდორიტე კვირელს (393–457) გელასი კესარიელის ნაშრომი შემოკლებუ-

ლად შეუტანია ეკლესიის ისტორიის 24-ე თავში. ნაშრომი დაიწერა 448-449 წწ.

მომდევნო ხანის ბერძენი ისტორიკოსი სოკრატე სარგებლობს რუფინუსით, სოზომენი – სოკრატეთი.

ტირანიუს რუფინუსის ცნობა: „მას შემდეგ, რაც ეკლესია დიდებულად იქნა აგებული და ხალხი დიდის სიმხურვალით იყო მოწყურებული ღვთის რწმენას, ტყვე-ქალის რჩევით კონსტანტინე მეფესთან გაიგზავნა ელჩები ხალხის სახელით; მათ უამბეს მომხდარი ამბავი; თხოვეს იბერებისათვის მღვდელმსახურნი გაეგზავნა, რომ დაესრულებინათ მათ მიმართ უკვე დაწყებული ღვთის წყალობა.

კონსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაისტუმრა ელჩები. ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეერთებინა.

რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკითა კომსი (იგი უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნობით იერუსალიმში, მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი⁵.

თეოდორიტე კვირელის ცნობა: „...როდესაც შენობა დამთავრდა და გადაიხურა კიდეც და მხოლოდ-ლა მღვდლები აკლდა, საკვირველმა ქალმა ამის გამოსავალიც იპოვა; მან ურჩია ერისმთავარს რომაელთა მეფესთან ელჩები გაეგზავნა და ეთხოვა მისთვის გამოეგზავნა მათთვის (ე. ი. იბერიელებისათვის) კეთილმორწმუნობების მოძღვარი. მეფემაც მიიღო ეს რჩევა და ელჩები გაგზავნა. ხოლო მეფემ თხოვნის მიზეზი რომ შეიტყო (ეს იყო კონსტანტინე – კეთილმორწმუნეობის უმხურვალესი მოყვარული), ელჩებს

1. ეს ფრაზა არის გ. კვიზიკელის ინტერპოლაცია, ის გ. კესარიელს არ ეკუთვნის. ამის შესახებ, იხ. ქვემოთ.

2. A. M. Ceriani, Monumenta..., იხ. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 193-194.

3. გელასი კესარიელის შესახებ იხ. გეორგიკა, I, გვ. 179-199.

3. იქვე.

4. ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს, იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 206-207.

მიუზღო უდიდესი კეთილგანწყობილება და ლვთის შეცნობის მქადაგებლად გაუგზავნა ამ ერს (ე. ი. იბერიელებს) კაცი, შემკული როგორც მორწმუნეობით და გონიერებით, ისე პატიოსანი ცხოვრებით, და მღვდელმთავრობის პატივის მქონე, და დიდალი საჩუქრებიც გაატანა. აი, ასეთი გულისხმიერებით დააკმაყოფილა მან მთხოვნელები“.

სოკრატეს ცნობა (380–440 წწ., სარგებლობს უშუალოდ რუფინუსიდან): „შემდეგ კონსტანტინე მეფესთან ელჩები გაიგზავნენ: სთხოვდნენ ამიერიდან რომაელებთან მშვიდობიან ურთიერთობაში ვიქებითო, მოგვეცით ეპისკოპოსი და წმიდა მღვდელმსახურნი; ეუბნებოდნენ – გულწრფელად ვირწმუნეთ ქრისტეო.“

რუფინუსი ამბობს, რომ ეს მან ბაკური-საგან შეიტყო, რომელიც წინათ იბერთა უფლისწული იყო, შემდეგ კი რომაელებთან მოვიდა და პალესტინის სამხედრო ნაწილების სარდლად იქნა დაყენებული; ამის შემდეგ სტრატილატობდა მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და თეოდოსი მეფეს ეხმარებოდა.

აი, ამნაირად გაქრისტიანდნენ იბერები კონსტანტინეს დროს“.¹

სოზომენის ცნობა (სოზომენმა „საეკლესიო ისტორია“ დაწერა თეოდოსი II-ს დროს 408–450 წწ., იმეორებს სოკრატეს „ისტორიას“) „...ეკლესიის აგება სასწრაფოდ დამთავრდა. ტყვე-ქალის წინადადებით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინე მეფესთან, შეაძლიეს კავშირი და მშვიდობა და ამის სანაცვლოდ სთხოვეს მღვდლები გაეგზავნა იბერიელი ხალხისათვის.“

როდესაც ელჩებმა უამბეს კონსტანტინესთვის რა მოხდა მათ ქვეყანაში და როგორის სასოებით მთელი ერი თაყვანს სცემს ქრისტეს, რომაელთა მეფეს ძალიან ესიამოვნა ელჩების ჩასვლა, ყველაფერი გაუკეთა ისე, როგორც ითხოვეს და ისე გაისტუმრა ელჩები.

ასე აღიარეს იბერებმა ქრისტე და დღევანდლამდე სასოებით თაყვანს სცემენ მას“.

ზემოციტირებული ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად ირკვევა, რომ IV-V სს.-ის ბერძენ-ლათინი ავტორები (გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი, რუფინუსი, თეოდორიტე, სოკრატე, სოზომენი) ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის ისტორიისათვის იძლევიან შემდეგ ერთნაირ ცნობებს: პირველი ქრისტიანი „მეფე“, „ტყვე-ქალის“ (იბერთა გამაქრისტიანებელის) „რჩევით“ ელჩებს უგზავნის რომის „იმპერატორ“ კონსტანტინეს. პირველი „მღვდელმთავარი“ – „ეპისკოპოსი“ და სამღვდელობა („მღვდელმსახურნი“) გამოგზავნა იბერიაში „კონსტანტინე იმპერატორმა“.

ამ ცნობას ენიჭება დიდი ნდობა იმის გამო, რომ: ჯერ ერთი, ის ქრონოლოგიურად ძლიერ ახლოს იდგა ფაქტთან, ე. ი. იბერთა გაქრისტიანებასთან (ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი, რომელსაც ეს ცნობა ეკუთვნის გარდ. 395, ხოლო რუფინუსმა, რომელმაც უშუალოდ ისარგებლა გელასი კესარიელისაგან, თავისი ნაშრომი დაწერა 402–410 წწ.-ში); მეორე, იმის გამო, რომ ამ ცნობის პირველწყარო, როგორც ეს ზემოციტირებული ტექსტების დასასრულს არის მითითებული, ყოფილა ქართველი კაცი, ვინმე „ფრიად სარწმუნო ბაკური“ (ბერძ. პისტოტატოს ბაკურიოს) „მეფის ჩამომავალი... იბერთა შორის სახელოვანი“, რომელიც იმპერატორ თეოდოსის დროს (379–393) ბიზანტიაში მსახურობდა დიდ თანამდებობაზე და ა. შ.² ცხადია, ასეთ პიროვნებას კარგად ეცოდინებოდა თავის ქვეყანაში მომხდარი უახლოესი ამბავი ნახულ-გაგონილით თუ წაკითხულით.

ბერძნულის ანალოგიური ცნობებია შეტანილი ჩვენამდე მოღწეული VII–VIII ს.-ის ქართულ უძველეს წყაროშიც (რომელიც თავის მხრივ, ემყარება კიდევ უფრო ძველ წყაროებს). „ქართლის მოქცევის ქრონიკა გვამცნობს: მირიან მეფემ „წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოისა საბერძნეთთა მეფისა კონსტანტინესა თხოვად მღვდელთა, ხოლო

1. გეორგია, I, 1961, გვ. 234.

2. უფლისწულ ბაკურის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 166–169, 206; სიმონ ყაუზჩიშვილი, გეორგია, I, 1961, გვ. 196–199: რუფინუსთან ბაკური მოხსენებულია როგორც „მეფე“, მაგრამ ეს შეცდომაა. ამის შემდეგ იხ. დასახელებულ ავტორთა ნაშრომები.

იგინი მსწრაფლ მიიჩნეს და მისცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი და ხატი მაცხოვრისა და ძელი ცხოვრებისაი...“ (შატბერდული ტექსტი)¹.

მომდევნო ხანის სხვა ქართულ წყაროებშიც განმეორებულია ასეთივე ცნობა, მაგ. XI ს.-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია წმ. ნინოს მიერ „ქართლის“ გაქრისტიანების ისტორია, ვკითხულობთ: „ხვალისა დღე წარავლინა მოციქული საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთა მეფისა და... აუნყეს ესე ყოველი და ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისლებისათვის“. „და ვითარ მიიჩნეს მოციქული მირიან მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფისა წინაშე და – მიუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა, მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი და წარმოგზავნა მღვდელი ჭეშმარიტი ივანე ეპისკოპოსად და მისთანა მღვდელნი ორნი და დიაკონი სამნი... წამოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისაი“.²

როგორც დავინახეთ, IV–XI საუკუნეების წყაროები (როგორც ბერძნულ-ლათინური, ისე ქართული) სრულიად ერთნაირად გადმოგვცემენ ქართული ეკლესის პირველი ორგანიზაციის ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ იბერიიდან გაგზავნილი ელჩები მიუვიდა იმპერატორ კონსტანტინეს, რომელმაც თხოვნისამებრ გამოგზავნა მღვდელმთავარი და ხელქვეითი სამღვდელოება.

მხოლოდ გელასი კვიზიკელის ნაშრომში (დაინერა დაახლ. 475 წ.) არის ისეთი განსხვავებული ორი მითითება, რომელიც არ მოიპოვება დანარჩენ ბერძნულ-ლათინურ (და არც ქართულ) წყაროებში. ეს განსხვავებაა:

1. „ელჩები მიდიან კონსტანტინოპოლში“ და
2. კონსტანტინე მეფემ „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი“.

მკვლევარმა ანატოლი გლასიმ სათანადო ტექსტების ურთიერთშედარება-შემოწმების შედეგად გამოარკვია და უჩვენა, რომ გელასი კვიზიკელს როგორც ისტორიკოსს განსაკუთრებულად ახასიათებს მის მიერ გამოყენებული ნაშრომებიდან გადმოღებული მოთხოვნების შეფარდება-განვრცობა. ამ საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა (ს. ყაუხჩიშვილმა და ივ. ჯავახიშვილმა) მართებულად დასაბუთეს, რომ ზემოდასახელებული ორი ცნობა გელასი კვიზიკელის ნაშრომში წარმოადგენს კვიზიკელის ინტერპრეტაციას, ის გელასი კესარიელის თავდაპირველ ისტორიაში არ არსებოდა.³ ამგვარად, ამ ინტერპოლაციებზე დაყრდნობა არ შეიძლება, მით უფრო ისეთი კერძო და რთული საკითხის გარკვევისას, რომელიც ეხება კონსტანტინოპოლის მონაწილეობას ქართული ეკლესის პირველი ორგანიზაციის დაფუძნებაში. ამასთან, თუ ჩვენ იმდროინდელ ისტორიულ-კანონიკური სიტუაციის მიხედვით შევამოწმებთ ამ

1. ძელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1954, გვ. 85, შატბერდის კრებული, თბილისი, 1979; გვ. 322. „მოქცევად ქართლისას“ ქრონიკის (პირველი ნაწილი). სამეცნიერო ლიტერატურაში „მატიანესაც“ უწოდებენ. შემონახულია X ს.-ის შატბერდის ხელნაწერებში (ციტირებულია ზემოთ). გვაქვს უფრო გვიანდელი ვარიანტიც ჭელიშურ ხელნაწერში ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „მოქცევას“ ქრონიკა ეკუთვნის VIII ს.-ეს. „მოქცევას“ მომდევნო, მეორე ნაწილის, ტექსტი შეიცავს წმ. ნინოს ცხოვრებას, რომელიც დამოუკიდებელი ნანარმოებია და შედგენილია IX-X ს.-ში; ექ. თაყაიშვილსაც „მოქცევად“ მიაჩნია VII-VIII ს.-ში დაწერილად. მანვე პირველად გამოსცა ჯერ შატბერდული, შემდეგ ორივე ვარიანტი ერთად. ს. ჯანაშიც „მოქცევას“ ქრონიკის შატბერდულ ვარიანტს აკუთვნებს VII-VIII სს.-ს. კ. კეკელიძის განსხვავებული აზრით, ეს ორი ნანარმოები: „მოქცევა“ (ქრონიკა) და წმ. ნინოს ცხოვრება ერთი ავტორის თხზულებაა და ორივე ეკუთვნის IX ს.-ს. კ. ინგოროვებას გამოკვლევით „მოქცევას“ ქრონიკა დაწერილია VII ს.-ში. იხ. ლიტ-რა. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928. გვ. 181, 1951, მისივე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1941; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე კ. ინგოროვებას, გ. მელიქიშვილისა და სხვათა ნაშრომები.
2. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, 1955, გვ. 115-116.
3. ს. ყაუხჩიშვილის და ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების დასახელება იხ. ზემოთ. კ. კეკელიძემ გაიზიარა ეს მოსაზრება, მაგრამ მან ქ. კონსტანტინოპოლის მოხსენება სარწმუნოდ მიიჩნია და მასზე დააფუძნა ქართველთა გაქრისტიანების თარიღი (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმომხილველი, 1, 1926); ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) თვლის, რომ იბერიის გაქრისტიანების დროს და იმპერატორთან ელჩების გაგზავნის დროს „კონსტანტინე ჯერ რომსავე იყო“ (საქართველოს ისტორია. გამოც. ბაქრაძის 1, გვ. 67).

ინტერპოლაციას, იგი ამ მხრივაც უკუსაგ-დები აღმოჩნდება.

კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი I მსოფლიო კრებისა (325 წ.) და მის მომდევნო ახლო პერიოდში ჯერ კიდევ არ სარგებლობდა ისეთი პრივილეგიებით, როგორც აღმოსავლეთის სხვა ეკლესიათა (მაგალითად, ანტიოქიის, ალექსანდრიის, ეფესოს, პერაკლიის და სხვ.) მეთაურები; მისი დაწინაურება დაინტენდოსატახტო ქალაქისა და იმპერატორთა მფარველობის წყალობით. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებამ (381 წ.) კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მიანიჭა პატივით (და არა უფლებით) მეორე ადგილი რომის შემდეგ (კან. 2, 3). მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი სამიტ-როპოლიტო ეკლესია, არ ჰყავდა ხელქვეითი ეპისკოპოსები, იერარქიულად თვითონ გათავისუფლებული არ იყო პერაკლიის (თრაკიის დიუცეზი) მიტროპოლიტისაგან, და ამიტომ არ შეეძლო ეკურთხებინა ხელქვეითი ეპისკოპოსი. მართალია, მან ფაქტობრივად მალე განახორციელა სამ დიუცეზზე (თრაკიაზე, აზიასა და პონტოზე) უფლებები, მაგრამ 330-იან წლებში, როცა იმპერატორთან ქართველი ელჩები მივიდნენ, მსგავსი მოქმედება მისგან გამორიცხულია.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ყოველ-მხრივ გამოირიცხა კონსტანტინოპოლელის მონაწილეობა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ (ანტიოქიურ) ცნობას, რომელიც ამ საკითხით დაინტერესებული XI ს. მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს (მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე) თავის ნაშრომში შეუტანია; აქ ჯერ ციტირებულია ბერძნი ისტორიკოსის თეოდორიტე კვირელის ვრცელი ტექსტი (ქართულად) ქართლის გაქრისტიანების შესახებ, და შემდეგ იქ, სადაც ლაპარაკია კონსტანტინე იმპერატორის მიერ ქართლში მღვდელმთავრის მოვლინების შესახებ, ეფრემ მცირე წერს: „ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის

ეპისკოპოსისად ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტატი იყო ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიად იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი, ხოლო მეფემან ქართველთამან და ყოველთა მთავართა მისთა დაუწესეს პატრიარქსა ანტიოქიისასა მოსასყიდლად ნივთთა წმიდისა მიპრონისათა აგარაკები ათასი კუამლი ქვეყანისაგან ქართველთადსა, რაითა საფასო შემოსავალთა მათთაი იყოს ფას ნივთითა მიპრონისათა, რამეთუ მათ უამთა არა სადა სხუაგან წმიდა იქნებოდა მიპრონი თვინიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფებოდა ყოველთა.

ამიერ იცნობების უამი მოქცევისად და ვითარმედ ანტიოქიისა საყდრისა მიმდგომ იყვნეს და მიერ ხელთ-დასხმულ იქნებოდეს ქართლის კათალიკოზნი...“¹.

ბერძნული უცნობი წყაროდან („პოვნილ არს“) მომდინარე ამ ცნობას თუ შევუჯერებთ ზემოგანხილულ ბერძნულ-ქართულ (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, „მოქცევის“ ქრონიკა, ლეონტი მროველი) ცნობებს, სურათი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლში გამოგზავნა ანტიოქიელი ევსტატე (324–330), რომელმაც მცხეთაში აკურთხა ეკლესია და მცხეთის პირველი ეპისკოპოსი იოანე. აქედან, როგორც ეფრემ მცირეც შენიშნავს, დაინტენდო ქართული ეკლესის იერარქიული დამოკიდებულება ანტიოქიის ეკლესიისაგან. შესაძლებელია აღნიშნულ წყაროში დეტალები სიზუსტით არ იყოს გადმოცემული და ვიგულისხმოთ, რომ იოანე ეპისკოპოსი ანტიოქიელს თან მოჰყვა, როგორც მისი ხელქვეითი, ეპისკოპოსი. თუმცა იგი ქართლშიც რომ ეკურთხებინა, კანონიკურად ამას ხელს არაფერი უშლიდა, რადგან ანტიოქიელს, ბუნებრივია, თან ახლდებოდა ორი ან სამი ეპისკოპოსი მაინც². ნიშანდობლივია, რომ იმპერატორ-

1. ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა თ. ბრეგაძემ. 1959, გვ. 8.

2. კურთხევისათვის საჭიროა სულ მცირე 3 ან 2 ეპისკოპოსი. ეფრემ მცირე ტერმინებს ხმარობს არაზუსტად: ანტიოქიელს ამ დროს „პატრიარქი“ ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა, არც „კათალიკოსი“ იხმარებოდა ჯერ ქართლის ეპისკოპოსის აღსანიშნავად.

მა ანტიოქიელს დაავალა ეს მისია, რითაც მან გამოხატა როგორც იბერიის მეფისადმი პატივისცემა, ისე გაითვალისწინა საქმის სერიოზულობაც: ის მიემგზავრებოდა მეფესთან, მას სამეფო კართან მოუხდებოდა ურთიერთობა. ანტიოქიის კათედრა, და არა კონსტანტინოპოლისა, იმ დროს ითვლებოდა პრივილეგირებულ ეკლესიად. ასეთი რომის იმპერიაში მაშინ სულ რამდენიმე იყო, მათ შორის რომისა და ალექსანდრიის. ასეთი ეკლესიების მმართველ მიტროპოლიტებს „წარჩინებულებს“, „უპირველესებს“ უწოდებდნენ. ისინი, როგორც ადმინისტრაციული დიოცეზის მიტროპოლიტები, მართავდნენ (ჩვეულებრივი მიტროპოლიტისაგან განსხვავებით) რამდენიმე ეპარქიას. მაშინ ანტიოქიის ეკლესია პატივდებული იყო მთელს საქრისტიანოში როგორც უძველესი და აპოსტოლური წარმოშობის ეკლესია, ანტიოქია როგორც უდიდესი საეკლესიო ცენტრი ტერიტორიულად უფრო ახლოს იყო საქართველოსთან, ვიდრე რომი და ალექსანდრია.

დასასრულ, იმის შესახებაც უნდა აღნიშნოთ, რომ იმპერატორ კონსტანტინეს პირადი მონაწილეობა ქართლში სამღვდელოების გამოგზავნის საქმეში, რასაც ერთხმად აღნიშნავენ ბერძნულ-ქართული წყაროები, შემთხვევითი არ არის, ამას ორი გარემოება განაპირობებდა: როგორც ვიცით, ქართლის გაქრისტიანება იყო არა მხოლოდ წმიდა რელიგიური საკითხი, არამედ ის მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკურ მომენტსაც. ქართლი ირანთან ბრძოლაში ერთმორწმუნე ბიზანტიის სახით სამედო მოკავშირეს იძენდა. იმპერატორსაც კარგად ესმოდა ამ ფაქტის პოლიტიკური სარგებლიანობა იმპერიისათვის, რაც გამოხატულია კიდეც მისივე სიტყვებში: რომ მას იბერიის გაქრისტიანება უფრო გაუხარდა, ვიდრე გაუხარდებოდა

„რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები რომ შეერთებინა“ (რუფინუსი) ან „ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას“ (გელასი კესარიელი).

ამგვარად, ეს საკითხი აქ სახელმწიფო-ებრივ დონეზე გადაწყდა: რომ იმპერიაში როგორც მანამდე, ისე მაშინაც იმპერატორი ახორციელებდა საეკლესიო-საკულტო საქმეების უმაღლეს ხელისუფლებას (წარმართულ პერიოდში იმპერატორს უწოდებდნენ Maximus Pontifex, ახლა კი „საგარეო ეპისკოპოსს“). ამის გამოც ამგვარი ღონისძიებები მის კომპეტენციაში შედიოდა.

2. ქართული ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა. პირველი ეკლესია ქართლში აშენდა სამეფო დედაქალაქ მცხეთაში მას შემდეგ, რაც მეფე მირიანმა და სამეფო სახლობამ ქრისტიანობა აღიარეს. ეს იყო ხის „ქვემო“ ეკლესია „სვეტი ცხოველით“. ამის შემდეგ საბერძნეთიდან მოვლენილმა სამღვდელოებამ აკურთხა ეკლესია და ხალხს შეუსრულანათლისდების საიდუმლო.¹ ეკლესის მეთაური ატარებდა „მთავრის“ ან „მთავრებისკოპოსის“ ტიტულს, ქართულ წყაროებშივე შემონახულია ამ მღვდელმთავართა პერსონალური სიები და მათი ქრონოლოგიური რიგი. ვიდრე V ს.-მდე (ქართლში კათოლიკოსობის დაწესებამდე) მოქმედი იყო მხოლოდ ერთი საეპისკოპოსო მცხეთისა, სხვა ეკლესიები, რომლებიც ადგილებზე შემდეგ აშენდა ქმნიდნენ მცხეთის სამრევლოებს.

ეპისკოპოსი რომ ერთი იყო ქართლში, ამას შემდეგი ჩვენებანი ადასტურებენ: IV-V საუკუნის ამბების თხრობისას ძველი ისტორიკოსები („მოქცევას“ ქრონიკა, ლეონტი მროველი, ჯუანშერი XI ს.), რომელთაც ხელთ ჰქონდათ უფრო ძველი წყაროები, ქრონოლოგიური რიგით ასახელებენ მხოლოდ თითო-თითო ეპისკოპოსს (მთავარ-

1. აღნიშნული ფაქტები და მათი თანამიმდევრობა ერთნაირად არის გადმოცემული ბერძნულ და ქართულ წყაროებში, რომლებიც ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას ეხებიან. წყაროებში არის მითითება, რომ ეკლესიის ფორმის შესახებ ხუროებისათვის თვით ნმ. ნინოს უსწავლებია. მეორე ეკლესია მცხეთაში მალევე აშენდა ქვიტკირისა მცხეთისავე „გარეუბანს“, რამდენიმე ხნის შემდეგ ხის ეკლესია დანგრეულა და ეპისკოპოსის რეზიდენცია გადასულა „გარეუბნის“ ეკლესიაში, სადაც გადატანილი იქნა „სვეტი ცხოველი“ (მოქცევად ქართლისაც).

ეპისკოპოსს)¹, V ს.-ის მომდევნო ამბების თხრობისას კი მხოლოდ თითო-თითო კათა-ლიკოსს², ხოლო მათ ზეობას განსაზღვრავენ ქართლის მეფების სინქრონიზმით. პერიოდულად ავტორები აჯამებენ კიდევ მღვდელმთავართა რიცხვს მსგავსად მეფეთა რიცხვისა³. რადგან აქ „ეპისკოპოსის“ შენაცვლება „კათალიკოსით“ ხდება, ეს იმას მოწმობს, რომ ადრე ეკლესიის მეთაურად ერთი ეპისკოპოსი იყო, რომელიც შემდეგ ერთმა კათალიკოსმა შეცვალა. საყურადღებოა ისიც, რომ წყაროებში ჩვეულებრივ სისტემატურად არის აღნუს-ხული მეფეთა მიხედვით ეკლესიათა მშენებლობანი, მღვდლებისა და დიაკვნების რიცხვის ზრდა⁴, მაგრამ არსად საეპისკოპოსო ეკლესიის აგების (გარდა მცხეთისა) ან ეპისკოპოსის დადგენის შესახებ მითითება არ არის. ეს მაშინ, როცა იმავე წყაროებს საეპისკოპოსოთა მშენებლობის შესახებ ცნობები შემოაქვთ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მეფობისა და მისი მომდევნო პერიოდების აღწერილობებში (მაგ., „ვახტანგ აღაშენა ეკლესია ნიქოზისა... და დასუა ეპისკოპოსი“). თვით ვახტანგის დროსაც, ვიდრე კათოლიკოსობამდე, ისტორიკოს ჯუანშერს (XI ს.) სამეფო დარბაზზე დამსწრეთა შორის დასახელებული ჰყავს „ორივე ეპისკოპოსი“, რომელთაგან ერთი ბინქარანია (ცეცხლთაყვანისმცემელი, მოგვთა ეპისკოპოსი), მეორე – მცხეთის ეპისკოპოსი.⁵

მიუხედავად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისა, როგორც ყველა-ფრიდან ჩანს, ქრისტიანობამ კარგა ხნის მანძილზე ვერ მოიცვა მოსახლეობის უმრავლესობა, თუმცა წყარო მიუთითებს, რომ მირიანი „წარემართა ქრისტიანობასა ზედა

ნებითა ღვთისაითა ყოვლით საბრძანებლითა მისით“. ადგილ-ადგილ IV-V სს.-ში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო ქართული წარმართობა (კერპთაყვანისმცემლობა) და ირანული ცეცხლთაყვანისმცემლობა. ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ამ რელიგიების მღვდელ-მსახურნი (ფაქტების მოტანა არაერთის შეიძლება). ქრისტიანობა, რაც უფრო და უფრო ღრმად იყიდებდა ფეხს, ავინროებდა ძველ რელიგიებს, ამის კვალად ჩანს, მცხეთის საეპისკოპოსოს მოცულობა იზრდებოდა და ახალ-ახალი ეკლესიები შენდებოდა მის ფარგლებში.

IV-V სს. 60-იან წნ-მდე ქართლის საეპისკოპოსოში, არასრული წერილობითი წყაროების მიხედვით, არსებობდა შემდეგი ეკლესიები: ქ. მცხეთაში აშენდა სამი ეკლესია, რომელთა შორის ერთი საკათედრო იყო, ერთი გიორგინმიდისა (ერთი მალე დაინგრა); აშენდა ერუშეთში არტაანის ეკლესია, მანგლისის, წილვნის, ნეკრესის, რუსთავის (კუხეთში), წუნდის, ბოლნისის, სტეფანწმიდის (არაგვზე მცხეთასთან); კლარჯეთში: არტანუჯის ეკლესიები – დაბისა, მერისი, შინდობისანი, ახიზის. სავარაუდოა, რომ ამ დროს აშენდა ხორნაბუჯის და აგარაკის ეკლესიები, ეკლესიები აშენდა აგრეთვე მთის ადგილებში, სადაც წმ. ნინომ იქადაგა ქრისტიანობა და მოსახლეობა მოინათლა: ჭართალებულებში, ფხოვში, თანანეთში, ერწოში, უალეთს, დაბა ედემს, ყუარელთა სოფლებში; კუხეთში – კანარეთს, სუჯთა (სოჯა) სამფლობელოში, დაბა ბოდინში (ბოდბე), კახეთში – ქსელ დაბას.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ქართული ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია IV-V სს.-ში, ვიდრე კათოლიკოსობის დაწესებამდე, ასე წარმოგვიდგება:

1. მაგ.: „დაჯდა მეფედ ბაკურ, ძევ რევისი და მოკუდა იოვანე ეპისკოპოსი და დაჯდა იაკობ; მეფობდა არჩილ და მთავარებისკოპოსი იყო იონა“, და სხვ. „მოქცევის“ ქრონიკა, შატბერდული, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 91-92.
2. მაგ.: „მეფობდა ბაკური და ძე დაჩისი და კათალიკოსი იყო სამოელ“, „მეფობდა ფარსმან და კათალიკოსი იყო თავფაჩაგ“ (იქვე).
3. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 105.
4. მეფების მიმართ ფორმულასავითაც მეორდება „განამრავლა მღვდელი და დიაკონი“, „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 131, 142 და სხვ.
5. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 147.

ქართული ეკლესიის დაარსებაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღო რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306–337). მისი დავალებით ეკლესიოლოგიურ-კანონიკურად ის ჩამოაყალიბა ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავარმა ევსტატემ (324–330), რომელიც საქართველოში ჩამოვიდა. ანტიოქიის ეკლესია გახდა ქართული ეკლესიის დედა ეკლესია – Ecclesia Matrix. ქართლის ეკლესია გაფორმდა ანტიოქიის იურისდიქციაში შემავალ საეპისკოპოსო ერთეულად, რომლის მეთაური – ეპისკოპოსი იერარქიულად დაეცემდებარა მას. ქართლის ეპისკოპოსი იყო ანტიოქიის ეკლესიის მმართველი მღვდელმთავრის (იმხანად „უპირველესი მიტოპოლიტის“, შემდეგ – „პატრიარქის“) სუფრაგანი ეპისკოპოსი, რომელსაც ანტიოქიაში სამიტროპოლიტო კრება (სინოდი) ირჩევდა, აკურთხებდა და ადგილზე აგზავნიდა, ის ეროვნებით ბერძენი იყო. ქართლის სამეფოში ერთი საეპისკოპოსოს შექმნა განაპირობა იმ კონკრეტულმა ვითარებამ, რომ აქ, როგორც ახალნერგ ქრისტიანულ ქვეყანაში, მრევლი ჯერ შესაფერისად მცირე იყო (ძველი რელიგიები ადამიანთა შეგნებაში სხვადასხვა მიზეზის გამო ადვილად არ თმობდა ასპარეზს), იგრძნობოდა, უეჭველია, მღვდელმსახურთა კადრის სიმცირე. საქმეს ართულებდა პოლიტიკური მომენტიც – ცეცხლთაყვანისმცემლობის მატარებელი დამპყრობელი ირანი ამ საუკუნეებში საგრძნობ ძალას წარმოადგენდა კავკასიაში ქრისტიანული ბიზანტიის წინააღმდეგ.

ქრისტიანობის უპირატესობამ თავისი გაიტანა, იგი თანდათან იქცეოდა ერთადერთ რელიგიად. ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში მომხდარმა სხვადასხვა ცვლილებამაც, და ეკლესიის არსებობისათვის უკვე საჭირო შეიქნა მისი ადმინისტრაციული ორგანიზაციის სრულყოფა, რაც განხორციელდა V ს.-ში ვახტანგ გორგასლის მეფობაში.

ვახტანგ გორგასლის მეფობა და ანტიოქიის ეკლესიისაგან ავტოკეფალიის მიღება (V ს.)

ქართული ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შეცვლა მოხდა ერთბაშად, რეფორმის სახით, რომელიც უკავშირდება ვახტანგ გორგასლის სახელს (V ს. 40-იანი წე. 502), ქრონოლოგიურად იგი მიეკუთვნება დაახლ. 466–468 წე. ცვლილება იმით გამოიხატა, რომ შემოღებულ იქნა საეკლესიო მმართველობის ახალ სისტემა საკათოლიკოსოს სახით, რომლის მეთაური კათოლიკოსი წარმოადგენდა ავტოკეფალ მმართველს.

ქართული ეკლესიის ახალი ფომირება მოხდა იმ დროისათვის მიღებული ყველა კანონიკური წესის დაცვით. საეკლესიო სფეროში ცვლილებები გამოწვია ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურმა და ეკლესიურმა შინაგანმა საჭიროებამ¹.

1. ქართული ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს.-ში (კათალიკოსობის დაწესება). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბუთებისას ისტორიულ ცნობათა სიმცირის გამო ძველი და თანამედროვე მკვლევარები უმთავრესად ამოდიან ვახტანგ გორგასლისდროინდელი საქართველოს საგარეო და სამინაო პოლიტიკური ვითარებიდან, რომელიც ქვეყნის მესაჭეს შესაძლებლობას აძლევდა ეძია ეკლესიური დამოუკიდებლობა და მიეღწია მისთვის. მკვლევარები მიუთითებენ აგრეთვე ტერმინ „კათოლიკოსზე“ როგორც ეკლესიაში დამოუკიდებელი მესაჭის აღმინშვნელზე და სხვ. ყოველივე ეს, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ერთ-ერთი სწორი არგუმენტია ფაქტის ახსნისათვის, მაგრამ ავტოკეფალიის არსებობაზე პირდაპირ პასუხს მოგვცემს, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ახლადშემოღებული საეკლესიო ადმინისტრაციის ხასიათის გარკვევა², საიდანაც მტკიცდება, რომ მის

1. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაწესების თარიღად V ს. მიაჩინდათ მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, მ. თამარაშვილს, ი. სოკოლოვს, ივ. ჯავახიშვილს და სხვ. ეს თარიღი გაზიარებულია თანამედროვე მკვლევართა მიერ, აგრეთვე შესულია საერთაშორისო ლიტერატურაში მაგ. ნ. ერის 1952... ქსე, 1975, 1981. Lexicon iur Theologie und Kirche, 1960; New Catholic Encyclopedia, 1 და სხვ.

2. იმის გამო, რომ ამ კუთხით კვლევა არ უნარმოებიათ, არაერთ საყურადღებო ცნობას დღემდე ან სულ გვერდი აქვს ავლილი, ან სათანადოდ გაგებული არ არის.

იურისდიქციას შეადგენდა როგორც კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა არჩევა-დადგენა, ასევე მათი გასამართლებაც. ამგვარად, ის იყო ავტოკეფალური ეკლესია.

ცვლილებები საეკლესიო წყობილებაში, როგორც ეს წყაროებშია გადმოცემული, მოჰყვა ვახტანგ გორგასლის ირანიდან (სადაც სალაშქროდ იმყოფებოდა) დაბრუნებას და მიქაელ ქართლის ეპისკოპოსთან ჩამოვარდნილ მწვავე კონფლიქტს. მასთან საამბორებლად მისულ მეფეს მიქაელმა კბილებში წილი ჩაარტყა და კბილი ჩაუმტვრია! ამის შემდეგო, მოგვითხრობს „მოქცევად ქართლისაა“:

„მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი, ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი, და თანა ჰყვანდა მას სამოველი მონაზონი, წმიდაი და ღირსი“...²

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმნერელს ისტორიკოს ჯუანშერს უფრო დეტალურად აქვს გადმოცემული ეს ამბავი: მეფეს ელჩები მიქაელითურთ და მასთან ერთად ჩამტვრეული კბილით კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის გაუგზავნია მიქაელისათვის მსჯავრის დასადებად, და „შეუთვალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსი სწრაფად წარმოავლინენ. და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად და სხუანი ვინცა სთნდენ“... კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიქაელი განუკვეთავს და მონასტერში გადაუსახლებია საცხოვრებლად. ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და იმპერატორს პეტრე მღვდელი და სამოელი მონაზონი ანტიოქიის პატრიარქთან გაუმგზავრებიათ, იქ უცნობებიათ მისთვის ვახ-

ტანგ მეფისა და მიქაელის ამბავი და უთხოვიათ მას ეკურთხებინა ქართლისათვის სამღვდელონი: „ან ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი ვინცა-ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ, და ჩუენდა წამოვიდნენ, რათა ჩუენ ნიჭითა და სახმრითა ყოვლითა განუტევნეთ. და ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად.“

და მოვიდეს კონსტანტინოპოლედ და მეფემან მისცა ნიჭი დიდალი და ასული თვისი მისცა, სახელით ელენე, მეფესა ვახტანგს და წარმოვიდეს მცხეთას“².

ციტირებული ადგილებიდან ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ცნობაზე, რომ ვახტანგ მეფეს საბერძნეთიდან გამოუხოვია 12 ეპისკოპოსი კათოლიკოსითურთ და მიუღია კიდეც.

ამ ცნობის თანახმად, ერთის მხრივ, ეი ისი დასტურდება ქართლში ადგილობრივი საეკლესიო კრების (სინოდის) დაარსება კათალიკოსის თავმჯდომარეობით, მეორე მხრივ, მაინცდამაინც 12 ეპისკოპოსის მოხსენება იმას მიუთითებს, რომ დაუცავთ საყოველთაოდ მიღებული კანონიკური წესი. სახელდობრ, ის, რომ კნონიკურად (და პრაქტიკულადაც) სულ მცირე თორმეტი ეპისკოპოსი იყო საჭირო, რათა ადგილობრივ ეკლესიას თავისი ფუნქცია ნორმალურად შეესრულებინა, ამაზე ნაკლები არ დაიშვებოდა. (ეს ითქმის განსაკუთრებით ეპისკოპოსის გასამართლების და სხვა შემთხვევაშიც).

თანახმად მიღებული კანონისა, დამნაშავე ეპისკოპოსის გასამართლებას ახდენდა ეპისკოპოსთა ჩვეულებრივი კრება, რომელიც პერიოდულად მოიწვეოდა საეკლესიო ოლქის უმაღლესი მესაჭის (მიტროპო-

1. მიქაელი იყო საბერძნეთიდან მოვლენილი ქართლის ეპისკოპოსი, დაახლ. V ს.-ის 40–60-იან წლ. მან დიდი ლვანლი დასდო ქართლში მართლმადიდებლობის განმტკიცებას, პირადობაში იყო უფლებისა და სიმდიდრის მოყვარული, „ვერცხლისმოყვარე“, მხარს არ უჭრდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმას, ამ ნიადაგზე მათ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება მწვავე კონფლიქტით დამთავრდა. მიქაელის შესახებ ცნობები დაცულია „მოქცევად ქართლისაა“-ში და „ქართლის ცხოვრებაში“.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 93.

3. „ქართლის ცხოვრება“ I, 1955, გვ. 197-198, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ვახტანგ მეფემ გაიცნო საბერძნეთში ლაშქრობისას. ისინი მაშინ მსახურობდნენ ქ. ნაზიანზენში გრიგოლ ღვთისმეტყველის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის (379–381) საფლავზე. მათ ხელი შეუწყვეს ვახტანგის დაზავებას ბიზანტიის იმპერატორთან. მასთან მივიდნენ ვახტანგის ელჩებად.

ლიტის) თავმჯდომარეობით, კართაგენის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ (419 წ.) დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსის საქმის გარჩევა სასურველი იქნებოდა ჩვეულებრივი კრების მოწვევამდე და თუ საამისოდ საგანგებოდ მოწვეულ ამ კრებაზე ვერ გამოცხადდებოდა უმრავლესობა, მაშინ, აუცილებელი იყო კრებას დასწრებოდა 12 ეპისკოპოსი მაინც (კან. 12).¹

თუ რამდენად მკაცრად იყო დაცული საუკუნეთა მანძილზე ეს წესი, ჩანს ამ კანონის ბალსამონისეულ კომენტარში მოტანილი ასეთი მაგალითიდან: ეპისკ. ოთანე ამატუნელი (კუნძ. კვიპროსი) განუკვეთავს 11 ეპისკოპოსისაგან შემდგარ კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის უმაღლესი მესაჭე მთავარეპისკოპოსი. დასჯილმა ეპისკოპოსმა საქმე გასასაჩივრა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ლუკასთან (1157–1170) იმ მოტივით, რომ ის თერთმეტმა ეპისკოპოსმა განკვეთა და არა 12-მა, პატრიარქმა გააუქმა განაჩენი იმის გამო, რომ გასამართლება-განკვეთა არ მოხდა ეპისკოპოსთა უმრავლესს საბჭოზე და, მეორეც, იმის გამო, რომ განკვეთა მოახდინა საგანგებო კრებაზე არა თორმეტმა ეპისკოპოსმა (თავმჯდომარის ჩაუთვლელად), არამედ თერთმეტმა ეპისკოპოსმა და თავმჯდომარემ – მთავარეპისკოპოსმა.²

საყურადღებოა, რომ სპარსულ-სირიულ საეკლესიო სისტემაშიც ვხვდებით 12-13 ეპისკოპოსისაგან შემდგარ სპეციალურ ინსტიტუტს, რომელიც არსებობდა კათალიკოსთან.³

ამრიგად, თუკი კანონიკურად 12 ეპისკოპოსი იყო ის მინიმუმი, ურომლისოდაც ადგილობრივ ეკლესიას არ შეეძლო თავისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის, ეპისკოპოსთა განკვეთა-გასამართლების შესრულება და 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება საქართველოში უკვე არსებობდა ახლადშემოღებული საკათოლიკოსოს სისტემით, მაშასადამე, ქართულ ეკლესიას მიუღია უფლებამოსილება ეპისკოპოსთა გასამართლებისა.⁴ ეს კი იყო დამოუკიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია.

საეკლესიო პირთა ადგილობრივად გასამართლება-დასჯის უფლების მოპოვებისათვის ზრუნვა საქართველოს მთავრობას, უეჭველია, უკარნახა პრაქტიკულმა შემთხვევამაც, როდესაც ქართლის ეპისკოპოსი მიქაელი თავისი საქციელისათვის (მეფის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა) განკვეთით უნდა დასჯილიყო და, ადგილობრივად შესაფერისი საეკლესიო ორგანოს არარსებობის გამო, ის კონსტანტინოპოლში გაიგზავნა.

საქართველოში საეკლესიო კრების იურისდიქციას ეპისკოპოსთა არჩევასა და დადგენაზე (მათ შორის კათოლიკოსისაც), ადასტურებს როგორც კრების არსებობა,⁵ ისე „კათოლიკოსის“ როგორც ეკლესიის მეთაურის სტატუსიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ V ს.-ის მწერალი იაკობ ხუცესი, რომელიც უშუალო თანამედროვეა ქართლში – კათოლიკოსობის დაწესებისა, თავის თხზულებაში პერსონალურად ახსენებს – მისი დროის კათოლიკოსს სამოელს ეპითეტით: „თავი ეპის-

1. Правила Православной церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского, перевод с сербского, т. II, СПБ, 1912, стр. 153-154; фрагмент სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 295.

2. Никодим, II, ст. 154.

3. В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви, III, стр. 188-189.

4. ცნობილია, რომ პატრიარქატის სისტემის გამარჯვებამდე (IV მს. კრ. 451 წ.) ეს უფლება ადგილობრივ ავტოკეფალურ ეკლესიებში (მიტროპოლიტებში) საბოლოო და უაპელაციო იყო, პატარქატის შემდეგ კი თანდოთან „კონსტანტინოპოლის საყდარი“ გახდა სააპელაციო ორგანო არა მხოლოდ მის საპატრიარქოში, არამედ მთელს აღმოსავლეთში (IV მს. კრ. კან. 9 და 17).

5. კართაგენის კრების (419 წ.) 49-ე კანონით ვტყობილობთ, რომ ბიზანტიაში ყოფილა ისეთი ეკლესიები, სადაც ეპისკოპოსის ხელდასხმასაც (ქიროტონია) არ ატარებდნენ 12 ეპისკოპოსის გარეშე, მაგ., ნუმიდიაში კრებამ დაადგინა, რომ ეს წესი შესასრულებლად ძნელია, შეუძლებელია 12 ეპისკოპოსის შეკრება, ხელდასხმის შემთხვევა კი ყოველთვის ხშირია, ამიტომ უარყოფილ იქნეს და მიღებულ იქნეს ძველი წესი, რომლის ძალითაც ხელდასხმისათვის საკმასია მინიმუმ 3 ეპისკოპოსის შეკრება. Никодим, II, გვ. 230-201.

კოპოსთაი“,¹ სხვა წყაროითაც ამ პერიოდში კათოლიკოსა ეწოდება „ეპისკოპოსთ მთავარი“.² ეს სახელწოდებანი პირდაპირ გვიჩვენებენ კათოლიკოსის დანიშნულებას, მაგრამ გვაქვს ცნობა იმაზეც, რომ მას ჰყავს ხელქვეითი ეპისკოპოსები („ეპისკოპოსი მისივე მოყუასი“),³ რომელსაც ის ადგენს („მის მიერ ყოფად არს ეპისკოპოსად“).⁴

კათოლიკოსი როგორც ეპისკოპოსთა თავი, რომელიც ადგენდა (ამტკიცებდა და აკურთხებდა) ეპისკოპოსს, ქმნიდა კიდევაც ეპისკოპოსთა კრებას, რომელზეც ირჩევდნენ საეპისკოპოსო კანდიდატს, ბიზანტიაში ამ დროს (V ს.) არ არსებობდა საეკლესიო კავშირის არც ერთი ფორმა, რომელსაც „თავი“ ჰყავდა და ეპისკოპოსის არჩევადადგენის უფლება არ ჰქონდა, მაშასადამე, საქართველოშიც ადგილობრივ ხდებოდა ეპისკოპოსების არჩევა-დადგენა. არჩეულის ეპისკოპოსად კურთხევა-ხელდასხმა (ქიროტონია) სრულდებოდა, როგორც ბიზანტიაშიც, აუცილებლივ „თავის“ (ამ შემთხვევაში კათოლიკოსის) მონაწილეობით. მასში მონაწილეობდა კიდევ კრების ორი წევრი – ეპისკოპოსი.

კათოლიკოსი მაღალი სახელისუფლო რანგის წარმომადგენელი იყო, ისე როგორც ბიზანტიაში მიტროპოლიტი, პატრიარქი... ნიშანდობლივია, რომ კათოლიკოსის ქართული წოდებულობა „თავი“ სრული ანალოგიურია ბიზანტიურისა, რაც მათი ფუნქციებისა და მდგომარეობის მსგავსებაზე მეტყველებს. მაგ., ბიზანტიაში საეკლესიო

პროვინციის (იგივე ეპარქიის) მეთაურს (აერთიანებდა ეპარქიაში შემავალ ეპისკოპოსებს) ეწოდებოდა „თავი“, „პირველი“ (ბერძ. პროტოს, კეფალე; ლათ. primus, caput), ასევე „თავის“ მნიშვნელობით იხმარებოდა „მიტროპოლიტიც“.⁵

ეპისკოპოსთა „თავს“ ბიზანტიაში ადგენდა თვით საეკლესიო ოლქის (ეპარქიის) ეპისკოპოსთა კრება გარედან ჩაურევლად (აპოსტოლთა, კან. 34; ანტიოქიის, კან. 9; ნიკეის I, კან. 6; ეფესოს, კან. 8)⁶ ამიტომ საეკლესიო მიტროპოლიტები (ეპარქიები) წარმოადგენდნენ ავტოკეფალურ ეკლესიებს, მიტროპოლიტები – ავტოკეფალუბს!“.⁷

IV-V სს.-ში, პატრიარქატის ჩამოყალიბების პერიოდში, გაჩნდა მისწრაფება მოესპოთ მიტროპოლიტების ავტოკეფალია და დიეცეზის მეთაურ „უპირველეს“, „უწარჩინებულეს“ მიტროპოლიტებს (მომავალ პატრიარქებს) მიეღოთ ეპარქიის „თავის“, „მიტროპოლიტის“ დადგენის უფლება. მაგრამ ვიდრე პატრიარქატის სისტემა საბოლოოდ გაიმარჯვებდა (ქალკედონის 451 წ. IV მს. კრ. კან. 28) და ვიდრე ყველა მიტროპოლიტის ავტოკეფალია გაუქმდებული არ იყო, მსოფლიო საეკლესიო კრებები საკმაოდ იძლეოდნენ მიტროპოლიტების ავტოკეფალიის შენარჩუნების გარანტიას (ნიკეის I, კან. 6; ეფესოს, კან. 8). ამიტომაც ჯერ კიდევ არ იყო ძნელი სადაოდ ქალკედონი ავტოკეფალია ისევ ძველი ავტოკეფალისტის სასარგებლოდ გადაჭრილიყო (კვიპროსის მაგალითი 431 წელს ეფესოს კრებაზე).

1. მარტვილობად შუშანიკისი, დაინტრა 474–484 წწ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, ობ., გვ. 27. ეს სამოელი არის რიგით მეორე კათალიკოსი პეტრეს შემდეგ.

2. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 168, 197.

3. ძეგლები, I, გვ. 17.

4. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 168.

5. მიღებული იყო, რომ საეპარქიო (პროვინციის) ეკლესიის „თავად“ აუცილებლივ ის ეპისკოპოსი უნდა დაესვათ, რომელიც სამოქალაქო ადმინისტრაციის (პროვინციის) დედაქალაქში (ბერძ. მეტროპოლის) იჯდა, მას დედაქალაქელი – ბერძ. მეტროპოლიტეს ეწოდებოდა. მას, ამას გარდა, ჰქონდა თავისი საკუთარი განსაგებელი როგორც ერთ-ერთ ეპისკოპოსთაგანს (ანტიოქიის კრ. კან. 9).

6. „Епископ всякого народа подобает знати первого из них и признавати его яко главу“ (апос. 34). Никодим, I, стр. 98; «В каждой области епископам должно ведати епископа в митрополии начальствующего и имеющаго попечение о всей области», Антиохийское Ван. 9; Никодим, II, стр. 70.

7. ი. ბალამონის კომენტარი კონსტანტინოპოლის II მს. კრების მე-2 კანონის შესახებ: „В древности все митрополиты епархий были независимы (автокефальны) и рукополагаемы были своими собственными соборами“. Правила святых вселенских соборов с толкованиями, ч. I, Москва, 1877, стр. 85–87.

ამრიგად, ასეთ გარდამავალ პერიოდში, როცა ბიზანტიაში ზოგიერთ ეკლესიათა „თავი“ შეიძლებოდა ჯერ კიდევ ავტოკეფალური ყოფილიყო, სრულიად ადვილი იყო, მით უფრო საქართველოში, იმპერიის გარეთ, ეკლესის „თავი“ (იგივე „კათალიკოსი“) ავტოკეფალური უფლებით მოევლინებინათ!“¹ (საქართველოში კათოლიკოსობა დარსდა დაახლ. 466–468 წწ.).

ქართული ეკლესის მესაჭის, კათოლიკოსის, ავტოკეფალობის სასარგებლოდ, გარდა იმისა, რომ ის „თავია“ (ასეთ „თავს“ ამ დროს ბიზანტიაში ადგილობრივი კრება ნიშნავდა), ლაპარაკობს ზოგიერთი ცნობა, დაცული ისევ ძველ ქართულ წყაროებში, სახელდობრ: ა. ყურადღებას იქცევს ჯუანშერის თხზულებაში პეტრე პირველი კათოლიკოსის შესახებ თხრობა, სადაც პეტრეს მდგომარეობა როგორც კათოლიკოსისა განხილულია სწორედ მისი უფლებრიობის თვალსაზრისით, თხრობა ჩართულია ვახტანგის ხილვა-სიზმრის აღწერილობაში. აქ მოქმედ პერსონაჟებად გამოყვანილია სხვებს შორის ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, მეფე ვახტანგ გორგასალი, პეტრე კათოლიკოსი და სამოელ ეპისკოპოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ისეთსავე გვირგვინს, როგორიც მას აქვს („ეგევითარივე გვირგვინი“), გადასცემს ვახტანგის ხელით პეტრეს და მას თავზე დაახურავს, ხოლო პეტრე თავის გვირგვინზე უფრო მდარეს („უდარეს“) თავზე დაახურავს სამოელს.

იქვე ახსნილია სიზმრის ალეგორია: პატრიარქმა პეტრე კათოლიკოსს უბობა ისეთივე „ეპისკოპოსთა მთავრობა“, როგორც თვით პატრიარქსაც ეპყრა, ხოლო პეტრეს მიერ „უდარესი“ გვირგვინის გადაცემა სამოელისათვის ნიშნავს კათოლიკოსის მიერ ეპისკოპოსთა (მასზე დაბალი ეპისკოპოსის) დადგენის უფლების მიღებას.² ამრიგად, აქ პირ-

დაპირ განმარტებულია, რომ ვახტანგ მეფის დროის პირველი კათოლიკოსი პეტრე იერარქიულად ისეთივე რანგისაა, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ე. ი. მასზე მაღლა არავინ დგას, ის ისეთივე ავტოკეფალი არის, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი. აქ შეიძლება ამ უძველეს გაგებას „კათალიკოსის“ სუვერენული უფლების შესახებ ანგარიში არ გავუწიოთ, მით უფრო, რომ ისტორიკოს ჯუანშერს მაშინ (XI ს.) გაცილებით მეტი ძველი წყარო და ცოდნა ჰქონდა, ვიდრე დღეს მოგვეპოვება.

ბ. კათოლიკოსის ავტოკეფალურ უფლებიანობაზე ერთი, ცოტა გვიანდელი, ფაქტიც ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესის მეთაურმა „პატრიარქის“ ტიტული მიიღო (XI ს. დასაწყ.), მას „კათოლიკოსი“ არ ჩამოშორდა, არამედ „პატრიარქის“ სინონიმად შერჩა, იწოდებოდა „კათოლიკოს-პატრიარქად“ ან კათოლიკოსად (იმავე პატრიარქის მნიშვნელობით). ესეც იმას მოწმობს, რომ იმთავითვე კათოლიკოსის უფლებრივობა მაღალი რანგის საეკლესიო ხელისუფლებას უტოლდებოდა.³

გ. ყურადღებას იქცევს ძველ წყაროებში (VIII-X სს.) ისეთი ცნობები, სადაც „კათალიკოსის“ მიმართ პირდაპირ მიყენებულია „პატრიარქის“ შესაბამისი („მამამთავრის“) წოდებულობა. მაგ. ქართლის „მოქცევის“ ქრონიკაში, პირველი კათოლიკოსის პეტრეს დადგენასთან დაკავშირებით, იკითხება: „აქადგან ინყეს კათალიკოსთა მამამთავრისად, პირველი კათალიკოსი იყო პეტრე ვახტანგ მეფისაზე“⁴ (ქართული „მამამთავრი“ პირდაპირი თარგმანია „პატრიარქის“). უფლებრივი მდგომარეობით ქართლის კათოლიკოსი მიაჩნდათ ბიზანტიაში იმ დროს მოქმედ პატრიარქების ტოლად.⁵

დ. „კათალიკოსი“, როგორც თანამდებობის აღმნიშვნელი, სირიის, ალბანეთისა

1. ამ საკითხს შევეხებით ქვემოთაც.

2. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 167-168.

3. ქართული ეკლესის მესაჭემ რომ იმთავითვე არ მიიღო „პატრიარქის“ ტიტული, ეს სრულიად ბუნებრივი იყო. რაზეც ახლა არ შევჩერდებით.

4. ძეგლები, გვ. 93.

5. აგრეთვე მაგ. მიქელ მოდრეკილის ჰიმნები, წ. II, გამოსცა კ. გვახარიამ, გვ. 518-530. წ. III. გვ. 245. დიდი სჯულისკანონი, გვ. 372, 538, შატბერდის კრებული, გვ. 434 და სხვ.

და სომხურ ეკლესიებში V ს.-ში ესმოდათ როგორც დამოუკიდებული ეკლესიის მე-თაურის წოდებულობა.¹

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული საკათალიკოსო ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულად წარმოადგენდა დასრულებულ ეკლესიას, რომელსაც ჰქონდა იურისდიქცია ეპისკოპოსთა აღჩევის, დადგენის (მათ შორის უმაღლესი მესაჭის კათალიკოსისაც) და გასამართლების (ყოველივე ეს შეესაბამებოდა ავტოკეფალურ ეკლესიათა იმდროინდელ სტატუსს).²

ამგვარად, თვალსაჩინოდ მტკიცდება, რომ ვახტანგ გორგასალს საბერძნეთიდან კათოლიკოსი გამოუთხოვია ავტოკეფალური უფლებით.

2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალის მიღება ანტიოქიის ეკლესიისაგან. ისტორიკოს ჯუანშერთან დაცულია ცნობა, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიუღია კანონიკური საშუალებით. ზემოციტირებული ტექსტიდან, რომელიც ვახტანგის მიერ საბერძნეთიდან კათოლიკოსისა დ 12 ეპისკოპოსის გამოთხოვას ეხება, ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ აქტში მონანილეობას იღებენ იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ანტიოქიის პატრიარქი. გაგზავნილი ელჩები, როგორც ამ ტექსტიდან ვიცით, ჯერ მისულან კონსტანტინოპოლში, სადაც პატრიარქს დაუსჯია დამნაშავე მიქაელი მონასტერში გადასახლებით; ამის შემდეგ ელჩები და დასადგენი პირები მიემგზავრებიან ანტიოქიას, სადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და იმპერატორის ლეონ დიდის (457–474) დავალებით ანტიოქიის პატრიარქის პატრიარქი აკურთხებს თორმეტს ეპისკოპოსებად და პეტრეს კათოლიკოსად, შემდეგ ისევ კონსტანტინოპოლში მიემგზავრებიან და იქიდან

– მცხეთას. ცხადია, აქ უბრალო და უმიზნო მიმოსვლა კი არ არის აღნერილი, არამედ ასახულია სწორედ ავტოკეფალიის მიღების კანონიკური პროცედურა, როგორც ცნობილია, რომელიმე ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება ხდებოდა იმპერატორისა და მსოფლიო პატრიარქთა თანხმობით, რათა მას არ გამოეწვია კათოლიკე ეკლესიის გათიშვა. მთავარი როლი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ჰქონდა, მაგრამ პირველი სიტყვა იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, რომლის იურისდიქციასაც ავტოკეფალიის მაძიებელი ეკლესია ეკუთვნოდა.

მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ ქართლში ახლადდარსებული საკათოლიკოსო თავისი ხასიათით წარმოადგენდა ავტოკეფალურ ეკლესიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიოქიის პატრიარქს კათოლიკოსი წარმოუვლენია სწორედ ავტოკეფალური სტატუსით და მისი ამ უფლებით დალოცვა-კურთხევა მომხდარა კანონიკური წესების სრული დაცვით.³

ვახტანგ გორგასალმა, ჩანს, ეკლესიის რეფორმისათვის კარგად გამოიყენა ბიზანტიასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, მან იმპერატორს გადასცა ეგრისში მის მიერ დაკავებული ციხე-გოჯი, სამაგიროდ დაიბრუნა არტანუჯი (სადაც ეკლესიები ააგო). ამას მოჰყვა კეისრის მიერ ვახტანგისათვის საცოლის გამოგზავნა. როგორც წყაროშია მოთხრობილი, კონსტანტინოპოლიდან 12 ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს და მათთან ერთად ვახტანგის საცოლეს დიდი ზემით გამოისტუმრებს იმპერატორი (ტექსტი იხილეთ ზემოთ).

ვინაიდან კათოლიკოსის საეკლესიო იურისდიქცია მთელი სახელმწიფოს ეთნიკურ-პოლიტიკური მასშტაბით ვრცელდებოდა, ამიტომ ეს იყო ერთგვარი რეგიონალური ეპარქია, რომელიც სახელმწიფოს ემთხვეოდა

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 319.

2. კვიპროსის მაგალითი. კვიპროსის ეკლესიამ ავტოკეფალიის სრული წერილობითი გარანტია მიიღო ეფესოს მსოფლიო კრებაზე (431 წ.). აქვე მიიღეს გარანტია სხვა ავტოკეფალურმა მიტროპოლიებმაც (კან. 8).

3. რამდენადაც კათოლიკოსობის დაწესების თარიღად მივიღეთ 466–468 წლები, ამ აქტში მონანილეთა ვინაობა შემდეგი გამოდის: იმპერატორი ლეონ დიდი (457–474), რომლის მონანილეობის შესახებ ცნობა დაცული აქვს ქართლის ცხოვრებასაც (ჯუანშერი); კონსტანტინოპოლის პატრიარქი გენადი (458–471) და ანტიოქიის პატრიარქი მარტინიუსი (459–470).

და რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიის მფლობელობაში არ შედიოდა, ამდენად გა-მართლებულია, რომ საქართველოს საკა-თოლიკოსო, კათოლიკოსით სათავეში, ბი-ზანტიისაგან ეკლესიურადაც დამოუკიდე-ბელი ყოფილიყო.

3. ქართული ეკლესიის ადმინისტრაცი-ული სტრუქტურა. ჩვენ უკვე შევეხეთ სა-ქართველოში საკათოლიკოსო ეკლესიის ადმინისტრაციული იურისდიქციის საკით-ხებს, ამჯერად უნდა განვიხილოთ საეპის-კოპოსოთა სისტემა.

წყაროში დაცულია პირდაპირი ცნობე-ბი როგორც ახლად დაარსებული თორმეტი საეპისკოპოსოს ტერიტორიული განლაგე-ბის და საკათედრო ადგილების, ისე საკა-თოლიკოსო რეზიდენციის შესახებ: „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლე-სია მოციქულთა სუეტიცხოველი და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი, და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსისა.

და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარ-ჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს; ერთი კახეთს წუნდას; ერთი მან-გლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინონმიდას, უჯარმის კარსა, რომე-ლი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭერემს, მისსავე აღმენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა; ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯეს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გა-მართებით“.¹

როგორც ტექსტიდან ჩანს, საეპისკოპო-სო კათედრები ზოგი უკვე არსებულ ეკლე-სიებში დაუდგენიათ, ზოგისათვის კი ახლად აუშენებიათ. ასეთებია, რომელსაც ახლავს ფრაზა, „რომელი ვახტანგ აღაშენა“. შე-

საძლოა, დასახელებულს გარდა სხვაც იყო ახლად აშენებული და ისტორიკოსმა არ იცოდეს.²

კათოლიკოსის რეზიდენციისათვის აუ-შენებიათ მცხეთაში ახალი ეკლესია ძველი „დაცემულ ეკლესის“ ადგილას „მოცი-ქულთა“ სახელობაზე – „სვეტიცხოველი“. „სიონი დიდი“, ხოლო მცხეთაშივე ძვე-ლი ეპისკოპოსის საყდარი „მაცხოვრის“ („ღვთაების“) სახელობისა, უქცევიათ „საე-პისკოპოსოდ“.

როგორც კარგად ჩანს ახლად დაარსე-ბულ 12 საეპისკოპოსოს განლაგება ემთხვე-ვა იმდროის ქართლის ადმინისტრაციულ დაყოფას. თითოეული ადმინისტრაციული ერთეული – საერისთავო იმავე დროს ცალ-კე საეპისკოპოსო ერთეულია ანუ საეპის-კოპოსო „სამთავრო“. ეპისკოპოსები საგამ-გეო თლქების ქალაქებში სხედან. ზოგჯერ საეპისკოპოსო ერთი ქალაქითაც ითარ-გლება. დიდ საერისთავოებში, მათში შემა-ვალი თემების მიხედვით, რამდენიმე ეპის-კოპოსი ზის; ამდენად, საკათედრო ეკლე-სია სოფელ ადგილასაც გვხვდება.

ქვემოთ მოვყავს ქართლის ახლადდა-არსებული საეპისკოპოსოების სისტემა საერო ადმინისტრაციასთან შესატყვისო-ბის ჩვენებით.

1. ახიზის საეპისკოპოსო – კლარჯეთ-ში, ქ. ახიზის ეკლესია – კლარჯეთის საე-რისთავო.

2. ერუშეთის საეპისკოპოსო – არტან-ში, ერუშეთის ეკლესია – ძველი წუნდის საერისთავო, არტანის თემი.

3. წუნდის საეპისკოპოსო – ჯავახეთში, წუნდის ეკლესია – წუნდის საერისთავო.

4. მანგლისის საეპისკოპოსო – ქ. მან-გლისში, მანგლისის ეკლესია „შიდა ქართლის სასპასპეტო. საერისთავთასერისთავო“.

5. ბოლნისის საეპისკოპოსო – ქ. ბოლ-ნისში, ბოლნისის ეკლესია.

1. ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 198-199.

2. ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ძველ ცნობას სწორი ინტერპრეტაციით: „მირიანვე აღა-შენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაების სამთავრო ქვითკირისა გუნბათიანი დიდმშვენიერი და დაეფლა მუნ, ამან შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოსი და აწც ის მთავარ ეპისკოპოსი მწყემსი რეზულას ზეით დიდ ლიახ-ვამდე. ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვითკირითა. მუნვე დასვა კათალიკოსი“. ქართლის ცხოვრება. IV. გვ. 61.

6. რუსთავის საეპისკოპოსო – ქ. რუსთავში, რუსთავის ეკლესია – რუსთავის საერისთავო.

7. ნინოწმინდის საეპისკოპოსო – უჯარმის კარს ქ. ნინოწმინდის ეკლესია – მეფის სასახლე.

8. ჭერემის საეპისკოპოსო – ქ. ჭერემში, ჭერემის ეკლესია – კახეთ-კუხეთის საერისთავო.

9. ჩელეთის საეპისკოპოსო – სოფ. ჩელეთში. ჩელეთის ეკლესია – კახეთ-კუხეთის საერისთავო.

10. ხორნაბუჯის საეპისკოპოსო – ხორნაბუჯში, ხორნაბუჯის ეკლესია – ხორნაბუჯის საერისთავო.

11. აგარაკის საეპისკოპოსო – ხუნანში, აგარაკის ეკლესია – ხუნანის საერისთავო.

12. (მეთორმეტე, მცხეთის საეპისკოპოსოს შესახებ იხ. ქვემოთ).

საეპისკოპოსოთა ტერიტორიის კონკრეტული განსაზღვრისათვის უნდა მოვიშველიოთ შესაბამისი საერისთავოთა საზღვრები და ეპარქიათა შესახებ ნაწილობრივ გვიანი ხანის ცნობებიც. რომლებიც ძველ ტრადიციას ასახავენ.¹ სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არის დადგენილი არც საერისთავოების და არც ეპარქიების საზღვრები.

ზემოციტირებული ტექსტიდან ჩანს, რომ კათალიკოსობის დაწესების შემდეგ მცხეთა ორი იერარქიის რეზიდენციად გადაიქცა: კათოლიკოსის და ეპისკოპოსის, მთავარი ისაა, რომ ამ უკანასკნელის რეზიდენცია იქვე დარჩა, სადაც მანამდე მთელი ქართლის ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი) იჯდა, ოღონდ ახლა ის რიგითი ეპისკოპოსია თორმეტ ეპისკოპოსთა შორის.

ის ფაქტი, რომ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში საუკუნეების მანძილზე, ვიდრე XVIII ს.-მდე, მოქმედებდა მცხეთა-

ში (სამთავროში) მჯდომი „ქართლის მთავარეპისკოპოსი“, მონმობს რომ ვახტანგის დროს, კათოლიკოსობის შემოღებასთან დაკავშირებით, ძველი „მთავარეპისკოპოსი“ გაუქმდებული არ ყოფილა, და თვით ისტორიკოს ჯუანშერის მართებული აზრით, კათოლიკოსობის შემოღება გულისხმობდა არსებულ ქართლის ეპისკოპოსისაგან დამოუკიდებელი, ახალი და მასზე მაღლა მდგომი თანამდებობის დაარსებას და ა. შ. ეს ვითარება არის გამოხატული ქართლის ეპისკოპოსის მიქაელის მიმართ ნათქვამშიც: „მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება და აღეგზნენ შურითა“.²

ქართლის ეპისკოპოსის იურისდიქცია კათოლიკოსობის დაწყების შემდეგ, ცხადია შეიზღუდა, გვიან ხანაში, ვახუშტის დროს (XVIII ს.), „ქართლის მთავარეპისკოპოსის“ ეპარქია მცხეთაში „სამთავროს“ ფარგლებს არ სცილდებოდა, მასვე ეკუთვნოდა ტერიტორია „რეხულასა და დიდლიახვს შორის“.³

საქართველოს ერთიანი მონარქიის პერიოდში (ვიდრე XV ს.-მდე) ქუთაისის „ვაკის“ ერთი ნაწილი, ვახუშტის ცნობით, „ქართლის მთავარეპისკოპოსს“ ეკუთვნოდა, შემდგომში, ხონის საეპისკოპოსოს დაარსების დროიდან (XVI ს.), ეს ტერიტორია ხონის ეპისკოპოსის ხელში გადავიდა.⁴

როგორც ჩანს, ამაზე ადრე, საქართველოს ერთიანობის ხანაში, ვახტანგ გორგასალის დროს ვაკე, „მარგვეთი და თაკვერი“ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა, ჯერ მთავარეპისკოპოსის, შემდეგ კათოლიკოსისა. მომდევნო ხანაში მთავარეპისკოპოსს მხოლოდ „ვაკე“ შერჩა ვიდრე XVI ს.-მდე.

როგორც წყაროები გვაუწყებენ ვახტანგ გორგასალს ამ ერთდროული ღონისძიების შემდგომაც დაუარსებია ახალი საეპისკოპო-

1. ყველაზე უკეთ ეპარქია-სამწყსოთა საზღვრების შესახებ ცნობები დაცულია ვახუშტი ბაზინიშვილის ნაშრომში: „აღნერა საქართველოს“, ქართლის ცხოვრება, V, თბ., 1973.

2. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197. ქართლის ეპისკოპოსი მიქაელი რომ პირადი კონფლიქტის მსხვერპლი არ ყოფილიყო, ის კათალიკოსობის დაწესების შემდეგ გაძევებულ არ იქნებოდა, არამედ თავის ადგილას დარჩებოდა.

3. იხ. აქვე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა.

4. ვახუშტი, აღნერა საქართველოსი, 1911, გვ. 160.

სოები. მაგ., მითითებულია, რომ მას აუშენებია ნიქოზში ცეცხლისმსახურთა ტაძრის გვერდით ახალი ეკლესია, წმ. რაჟდენის საფლავზე, სადაც დაუსვამს ეპისკოპოსი.¹

ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოში, გარდა ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილი საერისთავოებისა, მოქმედებდა სხვა საერისთავოებიც. ასე მაგალითად, „სამშვილდის“, „ოძრხის“, დას. საქართველოში „მარგვეთისა და თაკვერის“. „შიდა ეგრისის და სვანთა“. ის ფაქტი, რომ სამშვილდისა და ოძრხის საერისთავოებში საეპისკოპოსო ეკლესიებს ვერ ვხედავთ ვახტანგის დროს, იმას მონწმობს, რომ ან ეს ტერიტორიები სხვა ეპარქიებში იყო გაერთიანებული, ან ამ ადგილებში ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მზად ეპისკოპოსისა და დადგენისათვის (ქრისტიანული მრევლის სიმცირე და სხვ.). რაც შეეხება „მარგვეთა და თაკვერს“, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიურად ისინი მცხეთას ექვემდებარებოდნენ. ამდენად, იქ ადგილზე ეპისკოპოსი არ იჯდა. შიდა ეგრისი და სვანეთი ამ პერიოდში ბერძნული ეკლესის მიტროპოლიტებს (ფაზისის, სებასტოპოლის და ა. შ.) ექვემდებარებოდნენ (ამ საკითხზე დაწვრილებით სათანადო თავში იქნება მსჯელობა).

ქართულ საეპისკოპოსოთა სისტემა ტერიტორიული განლაგების პრინციპით სრულიად ანალოგიური იყო ბიზანტიის გაბატონებული წესისა. აქაც და იქაც – საეკლესიო საზღვრები ემთხვეოდა სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საზღვრებს და ტერმინებიც საერო ადმინისტრაციიდან გადავიდა საეკლესიოში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებულად სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ ყოველ ცვლილებებს საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში (ქალკიდონის IV მს. კან. 13, 17 და სხვ.).

ქართული საეკლესიო ადმინისტრაციული სტრუქტურა არ იმეორებს ბიზანტიურს, რადგან ქართული საერო ადმინისტრაციუ-

ლი დაყოფა განსხვავდება ბიზანტიურისაგან. ჯერ ერთი, ბიზანტიური იცვლებოდა, მაშინ როცა ქართული დიდი ხნის განმავლობაში ერთნაირი დარჩა, ერთსაფეხურიანი.

ბიზანტიიში თუ ადრე, პატრიარქატის საბოლოო გამარჯვებამდე (V ს.), საეკლესიო კავშირის უმაღლესი საფეხური იყო მიტროპოლია, ე. ი. იყო ერთი საფეხური, პატრიარქატის ჩამოყალიბების დროიდან ორი საფეხური გაჩნდა: პატრიარქია და მასზე დამოკიდებული მიტროპოლია.

ქართული საეკლესიო სისტემა ერთსაფეხურიანი იყო იმიტომ, რომ სამოქალაქო ადმინისტრაციაც ასეთი იყო. V ს. ვახტანგ მეფის დროს, ერისთავები (მთავრები), როგორც ადგილობრივი ხელისუფალი, ექვემდებარებოდნენ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ერთ ხელისუფალს – ქართლის სპასპეტს, რომელიც იყო „მპყრობელი ერისთავთა“. შესაბამისად ამისა, ქართულ საეკლესიო წყობილებაში ადგილობრივი ეპისკოპოსები (ჯერ 12, შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა). ანუ საეკლესიო ერისთავები, ექვემდებარებოდნენ ერთ მაღალ საეკლესიო ხელისუფალს – „კათალიკოსს“ (როგორც „სპასპეტს“). საქართველოში საეპისკოპოსოები თავის მხრივ არ აერთიანებდნენ ხელქვეით ეპისკოპოსებს (როგორც ბიზანტიის მიტროპოლიტები აერთიანებდნენ ხელქვეით ეპისკოპოსებს). ამრიგად, ქართული საკათალიკოსო მთლიანად, სახელმწიფოს მასშტაბით, წააგავდა ბერძნულ დიდ საეკლესიო ეპარქიას (პროვინციას).

ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ ხელახლი დადასტურებანი საქართველოს ავტოკეფალიისა (VIII და XI სს.)

მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ V ს.-ში ავტოკეფალია მიიღო, ანტიოქიის ტახტს არაერთხელ უცდია ისევ მოექცია ის თავის უფლებაში, მაგრამ ყოველთვის, რაკი მიზანს ვერ აღწევდა, იძულებული ხდებოდა

1. შემდგომად მისა აღეშენა ეკლესია ნაქოზისა და საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ესკოპოსი, სადა იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტაზისა“. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

კვლავ და კვლავ დაემტკიცებია არსებული ავტოკეფალია.¹ გასაგებია, რომ ანტიოქიის საპატრიარქოში ყოველივე ეს ფორმდებოდა გარეგნულად როგორც ავტოკეფალიის ახალი ბოძებულობა. ამგვარი ვითარების ფაქტობრივი დადასტურებაა დღეს ჩვენს ხელთ არსებული ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ანტიოქიური ცნობა, რომელთაგან ერთის მიხედვით ქართული ავტოკეფალია სათავეს იღებს VIII ს.-ში, მეორის მიხედვით – XI ს.-ში, ანტიოქიის საპატრიარქოში საკითხის კვლავ და კვლავ წამოჭრა, უეჭველია, მჭიდროდ უკავშირდებოდა ზოგადად ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელიც თავის ასახვას პოვებდა საეკლესიო სფეროში. საბოლოოდ ეს იყო ჭიდილი ორ დიდ ეკლესიას შორის არა დოგმატური, არამედ იერარქიულ-ადმინისტრაციული წყობილების ირგვლივ.

XI ს.-ის მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერსა და მწერალს, ანტიოქიაში შავ მთაზე მოღვაწე ეფრემ მცირეს თავის ნაშრომში გადმოღებული აქვს ანტიოქიაში შედგენილი „ქრონოგრაფიდან“ ცნობები, რომლებიც საქართველოსათვის ავტოკეფალიის ბოძებას შეეხება VIII ს.-ში. ეს „ქრონოგრაფი“ (ბერძნულ ენაზე) მოღწეული არ არის, მაგრამ მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს, რადგან იმავე „ქრონოგრაფიდან“ იგივე ცნობები თავის „პანდექტებში“ გამოუყენებია იქვე მოღვაწე ეფრემ მცირის თანამედროვე ნიკონ შავმთელს. „პანდექტების“ სლავურმა თარგმანია (შესრულებულია XII-XIII ს.-თა მიჯნაზე) მოაღწია ჩვენამდე.

ვიდრე „ქრონოგრაფის“ ცნობებს გავარჩევდეთ, მოვიტანოთ თვითონ ეფრემისეული ქართული და სლავური თარგმანები (იგულისხმება თავისუფალი თარგმანი).

„დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესა, მოვიდეს ქართლით

მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჭობითა კრებულისაითა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გახსნითი, რაითა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდიან უამად-უამადსა კათოლიკოსა ქართლისასა, რაიცა საღმრთომან მადლმან უჩინოს უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესისათა თანადგომითა და წამებითა ერისთაითა წესთაებრ საეკლესიოთა, და შეექმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის და ხელთ დასხმული იყო ერთი-ორთა მათ მისსა მივლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე მის უამისა კათალიკოსად მათდა. და ზემო ხსენებულისა მის წილ ათასისა კუამლისა და დაუნესა მათ, რაითა წლითწილად მისცემდნენ უამად უამადთა პატრიარქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჟკანსა, რომელ იგი მიეცემოდა ვიდრე დღეთამდე იოანე წმიდისა და პატრიარქისათა, რამეთუ მან ანიჭა იგი ორესტის წმიდასა პატრიარქსა იერუსალიმისასა, რომელი მივიდოდა მოციქულად ბასილის თანა მეფის ბერძენთაისა, რაითა მისსა საყდარსა მიეცემოდის ქართველთა მიერ. და მიერ დღითგან დაეწესა, რაითა მოხსენებაი ოდენ სახელისა აქუნდეს ქართველთა შორის ანტიოქელსა პატრიარქს. და უკეთუ ოდესმე გამოჩნდეს წვალებაი, მაშინდა მიავლინებდეს მუნ ეგზარხოსა განხილვად

1. ანტიოქიის ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია მსგავსი სხვა მაგალითიც. V ს.-ში ანტიოქიის ეკლესია ცდილობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის დაქვემდებარებას, საკითხი კვიპროსის სასარგებლოდ სრულიად მკაფიოდ გადაწყვიტა ეფესის III მს. კრებამ (431 წ.) რომელმაც ცნო კვიპროსის ეკლესიის კანონიერება და მისცა მას მტკიცე გარანტია ამ კრებაზევე საერთოდ ავტოკეფალური ეკლესიების ძალით დამორჩილება უკანონოდ იქნა მიჩნეული. ამ საფუძველზე გარანტია გაეცათ სხვა მოქმედ ავტოკეფალურ ეკლესიებსაც (კან. 8) ამის მიუხედავად, იმავე საუკუნის 80-იან წლებში და XVI ს.-ში ანტიოქიის საპატრიარქო კვლავ შეეცადა კვიპროსის დამორჩილებას, მაგრამ პრეტენზია უარყოფილ იქნა.

და განმართვად წვალებათა და ხდომათა სულიერითა, ვითარ იგი ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა წარივლინა ბასილი ლრამატიკოსი წვალებისათვის აკავისაითა“.¹

„Яко при Константине Царе Копрониме, Патриарху сущу блаженному Феофилакту, яко в нужди суть христиане сел Иверских, не имуща соборного Епископа от дний блаженного Анастасия священномуученика Патриарха Антиохийского не поставлен бысть им Архиепископ соборный, остроты ради путныя, и за еже не смети кому Агарян ради мимо ходити. И сборным судом своим Митрополит и Архиепископ и Епископ повелительное писание дать Иверам, поставляться от Епископа предала его, иж дни тиа соборному Архиепископу Иверскому. По еже быти избранию от них, и сотворити и жребии и по жребию, идже божественная благодать объявит поставить того, по церковному уставу, и сотворша написание воспоминание о том сшедшися собор и запечатлев дать им, и постави единого от единаго от обою посланию монаху Ивана именем. Бяху же села Патриархови в Иверии тысяча изначала установлена, и устава даяти на каждо лето по времени Патриархом дан от тех сел его златник тысячу окупления ради ароматом святого мира. И на всяко лето даяхуся, дажь до Ивана святого Патриарха Иерусалимского при Оресте Святейшем Патриархе Антиохийском, идущу ему на моление Кир Василию. Установлено бысть воспоминание имени Патриарху Антиохийскому единому в Иверии, и посыпать Екзарха на посещение о ересах и истязание о душевных соблазнах и взимать уражденая от сей онох“.

ისტორიოგრაფიულმა კვლევამ ჯერ კიდევ XX ს.-ის დასაწყისში გაარკვია, რომ ანტიოქიური ცნობების სიტყვასიტყვით ჭეშმარიტებად მიღება არ შეიძლება, მანვე მართებულად დაინახა ამ ცნობების მთავარ ღირებულებად ის, რომ ისინი ადასტურებენ ანტიოქიის საპატრიარქო კრების დადგენილების არსებობას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ადასტურებენ დადგენილებას ავტოკეფალიის კანონიერებაზე). ყოველივე ეს დღესაც მისაღებია.

„ქრონოგრაფის“ ცნობები დეტალურად განიხილა ნ. მარმა, რომელმაც დაასაბუთა, რომ ამ წყაროში ბევრი რამ ტენდენციურია, ანაქრონიზმებია, დამატებებია, და ა. შ. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ეს ძეგლი 300 წლით მაინც შორავს აღნიერილ ფაქტს, მოგვითხრობს აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ამბებს, რომლებიც თითქოს X-XI ს.-თა მიჯნაზე მოხდა. აქ ჩვენ მოკლედ გადმოვცემთ ნ. მარის მიერ ჩატარებულ ისტორიულ-კრიტიკულ მიმოხილვას, რომელსაც ბევრს ვერაფერს დავუმატებთ.

„ქრონოგრაფის“ ცნობა იმის შესახებ, რომ ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის (602–610) დროიდან ქართველების გამგზავრება ანტიოქიაში შეწყვეტილი იყო „აგარიანთაგან გზის სიძნელის“ გამო, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან არაბებმა ანტიოქია დაიპყრეს 638 წლიდან, ხოლო საქართველოში არაბები გამოჩნდნენ 642–643 წელს. ამრიგად, ამ ცნობაზე დამოკიდებული ის ცნობაც, რომ ანასტასიდან მოყოლებული ვიდრე თეოფილაქტემდე (ე. ი. ას წელზე მეტი წელი ხნის განმავლობაში) ანტიოქიაში კათოლიკოსები არ კურთხეულან, მანამდე კი იკურთხებოდნენ, სინამდვილეს არ შეეფერება და უკუგდებული უნდა იქნეს.

ტექსტის თხრობა წინააღმდეგობრივია იმ მხრივ, რომ თუკი თეოფილაქტემ ქართლში კათოლიკოსის კურთხევის წესი დააკანონა და ამაზე დადგენილებაც გამოიტანა, თვითვე იქვე დაარღვია იგი, რადგან მან ქართლის კათოლიკოსი ამ კრებაზე აკურთხა, რის საჭიროება სრულებით არ იყო. „ქრონოგრაფში“ მცდარად არის გადმოცემული მირონის საკითხი, რადგან, როგორც ქართული წყაროებით გამორკვეულია, ქართლი მირონს იღებდა იერუსალიმიდან და მხოლოდ IX ს.-ის 40-იან წლებიდან მიიღო მისი დამზადების უფლება იერუსალიმის პატრიარქისაგან, რისი ინიციატორი და საქმის მოგვარებელი იყო ანურის ეპისკოპოსი ეფრემი. ყოველივე ამის გამო უკუსავდებია „ქრონოგრაფის“ ყველა ცნო-

1. ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონი საძიებლებით დაურთოთ. ბრეგაძემ, თბილისი, 1959, გვ. 9-10.

ბა, რაც მირონთან არის დაკავშირებული: თითქოს საქართველო ანტიოქიას უხდიდა მირონისთვის 1000 დრაჟეანს და ა. შ. არც ის მართლდება, თითქოს ანტიოქიის პატ-რიარქის მოხსენიება დაწესდა და მას იხსე-ნიებდნენ საქართველოში წირვა-ლოცვაში. ვერავითარ დადასტურებას ვერ პოულობს „ქრონოგრაფის“ ცნობა, თითქოს საქარ-თველოში ერესების წარმოშობის შემთხვე-ვაში ანტიოქიდან ეგზარქოზების გამოგ-ზავნა დაადგინეს და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „ქრო-ნოგრაფის“ ცნობებში რჩება მხოლოდ მთა-ვარი ბირთვი, რომელიც 6. მარმა შემდეგ-ნარად ჩამოაყალიბა:

„Во дни (императора) Константина Копрона-
дима (741–775) в патриаршество Фиофилакта
(745–751) в Антиохию явились грузинские послы
(по вопросу о католикосе), а Антиохийский Пат-
риарх Феофилакт, на основании решения собора,
вместе с своими Архиепископами и Митрополитами
и Епископами дал грузинам „протрептикон“, т. е.
разрешительную грамоту, чтобы епископами из их
пределов рукополагался, смотря на потребности
времени, Католикос Грузии, тот, кого укажет
им Божья благодать и кого выберут друзья той
церкви с помощью и свидетельством епископом по
церковным канонам“.¹

ენელია ამ ცნობების ისტორიულობაში ეჭვი შევიტანოთ. აյ მაინც – თხრობა საკ-
მაო ნიშანდობლივობით არის გადმოცემუ-
ლი, რომელიც მხოლოდ ის შეიძლება დავი-
ნახოთ, რომ VIII ს.-ში ანტიოქიის საეკლესიო
კრების დადგენილებით დადასტურდა ქარ-
თული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებე-
ბი. კონკრეტულად რამე ცნობა იმის შესახებ
თუ რატომ, რასთან დაკავშირებით დაისვა
აღნიშნული საკითხი VIII ს.-ში, არც „ქრონოგ-
რაფში“ და არც სხვა წყაროში არა გვაქვს.
აյ მხოლოდ შეიძლება ვარაუდი გამოითქვას,
რომელზეც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცნობილი კანონისტ-იურისტი თეოდორ
ბალსამონი კონსტანტინოპოლის მეორე მსოფ-
ლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის კო-
მენტარში წერს:

„Если же находишь и другие независимые (автокефальныи) церкви, как-то: болгарскую, кипрскую и иверскую, не удивляйся этому... А Архиепископа Иверского почтило определение антиохийского собора. Говорят, что во дни гос-
подина Петра, святейшего патриарха Феополя, т. е. Великой Антиохии, было соборное рас-
поряжение о том, чтобы церкви иверские, под-
чиненные тогда патриарху антиохийскому, была
свободною и независимою (автокефальною)“.²

თ. ბალსამონის ცნობით საქართველოს
ეკლესიამ „ავტოკეფალია“ მიიღო ანტიო-
ქიის პატრიარქის პეტრეს დროს (იგულის-
ხმება პეტრე III, 1052–1056), კრების დად-
გენილებით, ამ დრომდე საქართველოს ეკ-
ლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიას. ბალ-
სამონის ეს ცნობა თუმცა დოკუმენტური
მნიშვნელობისაა, მაგრამ მისი ჭეშმარიტე-
ბა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ და-
დასტურებულია ფაქტი ანტიოქიის კრების
დადგენილებით ქართული ეკლესიის ავ-
ტოკეფალიის დამტკიცებისა. შემონახული
გვაქვს ქართული წყაროები, რომლებიც
დოკუმენტური კონკრეტულობით ავსებენ
ბალსამონის ცნობებს იმ საკითხზე, თუ რა
ნიადაგზე, როდის და სად წარმოიშვა ან-
ტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიები ქარ-
თული ეკლესიის დასამორჩილებლად.

რაც შეეხება ბალსამონის მცდარ გან-
ცხადებას, პეტრემდე (XI ს.-მდე) საქარ-
თველოს ეკლესია ანტიოქიას ემორჩილე-
ბოდა, იგი კარგად ასახავს ანტიოქიის
მმართველთა მისწრაფებას დაექვემდება-
რებინათ საქართველოს ეკლესია. ამ წრის
თვალსაჩინო წარმომადგენელი ხომ თვი-
თონ ბალსამონი იყო, როგორც ანტიოქიის
პატრიარქი (1185–1191).

1. Православный палестинский сборник, 16-й выпуск, СПб, 1889, стр. 47-48.

2. მკვლევართა სხვა დასკვნები განსაზიერებელი არ არის, მაგალითად 6. მარი თვლიდა, რომ ქართული
ეკლესია თავისი მდგომარეობით ავტოკეფალური გახდა VI ს.-ის ბოლოს, მაგრამ სიმპერიო ეკლესიური
თვალსაზრისით მან ავტოკეფალია მიიღო მხოლოდ VIII ს.-ში კრების დადგენილების ძალით; კ. ცინცაძე
ამტკიცებდა, რომ ავტოკეფალია ქართულმა ეკლესიამ პირველად მიიღო VIII ს.-ში, ზოგიერთი მკვლევარი
XI ს.-დან იწყებდა და ა. შ.

ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ ანტიოქიის მახლობელ სავანეებში. XI ს.-ის II ნახევარში განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა შეიქნა ქართველ და ანტიოქიელ ბერებს შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ უნდოდათ 60 ქართველი ბერი სრულიად გამოეძევებინათ სვიმონწმიდის მონასტრიდან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მიზნის მისაღწევად ბერძენმა სამღვდელოებამ იმ დროისათვის მეტად მკვეთრ საშუალებას მიმართეს. ქართველებს არამართლმადიდებლობაში დასწამეს ცილი, მწვალებლებად გამოაცხადეს და დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავეს. სრულიად ნიშანდობლივი გარემოებაა იმ პერიოდში ქართველებისათვის ასეთი ბრალდების წაყენება, რადგან ეკლესიების გათიშვა დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიებად უკვე დაწყებული იყო. ანტიოქიის პატრიარქი თევდოსი, როგორც მოთხრობილია ამ ამბის თვითმხილველის, ქართველი გიორგი მცირის ნაშრომში, მალე დარწმუნებული ბრალდების უსაფუძვლობაში. მას თავისთან მოუხმია იქ მყოფი ქართველი გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც თავისი მართლმადიდებლობის დასამტკიცებლად „მრწამსიც“ კი უთქვამს მის წინაშე.

მოწინააღმდეგე მხარემ ბოლოს დავა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის არაკანონიერების მტკიცებაზე გადაიტანა. გიორგი მცირის ნაშრომში, სადაც ამ ამბების შესახებ მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია მოთხრობილი (ის ეპიზოდები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული), კარგად ჩანს, რომ ქართული ეკლესიის უფლებრივობაზე იქ ატებილი დავა დიდი ხნის მომზადებული პრობლემა იყო და მოდავენიც ყოველმხრივ მზად იყვნენ მისთვის.

საქართველოს ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე დასმა ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსს (1057–1059) მოახსენა, „ვითარ ასე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღუდელ-მოძღვანი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და არა სამართალ არსეს, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგა-

ნი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა. და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმერთისა და საყდარსა დაემორჩილნენ... რამეთუ ნათესავი არს უმეცარი... და ჩუენდა მახლობელად არიან და ჯერ არს, რათა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრიარქისა იმწყესებოდინ და აქა იკურთხებოდის კათალიკოსი მათი“.

ანტიოქიის პატრიარქმა ქართული ეკლესიის დაქვემდებარება მშვიდობიანი და შეთანხმების გზით აირჩია. ამისათვის მან თავისთან დაიბარა გიორგი მთაწმინდელი და კეთილად ურჩია მას ჩაეგონებინა საქართველოს მეფისათვის ამ საქმის ასე გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში პატრიარქი გიორგის დაემუქრა, ამ თქვენს ურჩიობას ვაცნობებ თოხ მსოფლიო პატრიარქს, რომ თქვენ „სამოციქულო კანონების“ წინააღმდეგ, თვითნებურად გაქვთ „თვითმწყსობა“ (ავტოკეფალია) და იმდენს ვიზამ, თქვენი მეფე თავის ფეხით აქ ჩამოვიდეს და ამაზე შემომეხვენოსო.

საქართველოსათვის და ქართული ეკლესიისათვის წაყენებული ბრალდება მეტად მძიმე იყო, რადგან „სამოციქულო კანონების“ გარეშე ეკლესიის გამართვა მწვალებლობას და კათოლიკე ეკლესიისაგან ჩამოშორებას წიშნავდა. ქართველთა მხარეც, ჩანს, სათანადოდ იყო მომზადებული ბრალდების უკუსაგდებად. საკითხის განხილვა საპატრიარქო კრებაზე მოხდა, სადაც გიორგი მთაწმინდელმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება. კრებები მიმდინარეობდა პეტრესა (1052–1056) და თეოდოსის (1057–1059) პატრიარქობის დროს. გიორგი მთაწმინდელთან, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, ორთავე პატრიარქს არაერთხელ ჰქონია საუბარი ქრისტიანულ დოგმებსა და ქართული ეკლესიის საკითხებზე. ერთ-ერთი ოფიციალური საპატრიარქო კრების დროს გიორგიმ წიგნიდან „წმიდა აპოსტოლთა მოგზაურობა“ დამსწრეთ წაუკითხა ადგილი საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოგზაურობის შესახებ, და დაუმტკიცა, რომ ქართველები „ანდრია პირველწოდებულის მოქცეულნი და განათლებულნი“ ვართო და ამასთან ათორმეტ მოციქულთაგანი სვიმონ კანანელი „ქუეყა-

ნასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფისი ეწოდების“, გარდა ამისა, გიორგი მთანმინდელმა დამსწრეთ მოაგონა ის ფაქტიც, რომ როცა მთელს საბერძნეთში მართლმადიდებლობა შერყეული იყო ხატმებრძოლობით, მაშინ „იოვანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსადო“. გიორგიმ დამსწრეთ გაბედულად უთხრა: „თქვენ თქვენი თავი „ბრძენ და მძიმედ მიგაჩნიათ“ ჩვენ კი „მსუბუქად“ და „უმეცრად“ გვიყურებთ, მაგრამ არც ასეა საქმეო“. როგორც კრების თავმჯდომარის ანტიოქიის პატრიარქის საბოლოო სიტყვებიდან ჩანს, კრებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება დაუდასტურებია. პატრიარქი იმდენად ზედმინევნით დარწმუნებულა გიორგის დასაბუთებაში, ნახევრად ხუმრობით განუცხადება: საკმარისია, თავი დავანებოთ ამ ბერს, რათა ჩვენ კი არა, პირიქით, მან არ დაიკვემდებაროს და დაიმრევლოს ჩვენი ეკლესიაო.¹ აი, სწორედ ეს კრება უნდა ვიგულისხმოთ ბალსამონის მიერ მითითებულ პატრიარქ პეტრეს დროინდელ კრებაში, რომელმაც ბალსამონის თქმით, საქართველოს ავტოკეფალია მისცა.²

საქართველოს საპატრიარქო და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მისი ადგილი (XI ს.)

საქართველოს ეკლესიის პირველი მამა-მთავარი, რომელსაც ეწოდა „კათალიკოს-პატრიარქი“, იყო მელქისედეკ I (1010–1033).

მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული შეწირულობის საბუთში წერს:

„ესე დაწერილი მოვახსენე და შევწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულესს-უდიდებულესსა წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა... ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან მელქისედეკ...“³ საქართველოს ეკლესიას კათოლიკოს-პატრიარქს მსოფლიო პატრიარქთა შორის ეჭირა მეექვსე ადგილი (იგულისხმება რომის პაპის ჩათვლით). დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა გამოყოფის შემდეგ (XI ს.) საქართველოს ეკლესიას ეკავა მე-5 ადგილი, ხოლო XVI ს. დასასრულს, როდესაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას მიანიჭეს მე-5 ადგილი, საქართველოს ეკლესიამ დაიკავა მე-6 ადგილი, რომელიც უჭირავს დღემდე.

საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მეექვსე ადგილის შესახებ ცნობა დაცულია XIII ს.-ის ერთ დოკუმენტში (1259 წ.): „...ჩვენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სუეტის ცხოველის მეექუსია პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვწერ“.⁴ ქართული ეკლესიის უმაღლესი საჭეთპყრობელის მიერ „პატრიარქის“ წოდებულობის მიღების რამე ოფიციალური გადაწყვეტილების შესახებ ცნობა შემონახული არ არის და არც არის მოსალოდნელი, რადგან მაშინ, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი რამ არ ხდებოდა. „პატრიარქის“ სახელით შეიძლებოდა ესარგებლათ, ამით არ მოხდებოდა კანონის რამე დარღვევა. ბიზანტიაში „პატრიარქის“ ტიტული თანდათან დაისაკუთრა ოთხმა ავტოკეფალურმა ეკლე-

1. Н. И. Mapp, Исторический очерк Грузинской Церкви, журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия. Том III, СПб, 1907, Журнал № 5, 2 дек., 1906, стр. 130–133.

2. Правила святых вселенских соборов с толкованиями, часть I, Москва, 1877, стр. 85–87.

„ნუ გაიკვირვებთ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვით ავტოკეფალურად, როგორც მაგალითად: ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსის და იბერიისას... ხოლო იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“. გეორგიკა, 8, თბილისი, 1970, გვ. 18.

3. გიორგი მცირე, ცხოვრებად გიორგი მთანმინდელისად. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 150–153.

4. ძეგლები, II, გვ. 152.

სიამ: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის; მხოლოდ გვიან შემოვიდა წესად კრების გადაწყვეტილებით პატრიარქის სახელის მიღება.

„პატრიარქის“ ტიტული მცხეთის საკათოლიკოსომ მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც საქართველოს ეკლესია გაფართოვდა და შეიძინა ბერძნული საპატრიარქოს გარეგნული ნიშნები. როგორც ჩანს, ეს არ იყო უცხო და საპრეტენზიო არც ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისათვის. მელქისედეკ I, რომელმაც პირველმა ისარგებლა ამ წოდებით, ბიზანტიაში იმპერატორის კარზე: ბასილთან (970–1025), კონსტანტინესთან (1025–1028) და რომანოზთან (1028–1034) მიღებული და დაფასებული პიროვნება იყო, მათგანვე მელქისედეკმა მიიღო მატერიალური დახმარება და შენირულებანი მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის, მიიღო სოფლები ბიზანტიის ტერიტორიაზე დ სხვა.

საქართველოს საპატრიარქოს დაარსება დაემთხვა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას X ს.-ის დასასრულს, როცა ჩამოყალიბდა „ქართლის“ მაგიერ „ყოველი საქართველო“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი „ყოველი საქართველოს“ ეკლესიური გამგებელი იყო. საქართველოს საკათოლიკოსო ემყარებოდა ეთნიკურ-პოლიტიკურ პრინციპს. საპატრიარქო კი დაემყარა ტერიტორიულ-პოლიტიკურ პრინციპს, ქართველი პატრიარქის ტიტულატურაში გაჩნდა ისეთივე ფორმულა, როგორც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში – მამამთავარი „აღმოსავლეთისა“. ქართველი პატრიარქი XI–XIII სს.-ში ახორციელებდა ერთიან ქართულ სახელმწიფოში ერთიანი ქართული ეკლესიის მესაჭიობას „ნიკოპიიდან (სოჭასა და ტუაფსეს შორის) დარუბანდამდე (კასპიის ზღვამდე)“. მას ეკლესიურად ექვემდებარებოდა საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ მყოფი ქვეყნებიც: დასავლეთ ალანია (ოსები).

საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა მართლმადიდებელი სომხუ-

რი ეპარქიები, „სომხეთის მიტროპოლიტის“ მეთაურობით, „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) ანუ „ბიჭვინთის კათოლიკოსი“, რომელიც თავის მხრივ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ საეპისკოპოსოებს იქვემდებარებდა. მცხეთის პატრიარქი აფხაზეთის კათოლიკოსისათვის გახდა „მამა“, თვით აფხაზეთის კათოლიკოსი „უმრწმემესი“ (უმცროსი) კათოლიკოსი. ამათ გარდა, მთლიანად, საქართველოს საპატრიარქოში XI ს.-დან შედიოდა შემდეგი ცალკე საეპისკოპოსოები: ბოლნისის, დმანისის, რუსთავის, თბილისის, სამთავროს, წილკის, სამთავისის, ნიქოზის, ურბნისის, რუსის, წალკის, ჩელთის, გიშის, ბოდბის, ნინოწმინდის, ნეკრესის, ალავერდის, კუმურდოს, ერუშეთის, ანჩის, დადეშის, ტბეთის, იშხანის, ანყურის, წყაროსთავის, ბანას, ანისის, ვალაშკერტის, კარის, ქუთაისის, ნიკორწმინდის, ჭყონდიდის, ბედის, მოქვის.

საქართველოს საპატრიარქო XIX საუკუნიდან დღემდე

XIX ს.-ის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას, შეერთების ფაქტი დაადასტურა რუსეთის იმპერატორების პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტებმა. 10 წლის შემდეგ, 1811 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქართულ ეკლესიას წაერთვა დამოუკიდებლობა და დაქვემდებარებულ იქნა რუსული ეკლესის „უწმიდესი და უმართებულესი სინოდისადმი“, ეს აქტი კანონიკურად გამართლებული არ იყო, აქედან მოყოლებული საქართველოს ეკლესიურად მართავდნენ რუსი ეგზარქოსები.

საკითხი გადაიჭრა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს მცხეთის საკათედრო ეკლესიაში აღდგენილი იქნა ქართული ეკლესიის კანონიერი ავტოკეფალია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი (საძაგლიშვილი).

საქართველოს ეკლესიის დიდი რეფორმატორი*

დიდი რეფორმატორის, ქართლის მეფის, ვახტანგ I გორგასლის (\approx 450-502) მიერ განხორციელებულმა ფუნდამენტურმა საეკლესიო რეფორმამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სუვერენიტეტსა და საკათალიკო-სოს დაფუძნებას, არა მარტო განსაზღვრა საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარების მაგისტრალური გზა, არამედ წარუშლელი გავლენა მოახდინა ქვეყნის შემ-დგომ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV ს.-ის 30-იან წე.-ში გამოცხადდა. ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული წარმართული რელი-გიური ტრადიციებისა და სამხრეთ კავკასიაში ზოროასტრული სპარსეთის გავლენის მიუხედავად, ქართლის ეკლესია მატერიალური და პოლიტიკური თვალსაზრისით მოკ-ლე დროში ისე გაძლიერდა, რომ შეძლო, თავისი ინტერესების დასაცავად დაპირისპი-რებოდა საერო ხელისუფლებას. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საერო და საეკლესიო ხელისუფლების თანაარსებობის ერთ-ერთი ყველაზე ემბლემატური გამო-ხატულებაა კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და ქართლის ეპისკოპოსს, მიქაელს შორის, რომელიც წინ უსწრებდა საეკლესიო გარდაქმნების დაწყების პერიოდს. მეტიც, ზოგიერ-თი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროს მიხედვით, განხეთქილებამ ერთგვარი პიძგი მისცა რეფორმას, თუმცა, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული საბუთები უთანხმოების გამომწვევი მიზეზების შესახებ ხშირად ურთიერთგამომრიცხავ, არცთუ იშვიათად კი განზრახ გვანვდის ბუნდოვან ცნობებს და ძნელი ხდება იმის დადგენა, რამ განაპირობა კონფლიქტი: პიროვნულმა, რელიგიურმა და პოლიტიკურმა უთანხმოებამ, თუ – სამივემ ერთად.

რეფორმის შესახებ არსებული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები მათი წარმო-მავლობისა და ხასიათის მიხედვით ხუთ ჯგუფად იყოფა: 1) ჯუანშერის (VIII ს.) „ცხოვ-რება ვახტანგ გორგასლისა“¹ და ქვემო ქართლის მკვიდრის, სომეხი მონოფიზიტი მთარ-გმნელის მიერ XII ს.-ის მეორე ნახევარში შესრულებული² „ქართლის ცხოვრების“ მოკლე სომხური თარგმანი³; 2) ვახტანგი ბატონიშვილის (1696-1757) „აღწერა სამეფოსა საქარ-თველოსა“⁴; 3) „მოქცევად ქართლისას“ შატბერდული და ჭელიშური რედაქციები (IX ს.)⁵; 4) „წინოს ცხოვრების“ ორი – XII ს.-ის არსენ ბერისეული და XIII ს.-ის ანონიმური – მე-

* წინამდებარე ნაშრომი საგანგებოდ მომზადდა უურნალისთვის „ჯვარი ვაზისა“. მასში მოკლედაა გადმო-ცემული განსახილველი საკითხის შესახებ ჩვენი ორი ვრცელი გამოკვლევის უმთავრესი შედეგები. პირველი სტატიის სახით დაიბეჭდა რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის უურნალში „Orientalia Christiana Periodica“ (ქრისტიანული აღმოსავლეთის უურნალი) 2012 წ.-ის 78-ე ნომერში (გვ. 393-438): *La riforma ecclesiastica di Vaxt'ang I Gorgasali, re di Kartli († 502)* (ქართლის მეფის, ვახტანგ I გორგასლის საეკლესიო რეფორმა), ხოლო მეორე 2018 წ.-ს მონოგრაფიის სახით დასტამბა ამავე ინსტიტუტმა სერიით „Orientalia Christiana Analecta“ (ქრისტიანული აღმოსავლეთის კრებული) 303-ე ნომრით: *Vaxt'ang I Gorgasali re di Kartli. Alle origini dell'autocefalia della Chiesa ortodossa di Georgia* (ქართლის მეფის, ვახტანგ I გორგასალი. საქართველოს მართლმადი-დებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სათავეებთან).

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 139-244 (შემდგომში ყველგან: ქართლის ცხოვრება, 1).

2. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გა-მოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ , თბ., სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953, გვ. 015-016 (შემდგომში ყველგან: ძველი სომხური თარგმანი).

3. ჯამანით պუსტიქების ქართული ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1884 (შემდგომში ყველგან: ჯამანით პუსტიქების ქართული ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1884).

4. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 4, თბ., სახელგამი, 1973 (შემდგომში ყველგან: ქართლის ცხოვრება, 4).

5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ , თბ., მეცნიერება, 1963, გვ. 81-163 (შემდგომში ყველგან: ძეგლები, 1).

ტაფურასული ვერსია (XI-XIII სს.)¹; 5) „სიტყვისგებად მართლმადიდებელთა აღსარებისა“ ანტიოქიის სამგზის ეპისკოპოსის, პეტრე მთელავის (469, 475-478, 485-489), ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „მყაწრვალის“ შესახებ². საკვლევი პრობლემის შესახებ ყველაზე სრულყოფილად და დაწვრილებით მოგვითხრობს ჯუანშერი, „სიტყვისგებადს“ ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გარკვევა, ხოლო ყველა დანარჩენი წყარო კონფლიქტის შესახებ მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ ცნობებს შეიცავს.

კერძოდ, ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ პონტიუმი გამართული სამთვიანი ბრძოლების შემდეგ ქართველთა და სპარსთა ლაშქარმა „მიუწია [...] ვიდრე ქალაქისა მის კოსტანტინისა“, სადაც ვახტანგმა გაიცნო გრიგოლ ღმრთისმეტყველის (განმანათლებლის) საფლავის მღვდელი, პეტრე, და სამოელ მონაზონი. იმავე ღამეს მეფემ, პეტრემ და სამოელმა იხილეს ერთნაირი სიზმარი-გამოცხადება, რომელიც სამ რამეს წინასწარმეტყველებდა: 1) გრიგოლი „ეპისკოპოსთა მთავრობას“ უბოძებდა პეტრეს, რომელიც სამოელს ეპისკოპოსად დაადგენდა; 2) იმპერატორი ვახტანგს ცოლად გააყოლებდა თავის ასულს და დაუბრუნებდა „ყოველსა საზღვარსა ქართლისასა მისგან უკმოლებულსა“; 3) ხოლო თავად ვახტანგი „გვირგვინს წამებისა“ დაიდგამდა „ბრძოლასა შინა“³.

მეორე წინასწარმეტყველება უმაღ აღსრულდა: იმპერატორმა და ქართლის მეფემ „[...] ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი, და განაგეს საქმე წინდობისა. და უკუმოს-ცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და წევნი რომელი მოსდგმანან ღადოთა. [...] და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“⁴, ვახტანგმა განაწესა ახლად შემოერთებული მიწების განმეგებლობა და ქართლს მოვიდა, „ხოლო მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა“⁵.

პირველი წინასწარმეტყველება მოგვიანებით ახდა, ანუ მას შემდეგ, რაც მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენებისა და ბიზანტიის იმპერატორთან და სპარსთა ახალ შაპთან რთული მოლაპარაკებების შედეგად, ვახტანგმა შაპს ცოლად უბოძა თავისი და, მირანდუსტი, „ექუს თუე განცხრომითა და განსუენებითა მოუწდომელითა“⁶ სამეფო ქორწილის გადახდის შემდეგ დახმარა სიძეს აჯანყებული ხალხების დამორჩილებაში და რვანლიანი ომის მერე დაბრუნდა სამშობლოში, სადაც დიდი ხნის წინათ პონტიუმი გამოცხადებულ წინასწარმეტყველებას შეასხა ხორცი.

კერძოდ, სპარსეთიდან გამომგზავრების წინ ვახტანგმა იმპერატორთან „[...] წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრესთვს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა. [...] და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან [მიქაელ], ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად [...]“⁷. ცნობილია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ: ეპისკოპოსმა მეფეს ბრალი დასდო ქრისტიანობის დატევებასა და ცეცხლთაყვანისმცემლობაში, მეფემ ბრალდება უარყო, თუმცა, დაუდასტურა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მოყვანა. მიქაელმა მოინდომა, „შფოთით“ დაებრკოლებინა მეფის ჩანაფიქრის განხორციელება, „კრულ ყო მეფე და ყოველნი

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 3 (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), თბ., მეცნიერება, 1971, გვ. 7-83 (შემდგომში ყველა: ძეგლები, 3).

2. Л. Меликет-Бек, Грузинский извод сказания о посте *араджавор*, ურნ. „Христианский Восток“ 5 (1917), გვ. 85-96.

3. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 159-199.

4. იქვე, გვ. 177.

5. იქვე, გვ. 178.

6. იქვე, გვ. 187.

7. იქვე, გვ. 196.

სპანი მისნი“, ხოლო მეფე მოთმინებით ეახლა ეპისკოპოსს, „[...] გარდავდა საწედარსა, რათამცა შეემთხვა ფერწოთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან [მიქაელ] ფერწი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“¹. მეფემ დაითმინა ტკივილი და შეურაცხყოფა, გაბუდაყებული ეპისკოპოსი იუდას შეადარა, „ვერცხლის მოყუარე“ და „მეგუადრუცე [...] ქრისტესი“ უწოდა, თუმცა, თავად არ დაუსჯია: განსასჯელად „[...] პატრიაქისა კოსტანტინეპოლედ [...] წარსცა [...] დიასპანთა, და მის თანა კბილი მისი, და შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი სწრაფით წარმოავლინებ. და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა სთნდენ“². იმპერიის დედაქალაქში „კადრებისათვს მეფისა“ მიქაელი სიკვდილის ღირსად მიიჩნიეს, მაგრამ მხოლოდ „[...] ექსორია ყვეს [...] მონასტერსა მღვდარეთასა. და წარავლინეს პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას. და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქისა მეფემან და პატრიაქმან კოსტანტინეპოლელმან ესრეთ, ვითარმედ: «პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა პრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“³. პატრიარქს წერილობით სთხოვეს, ეპისკოპოსებად ეკურთხებინა ის, ვინც სურდა. ახლად კურთხეული ეპისკოპოსები „[...] მოვიდეს კოსტანტინეპოლედ“, ხოლო შემდეგ მეფის ასულ ელენესთან და დიდალ საბოძვართან ერთად, „წარმოვიდეს მცხეთად“, სადაც „[...] ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი. [...] და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“⁴. ამის მერე ჯუანშერს მოჰყავს კონკრეტული ცნობები თერთმეტი ეპისკოპოსის დადგენის შესახებ⁵.

სხვა ისტორიული წყაროები ზემოაღნიშნულ ფაქტებს სხვადასხვა ნიუანსით გადმოგვცემს⁶, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი აფიქ-სირებს კონფლიქტის თარიღს: „ქრისტესა 472, ქართულსა 224 [= 248 + 224 = 472]“⁷, თუმცა, არ აღნიშნავს, რის საფუძველზე ამტკიცებს ამას.

ახლა შევჩერდეთ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროთა შორის არსებულ მხოლოდ რამდენიმე არსებითი ხასიათის წინააღმდეგობაზე:

პირველი, სხვადასხვა წყაროში განსხვავებულადაა ახსნილი **საკათალიკოსოს დაარსების მიზეზი**. თუ ჯუანშერის, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ამ ინსტიტუტის დაფუძნება მეფის მიერ ჯერ კიდევ პონტოში ლაშქრობისას ჩაფიქრებული რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო⁸,

1. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 196.

2. იქვე, გვ. 197.

3. იქვე.

4. იქვე, გვ. 198.

5. იქვე, გვ. 198-199.

6. იხ. დაწვილებით G. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali re di Kartli. Alle origini dell'autocefalia della Chiesa ortodossa di Georgia*, Roma, Pontificio Istituto Orientale, 2018 (Orientalia Christiana Analecta, 303), გვ. 297-319 (შემდგომში ყველგან: Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*).

7. ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113. „მოქცევად ქართლისას“ შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებში დადასტურებული საკათალიკოსოს დაარსების დათარიღების „ქართლის მოქცევითგან რო წელსა“ (ძეგლები, 1, გვ. 93; ჭელიშურში ციფრი სიტყვებით არის გადმოცემული „ას სამეოც და მეათესა“) კრიტიკული ანალიზი იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 360-362. „მოქცევად ქართლისადან“ არის გადასული ეს მითითება „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის მინაწერში (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 198).

8. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 168; კამათი აუთამილების მითანაზე, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 178-179; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113.

„მოქცევად ქართლისად“ ორივე¹ და „ნინოს ცხოვრების“, ასევე, ორ მეტაფრასულ რედაქციაში² საკათალიკოსოს შემოღება უშუალოდაა დაკავშირებული მიქაელის მეფისათვის მიყენებულ შეურაცხყოფასთან, ანუ განპირობებულია მეფესა და ეპისკოპოსს შორის მომხდარი ინციდენტით.

მ ე ო რ ე, ისტორიული საბუთები სრულიად სხვადასხვაგვარად წარმოაჩენს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს. ჯუანშერის, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეპისკოპოსის რისხვა გამოიწვია მეფის გადაწყვეტილებამ, ქართლში კათალიკოსი მოეყვანა უცხოეთიდან³, ხოლო „ნინოს ცხოვრების“ ორივე მეტაფრასული რედაქციის მიხედვით, განხეთქილების მიზეზი იყო ის, რომ მიქაელს სჯეროდა, რომ ვახტანგს უკვე უარეყო ქრისტიანობა. კერძოდ, „და იყო მიქაელ დიდი მთავარეპისკოპოსად და შეასმინეს მის თანა, ვითარმედ ვახტანგ ქრისტეანობად დაუტევა. ხოლო მან მსწრაფლ ირწმუნა [...]“, – წერს არსენ ბერი⁴, ხოლო XIII ს.-ის ანონიმი მეტაფრასტი გვამცნობს: „და მაშინ უამსა მას იყო მიქაელ მთავარეპისკოპოსად და დააჯერეს, ვითარმედ ვახტანგ ქრისტეანობად დაუტევა. ხოლო მან ირწმუნა [...]“⁵. „მოქცევა ქართლისად“ ჭელიშური რედაქცია ყრუდ მიანიშნებს: „რომელისამე მიზეზისათვა“, ხოლო შატბერდული საერთოდ არ ახსენებს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს⁶. ძველი წყაროების პოზიციას, როგორმე გაამართლონ მიქაელი, ეხმაურება „სიტყვისგებადში“ გადმოცემული ლეგენდა კანგარის მთაზე პეტრე მკანკვალის ქვით ჩაქოლვის შესახებ, სადაც მიქაელი მართლმადიდებლობის ბურჯად არის წარმოსახული.

მ ე ს ა მე, სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ფაქტების თანამიმდევრობაც. ჯუანშერის, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მეფე ეპისკოპოსს მას შემდეგ ეახლა, რაც მან „კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“⁷, „მოქცევა ქართლისად“ ჭელიშურსა და „ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ რედაქციებში ეპისკოპოსი მეფეს ეკლესიიდან მოიკვეთს („განაძო“) მაშინ, როდესაც ვახტანგი მას ტაძარში ეახლება⁸, ხოლო „მოქცევა ქართლისად“ შატბერდული და „ნინოს ცხოვრების“ ანონიმური მეტაფრასული რედაქციები საერთოდ არ შეიცავს ცნობებს არც „დაკრულვის“ და არც „განძებად“ შესახებ⁹. აღსანიშნავია ისიც, რომ „მოქცევა ქართლისად“ ჭელიშურსა და „ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ რედაქციებში გამოყენებულ ზმნას „განძებად“, ანუ „გაძევება“, შეიძლება, ჰქონდეს, როგორც ფიზიკური, ისე საზოგადოებრივი, სოციალური, კულტურული სივრციდან გაძევების მნიშვნელობა.

მ ე ო თ ხ ე, მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში ერთნაირადაა აღწერილი მეფისათვის მიყენებული მძიმე შეურაცხყოფის ეპიზოდი, მხოლოდ ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი, ვახუშტი ბატონიშვილი და „ნინოს ცხოვრების“ ანო-

1. ძეგლები, 1, გვ. 93.

2. იქვე, 3, გვ. 47, 81.

3. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 196; Համառօտ պատմութիւն Զուանշերի, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 179; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113.

4. ძეგლები, 3, გვ. 47.

5. იქვე, გვ. 81.

6. იქვე, 1, გვ. 93.

7. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 196; Համառօտ պատմութիւն Զուանշերի, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 180; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113.

8. ძეგლები, 1, გვ. 93 და იქვე, 3, გვ. 47.

9. ძეგლები, 1, გვ. 93 და იქვე, 3, გვ. 47.

ნიმი მეტაფრასტი ავტორი ადასტურებენ მიქაელის მიერ **მეფისათვის კბილის შემუსვრის**, ანდა **კბილთა შელენწვის ფაქტს**¹.

მ ე ხ უ თე, განსხვავებულადაა გადმოცემული **მეფის რეაქცია**. ჯუანშერის, ვახუშტი ბატონიშვილის, „ნინოს ცხოვრების“ ორივე მეტაფრასტი ავტორის, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელის მიხედვით, ვახტანგი საარაკო მოთ-მინებას იჩენს²; „მოქცევად ქართლისაას“ შატბერდული რედაქცია დუმს მეფის რეაქციაზე, ხოლო ჭელიშურის მიხედვით, მეფე „[...] ალივსო გ[უ]ლის წყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისა[ღ] და განიზრ[ა]ხვიდა მრავალთა ბოროტთა დამწობად ქრისტე[ა]ნო-ბისა. არამედ ღმერთმან, რომელსა არავისი ჰელის წარწყმედა, მოუვლინა გულსა მისაა კეთილი განზრახვად“³.

მ ე ე ქ ვ ს ე, ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და ვა-ხუშტი ბატონიშვილი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ვახტანგმა თავს გასული ეპისკოპოსი წარავლინა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან (ვახუშტი ზოგადად ახსენებს კონსტან-ტინოპოლს), რომელმაც მიქაელი დამნაშავედ ცნო და გააძევა მღვიძარეთა მონასტერში (სომეხი მთარგმნელი არ აკონკრეტებს, რომელ მონასტერში)⁴, ხოლო „მოქცევად ქარ-თლისაა“ და „ნინოს ცხოვრება“ საერთოდ არ შეიცავს ცნობებს არც მიქაელის ექსორიის და არც – იმის შესახებ, თუ როგორ განსაჯეს იგი იმპერიის დედაქალაქში⁵.

მ ე შ ვ ი დე, „მოქცევად ქართლისაას“ და „ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციის ცნო-ბით, ვახტანგი კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და ბიზანტიის იმპერატორს სთხოვს კა-თალიკოსისა და თორმეტი ეპისკოპოსის კურთხევას⁶, ჯუანშერი და ძველი სომეხი მთარ-გმნელი არ აზუსტებენ, ვის მიმართა ასეთი თხოვნით ვახტანგმა⁷. ჯუანშერის, ძველი სო-მეხი მთარგმნელის, „მოქცევად ქართლისაას“ ჭელიშური რედაქციისა და „ნინოს ცხოვ-რების“ უცნობი მეტაფრასტი ავტორის მიხედვით, კათალიკოსი და ეპისკოპოსები კონ-სტანტინოპოლიდან ერთად გამოგზავნეს იმპერატორმა და პატრიარქმა⁸, ხოლო „მოქცევად ქართლისაას“ შატბერდულ და „ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ რედაქციებში ზმნები – შესაბამისად, „მოცემად“ და „ნაუღლებია ქვემდებარის მესამე პირის მხოლობით რიცხვში⁹, რაც იმას ნიშნავს, რომ შემასმენლის სუბიექტი მხოლობით რიცხვში დასმული პირი, ანუ ერთი პიროვნებაა. ამას გარდა, თუ ჯუანშერისა და „ქართლის ცხოვ-რების“ ძველი სომეხი მთარგმნელის მიხედვით, კათალიკოსი და ეპისკოპოსები კონსტანტი-ნოპოლიდან გამოგზავნეს და ანტიოქიაში აკურთხეს¹⁰, „მოქცევად ქართლისაას“ და „ნინოს ცხოვრების“ არც ერთ რედაქციაში ამ კონტექსტში არ იხსენიება ანტიოქია¹¹. და ბოლოს,

1. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 196; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 180; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113; ძეგლები, 3, გვ. 81.

2. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113; ძეგლები, 3, გვ. 47, 81; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 180.

3. ძეგლები, 1, გვ. 93.

4. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 91; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 180-181; ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113.

5. ძეგლები, 1, გვ. 93; იქვე, 3, გვ. 47, 81.

6. იქვე, 1, გვ. 93; იქვე, 3, გვ. 47, 81.

7. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 178-179.

8. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 90; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 179; ძეგლები, 1, გვ. 93; ძეგლები, 3, გვ. 81.

9. ძეგლები, 1, გვ. 93; იქვე, 3, გვ. 47.

10. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197; ქამათის აუთორი აუთანგერი, გვ. 90-91; ძველი სომხური თარგმანი, გვ. 179, 181.

11. ძეგლები, 1, გვ. 93; იქვე, 3, გვ. 47, 81.

ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს ამბობს არც მეფის თხოვნაზე და არც – იმაზე, თუ ვინ და რა პირობით აკურთხა კათალიკოსი და ეპისკოპოსები¹.

წყაროებს შორის არსებული წინააღმდეგობანი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათი ზედაპირულობა, ზერელობა, საქმის არსში ჩაუხედაობა მთელი სიცხადით წარმოაჩენს რამდენიმე საკითხის პრობლემატურობას. ჯ ე რ ე რ თ ი, აბსოლუტურად უცნობია ვახუშტანგის მიერ ქრისტიანობის ოდესმე უარყოფის ფაქტი. მ ე ო რ ე, მიუხედავად იმისა, რომ ეფრემ მცირემ (XI ს.) ბერძნულ წყაროებში მიაკვლია ცნობებს ქართლის სამეფოსა და ანტიოქიის საპატრიარქოს შორის გამართულ მოლაპარაკებათა შესახებ ქართლის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე², V ს.-ში, როდესაც კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ყველანაირად იბრძოდა სხვა ეკლესიების თავისი იურისდიქციისადმი დასაქვემდებარებლად, ძნელი დასაჯერებელია, მას ანტიოქიის ეპისკოპოსისთვის გადაელოცა ქართლის ეკლესიაზე კანონიკური უფლება. მ ე ს ა მ ე, გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო მღვდელმთავართა მთელი კორპუსის – თორმეტი ეპისკოპოსის კურთხევა და რატომ არ დაინიშნა მათ „თავად“ მიქაელი.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ყველა ქართულ წყაროებს ვახტანგ მეფის ამ ხანის შესახებ ცხადად ეტყობათ, რომ მათ გაცილებით იმაზე მეტი იციან, ვიდრე თავიანთ ნაწერებში მოყვანილი აქვთ. ეტყობა, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ გარემოებაზე საუბარს დუმილსა პრჩეობენ. მაგრამ მდუმარეობის დაცვა მაინც ვერ მოუხერხებიათ და თითოეულს, თუ ზოგიერთ მათგანს ისეთი ცნობა წამოსცდენია, რომელზეც დანარჩენთ კრინტი არ დაუძრავთ“³.

აუცილებელია, გამოვარკვიოთ, თუ რომელია ამ წყაროებში ავთენტური ცნობა და რომელი – ტენდენციური, რათა გამოვავლინოთ ფაქტები, რომელთა შესახებ მემატიანებმა დუმილი არჩიეს.

ივ. ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის გამოკვლევებში⁴, რომლებშიც წარმოჩენილია საკვლევი საკითხის ყველა პრობლემატური მხარე, მსჯელობა მიმდინარეობს ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, როგორებიცაა: 1) მეფესა და ეპისკოპოსს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ხასიათის გარკვევა; 2) რეფორმის განხორციელების თარიღის დადგენა და 3) რეფორმის კანონიკური შედეგების წარმოჩენა. შემდგომი კვლევა-ძიება, რომელიც გარკვეულ-წილად აუცილებელი გახდა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების წინააღმდეგობრივმა და ხშირად საგანგებოდ გაბუნდოვანებამ, დაეფუძნა იმის გარკვევას, ჰქონდა თუ არა კონფლიქტს აღმსარებლობითი ხასიათი და ზემოთ აღნიშნული სამი მიმართულებით წარიმართა.

რაც შეეხება კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს, შესაძლებელია, იგი წარმოშობილიყო: 1) რელიგიურ; 2) აღმსარებლობით; ან 3) ეკონომიკურ და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ნიადაგზე.

პირველ თვალსაზრისს იზიარებდნენ სარგის კავაბაძე და კ. კეკელიძე. სარ. კავაბაძის აზრით, ვახტანგმა უარყო ქრისტიანობა, ხოლო კ. კეკელიძე ხაზს უსვამდა იმ გარე-

1. ქართლის ცხოვრება, 4, გვ. 113.

2. ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 8.

3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, 1, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979, გვ. 371 (შემდგომში ყველგან: ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1).

4. მისივე, ქართველი ერის ისტორია, 1, მე-3 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., სილ. თავართქილაძის გამოცემა, 1928, გვ. 290-293, 299-320; მისივე, თხზულებანი, 1, გვ. 353-356, 370-385; კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ურნ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ 10 (1930), გვ. 313-345; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 4, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957, გვ. 326-357 (შემდგომში ყველგან: კეკელიძე, ეტიუდები, 4).

მოებას, რომ „[...] მიქაელს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ვახტანგის ქრისტიანობაში ეჭვი შეუტანია [...]“¹.

განსხვავებული აზრისა იყო ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილი. მისი შეხედულებით, მიქაელი ქალკედონისტი იყო, ხოლო მეფე – მონოფიზიტი². ანალოგიურ თვალთახედვას იზიარებდნენ: მიქელ თარხნიშვილი, სირილ თუმანოვი, მიშელ ვან ესპროკი, ელენე მეტრეველი, თამილა მგალობლიშვილი, გიორგი მამულია და დავით მუსხელიშვილი, რომელთა მოსაზრებით, ვახტანგი მონოფიზიტი, ან იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონის“ მიმდევარი იყო³, ხოლო სიმონ ჯანაშიას მიაჩნდა, რომ, პირიქით, ვახტანგი ქალკედონისტი იყო, ხოლო მიქაელი – მონოფიზიტი⁴.

ყველაზე მეტი მომხრე მესამე ჰიპოთეზას გამოუჩნდა. კერძოდ, თედო ჟორდანიასა და არჩილ კოხრეიძის აზრით, მიქაელი არ შეეგუა ძალაუფლების შეზღუდვას⁵, ზაზა ალექსიძისა და ივანე ლოლაშვილის აზრით, მან თავის ხელში მოახდინა ძალაუფლების კონსოლიდაცია და ეკლესია პირადი გამდიდრების წყაროდ აქცია, ნოდარ ლომიურს კი მიაჩნდა, რომ მიქაელმა, ამავე დროს, არც ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი⁶. ანრი ბოგვერაძე თვლიდა, რომ იგი ვერ გაუძლვებოდა ეპარქიებად ორგანიზებულ ეკლესიას, ხოლო ანანია ჯაფარიძე მიიჩნევდა, რომ მიქაელი ებრძოდა ვახტანგის პრობიზანტიურ პოლიტიკას, რამაც, მარიამ ლორთქიფანიძის აზრით, მეფე კონსტანტინოპოლში გაბატონებული აღმსარებლობის მხარდაჭერამდე მიიყვანა⁷. ლაშა ჯანაშიას მიაჩნდა, რომ მიქაელი დაისაჯა იმის გამო, რომ მან მხარი დაუჭირა ქვემო ქართლის ეკლესიაში გაძლიერებულ სომხურ ეთნიკურ ელემენტს⁸. ვახტანგ გოილაძის

1. სარ. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალის ხანა, თბ., ნეკერი, 1994, გვ. 214-216; კეკელიძე, ეტიუდები, 4, გვ. 338.

2. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 370-383.

3. M. Tarchnivili, *Die Entstehung und Entwicklung der kirchlichen Autokephalie Georgiens*, ქრნ. „Le Muséon“ 73 (1960), გვ. 115, 117; C. Toumanoff, *Christian Caucasia between Byzantium and Iran, New light from old sources*, ქრნ. „Traditio“ 10 (1954), გვ. 168, 170; M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens. Étude descriptive et historique*, Louvain 1975 (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 10), გვ. 300-301; ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, ქრნ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, 4, გვ. 81; თ. მგალობლიშვილი, ქართლი IV-V სს-ში, ქრნ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1988, 1, გვ. 111-114; კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთოთ თ. მგალობლიშვილმა, თბ., მეცნიერება, 1991 (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 12:1), გვ. 185-188; გ. მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ., მეცნიერება, 1992, გვ. 25-26; დ. მუსხელიშვილი, ქართლი IV-VIII საუკუნეებში (პოლიტიკური ისტორია და ეთნიკურ-სოციალური ვითარება), თბ., მემატიანე, 2004, გვ. 178-181, 205-206 (სქ. 164).

4. ს. ჯანაშია, შრომები, 1, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1949, გვ. 292.

5. Ф. Жордана, Краткия исторические сведения об автокефалии грузинской церкви, Кутаиси, 1905, გვ. 2; ა. კოხერეიძე, რამ გამოიწვია ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტი, ქრნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნება, გეოგრაფია სკოლაში“ 1/56 (1980), გვ. 38-42.

6. ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის შორის კონფლიქტის გამო, წერ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, [კრებული] ექლვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის [1894-1965] დაბადების 80 წლისთავს, თბ., მეცნიერება, 1976, გვ. 103; ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ., საბჭოთა საქართველო, 1978, გვ. 69; ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., მეცნიერება, 1989, გვ. 54.

7. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., მეცნიერება, 1979, გვ. 53; ა. ჯაფარიძე, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 1, თბ., მერანი, 1996, გვ. 302; მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., მეცნიერება, 1979, გვ. 71.

8. ნ. ჯანაშია, „შუშანიკის ნამება“. ისტორიულ-ნეიროლოგიური მუზეუმითი გამოკვლევა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1988, გვ. 357.

აზრით, მეფეს ქართლის ეკლესიის საჭეომპყრობლად ეთნიკურად ქართველის დანიშვნა სურდა, ხოლო ბაბილინა ლომინაძეს მიაჩნდა, რომ ვახტანგი თვითმყოფადი საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების გარდაუვალობამდე მიიყვანა აჯანყებული ეპისკოპოსის განსასჯელად იმპერიის დედაქალაქში მისი გაგზავნის აუცილებლობამ¹.

მეფესა და ეპისკოპოსს შორის მომხდარი განხეთქილების ხასიათის გარკვევა პირდაპირ უკავშირდება კონფლიქტის დათარილებას. მეცნიერთა მიერ დადგენილი თარიღები ექვს სხვადასხვა პერიოდში ჯგუფდება და V ს.-ის მეორე ნახევარსა და VI ს.-ის დასაწყისს მოიცავს. რეფორმას V ს.-ის 60-იანი წწ.-ით ათარიღებენ პლატონ იოსელიანი (კონსტანტინოპოლის პატრიარქის, გენადი I-ის ზეობით), ლ. ჯანაშია (467 წ.-ის წინა პერიოდით), კ. კეკელიძე (467 წ.-ით), ა. ბოგვერაძე (468 წ.-ით) და ბ. ლომინაძე (466-468 წწ.-ით); V ს.-ის 70-იანი წწ.-ით – მიხეილ თამარაშვილი (471 წ.-ით), ლეონ მელიქსეთ-ბეგი (472 წ.-ით), ვახუშტი ბატონიშვილი (473 წ.-ით), სარ. კაკაბაძე (474-475 წწ.-ით), მარი ბროსე (475 წ.-ით) და ა. ჯაფარიძე (70-იანი წწ.-ით); V ს.-ის 70-80-იანი წწ.-ით – მ. ლორთქიფანიძე (472-482 წწ.-ით), ს. ჯანაშია (482 წ.-ის წინა პერიოდით), ივ. ჯავახიშვილი, სერგი მაკალათია, მ. თარხნიშვილი და ზ. ალექსიძე (472-484 წწ.-ით) და ნ. ლომოური (V ს.-ის 70-80-იანი წწ.-ით); V ს.-ის 80-იანი წწ.-ით – თ. მგალობლიშვილი (482-484 წწ.-ის შემდგომი პერიოდით), მ. ვან ესბროკი (485-491 წწ.-ით); საკათალიკოსოს დაარსებას მკვლევარი 513-514 წწ.-ით ათარიღებს), დ. მუსხელიშვილი (≈ 485 წ.-ით), გ. მამულია (486-487 წწ.-ით), ს. თუმანვი (486-488 წწ.-ით), დიმიტრი ბაქრაძე (≈ 487 წ.-ით), ვ. გოლიაძე (487-488 წწ.-ით), მიხეილ საბინინი (488 წ.-ით) და თ. უორდანია (≈ 488 წ.-ით); V ს.-ის 90-იანი წწ.-ით – სერგი გორგაძე (494/5 წწ.-ით) და ნიკო მარი (V ს.-ის დასასრულით); ხოლო მოსე ჯანაშვილი მას VI ს.-ის დასაწყისში (512 წ.-ს) განხორციელებულად მიიჩნევს².

კონფლიქტის კანონიკური შედეგები განიხილება ორი მიმართულებით, ანუ შეიცვალა თუ არა რეფორმის განხორციელების შედეგად: 1) ქართლის ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა; 2) მისი საჭეომპყრობლის საერთაშორისო იურიდიული სტატუსი.

კ. კეკელიძე, მოგვიანებით კი სარ. კაკაბაძე, ა. ბოგვერაძე, ბ. ლომინაძე და დ. მუსხელიშვილი თვლიდნენ, რომ რეფორმის განხორციელების შედეგად არსებითად მხოლოდ ეკლესიის **შინაგანი სტრუქტურა გარდაიქმნა**, კერძოდ, მანამდე არსებული ერთი ეპარქია რამდენიმე ეპარქიად დაიყო³. მკვლევართა, თითქმის, აბსოლუტური უმრავლესობა⁴ კი, პირიქით, მიიჩნევს, რომ ქართლის ეკლესია რეფორმამდე უკვე იყო ჩამოყალიბებული ოცზე მეტ ეპარქიად და ჯუანშერმა მხოლოდ ის ეპარქიები ჩამოთვალა, რომელთაც ცვლილებები შეეხო: რეფორმის შედეგად დაარსდა, ანდა მათ სათავეში ვახტანგმა მიქაელის მომხრე ეპისკოპოსების ნაცვლად თავისი ერთგული მღვდელმთავრები ჩაუყენა. ამის გამო არ იხსენიება ჯუანშერის ჩამონათვალში ის ეპარქიები, რომელთა არსებობა იმ დროისათვის კარგად იყო ცნობილი სხვა წყაროებით.

რაც შეეხება ქართლის ეკლესიის **საჭეომპყრობლის საერთაშორისო იურიდიულ სტატუსს**, კ. კეკელიძისა და ა. ბოგვერაძის აზრით, რეფორმის შედეგად იგი **არ შეცვლილა**, რადგანაც „კათალიკოსი“ და „თავი ეპისკოპოსთავა“ სინონიმებია, ანუ „კათოლიკოზი“ არის ადმინისტრაციული და არა იერარქიული ტერმინი“: ეპისკოპოსები თავიანთ მეთაურად, ზემდგომი

1. ვ. გოლაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი, მაგრამ არ იყო... (რატომ უარყო ვახტანგ გორგასალმა ქართლის კათალიკოსად მიქაელი), ურნ. „მნათობი“ 63 (1987) 4, გვ. 174-175; ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, ურნ. „სალვოსმეტყველო კრებული“ 1983, 12, გვ. 68.

2. ბიბლიოგრაფიული მითითებანი იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 360-376.

3. კეკელიძე, ეტიუდები, 4, გვ. 333, 335, 357; სარ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 326-327; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47, 51; ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

4. ბიბლიოგრაფიული მითითებანი იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 346.

უწყების ხელმძღვანელად აღიარებენ კათალიკოსს, რომელიც „იერარქიულად [...] ყოველთვის «მთავარეპისკოპოზი» იყო“¹. ეს მოსაზრება ეფუძნება ერთ ფაქტს: იაკობ ხუცის „შუშანიკის წამების“ პერსონაჟი, სამოელი, რომელიც ზოგიერთმა მეცნიერმა ჯუანშერის მიერ მოხსენიებულ სამოელთან გააიგივა², 469 წ.-ის 9 იანვარს ეპისკოპოსია, ხოლო 475 წ.-ის 17 ოქტომბერს შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ – „თავი იგი ეპისკოპოსთად“³, ანუ მთავარეპისკოპოსი, ანუ, ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა აზრით, კათალიკოსი.

არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, კათალიკოსი უპრალო მთავარეპისკოპოსივით მხოლოდ დიდი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის (მაგალითად, არქიეპარქიის, ან რომელიმე ქვეყნის არაავტოკეფალიური ეკლესიის) წინამდლოლი კი არა არის, არამედ – გაცილებით მაღალი სტატუსის მქონე იერარქი: დამოუკიდებელი, ავტოკეფალიური ეკლესიის მთავარი ეპისკოპოსი და საჭეთმცყრობელი. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილის, პ. იოსელიანის, ნიკო მარის, მ. თარხნიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილის და ვ. გოილაძის აზრით, **მცხეთაში საკათალიკოსო კათედრის დაარსება ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიას მოასწავებდა**⁴. ბ. ლომინაძისა და ნ. ლომოურის მოსაზრებით, მცხეთის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება კოდიფიცირებულია ვახტანგის სიზმრის სიმბოლიკაში, აგრეთვე, თორმეტი ეპისკოპოსის კურთხევით, თუ ამ ფაქტს განვიხილავთ კართაგენის მე-17 საეკლესიო კრების მიერ 419 წ.-ის 25 მაისს მიღებული აფრიკის ეკლესიის კანონიკური კოდექსის XII კანონის შუქზე⁵. გ. მამულიას აზრით, **ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია ყველა კანონიკური მოთხოვნის დაცვით მოიპოვა**⁶. ლ. ჯანაშვიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „კათალიკოსი“ და „თავი ეპისკოპოსთად“ ტოლფასი ტერმინებია, რეფორმის შედეგად ქართლის ეკლესია ავტოკეფალიური გახდა⁷.

მ. ჯანაშვილის, მ. ვან ესბროკის, ა. ჯაფარიძის, თ. უორდანიასა და ს. თუმანოვის თვალსაზრისები ზემოაღნიშნულ ორ რადიკალურ პოზიციას შორის მერყეობს, რადგანაც ამ მეცნიერთა აზრით, საკვლევი ტერმინები ერთმანეთისაგან განსხვავდება, საკათალიკოსო საშინაო საქმეებში თავისუფალ ეკლესიას გულისხმობს, მაგრამ ეს სტრუქტურა ავტოკეფალიისკენ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია⁸. როგორც უკვე აღინიშნა, სარ. კაკაბაძის აზრით, ეს ტერმინები, თითქმის, ტოლფასი მნიშვნელობისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართლის კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქზე მაინც ერთგვარად დამოკიდებული რჩებოდა, თუმცა, თავის სამწყსოში იგი დამოუკიდებელი იყო⁹. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ვალერი სილოგავა, საეჭვოდ მიიჩნევდა, ქართლის ეკლესია სათავეებთან, თბ., საქართველო, 1991, გვ. 178-185.

1. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, 4, გვ. 335, 341; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48-50.

2. იხ. Shurgaria, Vaxt'ang I Gorgasali, გვ. 349, 357, 368, 374-375, 490.

3. ძეგლები, 1, გვ. 27.

4. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 383-384; П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, 2-ое изд., С-Пб., В типографии А. Сычева, 1843, გვ. 144; <Н. Марп, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен>, ჟурн. „Журналы и протоколы заседаний высочайше учрежденного Предсоборного присутствия“ 3 (1907), გვ. 142; M. Tarchnisiashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 123; ბ. ლორთქიძენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67, 73; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170, 181; ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., საქართველო, 1991, გვ. 178-185.

5. ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64, 66, 72-73; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 55-56.

6. გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 72-75, 90.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, 2, თბ., საბჭოთა საქართველო, 1970, გვ. 98; ნ. ჯანაშვილი, ისტორიულ-ნუაროოთცოდნებითი ნარკვევები, თბ., მეცნიერება, 1986, გვ. 45.

8. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, 1, უფრეს დროითან 985 წლ. ქრ. შ., ტფ., ელექტრონით მბეჭდავი ამხ. „მრომა“, 1906, გვ. 226; M. van Esbroeck, *Vakhtang Gorgasali et l'évêque Mikael de Mtskheta*, წერ. Proceedings of the Third International Symposium on Kartvelian Studies, compiled by E. Khintibidze, Tbilisi, Tbilisi University Press, 1999, გვ. 13; ა. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 321; ფ. ჯორдანა, დასახ. ნაშრ., გვ. 2-3; C. Toumanoff, დასახ. ნაშრ., გვ. 146-147, 169.

9. სარ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

რეფორმის შედეგად თითქოს ავტოკეფალიური გამხდარიყოს, რადგან ასეთი სტატუსის მქონე ეკლესის საჭეთმპურობელი მაშინ არა მხოლოდ კათალიკოსი, არამედ პატრიარქიც უნდა ყოფილიყო¹.

ქართლის ეკლესის საჭეთმპურობლის საერთაშორისო იურიდიულ სტატუსზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიული წყაროების ანალიზი საფუძველს არ გვაძლევს, იაკობ ხუცის მიერ 475 წ.-ის ზემოაღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული სამოელ „თავი იგი ეპისკოპოსთად“ მთელი ქართლის ეკლესის მეთაურად და მის რიგით მეორე კათალიკოსად მივიჩნიოთ: სავსებით შესაძლებელია, იგი ქვემო ქართლის მთავარეპისკოპოსი ყოფილიყო. მეტიც, 475 წელს იგი კათალიკოსი რომ ყოფილიყო, მაშინ ვერ ავხსნიდით, თუ რატომ არ მოხსენიეს იგი ამ ტიტულით თავად იაკობ ხუცესმა და ან – „მუშანიკის წამების“ გადამწერებმა².

რაც შეეხება უშუალოდ ტერმინს „თავი იგი ეპისკოპოსთად“, შეუასუნების ქართულ სინამდვილეში მას მხოლოდ ერთხელ, ანუ იაკობ ხუცის, „შუშანიკის წამებაში“ ვხვდებით. იგი პირდაპირი კალკია სირიული ტერმინისა *rešā d-’apīsqōrē*, რომელიც ასევე პირდაპირ კალკის სახით არის გადასული სომხურში როგორც სამისამართი („თავი ეპისკოპოსი“), ან როგორც ქართული („თავი ეპისკოპოსთა“) და შეესაბამება ბერძნულ ტერმინს ორხეპისკოპის („არქიეპისკოპოსი“)³. ნიშანდობლივია, რომ სომხურიდან მომავალ კალკს მიმართავს იაკობ ხუცესი, რომელიც მოღვაწეობდა ცურტავის ეპარქიაში, სადაც მრევლი იყო როგორც ქართული, ისე – სომხური და, ამდენად, მათ მოძღვრებს „[...] თანაბრად მოეთხოვებოდათ როგორც ქართული, ისე სომხური ენისა და მწერლობის ცოდნა“⁴. ამდენად, თავისი ენობრივ-კულტურული გარემოს გავლენის გამო იყენებს იაკობი ტერმინს, რომელსაც ქართულში შეესაბამება ტერმინები: „მთავარეპისკოპოსი“, ან „არქიეპისკოპოსი“⁵.

იმის დასადგენად, ამა თუ იმ ეკლესის მეთაურის კათალიკოსად მოხსენიება არის თუ არა საკმარისი ამ ეკლესის ავტოკეფალიურად მისაჩნევად, აუცილებლად უნდა შევისწავლოთ საკვლევი ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა და აღმოსავლურ სირიულ ეკლესიაში შემდგომში შეძენილი ნიუანსები.

აღმოსავლური სირიული ეკლესის პატრიარქის, ტიმოთე I-ის (780-823), დროს შედგენილი და უან-ბაპტისტ შაბოს მიერ „Synodicon Orientale“-ის სათაურით გამოცემული აღმოსავლური სირიული ეკლესის კანონთა კრებულის⁶ ანალიზი ნათელყოფს, რომ ეს ტერმინი (*qāṭīlīqā*) პირველად 410 წელს სელევკია-ქტესიფონის ეპისკოპოსის, მარ იშა-

1. ვ. სილოგავა, ოშეი – X ს. მემორიალური ტაძარი [=] 10th century memorial church, თბ., ნეკერი, 2006, გვ. 164. ყველა ზემოაღნიშნული თვალსაზრისის კრიტიკული ანალიზი იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 322-376.

2. იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 357-360.

3. საკითხის ანალიზი იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 358-361.

4. ეპისტოლეთა წიგნი [=] *Liber epistolarum*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ [=] *textum armeniacum cum versione georgica edidit et disputatione commentariisque instruxit Z. Aleksidze*, თბ., 1968, გვ. 050.

5. აგრეთვე, მ. ჩხარტიშვილი, ცნობები სამოელ მთავარეპისკოპოსის შესახებ ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში, ურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ 9 (2000), გვ. 60 იდენტურად მიიჩნევს ტერმინებს „თავი იგი ეპისკოპოსთად“ და „მთავარეპისკოპოსი“, მაგრამ, ჩვენი აზრით, მიზან-შეუწინელია მკვლევრის მოსაზრება, გამოთქმაში დადასტურებული ქართული სიტყვა „თავი“ გავიაზროთ, როგორც „რჩეული“, „პირველი“, „საუკეთესო“ (იქვე, გვ. 63), რადგანაც ასეთი ინტერპრეტაცია აბსოლუტურად უგულებელყოფს ტერმინის იერარქიულ შინაარს.

6. J. B. Chabot, *Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens*, Paris, Librairie C. Klincksieck, 1902. ქართველ მეცნიერთაგან ეს კრებული პირველებმა გააანალიზეს მ. თარხნიშვილმა და გ. მამულიამ ქართლის ეკლესის იერარქიული დამოკიდებულების გამოსავლენად, თუმცა, პატივცემულ მეცნიერებს მხედველობის მიღმა დარჩათ მასში გამოყენებულ საეკლესიო-იურიდიულ ტერმინთა მნიშვნელობა ქართლის ეკლესის ისტორიის გასათვალისწინებლად.

ყის (399-410) ხელმძღვანელობით გამართულ სპარსეთის იმპერიის საეკლესიო კრებაზე გამოიყენეს. კერძოდ, 410 წელს აღმოსავლური სირიული ეკლესიის მიერ სასანიდთა დინასტიის მფარველობით *de facto* დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სპარსეთში სახარების გავრცელების ტრაქტორიის გათვალისწინებითა და ბერძნულ-რომაული სამყაროსაგან განსასხვავებლად, სპარსეთის ეკლესიის მეთაურმა, სელეკვია-ქტესიფონის ეპისკოპოსმა, მიიღო კათალიკოსის, ანუ იმპერიის ეკლესიის კოორდინატორის, იგივე ადმინისტრატორის წოდება. შემდგომში, 424 წელს სპარსეთის ეკლესიის მესამე კრებაზე ეს ტიტული დამოუკიდებელი ეკლესიის სუვერენი საჭეთმპყრობლის სახელწოდებად იქცა. მოგვიანებით, როდესაც V ს.-ის პირველ ნახევარში წამოჭრილმა ქრისტოლოგიურმა დისკუსიამ გადაულახავი უფსკრული წარმოშვა ბიზანტიისა და აღმოსავლურ სირიულ ეკლესიებს შორის და ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან კომპრომისის პერსპექტივაც აღარ ჩანდა, სელეკვია-ქტესიფონის კათალიკოსებმა უყოფმანოდ მიიღეს პატრიარქის წოდებაც, რათა ოფიციალური ტიტულის ხარისხითაც ხაზი გაესვათ ბიზანტიის ეკლესიის მეთაურთან მათი აბსოლუტური თანასწორობისთვის. კონსტანტინოპოლიში 553 წელს გამართულ მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ე. წ. „სამი თავის“, ანუ აღმოსავლურ სირიული ეკლესიის სამი დიდი ღვთისმეტყველის – თეოდორე მოფსუესტიელის (350-428), თეოდორიტე კვრელისა (≈ 393-466) და ივა ედესელის († 457) – შეჩვენება სწორედ ასეთი უფსკრულის წარმოშობას მოასწავებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავად ბიზანტიაშიც ტერმინს „პატრიარქი“ ამ პერიოდში, კერძოდ, რომის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565) 546 წ.-ის პირველი მაისის 123:3 ნოველის¹ ძალით დაუკანონდა ის მნიშვნელობა, რომელიც მას დღეს აქვს².

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შესახებ ქართულ წყაროებში მოტანილი ფაქტების სწორად გასაგებად არსებითია იმის გაცნობიერება, რომ ავთენტურია ჯუანშერის ცნობა ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და ანტიოქიის საეკლესიო საყდრის თანამშრომლობის შესახებ, ხოლო შეთხზულია ამბავი კონსტანტინოპოლის პატრიარქის მხარდაჭერის შესახებ.

მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, ის ფაქტი, რომლის თანახმადაც, ბიზანტიის იმპერატორმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ქართლის ეკლესიის მაღალი სამღვდელო პირების ხელდასხმა ანტიოქიის პატრიარქს მიანდეს, არ არის დაფიქსირებული „მოქცევად ქართლისააშში“³, თუმცა, ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ეს ცნობაა ავთენტური, ზოგიერთი მემატიანის მიერ წამოცდენილი ფაქტი, „რომელზეც დანარჩენთ კრინტი არ დაუძრავთ“⁴. მას ჯუანშერი ვერ შეთხავდა, რადგან ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა, პირიქით, კონსტანტინოპოლიში განვითარებული მოვლენების შესახებ იგი იმიტომ მოგვითხრობს, რომ როგორმე გაამართლოს სამღვდელო პირების ანტიოქიაში ხელდასხმის ფაქტი. ივ. ჯავახიშვილი მემატიანის მიერ მოგონილად მიიჩნევდა ცნობას მიქაელ ეპისკოპოსის, პეტრე მღვდლისა და სამოელ მონაზვნის (სინამდვილეში, ჯუანშერი მხოლოდ მიქაელ ეპისკოპოსს ახსენებს) კონსტანტინოპოლიში წარგზავნის შესახებ⁵, მაგრამ, ჩვენი აზრით, ჯუანშერი აქაც მართალი უნდა იყოს: ვინც იცნობს საკვლევი პერიოდის ბიზანტიის ეკლესიის ისტორიას, მისთვის ცხადია, რომ იმპერიის პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა არსებული სამეფო ვერ გადაწყვეტდა რელიგიურ საკითხს იმპერიის ცენტრის და, კერძოდ, უშუალოდ იმპერატორის გარეშე.

1. *Corpus iuris civilis*, editio stereotypa nona, 3, Berolini: Apud Weidmannos, 1902, გვ. 597.

2. იხ. დაწვრილებით Shurgaria, Vaxt'ang I Gorgasali, გვ. 376-409.

3. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

4. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 371.

5. იქვე, გვ. 373.

ჯუანშერის ცნობაზე დაყრდნობით, მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ქართლის ეკლესიასთან მიმართებით იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ერთიანი პოზიცია ჰქონდათ¹. ივ. ჯავახიშვილმა, პირიქით, ეს ცნობა სრულიად სამართლიანად მიიჩნია ტენდენციურად². მართლაც, შეუძლებელია, V ს.-ის მეორე ნახევარში კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს, რომელიც 451 წელს ქალკედონში გამართულმა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ რომის ეპისკოპოსის თანასწორად და იმპერიის ეკლესიის თავად იცნო (იხ. კრების XXVIII კანონი)³, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკლესიაზე იურისდიქცია სხვა ეპისკოპოსისთვის დაეთმო. ამდენად, ჩვენი აზრით, ჯუანშერის ცნობა ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ნაწილობრივ სიმართლეს უნდა გადმოგვცემდეს.

ასეა წარმოჩენილი ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც კონსტანტინოპოლის საყდრის იურისდიქციის საზიანოდ იცავს ანტიოქიის საეკლესიო კათედრის ინტერესებს. V ს.-ის მეორე ნახევრის ბიზანტიის ისტორიაში ეს იმპერატორი, შეიძლება, იყოს მხოლოდ უზურპატორი ბასილისკი (475-476): 475 წ.-ის იანვარში იმპერატორ ზენონის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, მან სპეციალური ენციკლიკით დაგმო რომის პაპის, ლეონ I-ის (440-461), „ტომარი“ და ქალკედონის კრების დოგმატური გადაწყვეტილებანი, მანვე შეუწყო ხელი, აგრეთვე, მონოფიზიტ პეტრე მკანრვალს, მეორედ გამხდარიყო ანტიოქიის ეპისკოპოსი. ცნობილია ისიც, რომ მისი რელიგიური პოლიტიკა მაღლე წააწყდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, აკაკიუსის (472-489), დიდ წინააღმდეგობას, რისთვისაც ბასილისკმა მას კანონიკური უფლებები შეუზღუდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმპერიის ჯარები ბასილისკის წინააღმდეგ დაიძრნენ, სასწავლოდ გამოსცა ანტიოქიკლიკა, რომლითაც წართმეული უფლებები აღუდგინა⁴. ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს, რომ ანტიოქიის საყდარი კონსტანტინოპოლის საყდართან ბრძოლას მხოლოდ ბასილისკის ზეობის პერიოდში შეძლებდა.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, თუ როგორ გადაწყდა ქართლის ეკლესიის საკითხი, აშკარად ასახავს ბიზანტიის იმპერატორის ცდას, იურისდიქცია შეეზღუდა კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოსთვის: იმპერატორმა (და არა – კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა), იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა სამართლებრივი უფლებამოსილება, დედაქალაქის ურჩი მთავარეპისკოპოსის დასჯის მიზნით, პეტრე და სამოელი ხელდასასხმელად ანტიოქიაში გააგზავნა, სადაც პეტრე მკანრვალმა დაუყოვნებლივ გაათავისუფლა კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციიდან დამოუკიდებელი ქართლის სამეფო და მის ეკლესიას ავტოკეფალია უბოძა⁵.

ჯუანშერმა კარგად იცოდა, თუ როგორ წარიმართა მოვლენები. ამდენად, კონსტანტინოპოლის ეკლესიის წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის გამართლების მიზნით, ქართველმა ისტორიკოსმა ოსტატურად შეთხზა იმპერიის დედაქალაქის ეპისკოპოსის მიერ ანტიოქიელი კოლეგიადმი მიწერილი წერილი, თუმცა, კონსტანტინოპოლის საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის ბრძოლამ მაინც ჰპოვა ასახვა ლიტერატურულ წყაროებში. მაგალითად, ვახტანგის სიზმართან დაკავშირებით არც ერთი წყარო არ იხსენიებს კონსტანტინოპოლის პატრიარქს. რაც შეეხება საკვლევი საკითხის შესახებ წყაროებში დაფიქსირებულ საკუთრივ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თხზულების მიხედვით, ვახტანგმა მოციქულები წარავლინა იმპერატორთან და კონსტან-

1. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

2. ჯავახიშვილი, თბზულებანი, 1, გვ. 373.

3. *Conciliorum œcumenicorum decreta*, a cura di G. Alberigo, G. L. Dosselli, P.-P. Joannou, C. Leonardi, P. Prodi, consulenza di H. Jedin, Bologna, Istituto per le scienze religiose Dehoniane, 1991, გვ. 99-100.

4. იხ. დაწვრილებით Shurgaia, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 412-424.

5. იხვე, გვ. 442-447.

ტინოპოლის პატრიარქთან, ზოგიერთი ტექსტი საერთოდ არ ახსენებს ანტიოქიას, ხოლო ზოგიერთი განსხვავებულად წარმოაჩენს შემასმენლებით გადმოცემული მოქმედების ქვემდებარეს: „წარავლინეს“ (ჯუანშერი)¹, „განსაჯეს [...], განკუეთეს [...], წარსცეს“ (ვახუშტი ბატონიშვილი)², „[...] და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა [...]“ („მოქცევად ქართლისად“ შატბერდული რედაქცია)³, „[...] და ითხოვა მეფის[ა]გ[ა]ნ და პატრიარქისა კათალიკოზი. და მოსცეს [...]“ („მოქცევად ქართლისად“ ჭელიშური რედაქცია)⁴, „[...] და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი. და მან წარმოგზავნა [...]“ (არსენ ბერი)⁵, „[...] და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი. და მათ წარმოავლინეს [...]“ (ანონიმი მეტაფრასტი)⁶.

წყაროების ანალიზი იმასაც ნათელს ჰქონის, რომ ეპისკოპოსობიდან პირველი განკვეთის შემდეგ, 471 წელს პეტრე მკანწრვალი მღვიძარეთა მონასტერში გამოსასწორებლად წარსცეს, ხოლო მიქაელ ეპისკოპოსი იმავე მონასტერში გამოსასწორებლად კი არა, არა-მედ გამოსაკეტად გაამწესეს. ამ ორი პიროვნების თავგადასავალს შორის განსხვავება ადასტურებს, რომ არ შეიძლება, კონტექსტიდან მოწყვეტილად, აპრიორულად დავადგინოთ პიროვნების აღმსარებლობითი პოზიცია მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ იგი მღვიძარეთა მონასტერში მოათავსეს. მეტიც, მიქაელის მღვიძარეთა მონასტერში ექსორია ცხადყოფს პოლიტიკური მოსაზრებით ამ სახელგანთქმული სავანის დილეგად გამოყენების დღემდე უცნობ ფაქტს კონფესიური ოპონენტების იზოლაციისა და მათზე ეფექტური ზედამხედველობის დასაწესებლად⁷.

ვახტანგის მოკავშირე იმპერატორის ამოცნობა ბასილისკში ისტორიულ საფუძველს უქმნის ჯუანშერის ცნობას იმის შესახებ, რომ ქართლის მეფემ ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილზე, ელენეზე, დაინერა ჯვარი. ჩვენი აზრით, ელენე უნდა იყოს არა იმპერატორ ზენონის ნათესავი, როგორც ეს ს. თუმანოვსა და გ. მამულიას მიაჩნდათ⁸, არა-მედ – ბასილისკის ქალიშვილი. მართლაც, ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია ის ფაქტი, რომ ბასილისკს რამდენიმე შვილი ჰყავდა, თუმცა, სახელით მხოლოდ მარკოზია ცნობილი⁹. როგორც ჩანს, ელენეც მამასავით ოფიციალური ისტორიოგრაფიის *damnatio memoriae*-ის მსხვერპლი შეიქმნა და ქართულ წყაროებშიც გულმოდგინედ ამოშალეს ბასილისკის სახელი, რადგანაც მას ერეტიკოსად თვლიდნენ როგორც ქალკედონისტი, ისე – მონოფიზიტი ავტორები. ზენონის ორჯერ გამეფების ფაქტმა ჯუანშერს საშუალება მისცა, შთამომავლობისთვის შემოენახა ბიზანტიილი იმპერატორის ასულზე ქართლის მეფის ჯვრისწერის ცნობა და ოსტატურად შეენიღბა სინამდვილე: ჯუანშერის მონმობამ იმის შესახებ, რომ ზენონი ტახტზე ვახტანგის სიმამრის გარდაცვალების შემდეგ ავიდა¹⁰, გვიანდელ გადამწერებს ვახტანგის სიმამრად მოააზრებინა მართლმადიდებელი იმპერატორი ლეონ I (457-474), რომელსაც ჯუანშერი ზენონის მამად აცხადებს, სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, იგი ზენონის სიმამრი იყო.

ბასილისკის იდენტიფიკაცია ნათელს ჰქონის, აგრეთვე, საკვლევ რეფორმასთან დაკავშირებულ სამივე საკითხს:

1. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 197.

2. იქვე, 4, გვ. 113.

3. ძეგლები, 1, გვ. 93.

4. იქვე, გვ. 93.

5. იქვე, 3, გვ. 47.

6. იქვე, გვ. 81.

7. იხ. დაწვრილებით *Shurgiaia, Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 447-483.

8. C. Toumanoff, დასახ. ნაშრ., გვ. 165; მისივე, *Studies in Christian Caucasian history*, Georgetown 1963, გვ. 367; გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.

9. იხ. დაწვრილებით *Shurgiaia, Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 486 (სქ. 1078).

10. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 203.

პირველი, უდავოა, რომ ბასილისკისა და პეტრე მკანწრვალის მხარდაჭერის მოპოვებას ვახტანგი მხოლოდ მონოფიზიტობისა აღიარებით შეძლებდა. ამდენად, მიქაელთან მისი კონფლიქტი, შეიძლებოდა, მხოლოდ აღმსარებლობით ნიადაგზე აღმოცენებულიყო. ისტორიული ფაქტების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს, ვიმსჯელოთ ქართლის მეფის პიროვნულ მრნამსზე, თუმცა, ის კი ცხადია, რომ მან ოსტატურად გამოიყენა ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი უაღრესად დელიკატური პოლიტიკური და საეკლესიო ვითარება და, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარისა და ანტიოქიის საეკლესიო საყდრის მხარდაჭერით მიაღწია მიზანს: სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ ავტოკეფალია მოუპოვა ქართლის ეკლესიას.

მეორე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ვახტანგის საეკლესიო რეფორმა თარიღდება ბასილისკისა და პეტრე მკანწრვალის ზეობის სინქრონიზმით, ჰუნთა წინააღმდეგ პერიოდის (459-484) მეორე ლაშქრობიდან ვახტანგის სამშობლოში დაბრუნების შემდგომი პერიოდით, ანუ 475 წ.-ის იანვრიდან 476 წ.-ის აგვისტომდე, ან კიდევ უფრო ზუსტად, **475 წ.-ის აპრილიდან 476 წ.-ის თებერვლამდე**, ან მარტამდე პერიოდით, როდესაც ბასილისკს ძალა შესწევდა, ბრძოლა გამოეცხადებინა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსისთვის. ამ პერიოდში, შესაძლებელია, კონფლიქტი წარმოშობილიყო და კათალიკოსობაც შემოღებულიყო, ხოლო ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოგვიანებით, იმპერიაში არსებული ვითარებისაგან დამოუკიდებლად განხორციელდა.

მესამე, ქართლის ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურს შეეძლო, მიეღო იმ დროისათვის უკვე მკვეთრად ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ტიტული: „პატრიარქი“, ან „კათალიკოსი“. ვახტანგმა პირველზე უარი თქვა იმის გამო, რომ, როგორც აღინიშნა, ეკლესიის სუვერენი საჭეომპურობლის მნიშვნელობა ამ ტიტულმა მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს შეიძინა და V ს.-ის მეორე ნახევარში იგი ჯერ კიდევ აღნიშნავდა მეთაურს ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული ეთნიკური ჯვეფისა, რომელიც იმპერიასთან კულტურული ასიმილაციის პროცესს იწყებდა¹. ასეთი ტერმინი, ცხადია, არ შეესაბამებოდა ქართლის დამოუკიდებელი სამეფოს იმდროინდელ პოლიტიკურ სტატუსს. ამიტომ ვახტანგმა არჩია მეორე ტერმინი: წოდება სელევკია-ქტესიფონის კათალიკოსისა, ეკლესიის სუვერენი მეთაურისა სახელმწიფოში, რომელიც რომის იმპერიის აღტერნატიული სახელმწიფო იყო დედამინაზე². მთავარეპისკოპოსის კათალიკოსით ჩანაცვლებით ვახტანგს მხოლოდ ტიტული კი არ შეუცვლია ეკლესიის მეთაურისთვის, არამედ დააფუძნა ინსტიტუტი, რომელმაც ეკლესია ავტოკეფალიურად აქცია. კათალიკოსის ანტიოქიაში კურთხევა იმას კი არ მოწმობს, რომ მცხეთის საყდარი კვლავინდებურად ანტიოქიის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა, არამედ – იმას, რომ მცხეთის საყდარი ავტოკეფალიური გახდა: ანტიოქიის ეპისკოპოსმა აურთხა ავტოკეფალიური ეკლესიის საჭეომპურობელი და მას მისი იერარქიული მდგომარეობის შესატყვისი „კათალიკოსის“ წოდება მიანიჭა. **475-476 წწ.-ში ეს ტიტული პატრიარქის წოდებაზე აღმატებული იყო, რადგანაც იმ დროს მსოფლიოში მრავალი პატრიარქი იყო, ხოლო კათალიკოსი – ერთადერთი: სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიის სუვერენი მეთაური.**

საკათალიკოსოს, ანუ რომის იმპერიის პოლიტიკური და საეკლესიო კონტროლისაგან თავისუფალი საეკლესიო სტრუქტურის დაარსება ვახტანგის სამეფოს პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობისკენ მისწრაფების გამოხატულება იყო. ქართლის მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, იმპერიის პოლიტიკური ზეგავლენისათვის არა და არ დაექვემდებარებინა თავისი სამეფო, მისი ეკლესიის მეთაური სტატუსით გაეთანაბრებინა იმპერიის ეკლესიების მეთაურებისთვის, სახელწოდებით კი განესხვავებინა მათგან. აღსანიშნავია, რომ

1. V. Peri, *La pentarchia: istituzione ecclesiale (IV-VII sec.) e teoria canonico-teologica*, ნგნ. Bisanzio, Roma e l'Italia nell'alto medioevo, 3-9 aprile 1986, Spoleto 1988 (Settimane di studio del Centro Italiano di Studi sull'Alto Medioevo, 34), გვ. 261, 264.

2. საკითხის შესახებ იხ. Shurgaria, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 398-399.

ვახტანგმა თავისი პოლიტიკური გეგმის წარმატებით გასახორციელებლად შესანიშნავად ისარგებლა იმპერიაში შექმნილი ვითარებით, როდესაც, ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლის დასუსტებული ხელისუფლება დაინტერესებული იყო მოკავშირეთა ძიებით, ხოლო, მეორე მხრივ, პეტრე მკანჩრვალი ყოველი ლონისძიებით ცდილობდა, მოქმედე კონსტანტინოპოლის საყდრისათვის ჩამოერთმია მცხეთის საყდარზე იურისდიქციის უფლება.

საკათალიკოსოს დაარსება და ახლად კურთხეულ ეპისკოპოსთა რაოდენობა მოწმობს, რომ საქმე ეხებოდა ეკლესიის თვისებრივ პოლიტიკურ და საეკლესიო რეორგანიზაციას. საკათალიკოსო ინსტიტუტის დაარსებით მეფე რამდენიმე მიზანს აღწევდა: იდეოლოგიურ საძირკველს უმყარებდა საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ანესებდა საერო ძალაუფლების უზენაესობას ეკლესიაზე, რაც საშუალებას აძლევდა, ეკლესია სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ეფექტიან იარაღად გაეხადა და თანამდებობიდან გადაეყენებინა არასასურველი მღვდელმთავრები. ასეთმა მიდგომამ განსაზღვრა თორმეტ ეპარქიაში მომხდარი სტრატეგიული ხასიათის ცვლილებები: ეპისკოპოსთა ერთი ჯგუფი მეორით შეიცვალა და დაარსდა ახალი ეპარქიები, რომელთა შორის მეთორმეტე – საკუთრივ ქართლისა – სამთავროთი შემოიფარგლა და მნიშვნელობით სხვა ეპარქიებს გაუთანაბრდა.

მცხეთა ქართლის ეპისკოპოსის რეზიდენციასთან ერთად, გახდა ადგილსამყოფელი, აგრეთვე, კათალიკოსისა, რომლის იურისდიქცია მთელ სამეფოზე ვრცელდებოდა: ქართლის სატახტო ქალაქში ისხდნენ როგორც სამეფოს კათალიკოსი, ასევე – საკუთრივ ქართლის ეპისკოპოსი. მეფესა და მიქაელ ეპისკოპოს შორის კონფლიქტი რომ არ მომხდარიყო, მიქაელი, ალბათ, დარჩებოდა თავისი ეპარქიის სათავეში, მაგრამ მოუწევდა, უფრო მაღალი იერარქისათვის დაეთმო მთელ სამეფოზე კანონიკური იურისდიქცია. ამგვარად მეფემ მცხეთის ელიტას ჩამოართვა მთელი სამეფოს ეკლესიაზე იურისდიქციის უფლება და სამეფო ხელისუფლებას უშუალო კონტროლს დაკვემდებარებულ პირს გადასცა. ვახტანგმა შემდგომშიც განაგრძო საეკლესიო რეფორმები, მაგრამ ეს ღონისძიებები არანაირად არ შეხებია ეგრისის სამეფოს ეკლესიას.

V ს.-ის მეორე ნახევარში ქართლში უკვე ოცი ეპარქია მოქმედებდა. ამდენად, მეფემ კი არ დაიცვა კართაგენის მე-17 საეკლესიო კრების ზემოაღნიშნული XII კანონი, როგორც ამას ბ. ლომინაძე და ნ. ლომოური თვლიდნენ¹, არამედ, ჩვენი აზრით, ამ კანონმა შთააგონა ჯუანშერს, თავისი თხზულების წერისას ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიურობის ხაზგასასმელად აუცილებლად ჩამოეთვალა რეფორმასთან დაკავშირებული თერთმეტი ეპარქია, თუმცა, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ვერც თერთმეტი ეპისკოპოსია და კათალიკოსისაგან შემდგარი სინოდი იქნებოდა უფლებამოსილი, ერთ-ერთი თავისი წევრი განესაჯა². ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობა თორმეტ საეკლესიო პირზე დაფუძნებული ეკლესიის შესახებ, რომელიც უდაოდ ეხმაურება სამოციქულო ტრადიციას თორმეტი მოციქულის შესახებ, სხვა ერების საეკლესიო ტრადიციაშიც არსებობს. მაგალითად, III-IV სს.-მდე ალექსანდრიის ეპისკოპოსს ირჩევდა და აკურთხევდა თორმეტი ხუცესი³, ანდა, შუა საუკუნეების სერბიული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მიხედვით, სერბიის პირველი დამოუკიდებელი ეკლესიის საჭეთმცყრობელს, ეპისკოპოს სავას თორმეტი ქორეპისკოპოსი ჰყავდა⁴.

1. ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64-66; 6. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

2. საკითხის შესახებ იხ. Shurgiaia, *Vaxt'ang I Gorgasali*, გვ. 350-351.

3. Eutychii Patriarchae Alexandrinus Annales, 1, edidit L. Chelikho, Beryti, E typographeo catholico / Parisiis, Carolus Poussielgue, Bibliopola, 1906 (Corpus scriptorum Christianorum orientalium, 50; Scriptores arabici, Series tertia, 6), გვ. 95-96. საკითხის შესახებ იხ. A. Campani, *Un'antica teoria della successione patriarcale in Alessandria, ნგნ. Aegyptiaca et Coptica, Studi in onore di Sergio Pernigotti*, a cura di P. Buzzi, D. Picchi, M. Zecchi, Oxford, Archaeopress, 2011 (BAR International Series 2264), გვ. 59-68 ბიბლიოგრაფიით.

4. Lj. Stojanović, *Stari srpski rodoslovi i letopisi*, Beograd-Sremski Karlovci 1927 (Zbornik za istoriju, jezik i književnost srpskog naroda. Prvo odelenje, 16), გვ. 24, 47, 282.

VIII ს.-ის 80-იან წელის ბიზანტიის გავლენისგან ეგრისის სამეფოს განთავისუფლების შემდეგ, IX ს.-ის მეორე ნახევარში მცხეთის საკათალიკოსომ თავისი იურისდიქცია ეგრისის ეკლესიაზეც გაავრცელა და მისი სამოციქულო ტრადიციის ქვაკუთხედი ქართლის ეკლესიასაც მიაკუთვნა: **ანდრია პირველნოდებული და წმინდა ნინო მიჩნეულ იქნენ ერთი და იმავე მინა-წყლის – სრულიად საქართველოს განმანათლებლებად.**

საეკლესიო რეფორმა ვახტანგის საშინაო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, შესაფერის დროსა და ვითარებაში ხორციელდებოდა. ქართლის საკათალიკოსო დაარსდა სპარსეთის შაჰის, პერიოზისათვის, უაღრესად რთულ პერიოდში და, ამავე დროს, მრავალი წლის წინათ, ვიდრე ვახტანგი მას აშვარად გამოუცხადებდა ომს და არა – უმუალოდ ომის გამოცხადების წინ. სპარსეთის წინააღმდეგ იმში დახმარებისათვის მეფეს არ მიუმართავს იმპერატორ ზენონისათვის, რადგანაც რამდენიმე წლით ადრე მან მის მოწინააღმდეგე უზურპატორ ბასილისკა დაუჭირა მხარი.

ცალკე საკითხია ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების საკუთრივ კანონიკური ასპექტები¹.

ვახტანგის საეკლესიო რეფორმის ანალიზი ნათელს ჰქონის, აგრეთვე, საკვლევი ტერმინისა და შესაბამისი საეკლესიო ინსტიტუტის სომხეთში დაარსების ისტორიას. როგორც ჩანს, აქ ეს ინსტიტუტი ქართლის ეკლესიის მიბაძვით შემოიღეს VI ს.-ის შუახანებში, დვინის მეორე საეკლესიო კრებაზე (555 წ.), სადაც სომხეთის ეკლესია შეეცადა, საბოლოოდ გათავისუფლებულიყო ბიზანტიის ეკლესიის დაქვემდებარებისაგან და სუვერენული გამხდარიყო².

ქართლის მეფის, ვახტანგ I გორგასლის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმა უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ეკლესიისა და, საზოგადოდ, ქართველი ერის ისტორიაში. მცხეთის საკათალიკოსოს დაფუძნებით ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სუვერენიტეტს, რაც ფუნდამენტად დაედო ჩვენი ქვეყნის ეროვნულ თვითმყოფობას, მის სახელმწიფოებრიობას და წარუშლელი გავლენა მოახდინა მის შემდგომ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

გაბა შურდაია
ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ'ორიენტალე“



1. იხ. Shurgaria, Vaxt'ang I Gorgasali, გვ. 519-528.

2. იხ. დაწვრილებით Shurgaria, Vaxt'ang I Gorgasali, გვ. 528-535.

მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალის დადასტურება

ქართული ეკლესიის ავტოკეფალის შესახებ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ „წიგნის“ მიცემის შემდეგ ქართველებს, როგორც ჩანს, მიუღწევიათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრებასაც რომ დაემტკიცებინა. ამას მოწმობს კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების (381 წ.) მეორე კანონზე დართული თ. ბალსამონის განმარტება.

ქართულ ენაზე შემონახული ცნობა ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალის დამტკიცებას სწორედ VI მსოფლიო საეკლესიო კრებას მიაწერს. ცნობაში ნათქვამია, რომ კონსტანტინე პოგონატის (668–685) დროს კონსტანტინოპოლში გამართულ მეექვსე საეკლესიო კრებაზე „...პრძანეს „ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყისდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა მიტოპოლიტთა და ეპისკოპოსთა... ხოლო პირველთგან ანტიოქიის კრების მიერ განპატიოსნებულ იყო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად,... ხოლო ოდესუა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“.

თეოფანეს პატრიარქობის დასაწყის თარიღად, სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ვნახეთ 681 წლის 8 მარტი ან 5 აპრილი არის მიღებული. 681 წლის მარტის შემდეგ კრების სხდომები გაიმართა 5 და 26 აპრილს, 9 აგვისტოს, 11 და 16 სექტემბერს. თეოფანე ანტიოქიის პატრიარქის ტიტულით დაახლ. 681 წლის 5 აპრილიდან გამოდიოდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალის საკითხი კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ჩანს, 681 წლის 5 აპრილიდან 16 სექტემბრამდე გამართულ სხდომაზე განიხილა.

რაც შეეხება კანონებს, იგი 680-681 წლების მსოფლიო საეკლესიო კრებას არ შეუმუშავებია, მაგრამ როგორც ვნახეთ, კრებაზე დამსწრე მმართველ სასულიერო მოღვაწეთა მოთხოვნა კრებას მაინც განუხილავს და ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალია დაუდასტურებია. უეჭველია კრებამ დადასტურების კანონი გამოსცა, მართალია, ამ კანონის ბერძნული ან ლათინური პირი ჯერჯერობით ცნობილი არაა, მაგრამ იგი რომ არსებობდა, ამას თ. ბალსამონის ზემოთ მოტანილ განმარტებასთან ერთად XIV ს.-ის ბიზანტიიელი კანონისტის მათეოს ბლასტერესის კანონიკური ხასიათის შრომაში შემონახული ის ცნობაც მოწმობს, რომელშიც მითითებულია: ბულგარეთის, კვიპროსისა და იბერიის ეკლესიები არც ერთ პატრიარქს არ ექვემდებარებიან, რომ „იბერიელთა ეკლესიის, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით (წინათ ის ანტიოქიას ექვემდებარებოდა)... მღვდელმთავრები ჩვეულებრივ ხელთ ისხმებოდნენ საკუთარ ეპისკოპოსთაგან“.

„კონსტანტინოპოლის ტაქტიკონიდან“ მომდინარე ცნობაში, ყურადღებას იქცევს ის მითითება, საიდანაც ჩანს VI მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალის დადატურების შესახებ „მერვე კვლავადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა“ რომ დაუმოწმებია. იქვე ნათქვამია, რომ ამ დროიდან, ე. ი. 681 წლიდან „განთავისუფლდა და განპატიოსნდა“ ქართლის ეკლესიის მეთაური. „რამეთუ არღარავისაგან ხელქვეშ (აღარ) არს, არამედ თავისუფალ... არს“.

681 წელს VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პოგონატის, მსოფლიო პატრიარქებისა და „ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოვლისა ზედა საქართველოსა“.



მექესე მსოფლიო კრება
კონსტანტინე მანასის ქრონიკის მინიატურა

ამრიგად, ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება 487/488 წლით უნდა დათარიღდეს. ამ წელს, ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე პეტრე I ფულინის მიერ ქართლის ეკლესიისათვის მინიჭებული ავტოკეფალია 681 წელს, როგორც ამას ქართული ცნობები მოწმობენ, კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა. ამავე კრებამ საბოლოოდ დაუმტკიცა ქართლის ეკლესიას მირონის დამზადების ნებართვა.

ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო: – ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობა ქართლის მოქცევიდან კათალიკოსობის დაწესებამდე 170 წლის გასვლის შესახებ ისტორიული რეალობის ამსახველია და V საუკუნიდან მომდინარეობს.

დავით ხუციძე
არის ტომიტელის სახელობის პეტრე-ქართული უნივერსიტეტი



ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით¹

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც რეალურ ავტოკეფალიას მეხუთე საუკუნიდან თუ არა, მერვე საუკუნიდან მაინც უეჭველად ფლობდა, საუკუნეთა მანძილზე, და რა უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, სულ ბოლო ხანებამდეც კი, იძულებული იყო თავისი მდგომარეობის კანონიერება ემტკიცებინა.

ქრისტიანული სამყაროს ერთერთი უძველესი ეკლესისათვის ეს, ერთი მხრივ, დამამცირებელი, იძულებითი პოლემიკა, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა ქართველი სამღვდელოების მაძიებელი აზრის განვითარებას; მის ყურადღებას მიაპყრობდა საკუთარი და მსოფლიო საეკლესიო ისტორიის ნაკლებად ცნობილ საკითხებს; აიძულებდა ქართულ საეკლესიო მწერლობას საერთაშორისო დონის შესატყვისი ყოფილიყო.

წარმოდგენილ მოხსენებაში მინდა თვალი გავადევნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე ქართველ სამღვდელოებასა და ბერძნულ ეკლესიას შორის გამართულ პოლემიკას; ვაჩვენო, რა არგუმენტები იქნა გამოყენებული როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან და ამით, შესაძლებლობის ფარგლებში, მეტი მასალა შევძინო ისეთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევას, როგორც არის მართლმადიდებლურ სამყაროში ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები.

პარადოქსია, მაგრამ პირველი გამოსვლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ XI სუკუნის მეორე ნახევარში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ქართული სასულიერო მწერლობის აყვავების, მახლობელ აღმოსავლეთში მძლავრი ქართული საეკლესიო-სამწიგნობ-

რო კერების აღმოცენების ხანაში მოხდა. ეს არცაა აღბათ გასაკვირი, რადგან ბერძნებმა, ჩანს, სწორედ ამ პერიოდში გაიაზრეს, რომ ასპარეზზე გამოდის საკმაოდ ძლიერი, დამოუკიდებელი და კარგად ორგანიზებული ძალა, რომლის მწყემსმთავარმაც სულ ახლახან თავი მსოფლიოს მეექვსე პატრიარქად გამოაცხადა რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა შემდგომ.

1057 წელს შავ მთაზე, წმ. სვიმეონის მონასტერში, ბერძნულ და ქართულ თემებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა.

ბერძნებმა შემდეგი თხოვნით მიმართეს ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსი მესამეს: „შეგუენიენ, წმიდაო მეუფეო, და გვიხსნენ დიდისა ჭირისაგან და განგუათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხოთესლთა“ (გიორგი მცირე, ცხორება გიორგი მთაწმიდელისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 150).

სვიმეონ-წმიდის მონასტერში ამ პერიოდში სამოცამდე ქართველი ბერი მოღვაწეობდა. როგორც ჩანს, რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც ეს საკმარისად დიდი ძალა იყო, რომ ბერძნებში ასეთი შეშფოთება გამოიწვია და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად მონასტრის ფარგლებში მათი ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა. ბერძნულმა თემმა თავისი პრეტენზიების დასასაბუთებლად არგუმენტები ასე ჩამოაყალიბა:

1. საეჭვოა ქართველთა სარწმუნოების ჭეშმარიტება.

2. ქართველთა ეკლესიის ავტოკეფალია არ არის კანონიერი.

1. წაკითხულია მოხსენებად 1990 წლის 5 თებერვალს ქ. მოსკოვში საერთაშორისო კონფერენციაზე „ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები“. ვინაიდან კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლებიც, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის საკითხი მაშინ აქტუალური იყო, მოხსენებას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ენიჭებოდა. ამიტომ იგი უცვლელად იბეჭდება.

ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ბრალდების მეორე პუნქტი, რომელიც ბერძენმა ბერებმა ამგვარად ჩამოაყალიბეს:

„ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელთ-მოძღვარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა. და ჯერ არს, რაითა ქალაქსა ამას ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისა ხელმწიფებასა ქუეშე იყვნენ. რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსო მცირე, და ჩუენდა მახლობელად არიან და ჯერ არს, რაითა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრიაქისასა იმწყებოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იქვე, გვ. 152).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის საწინააღმდეგოდ ბერძნებს სამი არგუმენტი აქვთ:

1. თორმეტ მოციქულთაგან საქართველოში არავის უქადაგია.
2. ქართველები უმეცარნი არიან (უნდა ვიფიქროთ, საღმრთო სჯულისა).
3. საქართველოს ეკლესიის სამწყსო მცირეა (იმისათვის, რომ დამოუკიდებლობის პრეტენზია ჰქონდეს).

კამათის გადასაჭრელად ანტიოქიის პატრიარქმა მოიწვია „მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და წარჩინებულთა ანტიოქელთა კრება“, მოიწვიეს ქართველი ბერებიც, რომელთა შორის იყო გიორგი მთაწმიდელი. ქართველთა მხრიდან პაექრობაში ჩაბმა სწორედ მან იკისრა.

გიორგი მთაწმიდელმა იოლად უკუაგდო პირველი ბრალდება საქართველოს ეკლესიის მცდარი აღმსარებლობის შესახებ. ამისათვის საკმარისი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის მიერ აღიარებული სარწმუნოების სიმბოლოს წაკითხვა და მისი განმარტება.

გიორგი მთაწმიდლის პასუხი რომ მოისმინა, თეოდოსი პატრიარქი იძულებული გახდა უარი ეთქვა მეორე ბრალდებაზე, ხოლო მესამეს მან სრულიად აუარა გვერდი. ისე-

თი რანგის საეკლესიო მოღვაწისათვის, როგორიც იყო თეოდოსი მესამე, ცხადია, სამწყსოს სიმცირეს არ შეიძლებოდა კანონიკური არგუმენტის ძალა ჰქონოდა. რაც შეეხება უმეცრებას, გიორგი მთაწმიდლის პასუხის თეოლოგიურმა დონემ ამ არგუმენტსაც ადვილად დაუკარგა ძალა, თუმცა კანონიკასთან კავშირი არც მას შეიძლებოდა ჰქონოდა.

„ნეტარო მამაო, – მიმართა მან გიორგი მთაწმიდელს, – დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ. ჯერ-არს, რომელ ეკლესიანი და მღდელთმოძღვარნი თქუენი ხელსა ქუეშე სამოციქულოისა ამის საყდრისასა იმწყებოდინ და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისაითა. და ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს შენ მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრიაქთა, საყდრისმოდგამთა ჩუენთა, და ვაუწყო თვითრჩულობაი და ქედფიცხელობაი ნათესავისა თქუენისაი, და ვითარმედ თვინიერ სამოციქულოისა კანონისა თვით იმწყებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა. და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე, ვიდრე არა თვით მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ხელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოს“ (იქვე, გვ. 153).

ამგვარად, საქართველოს ეკლესიას ბრალად ედება ის, რომ იგი დამოუკიდებლად ირჩევს და ხელს ასხამს თავის უმაღლეს იერარქებს. მარტივად რომ ვთქვათ, სწორედ ეს არის ეკლესიის რეალური, ფაქტობრივი ავტოკეფალია. საბოლოოდ გამოიკვეთა, აგრეთვე, ბერძნული მხარის კანონიკური არგუმენტი: მოციქულთა კანონების შესაბამისად ავტოკეფალიის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ქვეყნის ეკლესიას, სადაც მოციქულებს უქადაგიათ.

მოციქულთა კანონებს ავტოკეფალიის უფლების ასეთი რეგლამენტი რომ არ განუსაზღვრავთ და არც შეეძლოთ განესაზღვრათ, ცხადია ახლა და, ალბათ, ცხადი იყო მაშინაც. მაგრამ ქართველი ბერები, როგორც ჩანს, ელოდნენ საკითხის ასე დასმას და სათანადოდ მომზადებულები შეხვდნენ

მას. გიორგი მთაწმიდელმა მოატანინა „მი-მოსლვად ანდრეა მოციქულისაა“ და საჯა-როდ წაიკითხა ანდრია პირველწოდებული-სა და სვიმეონ კანანელის საქართველოში მოღვაწეობის ისტორია:

„ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეული და განათლებული და ერთი წმიდათა ათორ-მეტთა მოციქულთაგანი, სიმეონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფისი ეწოდების“ (გიორგი მცირე, დასახ. ნაშრ., გვ. 154).

გიორგი მთაწმიდელმა არა მარტო შეძლო დაესაბუთებინა საქართველოს ეკლესის სამოციქულო წარმომავლობა, არამედ თავისი ეკლესის სასარგებლოდ ახალი და უძლიერესი არგუმენტიც შემოიტანა, რომლის წინასწარ განჭვრეტა არ შეეძლო ბერძნულ მხარეს. ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულის საფლავის არ-სებობა, რასაც ეკლესის ავტორიტეტი-სათვის (განსაკუთრებით მსოფლიო პატ-რიარქებს შორის მეტოქეობაში) მთელს ად-რეულ შუა საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ძირითადი ბრალდების მოხსნის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი შეტევაზე გადავიდა და კამათში ისეთი არგუმენტების წამოყენება დაიწყო, რომელთაც კანონიკური მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდათ, მაგრამ ქართულ მხარეს საგრძნობ მორალურ უპირატესობას აძლევდა. იგი შეეცადა დაესაბუთებინა ანტიოქიის პატრიარქი-სათვის, რომ სამოციქულო წარმომავლობა ეკლესის ავტოკეფალიისათვის აუცილებელი კია, მაგრამ საკმარისი არ არის:

„ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებული ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიღრებილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და ვსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადა-გებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ, ან უკუეთუ ჯერ არს, დაგე-მორჩილნეთ... რომელნი-ეგე ჩუენ უმეცრად

და სუპუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო უამი, რო-მელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმა-დიდებლობაი არაი იპოებოდა და იოვა-ნე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწრია დიდსა სვი-ნაქსარსა“ (იქვე, გვ. 154).

გიორგი მთაწმიდლის ყველა არგუმენტი განმტკიცებულია სათანადო დოკუ-მენტით. სხვაგვარად ვერც დაიცავს თავს „მცირ“ ეკლესის წარმომადგენელი. მალე პოლემიკის ასეთი მეთოდი ქართველ პო-ლემისტთა უძლიერეს მეთოდად იქცევა და ხელს შეუწყობს ძველ საქართველოში თა-ვისი ხანისათვის შესაფერისი ისტორიული წყაროთმცოდნეობის ჩამოყალიბებას.

მაგრამ ამ წუთას ჩვენთვის უფრო საინ-ტერესო ის არის, რომ ქართულმა მხარემ თვითონ ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ეკლესის ავტოკეფალიის ლეგიტიმურობის შესახებ: **ავტოკეფალური შეიძლება იყოს ეკ-ლესია, რომელიც წარმოშობით არის სამო-ციქულო, მტკიცედ იცავს მოციქულთა მიერ გარდამოცემულ სჯულს და არასოდეს უღა-ლატნია მართლმადიდებლობისათვის.**

სიტუაციის მთელი ირონიულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ასეთი ამოსავალის მიღების შემთხვევაში ახლა ბერძენთა მხა-რე უნდა გადასულიყო თავდაცვაზე.

გიორგი მთაწმიდელმა იგრძნო მოახ-ლობული გამარჯვება და, უკვე ნახევრად ხუმრობით, მონინაალმდეგეს საბოლოო დარტყმა მიაყენა: თუ კაზუისტიკას თავს არ დავანებებთ, მაშინ წმ. პეტრეს საყდარი (ან-ტიოქიისა) უნდა დაემორჩილოს წმ. ანდრიას საყდარს (მცხეთისას), როგორც წოდებული უნდა ემორჩილებოდეს მწოდებელსო.

გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის გიორ-გი მცირის გადმოცემით, პაექრობა გიორგი მთაწმიდლის სრული გამარჯვებით დამ-თავრდა. მაგრამ არც თეოდოსი მესამე ალ-მოჩნდა ნაკლები იუმორის მქონე ან ნაკ-ლებ დიდსულოვანი: შევწყვიტოთ პოლემი-კა, სანამ იქით არ დაგვიმორჩილაო, ახლა უკვე მან იხუმრა და ეს ორმხრივი იუმორი მე გიორგი მცირის მიერ გადმოცემული ის-ტორიის ჭეშმარიტების სასარგებლოდ სე-რიოზული არგუმენტი მგონია.

ანტიოქიურმა პოლემიკამ ნათლად აჩვენა ის, რაც დღეს ჩვენ კარგად ვიცით: მოციქულთა კანონებსა და მსოფლიო კრებათა განსაზღვრებებში კონკრეტულად არაფერი არ არის ნათევამი იმის თაობაზე, თუ რას უნდა დაეყრდნოს ეკლესია თავისი ფაქტიური ავტოკეფალიის დასაცავად. ამგვარი ვითარება, ერთი მხრივ, უიოლებს პრეტენდენტს გზას ავტოკეფალიის მოპოვებისკენ ან უკვე მოპოვებულის დაცვას (საშუალებას აძლევს პოლემიკაში თავისთვის სასარგებლო არგუმენტაცია გამოიყენოს): ხოლო, მეორე მხრივ, აძნელებს მისი პოზიციის ლეგიტიმურობის დასაბუთებას (მონინაალმდეგესაც არანაკლები საშუალება ეძლევა თავისთვის სასურველი არგუმენტები აამოქმედოს).

მართლაც, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ სამოციქულო წარმოშობა და მართლმადიდებლობის შეუბლალავი დაცვა ჯერ კიდევ არ ყოფილა საკმარისი არგუმენტი დამოუკიდებლობისა და საკუთარ უფლებათა ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად.

როგორც ჩანს, ამ გარემოებამ აიძულა XI ს.-ის II ნახევრის კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ეფრემ მცირე, დაენერა საგანგებო თხზულება „უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“.

ეფრემის წინაშე დადგა ამოცანა, შეედგინა სახელმძღვანელო წიგნი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად და ანტიოქიის პატრიარქის ბრალდებათა თავიდან ასაცილებლად. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება რომ დაემტკიცებინა, ეფრემ მცირეს დასაბუთებული პასუხი უნდა გაეცა სამ კითხვაზე:

1. არის თუ არა საქართველოს ეკლესია სამოციქულო.

2. კანონიერია თუ არა ქართველთა პრაქტიკა საკუთარი კათალიკოსის ხელდასხმისა.

3. აქვთ თუ არა ქართველებს მირონის დამოუკიდებლად მოხარშვის უფლება.

ბერძნები ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს არ ენდობოდნენ. ამიტომ იყო, რომ ეფრემ მცირემ ბერძნულ წყაროებში მოიძია ბევრი საჭირო ცნობა, რომელთა ჩვენებებს იგი იმოწმებს თავის თხზულებაში.

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ეფრემისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ისიც, ისევე როგორც გიორგი მთანმიდელი, იმოწმებს ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლას“ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის დასამტკიცებლად.

მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად ეფრემ მცირე მიმართავს „ანტიოქიის ქრონიგრაფს“, რომელშიც მან ამოკითხა შემდეგი:

„დღეთა კოსტანტინე სკორის მოსახელისათა, ანტიოქიას პატრიაქობასა ნეტარისა თეოფილაქტესა მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან მკუდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღდელმონამისა, ანტიოქელ პატრიაქისა, არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისაგან გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერავინ იკადრებს სლვად, ხოლო მან ბჭობითა კრებისაითა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რაითა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდინ უამად-უამადსა კათალიკოსსა ქართლისასა, რაიცა საღმრთომან მადლმან უჩუნიონს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთა წესისაებრ საეკლესიოთა“ (ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონი დაურთოთ თბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 9.).

ეფრემ მცირის მიერ მოტანილი ცნობის ქრონილოგია ასეთია: კონსტანტინე სკორი – 741–775 წწ. თეოფილაქტე ანტიოქელი – 761–799 წწ. ანასტასი ანტიოქელი – 602–610 წწ. მაშასადამე, 761–775 წლებს შორის ანტიოქიაში ქართლიდან ჩასულა ორი ბერი, რომლებსაც შეუჩივლიათ ანტიოქიის პატრიარქისათვის: VII ს.-ის დასაწყისიდან არაბთა გამო მიმოსვლა გაძნელებულია და ქართლის კათალიკოსი კურთხევისათვის ანტიოქიაში ვერ ჩამოდისო. ანტიოქიის ეკლესიას არგუ-

მენტი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კანონიკასთან, საკმარისად მიუჩნევია და თავისივე ადგილობრივი კრების გადაწყვეტილებით ნება დაურთავს, რომ ადგილობრივმა (ქართველმა) ეპისკოპოსებმა ხელი დაასხან ქართლის კათალიკოსს საეკლესიო წესების მიხედვით.

„ანტიოქიის ქრონიკაფის“ ცნობის წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა დღეს ჩემი ინტერესების ფარგლებს სცილდება. არ აინტერესებდა იგი არც ეფრემ მცირეს. მას მიზნად მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა: დაერწმუნებინა ოპონენტები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებაში. ბერძნულ წყაროებში დადასტურებულ ცნობებში კი ისინი ეჭვს ვერ შეიტანდნენ.

ასეა თუ ისე, ეკლესიის ავტოკეფალიის ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად გამოიკვეთა კიდევ ერთი არგუმენტი: ფაქტიური ავტოკეფალიის მქონე ეკლესიას სჭირდებოდა მსოფლიო პატრიარქთაგან ერთერთის დადასტურება, რათა მისი მდგომარეობა კანონიერი გამხდარიყო. ასეთი პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ ანტიოქიის საპატრიარქოსაც ჰქონდა. ამიტომ გაჩნდა, კვლავ XI ს.-ის II ნახევარში, ახლა უკვე ლეონტი მროველის თხზულებაში, ცნობა საპერძეოთიდან გამოგზავნილი პირველი კათალიკოსის ანტიოქიის დამტკიცების შესახებ, რომელიც არ იყო გაცილებით უფრო ძველ მის წყაროში – „მოქცევად ქართლისადს ქრონიკაში“. მაგრამ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ასეთი მოთხოვნის წამოყენებაც კი ხომ არავის მოსვლია აზრად!

რაც შეეხება მირონის შემზადებას, მის შესახებ ეფრემმა წყაროებში ვერაფერს მიაკვლია. ამასთან დაკავშირებით მან საკმარისად ჩათვალა, მიეთითებინა ქალკედონის კრების განსაზღვრებებზე. კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ მირონის მოხარშვის უფლება აქვთ ანტიოქიის ეკლესიის გარდა სხვა ეკლესიებსაც. ამ სხვა ეკლესიების რიცხვში, ეფრემის აზრით, უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს ეკლესიაც (რაც არ არის აკრძალული, ის ნებადართულია), მით უფრო, რომ გზის სიშორე და

სიძნელე ამართლებს ადგილზე მირონის მოხარშვის უფლებასაც.

მირონის მოხარშვის უფლების კანონიერების საკითხის დამუშავება საქართველოს ეკლესიას ამითი არ დაუმთავრებია, უეჭველია იმიტომაც, რომ არც მის მიმართ პრეტენზიები შეწყვეტილა ამ თვალსაზრისით. XII ს.-ში კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერის ძემ ჩაიწერა გარდამოცემა საკვირველმოქმედი სვეტის (სვეტიცხოვლის) შესახებ, რომელსაც სასწაულმოქმედი მირონი სდიოდა და, რომელიც აღმართული იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც მაცხოვრის კვართთან ერთად დაიმარხა ლირსი დედა სიდონია (ნიკოლოზ I – 1149–1160) ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ შედგენილი „საკითხავი სუეტის ცხოველისად კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა“, ტფ., 1908, გვ. 75–114). ამით საქართველოში მოხარშული მირონი უშუალოდ დაუკავშირდა მაცხოვარს და მისი ლეგიტიმურობის ეჭვებეშ დაყენება კიდევ უფრო გაძნელდა.

ერთი შეხედვით, საქართველოს ეკლესიამ თითქოს ყველაფერი გააკეთა, რათა თავი დაეცვა ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიებისაგან, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ დამატებითი არგუმენტების ძიების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

XVIII ს.-ის დასაწყისში სწავლულ კაცთა კომისიამ ვახტანგ VI-ის მეთაურობით დიდი სამუშაო ჩაატარა „ქართლის ცხოვრების“ შევსება-რედაქტირების მიზნით.

„ქართლის ცხოვრების“ ახალ რედაქციაში გაჩნდა ტექსტი, რომელიც თითქოსდა კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრების (680-681) დადგენილებას შეიცავს:

„ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა სწორ იყოს პატივითა, ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოლმა-



მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვა
მინატურა

გაღმა, კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა. მისთვის მიგვითვლია საქართველოს ეკლესიანი, მას ჰმონებდენ და მის ხელ ქუეშე იყვნენ, და სჯულსა მისსა ერჩდენ და მისგან იმწყსებოდენ; ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულ იყო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათალიკოსისა წინააღდგომა, მთავარეპისკოპოსმან გინა მიტროპოლიტმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ დაიპყრას ხარისხი და ეკლესია ძალითა, კათალიკოსისა უკითხავად და შეუნდობელად, ანუ იკურთხოს მეფე გინა მთავარნი, ანუ მთავარეპისკოპოსნი და მიტროპოლიტ-ეპისკო-

პოსნი, განიკუეთენ. ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“ (ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 232).

ალბათ, სპეციალური მსჯელობა არა სჭირდება იმის დამტკიცებას, რომ ამგვარი დადგენილება არ დასტურდება VI მსოფლიო კრების აქტებსა და ტრულის კრების განსაზღვრებებში.

ჩანართი, მისი ტერმინოლოგიისა და ნაგულისხმევი ისტორიული სიტუაციის მიხედვით, XV ს.-ზე ადრეული ხანით ვერ დათარიღდება, თუ საერთოდ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ არ არის შეთხზული. ჩემი აზრით, ცნობა VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკე-

ფალიის აღიარების შესახებ, შეითხზა მაკარი ანტიოქიელის 1665 წელს საქართველოში მოგზაურობის შემდეგ და შედეგად. ამ ცნობის „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართვა მიზნად ისახავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვას ანტიოქიის პატრიარქის ახალი პრეტენზიებისაგან. ერთი რამ სავსებით ცხადია, ქართული საზოგადოებრიობის თვალში ანტიოქიის ადგილობრივი კრების გადაწყვეტილება აღარ იყო საკმარისი და საიმედო გარანტია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის გასამართლებლად.

დასასრულს, საკითხი რომ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ, მინდა შევეხო ზოგიერთი სომხური წყაროს ჩვენებას ავტოკეფალიის კანონიკურობის შესახებ. მართალია, ამ წყაროთაგან უძველესები X ს.-ით თარიღდებიან, მაგრამ ისინი, თავის მხრივ, უფრო ადრეულ, VIII ს.-ის, ძეგლებზეც მიუთითებენ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 361-372).

სომხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის გამო სომეხთა და ბერძენთა პატრიარქისას წამოიჭრა საკითხი, რომელიც ქართულ წყაროებში და საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით არა გვხვდება. ბერძენთა მოთხოვნით, დამოუკიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდა ცხრა საფეხურიანი იერარქია: პატრიარქი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, ჰიპოდიაკონი, კლირიკოსი და მედავითნე.


ეკლესიას, რომელსაც არ ექნებოდა ამგვარი იერარქია, არც პატრიარქის დამოუკიდებლად ხელდასხმის უფლება უნდა ჰქონდა. იგი უნდა დამორჩილებოდა ოთხთაგან ერთერთ საპატრიარქო საყდარს: ალექსანდრიის (მარკოზ მახარებლის), ანტიოქიის (მათე მახარებლის), რომისა (ლუკა მახარებლისა) და ეფესოსი (იოანე მახარებლისა). „ოთხი“

ციფრის სიმბოლურობა რომ გაემართლებინათ, პარალელს ავლებდნენ ქვეყნის ოთხ კიდესთან, ედემის ოთხ მდინარესთან, ოთხ მახარებელთან და ა. შ.

ცხადია, ამგვარი პოლემიკის დროს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა არგუმენტად უკვე აღარ გამოდგებოდა. იგი გაჩნდა შედარებით უფრო გვიან, მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურმა მსოფლიო პატრიარქის ტიტული მოიპოვა. სომხური წყაროები ბიზანტიის ეკლესიის ისტორიაში ამ მოსაბრუნსაც ათარიღებენ. იუსტინიანე კეისარმა (525-567) იოანე მახარებლის ნეშტი ეფესოდან კონსტანტინოპოლში გადასვენებინა, სატახტო ქალაქის ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამის შემდეგ ეფესოს საყდარმა თანდათან დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა (მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ყოფილ საფლავს არ უნდა დაეკარგა თავისი სინმინდე და ძალა), ხოლო კონსტანტინოპოლისა მსოფლიო საპატრიარქოს დონემდე ამაღლდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა სამოციქულო წარმომავლობა მოეთხოვათ ფაქტიური ავტოკეფალიის მქონე ეკლესიებისათვის. ამიტომ იწყებს შედარებით გვიან ქართული საისტორიო აზროვნება საქართველოში მოციქულთა ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტების ძიებას და არა იმიტომ, რომ ასეთი ძიებისათვის მას საფუძველი არა ჰქონდა.

რა თეორიული და პრაქტიკული დასკვნები შეიძლება გაკეთდეს საქართველოს და, საერთოდ ქრისტიანული კავკასიის, ისტორიული გამოცდილების ბაზაზე ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლების შესახებ? ვფიქრობ, ერთადერთი: ეკლესია ავტოკეფალიას მოიპოვებდა და შეინარჩუნებდა მაშინ, თუ მას ჰქონდა ამისი ნება, საკმარისი ძალა, შესაბამისი ინტელექტუალური დონე და ზურგს უმაგრებდა საკუთარი დიდი ისტორია. პრო-და-კონტრ არგუმენტებიც ამის მიხედვით იძნდნენ ან კარგავდნენ ძალას.

ზაზა აღმაშენებელი
აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოკტორი



მირონის ხარშვის უძველესი პროცესი
მცხეთა, სვეტიცხოველი

მირონის ხარშვის უფლება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით მიენიჭა (კონსტანტინოპოლი, 680 წელი)

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

1917 წლის 12 მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში. საქართველოს სახელმწიფო ბრიონისა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება ლოგიკური შედეგი იყო იმ დიდი ბრძოლებისა, რომელსაც ქართველი ერი XIX ს.-ის განმავლობაში და XX ს.-ის დასაწყისში ეწეოდა. თებერვლის ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება პირველი ნაბიჯია თავისუფლების მოპოვების გზაზე, რასაც მალე დაკარგული სახელმწიფო ბრიონის აღდგენა მოჰყვა. სამწუხაროდ, 70-წლიანი საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, აღნიშნული საკითხების ობიექტური შესწავლა შეუძლებელი იყო. მაშინ საჭირო იყო გამართლებულიყო ბოლშევიკური რუსეთის ინტერვენცია და საქართველოს დაპყრობა; მეორე მხრივ, საბჭოთა ათეიისტური ისტორიოგრაფია უარყოფითად აფასებდა ეკლესიისა და, საერთოდ სარწმუნოების, მნიშვნელობას.

ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. სახელმწიფო და ეკლესია მჭიდროდ იყო ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული. პოლიტიკურად დაქუცმაცებული სამეფო-სამთავროების დროსაც კი ეკლესია განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებაში. იგი ადუდაბებდა ერთიმეორესთან პოლიტიკურად დაქუცმაცებულ საქართველოს ნაწილებს. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ეკლესია თავდადებით იცავდა ქართველი ერის ინტერესებს მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერის სულიერების ამაღლებასთან ერთად, რაც საფუძველი იყო ეროვნული ცნობიერების სრულყოფისა, ქართველი სასულიერო პირები ჯვრითა და მახვილით იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

მატიანეებმა არაერთი საინტერესო ფურცელი შემოგვინახეს სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირულ სასულიერო პირთა თავდადების შესახებ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი, ბერი თევდორე, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, ეპისკოპოსი ავალიშვილი და სხვ. ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიას ცალკე ჯარი გამოჰყავდა, რომელიც მცხეთის საკათალიკოსო ჯარის სახელით იწოდებოდა. საკათალიკოსო ჯარის მოლაშქრენი იყვნენ საეკლესიო გლეხები და საეკლესიო აზნაურები. ომის დაწყებამდე სასულიერო პირები აზიარებდნენ მხედრობას. კათალიკოს-პატრიარქი იხდიდა პარაკლისს და ლოცავდა ომში მიმავალ მეომრებს. საქართველოს ერთიან ლაშქარს წინ მიუძღვოდა სასულიერო პირი „ჯვარისმტვირთველი“ საწინამძღვრო ჯვრით და ხატით (კ. კეკელიძის სახელის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი №73, ფ. 3).

განუზომელი იყო საქართველოს ეკლესიის როლი ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში. სწორედ სარწმუნოებაში შეუნარჩუნა ქართველ ერს ეროვნული თვითმყოფადობა და მდიდარი კულტურული ტრადიციები. ასეთ ფუნქციას საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის დასაწყისამდე ინარჩუნებდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1811 წელს ცარიზმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის სინოდის დანამატად აქცია. ბუნებრივია, რომ დამპყრობელი ვერ მოითმენდა სახელმწიფო ბრიონისადაკარგულ ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას. მძიმე იყო ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული შედეგები: შემცირდა ეპარქიების რაოდენობა, ბევრი ეკლესია-მონასტერი გაპარტახდა, საეკლესიო ძვირფასეულობა განიავდა. წირვა-ლოცვა ქართული ენის ნაცვლად ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე სრულდებოდა, რამაც გამოიწვია ქარ-

თველ ხალხში რწმენის დაცემა. სასულიერო სასწავლებლებში რუსული ენის დანერგვით ცარიზმი ცდილობდა ქართველი ერის ასიმილაციას. რუსეთი საქართველოს საეგზარქოს თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის იყენებდა. ერთი სიტყვით, ავტოკეფალიის მოსპობით ცარიზმა ქართველ ხალხს ის სულიერი მესაჭე გამოაცალა ხელიდან, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე წინ მიუძღვდა და ვისი მეოხებითაც ქართველობამ ეროვნული თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია, არც სახელმწიფოებრიობის, არც ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვას. როგორც ერთის, ისე მეორის გაუქმებისთანავე მან დაინტუ ბრძოლა დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის. თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას უპირველესი ადგილი ეკავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამაში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმის წინააღმდეგ თითქმის პერმანენტულად მიმდინარე სახალხო აჯანყების მონაწილენი ეროვნული და სოციალური ჩაგრისაგან ხალხის განთავისუფლების ერთ-ერთ პირობად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას მიიჩნევდნენ. ამავე მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სასულიერო პირები. ყველასათვის ცნობილია 1819–1820 წლებში იმერეთისა და გურიის ე. წ. „საეკლესიო ბუნტში“ მიტროპოლიტების ექვთიმე გაენათელისა და დოსითეოს ქუთათელის თავდადება, ანდა 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილის ფილადელფოს კიკნაძის საქმიანობას (გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810–1840 წლები), ქუთაისი, 1999, გვ. 231–252, შდრ. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1801–1921), თბ., 1980, გვ. 22; მ. ხომერიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბ., 1999, გვ. 3–142).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მართალია, არ დასმულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა, მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობა, კერძოდ კი, თერ-

გდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად იბრძოდნენ ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დასაცავად. მათ არაერთხელ აღიმაღლეს ხმა სასულიერო სასწავლებლებში გამეფებული ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამავე პერიოდში ქართველი სასულიერო პირები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ეპისკოპოსები გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე და სხვები, თავიანთ პრაქტიკული საქმიანობით, ქველმოქმედებით, გაპარტახებული ეკლესია-მონასტრების აღდგენით და ქადაგებით ხელს უწყობდნენ ქართველ ერში სარწმუნოებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. 1883–1910 წლებში ქართულ ენაზე გამოდიოდა ორკვირეული ჟურნალი „მწყემსი“ დეკანოზ დავით ლამბაშიძის რედაქტორობით, რომელიც ქართველი ერის გულისთქმას გამოხატავდა და ხელისუფლების სიმკაცრის მიუხედავად პირუთვნელად ილაშქრებდა ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის თერგდალეულთა იდეებზე აღზრდილი ქართველ სასულიერო პირთა ახალი თაობა: ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიძე ოქროპირიძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და სხვები. მათი ინიციატივით ბევრ საზოგადოებრივ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. საეკლესიო განეულობის და სიგელ-გუჯრების გადასარჩენად სიონის ტაძართან 1889 წლიდან 1921 წლამდე არსებობდა საეკლესიო მუზეუმი. ქართველი სასულიერო პირები პერიოდული პრესით თუ წიგნების გამოცემით მკითხველს მოუხსენებდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის წარსულს თუ ანმყოს, პირუთვნელად ამხელდნენ ცარიზმის რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკას. ნათელი იყო, რომ ავტოკეფალიანართმეულ საქართველოს ეკლესიას ეროვნულ სულს გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსანდრე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია და მათი მსგავსი სასულიერო პირები უნარჩუნებდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი სასულიერო პირები დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვისაც იღვნოდნენ.



ეპისკოპოსები ლეონიდე ოქროპირიძე და კირიონ საძაგლიშვილი
პეტერბურგი, 1906 წელი

1905–1907 წლების რევოლუციის დროს ეროვნული ძალების გამოფხიზლებასთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა სასულიერო პირებმა დაინტერეს ბრძოლა ცარიზმის მიერ უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალის აღდგენისათვის. რევოლუციის პერიოდში ავტოკეფალისტთა მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა და მან პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

არაერთგვაროვანი იყო პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის მიმართ. სოციალისტ-ფფედერალისტები და მასში შემავალი ფრაქციული ჯგუფი, მომავალი ეროვნულ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ ავტოკეფალის აღდგენას და აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდნენ მისთვის ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთა (ბოლშევიკები და მენშევიკები) ათეისტურ პოზიციებზე იდგნენ და ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი თავიანთ პრესის ფურცლებზე ხშირად აკრიტიკებდნენ რელიგიის მსახურებს, ხოლო ავტოკეფალისტთა მოძრაობის მიმდევრებს დამცინავად მოიხსენიებდნენ. მასების გათვითცნობიერების მიზნით 1905–1907 წლებში გამოქვეყნდა კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ალექსანდრე ცაგარელის და სხვათა ნაშრომები, რითაც ისინი ასაბუთებდნენ თავიანთი მოთხოვნების კანონიერებას.

ავტოკეფალისტთა მხარეზე იპრძოდა ქართველი საზოგადოების მოწინვე ნაწილი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. ავტოკეფალის მოთხოვნით მათ რამდენჯერმე პეტიციით მიმართეს კავკასიის მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშვილს, რომელმაც მათ კანონიერ მოთხოვნას დუმილით უპასუხა (ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, უურნალი „რელიგია“, 1997, №10-11).

მართალია, ავტოკეფალისტთა მოძრაობას უარყოფითად შეხვდნენ რუსეთის რეაქტიული ძალები, რადგან ამ მოთხოვნაში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახეს, მაგრამ რევოლუციის შიშით და ქართველი სამღვდელოების დაუინებული მოთხოვნის გამო

იმპერატორის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის საკითხი უნდა გადაწყვიტა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. მანამდე კი რუსეთის სინოდთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ 1906 წლის დასაწყისში განიხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები. საკითხის განხილვაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე, აგრეთვე მეცნიერები – ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი. ზოგიერთი რუსი სწავლულიც უჭერდა მხარს ქართველთა დეპუტაციას. მაგალითად, პროფესორი ნიკოლოზ დურნოვო ხშირად აქვეყნებდა რუსულ პრესაში საინტერესო მასალებს საქართველოს ეკლესიის უფლებების შესახებ.

წინასაეკლესიო კრების სათათბირომ ქართველი ერისა და სამღვდელოების კანონიერი მოთხოვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენის შესახებ უარყო, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში სეპარატიზმს ხედავდნენ და მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალის მოპოვება პირველი ნაბიჯი იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, რაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, სავსებით სწორი იყო. ავტოკეფალის აღდგენას მაღესა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაც მოჰყვა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით წინასაეკლესიო კრების სათათბიროს სხდომებზე ქართველთა დეპუტაცია არწმუნებდა მთავრობის წარმომადგენლებს, რომ ავტოკეფალის მოთხოვნას არავითარი პოლიტიკური საფუძველი არ ედო. მათი სურვილი იყო სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკლესიის აღდგენა. ჩვენი შეხედულებით, ასეთი მოსაზრების დაფიქსირებით ქართველთა დეპუტაციას სურდა ავტოკეფალისაკენ მიმავალი გზა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაევლო. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, ისინი მას მხარს უჭერდნენ, მაგრამ აშკარად არქადაგებდნენ მის აუცილებლობას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მისი აღიარებით ეკლესიის საკითხების გადაწყვეტას დიდი სიძნელეები შეექმნებოდა.

რეაქციის პერიოდში (1907–1910 წწ.) ავტოკეფალისტები დიდ დევნა-შევინწროვებას განიცდიდნენ. მისი აქტიური მონაწილენი ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი საქართველოდან რუსეთის შორეულ ეპარქიებში გადაასახლეს. არასაიმედო სასულიერო პირები დათხოვნილ იქნენ. რეაქციის მიუხედავად ავტოკეფალისტთა მოძრაობა არ შეჩერებულა. მონინავე ქართველი საზოგადოება წინ აღუდგა რეაქციის შემოტევას. უცხოური პერიოდული პრესა საქართველოში რუსეთის ძალმომრეობის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა იმხანად ინგლისში მოღვაწე ცნობილმა ანარქისტმა ვ. ჩერქეზიშვილმა და მისმა მეუღლემ. მათი ინიციატივით ლონდონელმა მანდილოსნებმა პროტესტი გამოხატეს რუსეთის ხელისუფლების მიმართ. დაზარალებულთა დასახმარებლად ლონდონში შეიქმნა „რუსის დესპოტიზმის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტი“. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების უფრო კარგად შესწავლის მიზნით და ვ. ჩერქეზიშვილის თხოვნით 1906 წლის შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას ეწვივნენ ქალბატონი დრაიჭორსტი და ცნობილი უურნალისტი და მწერალი ნევინსონი. მათ შემოიარეს მთელი საქართველო. მეგზურობას უწევდა თავად ვ. ჩერქეზიშვილი. კონსპირაციის მიზნით ვ. ჩერქეზიშვილი მღვდლის ანაფორით დაჰყვებოდა სტუმრებს (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 91, აღნ. 1., საქმე №271). სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხით. ამ მიზნით მათ საიდუმლოდ მოუნახულებიათ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე და დეკანოზი დავით ლამბაშიძე. მათი ინფორმაციით ნევინსონმა ევროპას ამცნო ქართველი ერის პოლიტიკური და რელიგიური უუფლებობა. უანდარმერიამ ვ. ჩერქეზიშვილისა და მოწვეული სტუმრების საქმიანობა მათი წასვლის შემდეგ შეიტყო. ვარლამ ჩერქეზიშვილის ინიციატივით შეიქმნა პეტიციის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა ქართული საზოგადოებრიობა, მათ შორის, სასულიერო პირები. პეტიციაში, რომელიც ჰავაგის საერთაშორისო კონფე

რენციის მონაწილეებს უნდა გადასცემოდა, დაწვრილებით იყო საუბარი ქართველი ერის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მასში მოთხოვნილი იყო იმ უკანონობაზე, რომლის ძალითაც რუსეთმა გააუქმა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მითვისა მისი ქონება. პეტიციის ტექსტის საბოლოო რედაქცია ვ. ჩერქეზიშვილის თხოვნით შეასრულა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა ერნესტ ნილსმა. აღნიშნული პეტიციის ტექსტი რამდენიმე ენაზე გამოქვეყნდა და იგი ჰავაგის კონფერენციის დეპუტატებს დაურიგა ნევინსონმა (ჟურნ. „პრომეთე, 1918, №3). ევროპა აღშფოთებული იყო საქართველოში მიმდინარე ამბებით.

გაგულისებულმა რუსეთის ცარიზმა გააძლიერა რეპრესიები ქართველი სამღვდელოების მიმართ. ეჭვმიტანილი სასულიერო პირები საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1908 წელს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამ ავტოკეფალისტთა მოძრაობაზე არასასურველად იმოქმედა. სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატმა პურიშვილმა ეგზარქოსის მკვლელებად ქართველი სამღვდელოება და მათი უპირველესი წინამდლოლი ეპისკოპოსი კირიონი დაასახელა. ამ უსამართლო ბრალდების გამო კირიონი დააკავეს. მართალია, გამოიძიებამ არ დაადასტურა მისი მონაწილეობა მომხდარ მკვლელობაში, მაგრამ კირიონი კარგა ხნის მანძილზე რუსეთის შორეულ გუბერნიებში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ეპისკოპოს კირიონის დევნა-შევინწროვება ევროპას გააცნო ვარლამ ჩერქეზიშვილმა. ამ უკანასკნელის თხოვნით დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები თარგმნა, რომელიც გადაეცა ნევინსონს. ნევინსონმა აღნიშნული მასალა წარუდგინა გიბრალტარის ანგლიკან ეპისკოპოსს, რომ ამ უკანასკნელს ემცნო ინგლისის სამღვდელოებისათვის ქართველი სასულიერო პირების მძიმე მდგომარეობა. თავის მხრივ, საქართველოზე დიდად შეყვარებულ მარჯორი უორდროპს ეპისკოპოსისათვის პირადად უამბნია საქართველოში შექმნილი ვითარება. ქართულ-ინგლისური კომიტეტის თავმჯდომარე მორისს

ვ. ჩერქეზიშვილისათვის თანხმობა მიუცია, რომ რუსეთის სინოდს დაუყოვნებლივ მხარეთხოვდა კირიონის დევნა-შევიწროვების შენიშვეტას (ურნ. „პრომეთე, 1918, №3). ვ. ჩერქეზიშვილის მეცადინეობით ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოება შეიქმნა. ცნობილია, რომ ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარებ უორუ ლორანმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს თხოვა კირიონის უფლებები დაეცვა (მ. ჯანაშვილი, უწმინდესი კირიონი, თბ., 1917, გვ. 3).

ამავე პერიოდში ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების მცირე ნაწილს სურდა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის მოპოვება რომის პაპის დახმარებით. სანაცვლოდ ისინი მზად იყვნენ უნიის გაფორმებაზე. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა. ისინი დაუკავშირდნენ რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს და მისი მეშვეობით იმედი ჰქონდათ, რომ დასახული მიზანი სასიკეთოდ დამთავრდებოდა. აღნიშნულმა განზრახვამ განხორციელება ვერ ჰქოვა, იმის შიშით, რომ უნიის შემთხვევაში საქართველოს ეკლესიას რუსეთი არ დაუბრუნებდა ეკლესია-მონასტრებს და ჩამორთმეულ ქონებას.

ქართველი სამღვდელოების დიდმა ნაწილმა კი ვ. ჩერქეზიშვილის დახმარებით 1910 წლის დასაწყისში ვრცელი წერილი გაუგზავნეს მსოფლიო პატრიარქს ავტოკეფალიის მოთხოვნით. უანდარმერიამ აღნიშნული ფაქტის შესახებ მას შემდეგ გაიგო, როცა უკვე მსოფლიოს პატრიარქისადმი გადასაცემმა წერილმა კონსტანტინოპოლამდე მიაღწია (ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1237, ანან. 12, ფურც. 12; შდრ. სცსსა, ფ. 94, ანან. 1, საქმე №271, ფურც. 1). როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, მსოფლიო პატრიარქი გულისყურით მოკიდებია ქართველთა თხოვნას, რუსეთის მმართველი წრების დაუინებული მოთხოვნის მიუხედავად იგი საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმებას უკანონოდ მიიჩნევდა.

ავტოკეფალისტთა მოძრაობამ XX ს.-ის 30-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი უკვე დიდი ტრიბუნიდან აშკარად მხარს უჭერდა ქართული ეკლესის დამოუკიდებლობის აღდგენას. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ახლად არჩეულმა დეპუტატმა სოციალისტ-ფედერალისტმა **ვარლამ გელოვანმა** კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენას. მანვე, 1912 წლის 13 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. კოვცევის პასუხად, რომელმაც უდიერად მოიხსენია ქართველი სასულიერო პირები, განაცხადა: „ქართული სამღვდელოების მიზანთა მიზანს ქართული ეკლესის ავტოკეფალური მართვა-გამგება შეადგენს“ (Стенографический отчет. Государственная Дума. 4 созыв, 1912, 13 декабря).

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩენოს, ფაქტია, რომ 1912 წლის 6 მარტს სახელმწიფო სათათბიროს 85-ე სხდომაზე საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის მოთხოვნით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი **ე. გეგეჭკორი**. თავის ვრცელ გამოსვლაში მან კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ისაუბრა ქართველი სამღვდელოების სიდუხჭირეზე, საეკლესიო ქონების ძარცვა-განიავებაზე და სხვ. (Стенографический отчет. Государственная Дума. 4 созыв, 1912, 6 декабря; შდრ. გ. საითიძე, „კავკასიის საკითხი“ რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროში, ურნალი „პოლიტიკა“, 1996, №11-12, გვ. 36-39).

მოწინავე ქართველი საზოგადოება ცდილობდა სასულიერო პირების ჩართვას აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ალბათ ამ მიზანს ემსახურებოდა ის ფაქტი, რომ გორის მაზრის ამომრჩევლებს სურდათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად კირიონ საძაგლიშვილი წამოეყენებინათ. ამით ისინი ცდილობდნენ ერთი მხრივ, დიდი პატივისცემა და თანაგრძნობა გამოეხატათ ექსორიაში მყოფი ეპისკოპოსისათვის, მეორე მხრივ, თუკი იგი სათათბიროს დეპუტატი გახდებოდა, ბუნებრივია, რომ ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენისათ-

ვის უკეთ იპრძოლებდა. სამწუხაროდ, ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ეპისკო-პოსი კირიონი დეპუტატობის კანდიდატად არავის დაუსახელებია. სამაგიეროდ მეოთ-ხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატო-ბის კანდიდატი ყოფილა გურია-სამეგრე-ლოს ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, მაგრამ იგი ამომრჩევლებს გაუშავებიათ. ამ ფაქტან დაკავშირებით პუბლიცისტი **ვასილ წერეთელი** ადანაშაულებდა იმხანად ფოთის ქალაქის თავს **ნიკო ნიკოლაძეს**. ამ ბრალდების გამო 6. ნიკოლაძემ გამოსცა ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე“, სადაც იგი მომხდარ ფაქტან დაკავშირებით თავის თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს (გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, №703; 6. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913). სინამ-დვილები ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერ-ნიის უანდარმერიის განყოფილება ყოველ ღმის სამართლებით და რომ ეპისკოპოსს ლეო-ნიდეს არჩევნებში არ გაემარჯვა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალი-ისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა 1914 წლიდან, როცა ეგზარქოსად დაინიშნა პი-ტირიმი. დანარჩენ ეგზარქოსებისაგან გან-სხვავებით იგი თანაგრძნობას უცხადებ-და ქართველ ავტოკეფალისტებს, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი ქართველი კორესპონ-დენტი წერდა ამ „...საკითხის საბოლოო გა-დაჭრა მასზე არ იყო დამოკიდებული“ (გაზ. „მეგობარი“, 1918, №91). იგი ჩამოსვლისთა-ნავე დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას, შეისწავლა ქართული ენა, ახლო ურთიერ-თობაში იყო აკაკი წერეთელთან, დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. ქართველმა საზოგადოე-ბამ ეგზარქოს პიტირიმს დიდი მადლობა გადაუხადა აკაკი წერეთლის პანაშვიდზე ქართულ ენაზე წარმოთქმული საინტერესო სიტყვის გამო. რუსეთის ცარიზმისათვის პიტირიმი, როგორც ლიბერალურად გან-წყობილი პიროვნება, საქართველოს ეგზარ-ქოსად მიუღებელი იყო. ამის გამო იგი 1916 წელს პეტერბურგის მიტროპოლიტად გა-დაიყვანეს. მიტროპოლიტობის პერიოდში შეძლებისდაგვარად იგი ცდილობდა ქარ-თველ ხალხს დახმარებოდა. მისი უშუალო ხელშეწყობით 1916 წელს ქართველებმა

პეტროგრადში აკურთხეს ქართული ეკლე-სია. ქართველებისადმი სიყვარული მან იმი-თაც გამოხატა, რომ რუსეთის გასაბჭოების შემდეგ მიტროპოლიტობიდან გადამდგარმა პიტირიმმა დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობას თხოვა ჩამოსვლის ნე-ბართვა მიეცათ, რომ სამუდამო განსასვენე-ბელი აქ ეპოვა, ნებართვის მიღების შემდეგ იგი გამოემგზავრა, მაგრამ ველარ ჩამოაღწია, 1919 წელს პიატიგორსკში გარდაიცვალა.

ავტოკეფალისტთა მოძრაობაში მოწი-ნავე ქართველი საზოგადოების ნაწილი და სამლენებელობა იყო ჩაბმული. საჭირო იყო მასშტაბის გაფართოება. იმდროინდელი პერიოდული პრესა გულისტკივილით წერ-და, რომ ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთელი ერის საზრუნავი უნდა ყოფილიყო და არა რამდენიმე გულშემატკივარი პირი-სა. მასების ამოძრავების მიზნით, ეპისკო-პოსი ლეონიდე იქროპირიძე აკაკი წერე-თელს თხოვდა დაეწერა საქართველოს ავ-ტოკეფალური ეკლესიის ჰიმნი, რომელიც ქართველ ერს მაღამოდ მოედებოდა. სამ-წუხაროდ, აკაკიმ ავადმყოფობის გამო ვერ შეასრულა მღვდელმთავრის ეს თხოვნა (დ. ვაჩინაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონე-ბანი), უურნალი „ივერია“, ქართულ-ევრო-პული ინსტიტუტის უურნალი, თბილისი-პარიზი, 1992, №1, გვ. 127).

ქართველი სამლენებელობა ყოველ ეროვ-ნულ წამოწყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. პატრიოტულ უურნალ „კლდის“ დახურვის შემდეგ ნაციონალურად განწყობი-ლი ახალგაზრდობის ჯგუფი (ს. შანშიაშვილი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩინაძე, ს. კედია, შ. ამირე-ჯიბი) უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ ყოველდღიური ქართულ გაზეთის გამოცემას. 1915 წელს გელათის არქიმანდრიტს (შემ-დგომ მიტროპოლიტს) **ნაზარს (ლეჭავა)** 800 მანეთი გაუღია გაზეთ „საქართველოს“ გა-მოცემისათვის. გაზეთი „საქართველო“ და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდე-ბი ავტოკეფალისტთა მოძრაობაში აქტიუ-რად იყვნენ ჩაბმული და თავიანთი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული საკითხის შესახებ საინტერესო მასალებს აქვეყნებდნენ.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლი-ტიკოსები ცდილობდნენ ემხილებინათ რუ-

სეთის ძალმომრეობა. 1916 წლის 9 მაისს სტოკოლმიდან „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგამ“, რომელშიც გაერთიანებული იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ერის წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს ვაშინგტონში ტელეგრამა გაუგზავნა. ტექსტს ქართველი ერის სახელით ხელს აწერდა **მიხაკო წერეთელი**. ტელეგრამის ტექსტში ქართველი ერის სარწმუნოებრივ უფლებობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა (ქართული გაზეთი, 1916, №6, გვ. 3). იმავე წელს „თავისუფალი საქართველოს კომიტეტმა“ შვეიცარიაში გამოაქვეყნა „მიმართვა განათლებულ კაცობრიობას“. ამ მიმართვაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს ეკლესის საკითხებს. მასში აღნიშნული იყო, რომ რუსეთმა „მოსპო საქართველოს ავტონომია, ეკლესის ავტოკეფალია, რომელიც საქართველოს მინიჭებული ჰქონდა ათას წელზე მეტი, და რომელსაც მუდამ პატივს სცემდნენ აზიელნი მტერნი, მოსპობილ იქმნა რუსეთისაგან წინააღმდეგ საეკლესიო კანონისა და ერის სურვილისა... გარუსების პოლიტიკა ბატონობს თვით სარწმუნოების საკითხშიაც კი. ეკლესიებში ქართული ენის ადგილი დაიჭირა სლავიანურმა (ქართული გაზეთი, 1916, №10, გვ. 5).

1916 წლის 8 ივლისს ქ. ლოზანაში მესამე სამშვიდობო კონფერენციაზე გამოსულმა მიხაკო წერეთელმა მსმენელებს განუცხადა, რომ ერთმორწმუნე რუსეთმა ფეხქვეშ გათელა ქართველი ერის სარწმუნოებრივი უფლებანი, რის გამოც ის პოლიტიკურ ჩაგვრასთან ერთად რელიგიურ დისკრიმინაციასაც განიცდის. მან მოუწოდა ევროპას, ხმა ამოელო რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ (ჟურნ. „მნათობი“, 1993, №2, გვ. 120–131). თუმცა, მ. წერეთლის გამოსვლის გამო კონფერენციას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ მან ერთხელ კიდევ შეახსენა ევროპას რუსეთის უდელქვეშ მყოფი საქართველოს მძიმე ხვედრი.

რუსეთის რეაქციული ძალები რეპრესიების გარდა ქართველ ავტოკეფალისტებს მშვიდობიანი ფორმებითაც უწევდნენ წინააღმდეგობას. ავტოკეფალისტთა მოძრა-

ობის შესაჩერებლად ვითომდა საქართველოს ეკლესის რეორგანიზაციის მიზნით მათ წამოაყენეს სხვადასხვა პროექტები. ერთ-ერთი ასეთი პროექტით უნდა გაუქმდებულიყო საქართველოს საეგზარქოს და მის ნაცვლად უნდა შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო. ქართველმა საზოგადოებამ ამ პროექტის განხორციელების მიზანი კარგად გაიცნობიერა. კავკასიის სამიტროპოლიტოს შემოღებით გაქრებოდა საქართველოს ხესნებაც. ქართველი საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის გამო რუსეთის მთავრობამ აღნიშნული პროექტი ვერ განახორციელა.

ცარიზმს ხელი არ აუღია თავის რეაქციული გეგმების განხორციელებაზე. სასწრაფოდ წამოაყენეს წინადადება, რომ აფხაზეთში არსებული ერთადერთი სოხუმის ეპარქია ჩამოეშორებინათ საქართველოს საეგზარქოსათვის და იგი შავი ზღვის ეპარქიისათვის მიერთებინათ. ასეთი სურვილი მათ ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში გაუჩნდათ, როცა ქართველმა სამღვდელოებამ დააყენა ავტოკეფალის მოთხოვნა, მაგრამ იგი არ განუხორციელებიათ, რადგან რეაქციის ხანაში ავტოკეფალისტთა მოძრაობა შენელდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში მიზნად ისახავდა ანტიქართული განწყობილების შექმნას. სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსები ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ძირითადად რუსი ეროვნების სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც აფხაზებსა და სამურზაყანოს ქართულ მოსახლეობაში რუსული ენის გაბატონებით ცდილობდნენ თავიანთი დასაყრდენის შექმნას და როცა დასჭირდებოდათ ამ ძალას ქართველების წინააღმდეგ აამოქმედებდნენ. ასე ეგონათ ახლაც, როცა 1916 წელს სოხუმის ეპარქიის საეგზარქოსოდან ჩამოშორების პროექტი სურდათ განეხორციელებინათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათ მხარს დაუჭერდა, მაგრამ მოტყუფვდნენ. 1916 წლის 16 აპრილს აფხაზებმა წერილობით მიმართეს რუსეთის სინოდს და მოითხოვდნენ, რომ სოხუმის ეპარქია კვლავ საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დარჩენილიყო. ამას ისინი იმით

ასაბუთებდნენ, რომ უძველესი დროიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა და აფხაზეთი ისტორიულადაც საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (გაზ. „საქართველო“, 1916, 20 აპრილი). იგივე საკითხთან დაკავშირებით 1916 წლის 26 აპრილს აფხაზეთის დეპუტაცია თავადების დიმიტრი მარშანიას, გიორგი შარვაშიძის, ასტამურ ინალიფას და სხვათა შემადგენლობით კავკასიის მეფისნაცვალს და ეგზარქოსს ეწვია თბილისში. დეპუტაცია მოითხოვდა, რომ სოხუმის ეპარქია ისევ საეგზარქოსოს შემადგენლობაში დარჩენილიყო. აგრეთვე მათი სურვილი იყო აფხაზეთის სკოლებში ქართული ენა ესწავლებინათ (გაზ. „საქართველო“, 1916, 4 მაისი). აფხაზებისა და ქართველი საზოგადოების მოთხოვნით რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა ხელი აეღო თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

1916 წლის მეორე ნახევრიდან ავტოკეფალისტთა მოძრაობა გააქტიურდა. მართალია ახალი ეგზარქოსი პლატონი მათ მიმართ მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ დაწყებული მოძრაობის შეჩერება მას უკვე აღარ შეეძლო. მრავალრიცხვან ქართველ სასულიერო პირთა ხელმოწერით იმპერატორს წარედგინა თხოვნა, რომ რუსეთის მიყრუებულ ეპარქიებში ექსორიაში მყოფი ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, დავით კაჭახიძე და არქიმანდრიტი ამბროსი ხელია სამშობლოში დაეპრუნებინათ. 1916 წლის დეკემბერში ქართლ-კახეთის და იმერეთის სამლენების კრების გადაწყვეტილებას – ავტოკეფალის აღდგენას მთელმა ქართველმა ერმა დაუჭირა მხარი. რუსეთის სინდი საკითხის გადაწყვეტას აჭიანურებდა.

მეფის ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი გახდა ავტოკეფალის აღდგენა. 1917 წლის 27 თებერვალს ცარიზმის დამხობამ ხელ-ფეხი გაუხსნა ავტოკეფალისტებს. რუსეთში შექმნილმა დროებითმა მთავრობამ მართალია სინდისის თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ არც მას და არც საქართველოში შექმნილ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს ყურადღება არ მიუქცევია ქართველი ავტოკეფალისტებისათვის.

შეცვლილი პოლიტიკური ვითარება ქართველმა სამლენდელოებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. აშკარა იყო, რომ ახალ ვითარებაშიც მათ კანონიერ მოთხოვნებს არავინ გაუწევდა ანგარიშს. ქართველ სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის ინიციატივით 1917 წლის 12 მარტს მრავალრიცხვანი საერო და სასულიერო პირთა თანდასწრებით მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. კათალიკოსის არჩევნებამდე ეკლესიის მართვა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით, რომელიც აგრეთვე კათალიკოსის თანამოსაყდრედ გამოცხადდა. საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას ქართველი ერი სიხარულით შეხვდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ეპისკოპოს ლეონიდეს სახელზე მისალოცი დეპუტები მოდიოდა. 1917 წლის 19 მარტს ეპისკოპოსი ლეონიდე შეხვდა ოზაკომის თავმჯდომარეს ხარლამოვს, რომელმაც განაცხადა: „იმედი მაქვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დროს დაცული იქნებოდა ყოველგვარი კანონიერება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველთვის დაგეხმარებით“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 21 მარტი). დაპირება დაპირებად დარჩა. არც ოზაკომს და არც ამიერკავკასიის კომისარიატს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია ეკლესიისათვის. პირიქით, საქართველოს ეკლესიას სოციალ-დემოკრატები გულგრილად უყურებდნენ, ათეიზმის პოზიციებიდან აფასებდნენ მის როლს. ავტოკეფალიის გამოცხადების რამდენიმე დღის შემდეგ პრესაში უკვე გაჩნდა მათი მოთხოვნა ეკლესიის სახელმწიფოსაგან და ეკლესიის სკოლისაგან ჩამოშორების შესახებ. სოციალ-დემოკრატების მისამართით 1917 წლის 17 მაისს გაზეთი „საქართველო“ წერდა: „სოციალ-დემოკრატიული მატერიალური შეხედულების დამკვიდრების სურვილი აიძულებდა ქართველ ერის პოლიტიკურ ლიდერებს ზურგი შეექციათ რელიგიური დაწესებულებებისათვის“. 1917 წლის ივნისში ჩამოყალიბებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ეკლესიის როლს ქვეყნის ერთიანობისა და წინსვლის საქმეში დიდად

აფასებდა. ისინი მხარში ედგნენ ქართველ სასულიერო პირებს მოპოვებული ავტოკეფალის შენარჩუნებაში.

საქართველოს ეკლესის ავტოკეფალის აღდგენას უარყოფითად შეხვდა რუსეთის სინოდი. იგი ქართველ სასულიერო პირებს ბრალს სდებდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა რელიგიური უფლებების დარღვევაში, სხვადასხვა სახის პროვოკაციებზეც არ ამბობდა უარს, მისი ხელი ერია რუსი ეროვნების მქონე მორწმუნეთა ერთი ჯგუფის და სასულიერო პირების ანტიქართულ ქმედებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისა და ბოდბის დედათა მონასტერში.

მართალია, რუსეთის დროებითი მთავრობა მიესალმა და 1917 წლის 27 მარტს სცნო საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია, მაგრამ მისი გადაწყვეტილება არასრულყოფილი იყო. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია უნდა მოწყობილიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული პრინციპის მიხედვით, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესის იურისდიქციას დაექვემდებარებოდა მხოლოდ ქართველი ერი, ხოლო არაქართველები რუსეთის სინოდის გამგებლობაში დარჩებოდნენ. არასრულყოფილი ავტოკეფალის გამო ქართველმა სამღვდელოებამ დროებით მთავრობას პროტესტი განუცხადა, რადგან საეკლესიო სამართლით არ შეიძლება ეკლესის მოწყობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. ამ მოვლენას ფილეტიზმი ჰქვია და იგი დაგმობილია მსოფლიოს საეკლესიო კრებების მიერ. დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება აშკარად მეტყველებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის დროს ისინი საქართველოს როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკლესიურად თავიანთ მფლობელობაში განიხილავდნენ.

რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში საქართველოს ეკლესის სტატუსის დადგენის მიზნით საქართველოში მოავლინეს პროფესორი ვ. ბენეშევიჩი. მან ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგობის მიუხედავად შეიმუშავა ისეთი პროექტი, რომელიც დროებით მთავრობისა და რუსეთის სინოდისათვის მისაღები იყო. 1917 წლის 25 ივ-

ლისს დროებითმა მთავრობამ აღნიშნული პროექტი დაამტკიცა. ეროვნული პრინციპის მიხედვით ქართული ეკლესია დამოუკიდებლად ცხადდებოდა, ხოლო არაქართველთათვის თბილისში უნდა დაარსებულიყო რუსეთის სინოდზე დაქვემდებარებული სამიტროპოლიტო. ქართველი სამღვდელოება უკმაყოფილო იყო დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო საკითხის გამნვავებას მოერიდა. თავიანთი თვალსაზრისი მათ გამოხატეს იმ ნაწილში, რომელიც დართული ჰქონდა გ. ბენეშევიჩის შედგენილ პროექტს, და რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკლესია „თავის მხრივ არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის მსჯავრის წინაშე ამ ანტიკანონიკური პრინციპის შემოტანისათვის“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 19 ივლისი). საბედნიეროდ დროებითი მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება არ განხორციელებულა. 1917 წლის 15 აგვისტოს აღადგინეს თბილისის სამიტროპოლიტო. ამით რუსეთის სინოდს საეკლესიო სამართლით უფლება აღარ ჰქონდა მეორე სამიტროპოლიტო შექმნა. საქართველოს ეკლესია ტერიტორიული პრინციპით მოეწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მართალია, რუსეთის სინოდმა თბილისში შექმნა კავკასიის საეგზარქოს, მაგრამ მას ჩვენი ქვეყნის არაქართველი მრევლი არ ექვემდებარებოდა.

სიძნელეების მიუხედავად ქართული ეკლესია ძალას იქრებდა. გადასახლებიდან დაბრუნდნენ ექსორიაში მყოფი ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, დავით კაჭახიძე და ამბროსი ხელაია. საქართველოს ეკლესიის დიდი გამარჯვება იყო 1917 წლის სექტემბერს ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე კათალიკოს-პატრიარქად კირიონ საძაგლიშვილის (კირიონ II) არჩევა და იმავე წლის სექტემბერს მისი კურთხევა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. ახლად არჩეულმა კათალიკოსმა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს და რომის პაპს წერილობითი მიმართვა გაუგზავნა. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ცნობდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ



საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე, 12 (25) მარტი, 1917 წ.

ეს ასე არ მოხდა. რუსეთის სინოდმა გააფრთხილა მთელი ქრისტიანული სამყარო, რომ არ ეცნოთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. რუსი სამღვდელოება ქართველებს ბრალს სდებდა მართლმადიდებლობიდან გადახვევაში. მხოლოდ უკრაინის ახლად აღდგენილმა ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერება.

ქართველი ერი საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას და მისი მწყემსმთავრის არჩევას უდიდესი სიხარულით შეხვდა, რადგან მათ კანონზომიერად მიაჩნდათ, რომ ეკლესიის თავისუფლებას მაღლ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაც მოჰყვებოდა. მოგვიანებით როცა ცნობილი საზოგადო მოღვაწე რაფაელ ივანიცკი აფასებდა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, სამართლიანად წერდა, რომ იგი „წინამორბედად მოევლინა საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას“ (გაზ. „საქართველო“, 1918, 22 ივნისი). ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების აუცილებელი საჭიროება ქართველ სასულიერო პირებს იმთავითვე ჰქონდათ გათვალისწინებული. ჯერ კიდევ ავტოკე-

ფალიის აღდგენის დღეს (1917 წლის 12 მარტი) სვეტიცხოვლის ტაძარში წარმოთქმულ ქადაგებაში ეპისკოპოსმა ლეონიდემ ეკლესიის თავისუფლება მიიჩნია წინაპირობად ერის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. 1917 წლის 19 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის წინ ლეონიდე ეპისკოპოსმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება: „იმისათვის, რომ ეკლესიამ გაიხაროს მთელი სულით და გულით, საჭიროა ქართული ენის გამეფება ოჯახებსა და, საერთოდ, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ყოველივე ეს, თუ საქართველოს თავისუფალი ეკლესიის შვილები მოქალაქეობრივად ისევ მონებად დავრჩებით, თუ ისევ სხვის თვალებში შემცეირალნი ვიქებით, თუ თვითონ ჩვენ არ გავხდით ჩვენი ბედის გამჭედნი, თუ მთელი სამშობლო არ გავათავისუფლეთ. თავისუფალი ეკლესია მონობაში მყოფი ერით, დამეთანხმებით, არაბუნებრივი მოვლენაა. თავისუფალი ეკლესია თავისუფალ ერში“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 22 მარტი). მღვდელმთავრის აღნიშნული სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ მეფის ხელისუფლების დამხობის შემ-

დეგ სამღვდელოება იყო პირველი, რომელ-
მაც გადაჭრით დააყენა ქვეყნის დამოუკი-
დებლობის საკითხი. ეს მაშინ, როცა იმ-
დროინდელ ქართულ პოლიტიკურ ძალებს
თვალი რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე
ჰქონდათ მიპყრობილი და არ ჩქარობდნენ
დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ლეო-
ნიდე ეპისკოპოსი თავის ყოველ ქადაგება-
ში ხაზს უსვამდა სახელმწიფოს დამოუკი-
დებლობის აუცილებლობას, რადგან თავი-
სუფალ ეკლესიას „უძლეველ ზღუდედ და
გალავნად უნდა შემოვლებოდა პოლიტი-
კურად თავისუფალი საქართველო“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 6 აგვისტო). ქართვე-
ლი სასულიერო პირები მთელ ერში ქადა-
გებდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენას.
მათმა ქადაგებამ სათანადო ნაყოფი გამო-
ილო. უკვე დაბალი ფენებიდან მოდიოდა
აზრი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ.
კირიონ II კათალიკოსად არჩევასთან და-
კავშირებით ქართველი სამხედროები მას
ულოცავდნენ მწყემსმთავრობას და თხოვ-
დნენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა
ღმერთისათვის შეევედრებინა, დაევინე-
ბინათ პარტიულობა და ებრძოლათ საქარ-
თველოს თავისუფლებისათვის.

კათალიკოს-პატრიარქის არჩევის შემდეგ
საქართველოს ეკლესია ქვეყნის სამსახურში
ჩადგა. იგი ცდილობდა ერის უმრავლესობა
პარტიულ ამბიციებზე მაღლა დამდგარიყო,
რომ ყველას, განურჩევლად პოლიტიკური
მრნამსისა, ებრძოლა ქვეყნის წინსვლისათ-
ვის. პოლიტიკურად და სულიერად გახლე-
ჩილ ქართველ ერს 1917 წლის სექტემბერში
კათალიკოსმა კირიონ II-მ მიმართა, სულიე-
რი სიმტკიცისა და ეროვნული ერთიანობი-
საკენ მოუწოდა: „ეკლესიას კიდევ შესწევს
იმდენი ძალა, რომ ხალხს ემსახუროს, გაუ-
ნათოს მას გზა უმჯობესი მომავლისაკენ.
მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკი-
ცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ის-
ტორიაში ჩვენ ვიპოვოთ შესაფერი და დამსა-
ხურებული ადგილი“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 16 მარტი).

საქართველოს ეკლესია იმედიანად შეხ-
ვდა 1917 წლის ნოემბერში ეროვნული ყრი-
ლობის მოწვევას, რომელიც წინ გადად-


გმული ნაბიჯი იყო დამოუკიდებლობის მო-
პოვების გზაზე. კათალიკოსმა კირიონ II-მ
ყრილობას მისალმება გაუგზავნა, რომელიც
დელეგატებს გააცნო დეკანოზმა ნიკიტა
თალაკვაძემ. საქართველოს მწყემსმთავა-
რი ყრილობის მონაწილეებს მიმართავდა:
„თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაც-
დელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას,
მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და
დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიე-
რება, და ბედნიერება“ (გაზ. „საქართველო“, 1917, 22 ნოემბერი). მოგვიანებით ყრილო-
ბის მნიშვნელობას თბილელი მიტროპო-
ლიტი ლეონიდე შემდეგნაირად გამოხა-
ტავდა: „ყველაფერი ეს იყო წინამზადება
ჩვენი ძვირფასი სამშობლოს გაერთიანები-
სა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივად აღ-
დგენა-განახლებისათვის... ამ კრებამ ჩვენი
ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩააბარა ეროვ-
ნულ საბჭოს, დღეს ქართველები მისულები
ვართ საქართველოს დამფუძნებელი კრე-
ბის მოწვევის წამამდე, და სწორედ ამ კრე-
ბამ უნდა მოგვანიჭოს დათრგუნვა ჩვენი
სამშობლოს პოლიტიკურ-სოციალური მო-
ნობისა. მან უნდა ყველას ქუდი დაგვახუ-
როს და ჩვენი ერი უფლებამოსილ ერთა სიაში“
(გაზ. „საქართველო“, 1918, 15 თებერვალი).

სასულიერო პირები აქტიურ მონაწილე-
ობას ღებულობდნენ ქვეყნის ალორძინების
საქმეში. კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ
II-მ და დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ
მონაწილეობა მიიღეს 1918 წლის 26 იან-
ვარს თბილისის უნივერსიტეტის გახსნაში.
საქართველოს ეკლესია აღტაცებით შეხ-
ვდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს და-
მოუკიდებლობის გამოცხადებას. 29 მაისს
პირველ საათზე კათალიკოს-პატრიარქმა
მღვდელმსახურებისა და სამღვდელოების
თანამნირველობით სამადლობელი პარაკ-
ლისი გადაიხადა საქართველოს დამოუკი-
დებლობის გამოცხადების გამო. პარაკლი-
სის შემდეგ კირიონ II სამღვდელოებასთან
ერთად ეწვია საქართველოს მთავრობას და
მიულოცა ქვეყნის დამოუკიდებლობა. იგი
თავის სიტყვაში აღნიშნავდა: „დიდი ისტო-
რიული დღე გაგვითენდა, დიდი წვალების

შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება და ობლის კვერივით გვიან გამოცხვა. მადლობა ღმერთს, ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ხალხს. ეს უდიდესი აქტი ერთხმად მიიღო ყველა წოდების ქართველმა, მიუხედავად პარტიებისა და რწმენისა. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. თავისუფლება ის წმიდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია. მონობისთანა მნარე ხვედრი დედამიწამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგი დამაგვირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1918).

მოპოვებულ თავისუფლებას გაფრთხილება სჭირდებოდა. ამისათვის კი აუცილებელი იყო ერის კონსოლიდაცია, მისი სულიერი განწმენდა და ზნეობრივი ამაღლება, რაშიც დიდი როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს ეკლესიას, მაგრამ მაშინდელი მმართველი ათეისტური სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ყოველმხრივ ზღუდავდა საქართველოს ეკლესიის სულიერ მისიას. ეროვნული დამოუკიდებლობის სამსახურში მდგარი საქართველოს ეკლესია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მატერიალურ სახსარს მოკლებული სასულიერო პირები შიმშილობდნენ. უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია-მონასტრები აღდგენა-განახლებას საჭიროებდა. ახლადფეხადგმული თავისუფალი ეკლესია მატერიალურ დახმარებასთან ერთად მორალურ მხარდაჭერასაც მოითხოვდა. დახმარების ნაცვლად ათეისტური ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათ მიერ ეკლესიის მიმართ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება, მაგალითად, ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის კურსი დემოკრატიული პრინციპებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ყოველივე ეს „რეალურად ანტისარწმუნოებრივ სასიათს ატარებდა და ეკლესიის სექტად

გადაქცევას ისახავდა მიზნად“ (ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ. 7). მმართველი პარტია გულგრილად უყურებდა იმ ძალას, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული მებრძოლი სული. ქართველი სამღვდელოება მზად იყო სიცოცხლის ფასად დაეცვათ მოპოვებული თავისუფლება. 1918 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში მიტროპოლიტი ლეონიდე საქართველოს ეკლესიის გულისთქმას გამოხატავდა, როცა ამბობდა: „ახლა კი ამ ჩვენი ეროვნული შარავანდედისა და სიამაყის წინ ფიცი დავდოთ, რადგანაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს გარეშე მტრები მოსდგომიან კარზე და აკლება-დამორჩილებით ემუქრებიან, პირიდან ლუკმას გამოვიცლით, უკანასკნელ პერანგს გავყიდით, სულიდან დაწყებული ხმარებისაგან გაცვეთილ ცოცხამდე ყველაფერს სამშობლოს სამსახურპლოზე დავდებთ და ქალი და კაცი, ხნიერი და ახალგაზრდა, ჯანსაღი და უძლური დედა სამშობლოს წინაშე იმითი გამოვისყიდით ჩადენილ ცოდვებს, რომ მტლედ დავედებით, სამსახურპლო ფოთლებად შევენირებით მას და ისე გულადად შევებრძოლებით მის დასამონებლად გამზადებულ მტრის რაზმებს, როგორც ერეკლეს დროის სასახელო ასპინძის ომის ქართველი გმირები“ (გაზ. „საქართველო“, 1918, 6 ოქტომბერი). მღვდელმთავრის აღნიშნულ სიტყვებს მაშინდელი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა, საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოში: ქართული ეკლესია კვლავ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მაგრამ იგი ათეიზმის წევების ქვეშ მოექცა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება იყო წინაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ავტოკეფალიის აღდგენამ სულიერად მოამზადა ქართველი ერი თავისუფლებისათვის.



ქარნალ „სპეციალური გვარი“

მომენტისათვის


12 მარტი 1917 წლისა ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღეს კვლავ ფეხი აიდგა მთელი საუკუნის განმავლობაში დატყვევებულმა ჩვენმა ეკლესიამ, საბოლოოდ აიყარა მონობის ბორკილი და დაადგა ახალს გზას განახლებისას და თვის დაქსაქსულ ძალთა მოკრებისას. ძნელია ეს ახალი გზა. ის მოითხოვს მრავალს ცდას და ღვაწლს ეკლესის ყველა ერთგულ შვილთაგან. სინოდის რეზიმმა განსაცდელის კარამდე მიიყვანა ჩვენი მრავალ საუკუნის ისტორიის მქონე ეკლესია, მოადუნა მისი მაცხოვლებელი ენერგია, დაუბნია მას სამწყსო, დაქსაქსა მისი ძალა. 12 მარტის აქტის შემდეგაც ჩვენს ეკლესიას დასჭირდა და კიდევ დასჭირდება მრავალი ბრძოლა მოპოებულ უფლების განსამტკიცებლად და განსახორციელებლად. ყველამ იცის, თუ რამდენი დაბრკოლება გადაელობა ჩვენი ეკლესის ავტოკეფალიურ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას 12 მარტის შემდეგ. ბატონობას ჩვეულინი ყოველი ღონისძიებით და სხვა და სხვა შევიწროებით სცდილობდნენ დაწყებული საქმის გაჭიანურებას და მისთვის საბოლოოდ ხელის შეშლასაც. მაგრამ ჩვენი ეკლესის თავისუფლების საქმე, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, თანდათან წინ მიდიოდა და ახლა უკვე სრულიად მკვიდრ და უტყუარ საფუძველზე დგას.

8 სექტემბერს ტფილისში დაიწყება სრულიად საკათალიკოზოს საეკლესიო კრება, რომელიც დააგვირგვინებს 12 მარტს დაწყებულს საქმეს ეკლესიურ ცხოვრების და მის შინაურ ორგანიზაციის დებულებათა შემუშავებით და ეკლესის თავის მიერ ამორჩეულ ორგანოებთან ერთად სათავეში ჩაუდგება ჩვენი ეკლესის აღორძინების საქმეს.

რთულია და მრავალმხრივი ის დანიშნულება, რომელიც ადევს ჩვენს ახლად განთავისუფლებულ ეკლესიას. ამ დანიშნულების პირნათლად შესრულება მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების შემოკრებას მშობლიურ ეკლესის გარშემო, რათა საერთო დახმარებით ეკლესიამაც შესძლოს თავისი დადებითი წვლილის შეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხოლოდ არსებულ ცოცხალ ძალთა შემოკრებით შესაძლებელი იქნება სინოდალურ რეჟიმის ნანგრევებზე ახალ თავისუფალ წყობილების დამკვიდრება სარწმუნოებრივ და ეკლესიურ სფეროში.

ურნალი „სვეტიცხოველიც“, რომელიც თავისი სახელით გვაგონებს წმიდა აკვანს ჩვენი სულიერი აღორძინებისას, თავის ვალად დაისახავს ხელი შეუწყოს ეკლესის ერთგულ შვილთა დარაზმვას ახალ ცხოვრებისათვის საბრძოლველად, სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება



ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივ-განპრძობილისა კრებისა, რომელი შემოკრბა ქალაქსა ტფილისს ჩშიზ წელსა, სეკტემბრისა ჸ დღესა.

შემოკრებულნი სულისა მიერ წმიდისა და შედგომილნი მოძღვრებასა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტისა, წმიდათა მისთა მოციქულთა და მონაფეთა, ღირსთა ღმერთშემოსილთა მამათა, წმიდათა და ღმრთივგანპრძნობილთა მსოფლიოთა და ადგილობითთა კრებათა, ვლალადებთ და ვიტყვით: „გურნამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი, უნინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთვის კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეციონ და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა. და ჯუარს ეცუა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამალლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის იცემების და იდიდების, რომელი იტყვდა წინასწარმეტყუელთა მიერ. ერთი

წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად. ალვიარებთ ერთსა ნათლისლებასა მისატევებელად ცოდვათა. მოველით აღდგომასა მკუდრეთით და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა. ამინ“.

ხოლო იქმნა შეკრება ჩუენი არა თუ ბინისათვის რახსამე ქართველთა სარწმუნოებისა, ნუ იყოფინ ესე, – არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, – არამედ სხუათა საეკლესიოთა ძიებათათვის.

დასაწყისასა მეათცხრამეტისა საუკუნისასა დაყენებულ იქმნა თვითთავობა ეკლესიისა ჩუენისა, წარიტაცეს ჩუენგან მამად მაკურთხეველი და დაგუამორჩილეს ჩუენ საყდარსა უცხოსა. ამისა გამო შეირყა ტრაპეზი ჩუენი და მოოხრდენ სავანენი ჩუენნი; „დაემკვიდრნენ მათ შინა, თქმულისაებრ ესაია წინასწარმეტყუელისა, მფრინველი და ძღაბნი, ძერანი და ყორანნი და ვირო-კენტავროსნი; ალმოცენდნენ მათ შინა საეკლენი ხენი და იქმნენ იგინი საყოფელ სირინოსთა და ეზოებ სირაქლემთა“ (XXXIV, 11–13). გარნა არა მოკუდა ერი ქართველი, რომელი ფიცითა წარსთქუამდა:

„უკუეთუ დაგივიწყო შენ, სიონ, დავიწყებულ იყავნ მარჯუენად ჩემი. მრავალთა ღირსთა მწყემსთა და მწყემსმთავართა სული თვისი დასდვეს ზრუნვასა შინა და ვაება-

სა აღშენებისა და კეთილწარმატებისათვის ეკლესიისა ჩუენისა, მრავალნი მოაქამომდე იღუნიან, ვითარცა მწყემსნი კეთილნი; და აპა, აღმობრნებინდა „დღც, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ მას შინა; აღმობრნებინდა დღც აღდგომისა ჩუენისა და ჩუენ ვიქმენით თვისად ეკლესიისა ჩუენისა. შემოვკრბით დღეს, რათა განვამტკიცოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისა, შთავპეროთ მას შინა სული ცხოველი, შემოვზღუდოთ იგი მოძღურებითი მართლისა სარწმუნოებისადთა და შევმოსოთ იგი კუართისა ჯეროვანისა მართვა-გამგეობისადთა. ესე არს ზრუნვად ჩუენი, ეს არს საქმე ჩუენი, რომელსა შინა წარგვიმართოს ჩუენ სულმან ღმრთისამან მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და მოღუაწეთა ივერიის ეკლესიისათა.

სიხარულითა და გულითა მადლიერითა შევავედროთ უფალსა კრებული ესე ღმრთივ-განბრძნობილი და ვთქუათ:

კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა, ემბაზსა შინა მართლმადიდებლობასა შობილისა, ქართველი ერისა მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად ღირსისა მამისა ჩუენისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის, ტფილელ მიტროპოლიტის ლეონიდისა, მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად სამღუდელოთა მღუდელმთავართა, (სახელი მუნ დასწრებულთა) პატიოსანთა მღუდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს

მოყუარეთა მონაზონთა და ღმრთისმოსავისა მორწმუნისა ერისა, რომელი შემოკრბენ ღმრთივ განბრძნობილსა ამას კრებასა, მრავალმცა არიან წელნი.

დღესა ამას სიხარულისა ჩუენისასა მოვიხსენოთ უამნიცა წარსულნი და ხმითა ღმობიერითა ვთქუათ: კეთილად მსახურთა და მართლმადიდებლობით აღსრულებულთა, სანატრელთა მეფეთა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებად და კურთხევად მათი.

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოზთა და ნეტართა მღუდელმთავართა და მღუდელთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი.

საუკუნოებისა ნეტარებისა ღირსთა და ეკლესიისათვის ჩუენისა ღვანლმოსილთა მამათა: კათოლიკოზისა ანტონისა, მიტროპოლიტთა დოსითეოს და ევთომისა, არქიმანდრიტთა გრიგოლ და ზაქარიასი, მღუდელმონაზონისა ფილადელფონისა და სხუათა ჭირნახულთა მამათა საუკუნომცა არს ხსენებად და კურთხევა მათი.

დაუსრულებელისა განსუენებისა მკვიდრთა მამათა და ძმათა ჩუენთა, რომელი მოელოდენ დღესა ამას სიხარულისასა, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი.

თავისუფლებისათვის ერისა თავდადებულთა მამათა, ძმათა და დათა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებად და კურთხევა მათი.

„ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა“ გამოთქმად განსაზღურებათა ამათ ქუემოწერილთა, ერთსულოვნად და თანხმობით შეწყნარებულთა.



ა ვ ტ ო კ ე ფ ။ ა ლ በ ი ს

მისამართი დაუკავშირდეთ მისამართი მოგვიანების უძვირობა
-დაბამ დროები მუხლით მისამართი მოგვიანების უძვირობა
-თვ პირების მისამართი დაუკავშირდეთ მისა
-მისამართი - მდგრადის

**† : ჩემი წელსა, მარცის 74 დღესა, მცხოვის
წმიდათა ათორმეულთა მოცაიქუთის ხრულოდ
საქართველოს აჯათალიკონსო ცამარსა შინა
დღესა კუთიავეს, შემოვვითი ჩეგი, ხრულოდ საქარ-
თველოს ევლენის შეყვემსიმაუკრინი, სამრვდელოი
კონდოლია ჩ ერისგანთ ჩართომადგენელი, ჩ, შედგო-
და, ლიმუროსის ჩ კუთილდელობისათვის ანთის ძალ
ორბის საველოდებელის არაკლისის შესრულებისა, გუ-
ლისხმ კავთ სახელმწიფოს შინა რესერისასა მომხ-
რიდი ძირითადი ცვლილობაზანი ჩ საღიას მოყვრობი-
სა დაივებნებად, ეგრეთვ სახელმძღვანელობის დეპულე-
ბარი ამ მთავრობისამა, საკუთრივ მის მიერ სისამის
ჩ სარჩმუნების თავისუფლების აღსარებად (მუხლი 3).
ამასთან განვცხვით, ვითარებდ: აყვლესისა ქართველო-
თასა ქუნდა, თანხმად მსოფლიო კრებათა კანოებისა,
ავჭრელურული არსებობა, რომლის მოსამახ
ანუ გაუქმებად არავის ძალიდა, თვისიერ მსოფლიო
კონტინენტისა, გარნა მას შინა სრულიად არაყანობიუნდა
შეწყვეტილ იქმნა ავჭრელური მართვა-გამგეობას;
ბელურების შინა უამყაოდა ასალი სახ სახელმწიფოს
მართვა-გამგეობისა ჩ მის აღარ შესაბამების ქართველო-
თა კონტინენტისა უფლებამუხერებულიად ყოვნად; ამის
თვის უცალობელობად ვსახოთ ჩ ერთაშმად ჩ ერთსუ-
ლად განვაჩინეთ:**

ა) ამიერითგან აღდაგენილია ჩართვადოს საქარ-
თველოსა შინა ავჭრელური საკულტოს მართვე-
ლობად, ხლომ, ვიდრე კანონიური აღირისების
კათალიკოსი საქართველოს ეკლესიასა, მოსაყ-
ლოებ მისა დაინიშნოს ყოვლადისმოვდელო წერ-
იდე, გურია-სამეგრელოს ძისკლისი, და მას-
თან, განსაკუთროად უკლისისა, დაწესდეს დროები-
თი მართველობისა საქართველოს ეკლესიისამა-
სასულოეროთა და საერთოთა მისითავარ შეძლებო.

ბ) ვინამთგან საქართველოს ქავეთხედად თვი-
სისა არსებობისა აღიარებს სრულის სოლიდურობის
რესერისა მსალის მთავრობასა თანა, განჩინებად ესე

Ա Ը Ծ Ց Ե Բ Ո Ն Ս Ա Է Ց Օ

յընութեան մտաշուռնեան ուսչմքրառմանց պաշարն ըռածուեցան,
մոնուեթուա նանքու ուսչմքրառմանց ուսչար ըռալուն, և օճա-
խու անդամակայութառն պաշարն ըռալուն է բազանուն յօ-
մուսարութեան պաշարն ըռալունն.

ա պիտի բայց ա յա կ

• կ մ ե ա ն ա ր ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ ա յ ի ա ն ա մ ե մ

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

1917 წლის თებერვალში რუსეთის ბურუჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ ქართველ ხალხს ორი ისტორიული მნიშვნელობის შედეგი მოუტანა: პირველი – აღდგენილი იქნა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნანატრი ეროვნული სახელმწიფოებრიობა (1918 წ. 26 მაისი), რომელიც მან დაკარგა 1801 წელს, როცა ის რუსეთის თვითმპყრობელობამ თავის კოლონიად აქცია, და მეორე – სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლაზე დაყრდნობით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებმა მისი დამოუკიდებლობა აღადგინეს. ეს მოხდა 1917 წლის 12 მარტს. მცხეთაში შემდგარმა მღვდელმთავრებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრებამ ქართველი მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა, რაც, თავის მხრივ, ეროვნული სუვერენიტეტის მშენებლობის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. კრებამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „ამიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თავის ავტოკეფალურ ცხოვრებას, რომლის სვებედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრებათა დადგენილებებისა, ასის წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითმპყრობელობა“ (გაზ. „საქართველო“, 14 მარტი, 1917).

კრებამ მხარი დაუჭირა რუსეთის ახალ მთავრობას. იქ ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებას და თავის რეზოლუციაში ჩანს: „ქართული ეკლესია თავის წმიდათა-წმიდა მიზნად ისახავს ემსახუროს საეკლესიო კეთილდღეობასა და რუს და ქართველ ხალხთა შორის ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ურთიერთნდობისა და მორწმუნეთა რელიგიური სინდისის პატივისცემის ნიადაგზე“. თავის მხრივ, რუსეთის დროებითმა ბურუჟუაზიულმა მთავრობამ 1917 წლის 27 მარტს სიტყვიერად სცნო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და უწოდა მას „ქართული

ეკლესიის თვითგამორკვევის უდიდესი აქტი“, მაგრამ იმავე დროს განაცხადა, რომ „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება საბოლოოდ ეკუთვნის რუსეთის დამფუძნებელ კრებას“.

მცხეთის კრების მიერ მიღებულ ოქმში შემდეგს ვკითხულობთ:

„1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის ათოორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრიბენით რა, ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენელნი, შევასრულეთ წირვა და სავედრებელი პარაკლისი რუსეთის ახალი მთავრობის საკეთილდღეოდ, გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომსდარი ძირითადი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მისი საყოველთაო საზოგადოდ სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღსარება (მუხლი 3), მივიღეთ რა მხედველობაში:

ა) ვინაიდგან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო კრებათა დასტური, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არაკანონიურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა;

ბ) ვინაიდგან რუსეთის სახელმწიფოში დაწესდა ახალი სახელმწიფო მართვა-გამგეობა, რომელსაც აღარ შეესაბამება საქართველოს ეკლესიის უფლება ახდილად ყოფნა, ამისათვის აუცილებლად ვსცანით და ერთხმად დავადგინეთ:

ა) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა, ხოლო ვიდრე სრულ კანონიურ ნიადაგზე მოხდებოდეს საქართველოს ეკლესიის კათალიკოსის არჩევა, დროებით დაინიშნოს კათალიკოსის ადგილის აღმავსებლად, საქართველოს ეკლესიის გამგედ,

სამღვდელო და საერო პირთაგან შემდგარი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის ლეონიდეს თავმჯდომარეობით.

ბ) ვინაიდან საქართველო გულწრფელად აღიარებს რუსეთის ახალ მთავრობასთან სრულ სოლიდარობას თავისი არსებობის ქვაუთხედად, ამისათვის ეს დადგენილება მოხსენდეს რუსეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარეს ბ. როდზიან-კოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს ბ. ლვოვს და ეცნობოს თფილისში კავკასიის კომისარიატს“ (გაზ. „საქართველო“, 15 მარტი, 1917).

ოქმს ხელს აწერდნენ „მღვდელმთავარნი, სამღვდელონი, წარმომადგენელნი ქართველ თავად-აზნაურებისა, სხვადასხვა საკულტო დაწესებულებათა, საქართველოს ქალაქთა და დამსწრე ხალხი“. იმავე დღეს ეპისკოპოსმა ლეონიდემ დეპეშით მიუღოცა სინოდის ახალ ობერ-პროკურორს ვ. ნ. ლვოვს მეფის ხელისუფლების დამხობა და იმედი გამოთქვა, რომ „ახალი მთავრობა თავისუფალი რუსეთისა გაანთავისუფლებს ივერიის ეკლესიას ასის წლის უკანონო ტყვეობისაგან და მიანიჭებს მას შეძლებას ხელახლა ავტოკეფალურის ცხოვრებით იცხოვროს რუსეთის ეკლესიასთან ძმურ კავშირში“ (გაზ. „საქართველო“, 14 მარტი, 1913). მეორე დღეს, 13 მარტს, ეპ. ლეონიდემ წერილობით აცნობა ეგზარქოს პლატონს, რომ საქართველოს ეკლესიამ აღადგინა რუსეთის მიერ გაუქმებული ავტოკეფალია და „ამიტომ ამიერიდან თქვენ იურიდიულად და ფაქტიურად აღარ ბრძანდებით საქართველოს ეგზარქოსად და ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსად. გერთმევათ უფლება განაგოთ საქართველოს ეპარქიები და მრევლი, სასულიერო სასწავლებლები და საეკლესიო დაწესებულებანი საქართველოს საექსარხოსოსი, საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში, აგრეთვე გერთმევათ ის კრედიტი, საქართველოს ეკლესიის შესანახად რომ უნდა გადაიდოს ხოლმე. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას, კათალიკოსის არჩევამდე, ამიერიდან, კრების დადგენილე-

ბით ვიწყებ მე“ (გაზ. „საქართველო“, 17 მარტი, 1917).

1917 წლის 16 მარტს შემდგარმა თბილისის სამღვდელოების კრებამ დაადგინა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში წირვა-ლოცვა ყოფილიყო მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო თბილისის სხვა ეკლესიებში, რომელსაც შერეული მრევლი ჰყავდათ, წირვა-ლოცვის არსებული წესი დროებით უცვლელად დარჩენილიყო. იმავე კრებაზე არჩეული იქნა საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგებლობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი, აღავერდის ეპისკოპოსი პიროსი, სემინარის რექტორი კ. კეკელიძე, დეკანიზი ნ. თალაკვაძე, მღვდლები ვასილი და პოლიევქტოს კარბელაშვილები; ერისკაცნი: იპ. ვართაგავა, ვ. ბარნოვი, ს. გორგაძე, პ. კიზირია, ს. ახვლედიანი, თ. სახოკია, პ. ბარათაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი და დ. დავითაშვილი. თავმჯდომარედ არჩეული იქნა მცხეთის არქიეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი (ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 228). ამასთანავე კრებამ საქართველოს მღვდელმთავრებს დაავალა:

1) შესწყვიტონ ყოველგვარი დამოკიდებულება ნაეგზარქოსალ პლატონთან და მის კანცელარიასთან, სასინოდო კანტორასთან და ამ დაწესებულებათაგან მიღებულ შეკითხვებზე თუ მიმართვაზე პასუხი არ გასცენ;

2) თხოვნები და მოხსენებანი გაუგზავნონ კათალიკოსის მოსაყდრეს, ეპისკოპოსს ლეონიდეს და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას. მიწერ-მონერა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე;

3) ეკლესიაში მოიხსენიონ არა სინოდი და ეგზარქოსი, არამედ კათალიკოსის მოსაყდრე, ეპისკოპოსი ლეონიდე და ქართველი მღვდელმთავრები;

4) დიდ კვერექსზე მოიხსენიონ სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი (იქვე, გვ. 230).

19 მარტს ხალხით სავსე სიონის ტაძარში, თითქმის მთელი ერთი საუკუნის შემდეგ პირველად ქართულად წირა კათალიკოსის თანამოსაყდრე ლეონიდემ. მან თავის სიტყვაში დაახასიათა ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც საქართველოს ეკლესია იმყოფებოდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ. ხაზი გაუსვა ამ ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის უდიდეს მნიშვნელობას ერის სულიერ ცხოვრებაში და დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსო! ყურად ვიღოთ განთავისუფლებული ეკლესის დედობრივი ძახილი. ფიცი და აღთქმა დავდოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შევენირებით საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე დროის განმავლობაში თავისუფალ ეკლესის გვერდში ამოვუყენებთ თავისუფალ საქართველოს“ (გაზ. „საქართველო“, № 67). ეს დღე იყო ქართველი ერის სულიერი ამაღლების კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი.

საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენამ უდიდესი სიხარული გამოიწვია მთელს საქართველოში. ამ პერიოდის თითქმის ყველა გაზეთში იწერებოდა წერილები, რომლებშიც მრევლისა და სამღვდელოების წარმომადგენლები მიესალმებოდნენ ამ ისტორიული მნიშვნელობის აქტის. ერთ-ერთ ასეთ წერილში ნათქვამია: „ვესალმებით მკვდრეთით აღდგენილს ავტოკეფალიას და მის საუკუნოთ დამკვიდრებას. მზად ვართ მტლად დავედოთ საყვარელ და კოპწია ივერიის ეკლესისა და მის აღორძინებულ ავტოკეფალიას“. „სიხარულის ცრემლები მომგვარა წამებული საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენამ“, – წერდა მღვ. ს. კეკელიძე. „მრავალრიცხვანი კრება ქართველ ნაციონალ-დემოკრატებისა აღფრთოვანებით და ერთსულოვნად ეგებება ავტოკეფალურ საქართველოს აღდგენილ ეკლესისა და გისურვებენ სასურველად მიგეყვანოთ ბოლომდე დაწყებული საქმე“, – იწერებოდნენ ფოთიდან. ხოლო ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვანე, რუსეთს გადასახლებული ეპ. კირიონი ვიტებსკიდან ასე მიესალმა საქართველოს ეკლესის

მესვეურებს: „გილოცავთ ავტოკეფალიას. ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერიის ეკლესიას, რადგანაც დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სინმინდე, მდაბიო ერად იქცა ქართველი ხალხი, ტანჯვის ცრემლს ღვრიდა, ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას“ (იქვე, № 67).

არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), რომელიც ასევე მეფის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1909 წელს რიაზანში გადაასახლა, ამჟამად სტარაია-რუსადან შემდეგს სწერდა: „მრავალტანჯულ საქართველოს ვულოცავ სასიხარულო ამბავს მისი ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენისას. გიხაროდენ შენც მშობელო დედავ საკათალიკოსო ეკლესიავ, აღსდეგ და მოავლინე შენი ცხოველმყოფელობა ურნმუნობის გზაზე დაყენებულ ხალხის საკეთილდღეოდ, აღმობრნებინდი ძველებურის სისპეტაკით და სიწმინდით“ (იქვე, № 67).

საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენას უარყოფითად შეხვდა ადგილობრივი რუსი სამღვდელოება, ეს აქტი მათ თავისთვის მიუღებლად მიიჩნიეს და ახლად არჩეულ საეკლესიო მმართველობას უნდობლობა გამოუცხადეს. 1917 წლის 27 მარტს შემდგარმა რუსი სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრებამ მიიღო დადგენილება ეცნობებინა უწმ. სინოდისათვის შემდეგი: „საქართველოს ეკლესის ავტოკეფალობის გამოცხადებას უკვე შესრულებულ ფაქტად ვალიარებთ, ამასთან ერთად ჩვენთვის შეუძლებლად მიგვაჩნია შევიდეთ საქართველოს საკათალიკოსოში და ამიტომ უწმინდეს სინოდსა ვთხოვთ დაარსოს ამიერკავკასიის საექსარხოსო, რომელიც ხსენებულ სინოდს უნდა ემორჩილებოდეს. ამ საექსარხოსოში უნდა შევიდნენ ყველა რუსის მრევლები, აგრეთვე მართლმადიდებელნი სხვა ეროვნებათა, თუ კი ისინი ამას მოისურვებენ“ (იქვე, № 71).

1917 წლის მაისში თბილისში შედგა კავკასიაში მოსახლე რუსების საკლესიო კრება, რომელიც თავისი საქმიანობით ანტიავტოკეფალური იყო.

განუსაზღვრელ ბატონობას ჩვეული სინოდის მოხელენი და საქართველოს რუსი

რეაქციული სამღვდელოება მწვავე საგონებელში ჩააგდო უდიდესმა პოლიტიკურმა გარდაქმნამ, რომლის მეოხებით ქართველმა ხალხმა თავისი ეკლესია დაიხსნა ასი წლის ტყვეობისაგან. საქართველოს ეკლესიის მტრები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეეკვეცათ მისი უფლებები, დაემცირებინათ ხალხის თვალში მისი ღირსება და შეეზღუდათ მისი გავლენის სფერო. ისინი დიდი გულმოდგინებით კვლავ განაგრძობდნენ ავტოკეფალისტთა წინააღმდეგ ღვარძლიან ცილისწამებას და მათ კვლავ პოლიტიკურ სეპარატიზმში სდებდნენ ბრალს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნაეგზარქოსალი პლატონი, პროფ. ვლ. ბენეშევიჩი და არქიმანდრიტი ნიკანდრი. პლატონმა საქართველოს ავტოკეფალის აღდგენის ცნობა რომ მიიღო, ქართველებს რუსი სალდათების ხიშტებით დაემუქრა.

1917 წლის 14 ივლისს უწმ. სინოდმა გამოსცა „დროებითი წესები კავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობისათვის“, რომლითაც დაწესდა რუსული სამიტროპოლიტო კათედრა თბილისში, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა | მსოფლიო საეკლესიო კრების VIII კანონს: „რათა არ იყვნენ ორნი ეპისკოპოზნი ერთსა ქალაქსა შინა“. რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 27 მარტს სცნო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენა და, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, უწოდა მას „ქართული ეკლესიის თვითგამორკვევის უდიდესი აქტი“, მაგრამ ავტოკეფალია სცნო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით. მართლმადიდებელი რუსებისა და არაქართველი მართლმადიდებლების ეკლესიები დატოვა რუსეთის სინოდის გამგებლობის ქვეშ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საბოლოოდ აღიარება უნდა მომხდარიყო რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაზე. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ამაზე 29 მარტს მტკიცე პროტესტი განუცხადა დროებით მთავრობას, რადგან ასეთი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება გამოიწვევდა რუსთა და ქართველთა ინტერესების დაპირისპირებას, ამიტომაც საქართველოს ეკლესიას უნდა მისცემო-

და ტერიტორიული ავტოკეფალია. რუსებს ეყოლებოდათ ავტონომიური ეპისკოპოსი, რომელიც საეკლესიო კანონის ძალით დაექვემდებარებოდა საქართველოს კათოლიკოსს.

1917 წლის აპრილში რუსეთის დროებითმა მთავრობამ რუსეთ-საქართველოს ეკლესიების ურთიერთობის მოსაწესრიგებლად თბილისში გამოგზავნა პროფ. ვლ. ბენეშევიჩი, რომლის ზეგავლენით საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ შეიმუშავა კომპრომისული „ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიის უფლებივი მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში“. რამდენადაც საქართველოს ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო წელგამართული, ის იძულებული გახდა ეცნო თავისი ავტოკეფალია ეროვნული პრინციპით, რის გამოც მის იურისდიქციაში არ შედიოდა არაქართველი მართლმადიდებლების საწმმუნოებრივი საკითხები. პირველი მუხლის შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ „აფხაზებისა და ამიერკავკასიის ოსების მრევლებს, რომელთაც ქართველებთან ერთად განუყოფელის საეკლესიო ისტორიული ცხოვრებით უცხოვრიათ, შეუძლიათ, უკეთუ მოისურვებენ, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შემოვიდნენ“. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად ცხადდებოდა „მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოზი, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“, რომელსაც ირჩევდნენ მოქალაქეობრივად სრულწლოვანი წევრნი ეკლესიისანი პირდაპირის, თანასწორის, საყოველთაო და ფარულის ხმის მიცემით“. ხოლო არჩევის შემდეგ კურთხევამდე ის უნდა დაემტკიცებინა უმაღლეს საერო ხელისუფლებას. საქმის წარმოება და სწავლება ყველა სასულიერო სასწავლებელში უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე“ (საქ. სცსა, ფ. 1459, ან. 1, ს. 15, ფურც. 7).

საქართველოს ეკლესიის გვერდით სინოდი ცდილობდა შეექმნა ამიერკავკასიის საეგზარქოსო, რომელშიც შევიდოდა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა არაქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია თავიანთი სამრევლოებით. ეგზარქოსის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო თბილისში, ხოლო საქართველოს

კათალიკოსისა – მცხეთაში. ეგზარქოსი იმავე დროს უნდა ყოფილიყო თბილისის მიტროპოლიტი. საქართველოს ეკლესიის საკითხების მოსაგარებლად 1917 წლის ივნისში პეტროგრადში მივლინებული იქნა ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა დელეგაცია, მაგრამ მან სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. განსაკუთრებით შეურიგებელ პოზიციებზე იდგა საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი პლატონი.

1917 წლის 25 ივნისს რუსეთის დროებით მთავრობამ დაამტკიცა „რუსეთის სახელმწიფოში (?) ქართული ეკლესიის მდგომარეობის ძირითადი საწყისები“, რომლითაც დაკანონდა ამ ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნული პრინციპით.

საეკლესიო კანონების თანახმად ერთსა და იმავე საეკლესიო ტერიტორიაზე ან ერთ საეკლესიო მხარეში არ შეიძლება არსებობდეს ორი სრულიად დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესია. საქართველოს რუსი სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა კრებასთან ერთად რუსეთის უმაღლესმა საერო და სასულიერო ხელისუფლებამ უარყო ეს კანონები და მით დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიის ახლად აღდგენილ ავტოკეფალიას.

ასეთი უსამართლობის შესახებ კვლავ ხმა აიმაღლა ქართველი ხალხისა და მისი ეკლესიის თავგამოდებით დამცველმა ნ. დურნოვომ. თავის სტატიაში „მთავრობის აქტი ქართული ეკლესიის შესახებ“, რომელიც „პეტროგრადის უწყებებში“ გამოაქვეყნა. იგი წერდა: „ეს აქტი ივერიის ეკლესიის შესახებ ნათლად ამტკიცებს, თურა ცოტა გაეგებათ სარწმუნოების დარგში საერო მმართველობას, რომელიც ქართულ ეკლესიას თავისუფლების მინიჭების მაგივრად, ისევ მონურ შებორკვას უპირებენ... ძალადობასა და უსამართლობას თავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვს“ (გაზ. „Петроградские ведомости“, 17 мая, 1917). მიუხედავად ქართველი ხალხისა და რუს მოწინავე ინტელიგენტთა და სასულიერო პირთა აშკარა პატრიარქისა, ხელისუფლება და სინოდი ჯიუტად განაგრძობდნენ ქართველთა და მათი ეკლესიის ავტოკეფა-

ლიის შევიწროვების პოლიტიკას, თბილისის მიტროპოლიტად სინოდმა არქიეპისკოპოსი პლატონი დანიშნა. ამით აღშეფოთებულმა ქართველებმა გადაწყვიტეს თავიანთი ეკლესიის საკითხები თვითონვე მოეგვარებინათ ქრისტიანული მორალისა და საეკლესიო კანონების საფუძველზე. რაკი პლატონი ნებით არ თანხმდებოდა დაეტოვებინა საქართველოს ეკლესიის მეთაურობა და ეგზარქოსის რეზიდენცია, 1917 წლის 15 აგვისტოს ეს რეზიდენცია ქართველმა სამღვდელოებამ ძალით დაიკავა და თბილისის მიტროპოლიტად კათოლიკოსის მოსაყდრე ლეონიდე გამოაცხადა (საქ. სცსა, ფ. 1459, ან. I, ს. 15, ფურც. 8. იქვე, ფურც. 9).

ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ხარლამოვმა 1 სექტემბერს სპეციალური დეპეშა გაუგზავნა რუსეთის სარწმუნოების მინისტრს, რომელშიც ითხოვდა თბილისში საგანგებო კომისიის გამოგზავნას, რათა „ცხოვრებაში გატარებულიყო ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიისა და განსაზღვრული ყოფილიყო საეკლესიო დაწესებულებანი და ქონება“. ხარლამოვი მინისტრის ყურადღებას მიაპყრობდა იმ გარემოებას, რომ კათალიკოზის მოსაყდრის გაყვანა ამ რეზიდენციიდან არ შეიძლებოდა, რადგან „ასეთი მოქმედება გამოიწვევდა დიდ მღლვარებას ქართველ საზოგადოებაში, რომელიც დარწმუნებულია, რომ ავტოკეფალიის განხორციელებას განგებაფერხებენ და ქართველთა ასეთ განწყობილებას შეუძლიან ეროვნებათა შორის განხეთქილებათა ჩამოგდება“ (სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის, უწმ. ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმ. ტიხონის მიმართ, 1919 წ. 5 აგვისტო, უურნ. „ჯვარი ვაზისა“, № 3, გვ. 5. იხ. აგრეთვე, საქ. სცსა, ფ. 1458, ს. 188, ფურც. 7).

მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, საქართველოს ეკლესიას მისი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სრულებითაც არ გაუწყვეტია კავშირი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამაზე ნათლად მიუთითებს 1917 წლის 1 აგვისტოს საქართველოს

ეკლესიის დელეგაციის მიღება უწმ. სინოდში. ქართული დელეგაციის მისალმებაში უწმ. სინოდისადმი გამოთქმული იყო რწმენა, რომ „ამიერიდან ორივე მონათესავე სარწმუნებითაცა და სულიერი მისწრაფებით ეკლესიანი იცხოვრებენ კეთილთანმობით, მჭიდრო კავშირითა და ურთიერთისადმი სიყვარულით, რათა ერთი გულითა, თუმცა არა ერთითა ენითა, ადიდებდნენ ყოვლადპატიოსანსა და დიდათ შვენიერსა სახელსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ქრისტე არს ჩვენს შორის“ (გაზ. „Петроградские ведомости“, 1917, №103).

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მისალმებაზე უწმ. სინოდის სახელით უპასუხა მისმა თავმჯდომარემ, ფინლანდიის ეპისკოპოსმა სერგიმ: „უწმიდესი სინოდი ევედრება ღმერთს (და მტკიცედ სასოებს ამას), რათა ერთმორწმუნე ქართველმა ხალხმა თავის რელიგიურ-პოლიტიკური ცხოვრების ახალ პირობებში ჰპოვოს წყაროი ახალი ღონისა თავის სულიერი განვითარებისა და ქრისტეს ჭეშმარიტების დღემუდამ დაცვისათვის. არ არის საჭირო მოგაგონოთ, რომ რუსულ ეკლესიურ შეგნებას არასოდეს ეუცხოვებოდა აზრი, რათა საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა მისი წინანდელი წყობილება. და თუ ეს აზრი ამ ხნობამდის ვერა ჰპოვებდა განაარსებას, ეს მიეწერება სხვაგვარ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებს. მით უფრო დიდი სიხარულით ახლა, საერთო თავისუფლების გაზიაფხულის დღეებში, რუსული საეკლესიო შეგნება მზად არის მიესალმოს თქვენი დიდი ხნის ნატვრის აღსრულებას... ვიმედოვნებთ, რომ ზოგიერთი გაუგებრობა ამ საქმეში მოგვარდება... რომ შევძლებთ გამოვნახოთ გზა ურთიერთგაგებისათვის, რათა მომავალში ჩვენმა ორმა ერთმორწმუნე, საეკლესიო აღთქმათა შინა მორწმუნე ხალხმა შესძლოს მშვიდობიანი ცხოვრება მხარისმხარ მიცემით და თვითეული შეუდგეს თავისი დანიშნულების შესრულებას ჩვენ ყოველთა საცხოვნებლათ და ღვთის სადიდებლად“ (ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, 24 ენებისთვე, № 3, გვ. 5. იხ. აგრეთვე – საქ. სცსა, ფ. 1458, ს. 188, ფურც. 3).

თუ რამდენად იყო სინოდის თავმჯდომარის სიტყვა და საქმე ერთმანეთს დაცილებული, ნათლად აჩვენა იმ ფაქტმა, რომ 1917 წლის აგვისტოში სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიწვეული არ ყოფილა. კიდევ მეტი, რუსი მღვდელმთავრების პასუხები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით წინასწარ დაგზავნილ შეკითხვებზე უმეტესად უარყოფითი იყო, ზოგიერთი მათგანი კი მოითხოვდა ავტოკეფალისტი ქართველი მღვდელმთავრის დაპატიმრებასაც კი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა მაინც გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა სინოდის ობერ-პროკურორსა და დროებითი მთავრობის წევრს, მინისტრ კარტაშევს, რომელსაც ეთხოვა საქართველოს ეკლესიის სახელით კრებისთვის გადაეცა ძმური, ქრისტეს მიერ სალამი და მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით განხორციელება.

1917 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში საქართველოს ეკლესიის საქმეების „დროებით მოსაწესრიგებლად“ პეტროგრადში შედგა საგანგებო კომისია პროფ. ნოლდეს თავმჯდომარეობით. ჩვენთვის უცნობია ამ კომისიის გადაწყვეტილება, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რუსეთის საერთო და სასულიერო ხელისუფლება კვლავ ცდილობდა საქართველოს ეკლესია საბოლოოდ ხელიდან არ გაეშვა და მისთვის თავისი პირობები ეკარნახა.

ახლად აღდგენილ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას თავისი კანონიერად არჩეული მეთაური, კათალიკოს-პატრიარქი სჭირდებოდა, ამიტომაც ამ ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის აგვისტოში გადაწყვიტა მოეწვია სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის დასაწყისში მთელ საქართველოში მიმდინარეობდა ამ კრების დელეგატთა არჩევნები. არჩევნები იყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული.

სრულიად საქართველოს 1 საეკლესიო კრება (ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ) გაიხსნა 1917 წლის 9 სექტემბერს დღის 12 სა-

ათზე სიონის ტაძარში". კრებას თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ლეონიდე, პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: გიორგი უურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კედია. კრების დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი იყო საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის პროექტის (წესდების) განხილვა, საქართველოს სასულიერო სასწავლებლების კეთილმოწყობა-უზრუნველყოფის საკითხები, სოხუმის ეპარქიის საკითხი და კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. კრების ცხარე მსჯელობის საკითხად იქცა რუსეთის უნდ. სინოდის ობერ-პროკურორ კარტაშევის დეპეშა, რომელშიც ის, ერთის მხრივ, ულოცავდა ქართველობას ავტოკეფალიის აღდგენას, ხოლო, მეორეს მხრივ, იმუქრებოდა, რომ ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ურთიერთობის გამწვავება რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის. კრებამ მიიღო დადგენილება, რომ კრების პრეზიდიუმს კარტაშევისათვის გაეგზავნა სათანადოდ დასაბუთებული პასუხი, სადაც ნაჩვენები იქნებოდა საქართველოს ეკლესიის უფლებები, რომელიც განსაზღვრული იყო მისი ისტორიული წარსულით და არსებული ვითარებით.

სრულიად საქართველოს I-მა საეკლესიო კრებამ მიიღო „საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის წესდება“. ამ წესდებით საქართველოს ეკლესია აერთიანებდა ყველა მართლმადიდებელ ქართველს და აგრეთვე თავისი სურვილით არაქართველ მართლმადიდებლებსაც, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს ძველი საკათალიკოსოს საზღვრებში; ცხადდებოდა, რომ „საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელია სხვა ავტოკეფალ ეკლესიისაგან, ე. ი. ჰყავს დამოუკიდებელი იერარქია, სარგებლობს საკუთარი კანონმდებლობის სამართლის უფლებით და აქვს განსხვავებული ჩვეულებანი და სამღვდელო წესები“. მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია იყოფილი ეპარქიებად, ეპარქიები – ოლქებად, ხოლო ოლქები – სამრევლოებად. საქართველოს ეკლესიაში მაშინ შედიოდა სულ 12 ეპარქია: მცხეთის, თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის, ალავერდის, ბოდბის, ჯუმათის, ანუვერის, ცხუმის, ურბნისის, ნიკორწმიდის და ცაგერის. საქარ-

თველოს ეკლესიას მთლიანად და ნაწილობრივ (ეპარქიას, ოლქსა და სამრევლოს) განაგებდნენ საეკლესიო კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიას, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთა აღმასრულებელი ორგანო იყო საბჭო (საკათალიკოსო, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო). საქართველოს ეკლესიას, წესდების მიხედვით, განაგებდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც შედგებოდა სამღვდელოთა, მონაზონთა და საერო წარმომადგენლობისაგან. სრულიად საქართველოს ეკლესიის კრების თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო კათალიკოსი, ხოლო მისი არყოფნის დროს მისი მოსაყდრე (იქვე, გვ. 7).

სრულიად საქართველოს ეკლესიის კრების კომპეტენციაში შედიოდა: ადგილობრივი საეკლესიო სამართალი, საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარმოდგენილი საკითხების საბოლოო გარჩევა და გადაწყვეტა, კათალიკოსის, საკათალიკოსოს საბჭოსა და საკათალიკოსო სასამართლოს წევრებისა და კანდიდატების არჩევა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა საზღვრების გადამიჯვნა და კათედრების აღდგენა ან დაარსება, ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა ან ნივთიერად უზრუნველყოფისათვის. საეკლესიო კრების აღმასრულებელი მუდმივი ორგანო იყო საკათალიკოსო საბჭო, რომელიც შედგებოდა 8 წევრისაგან: 4 სასულიერო და 4 საერო წარმომადგენლისაგან. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, საჭეთმცურობელი ეკლესიისა, იმავე დროს იყო მთავარეპისკოპოსი მცხეთისა. მას ირჩევდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, შემდგარი როგორც სასულიერო, ასევე საერო პირებისაგან. წესდების მიხედვით, კათალიკოს-პატრიარქად შეიძლებოდა არჩეულიყო საერო პიროვნებაც, რომელსაც ექნებოდა უმაღლესი საზოგადო განათლება, შესაფერისი საღვთისმეტყველო მომზადება და ფიზიკური და ზნეობრივი მონაცემებით დააკმაყოფილებდა საეკლესიო კანონთა მოთხოვნებს (იქვე, გვ. 10).

კრებამ შექმნა სპეციალური კომისია სასულიერო სასწავლებლების საკითხთა მოსაგვარებლად.

კრებამ დააფიქსირა სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შენარჩუნების ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სინოდი ყოველწლიურად ცდილობდა მის მოწყვეტას დედაეკლესიისაგან. ამ კრებას სოხუმიდან დეპეშით მიესალმა პეტრე ანჩაბაძე, იმ დროისათვის ცნობილი პიროვნება, რომელიც წერდა: ამიერიდან მოხდება ქართველ-აფხაზთა ძმობის აღდგენა და მათი შეერთებაო. ასეთივე აზრი გაატარა თავის სიტყვაში დელეგატმა ჩქოტუამ, რომელმაც მოითხოვა უახლოეს ხანში სამურზაყანოში საეპისკოპოსო კათედრის დაარსება და ეპისკოპოსად ისეთი პიროვნების გაგზავნა, რომელსაც ეცოდინებოდა ადგილობრივი ენები. მისი აზრით მას უნდა ჰქონოდა წოდება „სამურზაყანოელ-ცხუმელი“ ან „ბედიელ-ცხუმელი“ (გაზ. „საქართველო“, № 205, 1917).

17 სექტემბერს საეკლესიო კრება შეუდგა კათალიკოს-პატრიარქის არჩევას. კანდიდატებად დასახელებული იქნენ ეპისკოპოსი კირიონი და თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე. მიტროპოლიტთან თხოვნით მივიდა დელეგატთა ერთი ჯგუფი, რომ მოესხნა თავისი კანდიდატურა კირიონის სასარგებლოდ, მაგრამ ის ამაზე არ დათანხმდა. არჩევნებში მონაწილეობდა 448 დელეგატი. კენჭის ყრა იყო ფარული. ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კირიონს ხმა მისცა 241 დელეგატმა, ხოლო ლეონიდეს – 230-მა. 11 ხმის უპირატესობით სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოსად არჩეულ იქნა კირიონი (საძაგლიშვილი) – ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და ავტოკეფალიის აღსადგენად თავგამოდებული მებრძოლი, რომელიც ამის გამო მთელი 8 წლის განმავლობაში რუსეთს იყო გადასახლებული.

ამ ყრილობისადმი მიმართულ თავის სიტყვაში ახლად არჩეული პატრიარქი ხაზს უსვამდა საქართველოს ეკლესიის ისტორიულ დამსახურებას და დელეგატთა ყურადღებას მიაქცევდა იმ ამოცანებს, რომლებიც იდგა მაშინ ქართული ეკლესიის წინაშე: „ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი

ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო დროშა, რომლის ქვეშ დვიოდა ნაპერწერი ქალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნული დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო... თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცებაგაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი“ (საქ. სცსა, ფ. 1458, ან. I, ს. 187, ფურც. 3).

თავის მხრივ მიტროპოლიტმა ლეონიდემ კირიონისადმი თავის სიტყვიერ მიმართვაში აღნიშნა: „მე მიორკეცდება ძალ-ლონე, რომ მარტოდ აღარ ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცსა ვდებ, მთელის ჩემის არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძლოლაში“ (იქვე, ფ. 1459, ს. 17, ფ. 8. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, № 30).

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან – დაკავშირებით ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის დიდი გულშემატკივარი რუსი სწავლული ნ. დურნოვო 1917 წლის სექტემბრის დამდეგს ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს შემდეგს სწერდა: „დიდად ვწუხვარ, რომ დღევანდელმა გარემოებამ ვერ შემაძლებინა დავსწრებოდი იმ დღესასწაულს, რაზედაც ორმოცი წელი ვოცნებოდი და 8 ენკენისთვეს უნდა აღსრულდეს. ივერიის ჯვაროსანი და სამოციქულო ეკლესია ამიერიდან გვერდში ამოუდება თავის სულიერ თანამოძმე ბერძნის ეკლესიებს. მასავით წამებულს... ეხლა საქართველოს, რომელმაც შემოიკრიბა თავისი შვილები, ჰმართებს აღადგინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართული ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა; ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი ქვეყანა ათეისტური კი არ არის, არამედ მართლმადიდებელი, რომ წინაპარნი 15 საუკუნის განმავლობაში ღვრიდნენ სისხლს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის და რომ დღესაც 200 000 ქართველი

ღვრის რა სისხლს რუსეთისათვის, ღვრის თავის სამშობლოსათვისაც და რუსეთის ერთა შორის ყველაზე მეტი უფლება აქვს მიიღოს სრული თავისუფლება, ვინაიდან საქართველო დამორჩილებული კი არ არის, არამედ საკუთარი ნებით შეერთებული” (საქ. სცა, ფ. 1458, ან. I, ს. 188, ფურც. 6).

17 სექტემბრის საღამოს სხდომაზე არჩეული იქნენ: ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე – ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდის სამიტროპოლიტო კათედრაზე – ამბროსი ხელაია, ურბნისის საეპისკოპოსო კათედრაზე – ეპ. დავით კაჭაბიძე, ალავერდის საეპისკოპოსო კათედრაზე – ეპ. პიროსი ოქროპირიძე.

ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის არა მარტო სასულიერო ცხოვრების, არამედ პოლიტიკური თვით-ცნობიერების ამაღლებისა და განმტკიცების საქმეში; ეს კრება, – წერდა გაზეთი „საქართველო“ თავის 1917 წლის 19 სექტემბრის ნომერში, – „ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის ნაწილობრივი განხორციელებაა... ავტოკეფალური კრება – პოლიტიკური აქტია, ასე უყურებენ მას რუსეთში და ასე შეხედავენ მას ევროპაშიც. იმავე დროს ავტოკეფალის განხორციელებას უდიდესი მოქალაქეობრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს. დღეიდან ერთ თვითონ აირჩივს თავის მოძღვრებსა და მაშასადამე, თვითონ მოაწესრიგებს თავის სარწმუნოებრივსა და კულტურულ საქმეებს. საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია ქართველთა სარწმუნოებრივი სინდისის ტყვეობიდან განთავისუფლებაა... 17 სექტემბერი ოქროს ასოებით აღიბეჭდა ჩვენი მრავალტანჯული ეკლესის ისტორიაში. ეს დღე განაგრძოს დამოუკიდებელი ეკლესის მსვლელობას, ამ დღეს ფაქტიურად განხორციელდა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალური წყობილება და ამიერიდან იგი არსებობს თავისი სულიერი მეუფის უზენაესი მმართველობის ქვეშ“.

კრებამ კათალიკოს-პატრიარქის არჩევით არ შემოფარგლა თავისი მუშაობა, მან საეკლესიო ცხოვრების ყველა მხარეს მიაქცია ყურადღება; შეიმუშავა საეკლესიო

სტატუსი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ამ ეკლესის ცხოვრებას და მიანიჭებდა მას ნამდვილი ეროვნული, დამოუკიდებელი ეკლესის სახეს. კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო საეკლესიო წყობილებისა და ლიტურგიის საკითხებს. კრების მოღვაწეობაში აშკარად იგრძნობოდა „მისი განუსაზღვრელი სიყვარული უძველესი ივერიის ეკლესისადმი და შეურყეველი რწმენა, რომ სამუდამოდ განვლო საშინელი მონობის ხანამ და იწყება ახალი – განახლებისა და აღორძინების პერიოდი“ (გაზ. „საქართველო“, № 205, 1917).

იმავე წლის 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში მოხდა კირიონის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კურთხევა, რომელმაც მიიღო სახალხო ზეიმის სახე. ამასთან დაკავშირებით გაზ. „საქართველო“ შემდეგს აღნიშნავდა: „დღევანდელი დღე ბედნიერ ქორწილსა ჰგავს, დღევანდელი დღე ფერების სიხარულია, მასში გაცოცხლდა ძვირფასეულობა ძველი საქართველოსი, აღმოსავლეთის სიხალისე, და თუ ქართული გული მიეჩვია სიძნელეში კვნესას, დღეს იგი სრულიად გათბა და ცახცახებს დაუქრობელ ცეცხლის სიახლოვით“ (იქვე, № 217, 1917).

საქართველოს ეკლესის დამოუკიდებელი ცხოვრების შემდგომ სწრაფ განვითარებას ჯერ კიდევ აბრკოლებდა რუსეთის მთავრობისა და სინოდის მიერ მისი ავტოკეფალის ეროვნული და არა ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე აღიარება. განთავისუფლებულ საქართველოს ეკლესის თვითგამორკვევის პირველი დღეებიდანვე უხდებოდა სასტიკი ბრძოლა რუსეთის ეკლესის კონტრევოლუციური ძალების წინააღმდეგ. განუსაზღვრელ ბატონობას ჩვეული სინოდის მოხელენი მეტად მწვავე საგონებელში ჩააგდო უდიდესმა პოლიტიკურმა გარდაქმნამ, რომლის მეოხებით ქართველმა ხალხმა თავისი ეკლესია დაიხსნა ასი წლის ტყვეობიდან. საქართველოს ეკლესის მტრები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეეკვეცათ მისი უფლებები, დაემცირებინათ ხალხის თვალში მისი ღირსება და შეეზღუდათ მისი დაწესებუ-

ლებების კომპეტენცია. ისინი დიდი გულ-მოდგინებით კვლავ განაგრძობდნენ ავტო-კეფალისტთა წინააღმდეგ ღვარძლიან ცი-ლისნამებას და მათ კვლავ სეპარატიზმში სდებდნენ ბრალს. განსაკუთრებით აქტიუ-რობდა ნაეგზარქოსალი პლატონი, პროფ. ვლ. ბენეშევიჩი და არქიმანდრიტი ნიკან-დრი, რომლებიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ დანიშნა კავკასიაში რუსული ეკლესიების მოწყობის კომისიის წევრებად. ამ დროებით მთავრობას თითქმის არაფე-რი არ გაუკეთებია საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ. კიდევ მეტი, იგი ყოველნა-ირად ცდილობდა განემტკიცებინა რუსული ეკლესიის მმართველობა კავკასიაში. ხოლო სინოდი თავის მხრივ ყოველნაირად ცდი-ლობდა შეეზღუდა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი და მატერიალური სფეროები, დაეწილა საქართველოს ეკლესიის ავ-ტოკეფალიის აღდგენის ისტორიული აქტის მნიშვნელობა.

საქართველოს ეკლესიის უახლოეს მი-ზანს ასეთ სიტუაციაში წარმოადგენდა ტე-რიტორიული ავტოკეფალიის განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, სრულებითაც არ იქნებოდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ინტერესების შემდახავი, ქართული ეკლესია ყოველთვის იყო არაქართველ მორნმუნეთა მიმართ ტო-ლერანტული. კირიონის მტკიცებით: „ეკლე-სია იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში პოულობდა მეორე სამშობლოს და ბევრი მათგანი საქართველოს ეკლესიის წმიდანთა შორისაც კი აღირაცხა. ერთა შო-რის სოლიდარობის დამყარება და განმტკი-ცება ეხლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვა-ლოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ სოლიდარობას ხელოვნურად არღვევდნენ ხშირად. უნდა ითქვას, ძველი საეკლესიო რე-ჟიმის საშუალებითაც. განახლებული ქარ-თული ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წა-მოაყენოს ბევრისაგან დავინყებული ლო-ზუნგი: „ერთი არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ჩვენ ყოველ-თა შორის“ და ამ ნიადაგზე ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებითი მუშაობისაკენ მოუწოდოს“ (იქვე, № 220, 1917).

როგორც ადრე აღინიშნა, რუსეთის სა-ერო და საეკლესიო ხელისუფლება ყოველ-ნაირად ცდილობდა, რომ აფხაზეთი ტერი-ტორიულად და რელიგიურად საქართვე-ლოსაგან ჩამოცილებინა, მაგრამ 1916 წელს ეს მათ ვერ მოახერხეს და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამწვავების შიშით სოხუმის ეპარქია საქარ-თველოს საეგზარქოსოში დატოვეს, მაგრამ თავის ბოროტ განზრახვაზე მათ საერთოდ ხელი არ აუღიათ და საამისოდ მოხერხე-ბულ დროს უცდიდნენ. მალე მათ ამ გან-ზრახვის ნაწილობრივ განხორციელების სა-შუალებაც მიეცათ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალი-ის ეროვნული პრინციპით აღდგენის დაკა-ნონებით რუსეთის დროებითმა ხელისუფ-ლებამ და უნდ. სინოდმა სოხუმის ეპარქიის სამრევლოს 2 ნაწილად: ქართულად და არა-ქართულად დაყოფა მოახერხა. ქართული სამრევლოები (50-ზე მეტი) დარჩა საქარ-თველოს ეკლესიის ოურისდიქციაში, ხოლო 47 არაქართული სამრევლო დაუქვემდება-რეს ჩერნომორსკის (წოვოროსისკის) ეპარ-ქიას. მას სათავეში ეპ. სერგი ჩაუყენეს.

ასეთ სიტუაციაში, რუსი შოვინისტების მხარდაჭერით, აფხაზ სამღვდელოებისა და ინტელიგენციის ერთმა მცირერიცხოვანმა ნაწილმა უარი თქვა საქართველოს ეკლე-სიის უზენაესობის ცნობაზე და გადაწყვიტა შეექმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკ-ლესია. ამ მიზნით 1917 წლის 24–27 მაისს მათ მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელ-მაც აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფილად გამოაცხადა, დამოუკიდებელი, ნაციონალური აფხაზუ-რი ეკლესიის მეთაურის ყველა უფლებითა და მისთვის ყველა აუცილებელი დაწესე-ბულებებით ქ. სოხუმში“ (აფხაზეთის სა-ხელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 70, ფურც. 2).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ეკლე-სია დამოუკიდებლად გამოცხადდა, ფაქტობ-რივად არაფერი არ შეცვლილა, მის სათავე-ში 1919 მარტამდე კვლავ ეპ. სერგი იდგა.

1919 წლის 7 ოქტომბერს აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოგვარების მიზნით,

მოწვეული იქნა აფხაზეთის სამღვდელო-ების კრება, რომელსაც ესწრებოდა ყველა ეროვნული სამრევლოსა და მართლმადიდებელი მოსახლეობის ყველა თემის წარმომადგენელი, სულ 350 კაცი. კრებამ დაადგინა: „1. ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე აღდგენილი ხდება საქართველოს საკათალიკოსოს თვითმდგომი ეპარქია სოხუმ-აფხაზეთის სახელწოდებით; 2. ეპარქიის სათავეში დგას ეპისკოპოსი, რომელსაც აქვს კათედრა და რეზიდენცია ქ. სოხუმში; 3. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შედის მრევლის ეროვნულობის განურჩევლად ყველა სამრევლო, მონასტერი და საეკლესიო დაწესებულება მდინარე ენგურსა და მდინარე მეხადირს „შორის“ (იქვე, ფურც. 3). ეპარქიას სათავეში ჩაუდგა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია).

ცოტა მოგვიანებით, 1919 წლის 17–23 ოქტომბერს აფხაზეთში იმყოფებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918–1921), რომელმაც მოაგვარა სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მოწყობისა და შენახვის პრაქტიკული საკითხები; ბოლო მოედო აფხაზეთის მრევლის გაყოფას ეროვნული ნიშნის მიხედვით და ამ ეკლესიის გამოყენებას გარეშე ძალების მიერ პოლიტიკური მიზნით საქართველოს წინააღმდეგ.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს არ აძლევდა ზოგიერთ აფხაზს და რუს ინტელიგენტს, რომლებმაც სცადეს სოხუმის ეპარქია კვლავ რუსებისათვის დაექვემდებარებინათ, მაგრამ მათ ამას ვერ მიაღწიეს (აფხაზეთის სცა, ფ-39, ან. I, ს. 712, ფურც. 20). აფხაზეთის ეპარქია იყო და დარჩა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში, როგორც მისი ერთ-ერთი ისტორიულად და ორგანულად განუყორელი ნაწილი.

საქართველოს ეკლესიის მიერ საუკუნოვანი მონობისაგან თავის დაღწევას, დამოუკიდებლობის, ანუ ავტოკეფალიის აღდგენასა და გაერთიანებას რუსეთის ეკლესია

ჯიუტად არ სცნობდა. 1917 წლის 29 სექტემბერს ახლად არჩეულ სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქეს კირიონს რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიაც საქართველოს ეკლესიის მესვეურებს ბრალს სდებდა იმაში, რომ მათ თითქოსდა დაარღვიეს კანონიკური მიმართება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და არ დაუცადეს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე, რითაც შეწყვიტეს ყოველივე კანონიკური ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. უნდ. სინოდმა ამის შემდეგ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი საქართველოს ეკლესიასთან. მხოლოდ 1943 წლის ოქტომბერში დამყარდა ნორმალური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის.

1921 წლის 25 თებერვლიდან – საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე, საქართველოში იწყება ახალი პერიოდი რელიგიისა და ეკლესიის არსებობისა და ფუნქციონირების პროცესში. ეს პერიოდი წარმოადგენდა რელიგიისა და ეკლესიაზე კომუნისტური იერიშის, მათ წინააღმდეგ ტოტალური იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის პროცესს, როდესაც მთელ საქართველოში ზედიზედ იკეტებოდა ეკლესია-მონასტრები და მორწმუნები რჩებოდნენ ხელისუფლებისაგან სულიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფილნი და საზოგადოებისაგან ფაქტობრივად მოკვეთილნი (გ. როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიისა და ეკლესიას საქართველოში, თბ. 1994). ასე გრძელდებოდა თითქმის 70 წელი, სანამ ბოლო არ მოედო ათესტურ სახელმწიფოს და მის მებრძოლ უღმერთოთა ხელისუფლებას, რასაც თავის მხრივ მოჰყვა საქართველოს მოქალაქეთა სინდისის სრული თავისუფლება დღევანდელ ეტაპზე, რაც განმტკიცებულია საქართველოს ახალი კანონისტიუციით.

გ080 რობავა
ვილოსოფიის დოქტორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება

1941–1945 წლებში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში განსაკუთრებით ვლინდება საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები რეგიონალური ეკლესიებისა და, მათ შორის, ქართული ეკლესიის მიმართაც. საბჭოთა მთავრობა თავისი პოზიციის გამტარებელ ერთგულ რუსულ ეკლესიასთან ერთად ეძიებს გზებსა და ხერხებს ქართულ ეკლესიაზე სრული უფლების მოპოვებისათვის და ამ საქმეში იძულებულია გაითვალისწინოს ქართული ეკლესიის დიდი ხნის მოთხოვნა – ავტოკეფალიის აღიარება. საამისოდ საჭირო იყო ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც ქართველ სასულიერო მოღვაწეთ შეუქმნიდა შთაბეჭდილებას ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობაზე, ფაქტიურად კი, მას რუსული ეკლესიისა და საერო ხელისუფლების სასარგებლო იარაღად აქცევდა.

აღნიშნულმა გამოხატულება ჰპოვა სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ „ეკლესიის საქმეთა საბჭოში“, რომლის წების გარეშე რეგიონალური ეკლესიის ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყვდებოდა. ასეთი გზით საბჭოთა ხელისუფლება არა თუ თავისი გავლენის სფეროში ტოვებდა რუსულ ეკლესიას, არამედ მას უქვემდებარებდა ყველა რეგიონალურ ეკლესიას. ომის პერიოდშიც ამგვარი საეკლესიო კურსი სსრ კავშირის საერთო პოლიტიკური კურსის სისხლხორცეული ნაწილი იყო. ხელისუფლებისათვის აშკარა გახდა, რომ ქართული ეკლესიის საბოლოოდ მორჩილებაში მოყვანისათვის უკვე მომწიფებული ვითარება შეიქმნა და აქტიურ ქმედებაზე გადავიდა. ომის წლებში საბჭოთა მთავრობას განსაკუთრებით ესაჭიროებოდა ერთიანი, დარაზმული არმია სოციალიზმის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. მხოლოდ ასეთი მეთოდით იყო იმ ეტაპზე შესაძლებელი საბჭოთა კავშირისა და მისი პოლიტიკური კურსის გადარჩენა. სახელმწიფო ხელისუფლებას მოუხდა სერიოზულ კომპრომისზე წასვლა და ეს კომპრომისი, ქართული ეკლესიის უფლებამოსილების აღიარება უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. XX ს.-ის 40-იან წლებში სწორედ ასეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის განხორციელება მოხდა.

სამამულო ომში ქართული ეკლესიის დიდი დამსახურება საქართველოს ეკლესიის მეთაურს უფლებას აძლევდა ერთხელ კიდევ აღეძრა რუსული ეკლესიის მიერ ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი. ამ მიმართულებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იწყებს დიპლომატიურ მუშაობას და საბაბად იყენებს რუსულ ეკლესიაში პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტის აღდგენას. 1943 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო მთელ რიგ საკითხებზე შემამზადებელი მოლაპარაკებანი რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის. ამ მისით რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში წარმოგზავნა სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსი ანტონი.

მეუფე ანტონმა საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სამოქალაქოს, რომ რუსული საპატრიარქო თანახმაა აღიაროს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქართველოს სსრ-ს საზღვრებში.

პარალელურად, რუსული ეკლესიის წარმომადგენელმა ქართული ეკლესიისაგან კატეგორიულად მოითხოვა სახელმწიფო პოლიტიკური კურსის აღიარება, დაცვა, მისდამი ერთგულება, რაც უნდა გამოხატულიყო რუსული ეკლესიის ანტიკანონიკური დაჯგუფებების უარყოფაში, მათთან ყოველგვარი ურთიერთობების აღკვეთაში.

ლოცვით კანონიკური ურთიერთობის აღდგენა რუსეთისა და საქართველოს ეკლე-
სიებს შორის იყო უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა საქართველოს ისტო-
რიაში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, საეკლესიო-პოლიტიკური კურსის ის ნაწილი
იყო, რომელიც დიდი ბრძოლით, პოლიტიკური სიფხიზლითა და არაჩვეულებრივი სიბ-
რძნით გადაწყვიტა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღარებამ განსაკუთრებული აღშფოთე-
ბა გამოიწვია საქართველოს ეკლესიისადმი ოპოზიციურად განწყობილი რუსი სამღვდე-
ლოების ერთ ნაწილში, რომელიც პატრიარქ სერგის საეკლესიო კურსის მოწინააღმდეგე
იყო და, რომელსაც თავის დროზე საკუთარი მიზნები გააჩნდა, რაც საქართველოში არ-
სებული რუსული სამღვდელოების ხელში ჩაგდებასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მთავრობის წინაშე აქტიურად აყენებს სა-
კითხს რუსული ეკლესიების გახსნის შესახებ, მაგრამ აღნიშნული საკითხების მოგვარება
გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდება.

საქართველოში რუსული ეკლესიების ამოქმედებას არა ერთი დაბრკოლება აღმო-
უჩნდა, ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლება ექცებდა გზებს რათა რეგიონალურ-ნაციო-
ნალურ ეკლესიებს ფართო უფლებები არ ჰქონოდათ; შეემუშავებინათ ისეთი აპარატი,
რომელიც ამ უკანასკნელთა საქმიანობის კონტროლს გასწევდა; მეორე მიზეზად შეიძ-
ლება მივიჩნიოთ ის, რომ გააქტიურდა რუსეთის წმიდა სინოდის მიერ განკვეთილ დაჯ-
გუფებათა მიერ საქართველოს რუს სამრევლოთა ხელში ჩაგდების მცდელობა.

საქართველოს „ობნოვლენური“ მიმართულების მრევლი სერიოზულად ამღვრევდა
წყალს ჯანსაღად მოაზროვნე რუს მართლმადიდებლებში და ცდილობდა ქართული ეკ-
ლესიისადმი მათ დაპირისპირებას.

ამგვარად, ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის აღიარებისთვის ბრძოლამ ხან-
გრძლივი და მძიმე პერიოდი განვლო. ეს მეტად რთული პროცესი ეტაპობრივად მიმ-
დინარეობდა და ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკურ ვითარებებთან ღრმად იყო
გადაჯაჭვული. ქართული ეკლესიის მესვეურნი კარგად უღებდნენ ალლოს ქვეყანაში
შექმნილ ვითარებას, მის შესაბამისად მოქმედებდნენ და ყველა ხელსაყრელ გარემოებას
ეროვნული ეკლესიის სასარგებლოდ იყენებდნენ.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ყველაზე რთულ
პერიოდში – კომუნისტური რეჟიმის დროს, ქართული ეკლესია აღწევს უდიდეს გამარ-
ჯვებას, ნაყოფიერად იყენებს მის ღვაწლს სამამულო ომში და მოიპოვებს ეროვნული ეკ-
ლესიის იურიდიული უფლების აღიარებას რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისგან.

გედეა ბენდელიანი

თსუ სოხუმის ვილიალის ვილოსოფის პათედრის პროფესორი



საქართველოს ეკლესიის ძველი ავტოკეფალიის აღიარება

მოგეხსენებათ, რომ ქართული ეკლესია ჯერ კიდევ მეზუთე საუკუნიდან დამოუკიდებელი – ავტოკეფალური იყო. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ქრისტიანული ქვეყნებიდან ბევრს ვსწავლობდით, მაინც თვითმყოფადი და გამორჩეული კულტურა შევქმნით.

სამწუხაროდ, ჩვენი ავბედობისა გამო, ის საბუთები, რომელიც ჩვენი ეკლისიის დამოუკიდებლობას ადასტურებდა, დაიკარგა. XII საუკუნეში დიდი კანონისტისა და შემდგომში ანტიოქიის პატრიარქის თეოდორე ბალსამონის თქმით, ამბობდნენ, რომ ანტიოქიის პატრიარქის ნეტარი პეტრეს დროს, იბერიის ეკლესიას დამოუკიდებლობა და ავტოკეფალია მიენიჭაო, ე. ი. XII საუკუნეშიც კი ასეთი ორიბი საბუთი გვექონია ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობისა. ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი რუსეთის მთავრობას, რომ მას 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაეუქმებინა და საქართვლოდან რუსეთში გაეწვია უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი, ანტონ II, მეფე ერეკლეს შვილი. შემდეგში ანტონ II პეტერბურგიდან ნიჟნი ნოვორიოდში გადაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

მტრულმა ძალამ დასაყრდენი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ჩვენსავე შორის იპოვა, გამონახეს პატრიარქის მონინააღმდეგე მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი და ქართული ეკლესიის ეგზარქოსად დანიშნეს. აქედან დაიწყო ჩვენი ეკლესიის ისტორიამი ეგზარქოსობის პერიოდი. 1811 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს ეკლესიას



კონსტანტინოპოლი. 1990 წლის 4 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დღე. წირვა ფანარის წმ. გიორგის ეკლესიაში



საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის სიგელი.
იგი წელში უპყრია მსოფლიო პატრიარქს, ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-ს. 1990 წ.

სულ 19 ეგზარქოსი ჰყავდა, რომელთაგან მხოლოდ პირველი იყო ქართველი. ძირითადად ეგზარქოსები ქართულ ეკლესიაში რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელნი იყვნენ. მადლობა ღმერთს, რომ ეგზარქოსობას ბოლო მოედო, 1917 წლის რევოლუციის შემდგომ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა, მაგრამ ამ ფაქტს მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან მხარდაჭერა და აღიარება სჭირდებოდა.

ბოლო თორმეტი წლის მანძილზე გაცხოველებული მოლაპარაკება მიმდინარეობდა ამ საკითხის თაობაზე კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსა და მის მეთაურებთან, ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს პირველთან. ალბათ გახსოვთ, რომ მსოფლიო პატრიარქი ჩვენთანაც ბრძანდებოდა და 1979 წელს მეც გახლდით სტამბულში. სულ რაღაც ორი კვირის უკან მსოფლიო საპატრიარქოში ჩემი მეორე ვიზიტი შედგა, რომლის დროსაც მივაღწიეთ იმას, რომ ორი საბუთი დაინერა: მსოფლიო საპატრიარქომ ჩვენი ძველი, ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში მიღებული ავტოკეფალია და საქართველოს ეკლესიის მამამთავრისათვის პატრიარქის წოდების უფლება სცნო. ამ მეორე საბუთთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში პატრიარქის წოდება უმაღლესია. ქართული ეკლესიის მესაჭე ამ წოდებას მე-11 საუკუნის დასაწყისიდან ატარებდა. მელქისედეკ I თავის სიგელს ხელს აწერს როგორც კათოლიკოს-პატრიარქი. მადლობა ღმერთს, ჩვენს ეკლესიას უკვე ხელში აქვს ის საბუთები, რომელთა წყალობითაც მის ავტოკეფალიას ვეღარავინ შეეხება. მინდა მოგილოცოთ ეს მოვლენა და ერთად შევსწიროთ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ეროვნული განთავისუფლება სულიერი განთავისუფლებით იწყება.

სრულიად საქართველოს პატოლიკოს-პატრიარქი ილია II
აპრილი, 1990 წელი

* * *

საქართველოს ეკლესიას ჰქონდა უძველესი ავტოკეფალია, რომელსაც აღიარებდნენ იმუამინდელი საპატრიარქოები, პირიქით, საქართველოს ეკლესია და საქართველოს სამეფო მუდამ ეხმარებოდა და ხელს უმართავდა ანტიოქიისა თუ იერუსალიმის საპატრიარქოებს.

გიორგი მთაწმინდელს, მისი ბიოგრაფის ცნობით, სრულებით დაეთანხმა იმუამინდელი ანტიოქიის პატრიარქი, რომ საქართველოს ეკლესია დაარსებული იყო თვით წმიდა მოციქულების მიერ და ამის გამო დაარსებისთანავე ავტოკეფალიის უფლების მქონე იყო.

ამ ცნობას იმეორებს თავის განმარტებაშიც კონსტანტინოპოლის პატრიარქი თეოდორე ბალსამონი მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონის განმარტებისას. ეს კანონი აღიარებდა 381 წლისათვის არსებული მრავალი ეკლესის ავტოკეფალიას.

მიუხედავად საქართველოს ეკლესის უძველესი ავტოკეფალიისა, რუსეთის იმპერიამ მეცხრამეტე საუკუნეში, უკანონოდ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველ ერს აღარ მისცეს თავისი პატრიარქის არჩევის უფლება, გაუქმდა უძველესი ათასწლოვანი საეპისკოპოსო კათედრები. მკვეთრად შემცირდა ეპარქიათა რიცხვი. გაუქმდებულ იქნა ქართულენოვანი საეკლესიო სასულიერო სასწავლებლები. აიკრძალა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, ხალხი, რომელიც იქამდე, რუსების გაბატონებამდე, სარწმუნოებისა და ეკლესიის დასაცავად მაჰმადიან იმპერიებთან ბრძოლის დროს თავს სწირავდა ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვას, გაუუცხოვდა ეკლესიას. მათში ჩაინერგა ათეიზმი, ნიჰილიზმი, არაჰუმანური სოციალური იდეები, ხალხი კარგავდა სარწმუნოებას. ამ პროცესის შესაჩერებლად ქართველმა მღვდელმთავრებმა და სამღვდელოებამ გადაწყვიტეს აღედგინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ენინააღმდეგებოდნენ რუსეთის იმპერიის მესვეურები და იერარქები. მათ მიაჩნდათ რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააერთიანებდა საქართველოს, მისი ხალხი ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მის გამოყოფას რუსეთის იმპერიისაგან. შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს დამოუკიდებლობა ერთიან საქმედ გამოცხადდა, რაც საშიშროებას უქმნიდა იმუამინდელი რუსეთის იმპერიის მთლიანობას. ამის გამო ქართველი ავტოკეფალიისტი მღვდელმთავრები სასტიკად იდევნებოდნენ. საბედნიეროდ, ღვთის ნებით, 1917 წლის თებერვალში ტახტიდან გადადგა რუსეთის იმპერატორი და დამყარდა დროებითი მმართველობა, რითაც მყისიერად ისარგებლეს ქართველმა მღვდელმთავრებმა და 1917 წლის 25 მარტს გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

ავტოკეფალიის ერთ-ერთმა უდიდესმა შემოქმედმა, ეპისკოპოსმა ლეონიდემ, შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქმა, სახალხოდ გამოაცხადა შემდეგი სიტყვები: – „ეკლესია თავისუფალია, ქართველო ერო, დავდოთ ფიცი, რომ თავისუფალ ეკლესიას მალე გვერდით ამოვუყენებთ თავისუფალი საქართველოს“, მართლაც ერთი წლის შემდგომ, 1918 წლის 26 მაისს

გამოცხადებული იქმნა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველო გათავისუფლდა რუსეთის იმპერიისგან, მაგრამ 1921 წლის მოხდა მისი ხელმეორე ოკუპაცია. ამასთანავე, რუსეთის ეკლესიამ არ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ის გამოაცხადა არაკანონიკურ საეკლესიო ორგანიზმად. ასე გაგრძელდა მთელი 25 წლის მანძილზე, 1943 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის სამი დიდი უფლება, კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო ლირსება და, მეექვსე ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

1943 წლის დოკუმენტში ნათქვამია – „განხეთქილება დამთავრდა და გაბრწყინდა ეკლესიური მშვიდობა“.

ამის მიუხედავად, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ და ზოგიერთმა სხვა ეკლესიებმა არ ცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნიდა საქართველოს ეკლესიას, აკნინებდა მის წარსულს.

ავტოკეფალური მოძრაობა კვლავ გაგრძელდა უწმიდეს ილია მეორის მეთაურობით.

ჩვენ, ჩვენი თვალით ვხედავდით მის გასაოცარ ღვაწლს, შრომას, მიზანდასახულობას, მრავალჯერად მოქმედებას, მცდელობას, რათა კონსტანტინოპოლის მიწოდებოდა ის გამოკვლევები და საისტორიო მასალები, რასაც ისინი ითხოვდნენ ჩვენი ეკლესიის შესახებ.

მრავალწლიანი სინოდალური დელეგაციების ურთიერთგაცვლის შემდგომ, 1990 წლის დასაწყისში შედგა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც გამოსცა საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის ცნობის ფურცელი, აგრეთვე განჩინება საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ლირსების აღიარების შესახებ.

ეს იყო უდიდესი გამარჯვება, ამ დოკუმენტის მოპოვებით უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ დააგვირგვინა საუკუნოვანი ავტოკეფალური მოძრაობა. ეს ძვირფასი დოკუმენტი ამჟამადაც იცავს საქართველოს ეკლესიის მთლიანობას. მაგალითად, ამჟამინდელ ოკუპირებულ აფხაზეთში მოკალათებული საეკლესიო სეპარატისტი, თვითმარქია მიტროპოლიტი დოროთე დბარი, საეკლესიო კრების სახელით თხოვს კონსტანტინოპოლის აღიაროს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია. კონსტანტინოპოლი მათ პასუხობს, რომ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის ძალით აფხაზეთი შედის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში, ამიტომაც მათი მოთხოვნა არ შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული.

უწმიდესი პატრიარქის ილია II-ის მიერ ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება არის ჩვენი ეკლესიის დიდი მიღწევა.



ავტოკეფალია (1978–1990 წლები)

„სკანთ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განვათავისუფლნეს თქუენ“

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიისა და ქართული ეკლესის მამამთავრის საპატრიარქო ტიტული არაერთგზის გამხდარა საყოველთაო განსჯის საგანი. მე არ შევეხები ისტორიაში ცნობილ ამ მომენტებს. მოგითხობთ მხოლოდ იმას, რაც 1978–1990 წლებში მოხდა. რის მოწმეც თვითონ ვიყავი.

1978 წელს, მაისში, საქართველოს ეკლესიას ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რათა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ისათვის აღსაყდრება მოელოცა (უწმიდესი ილია II როგორც მოგეხსენებათ, აღსაყდრებულ იქნა 1977 წლის 25 დეკემბერს).

დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე (შემდგომში ქალკედონის მიტროპოლიტი, ამჟამად მსოფლიო პატრიარქი) და შვეციის მიტროპოლიტი პავლე.

მისასალმებელი სიტყვა საოცრად თბილი და კეთილგანწყობილი იყო. ცოტა არ იყოს, დამაბნია უწმიდესის შეშფოთებულმა სახემ სვეტიცხოვლის ტაძარში, როდესაც მე ამ სიტყვას ვთარგმნიდი. თურმე პატრიარქის სმენას არ გამოპარვია ის, რომ მისასალმებელ სიტყვაში არსად იხსენიებოდა სიტყვები: „საქართველოს საპატრიარქო“ და „კათოლიკოს-პატრიარქი“. მათ ნაცვლად ყველგან „საქართველოს ეკლესია“ და „კათოლიკოსი“ ფიგურირებდა. ხოლო კვერთხზე, რომელიც ახლადაღსაყდრებულ პატრიარქს გამოუგზავნა მისმა ყოვლადუწმიდესობამ, მსოფლიო პატრიარქმა დიმიტროს I-მა, ასეთი წარწერა იყო გაკეთებული: „კონსტანტინოპოლელი დიმიტრიოსისაგან, ივერიელ ილიას“. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად თვით მსოფლიო პატრიარქი არ იყო მოხსენიებული პატრიარქად.

როგორც უწმიდესის, ილია II-ისაგან ვიცით, ჯერ კიდევ 1963 წ. კუნძულ როდოსზე მიმდინარე ერთ-ერთ კონფერენციაზე მოსვლია მას კამათი მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებთან საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და ქართული ეკლესიის მამამთავრის ტიტულის შესახებ. მაშინ მისი უწმიდესობა ილია II ახლადნაკურთხი ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი გახლდათ.

1979 წლის მაისში უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. მისი ყოვლადუწმიდესობის, დიმიტრიოს I-ისა და წმიდა სინოდის წინაშე მისმა უწმიდესობამ ილია II-მ უკვე ოფიციალურად დააყენა სამი საკითხი: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და 3. საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში.

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისტორიული დოკუმენტები მოითხოვა საამისოდ.

საქართველოში დაბრუნებისთანავე უწმიდესმა ილია II-მ შემოიკრიბა ქართველი მეცნიერები და თანადგომა და თანამშრომლობა სთხოვა მათ.

საქართველოს ეკლესიის მთელი სინოდი, ყოველი თანამშრომელი, დიდი თუ პატარა, სამღვდელო პირი თუ საერო, ყველა ერთი აზრით განიმსჭვალა. ყველას უზარმაზარი სურვილი გაუჩნდა თავისი წვლილი შეეტანა ამ დიდ საქმეში.

მასში დიდი გულმოდგინებით ჩაებნენ ჩვენი მეცნიერები: ქალბატონი მარიკა ლორთქითანიძე, ქალბატონი ბაბილინა ლომინაძე, ბატონი ნოდარ ლომოური, ბატონი ზაზა ალექსიძე და სხვები. მაპატიონ, თუკი ყველას გვარს ვერ დავასახელებ ახლა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ქალბატონ ელენე მეტრეველის დახმარებით გადაღებულ იქნა ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველი დოკუმენტის ასლი, რომელიც კი ამ ინსტიტუტში ინახებოდა.

მისი უწმიდესობასა და უნეტარესობას ილია II-ეს ხშირად უხდებოდა შვეიცარიაში ყოფნა. შამბეზში იმყოფება მსოფლიო საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი მიტროპოლიტი დამასკინოსი განაგებს. სწორედ ამ მიტროპოლიტს ჰქონდა დავალებული საქართველოს ეკლესიასთან არსებული საკითხების კურიორება და მომზადება. ამიტომაც მისი უწმიდესობის შვეიცარიაში ყოველი გამგზავრება დიდ მღელვარებასთან იყო დაკავშირებული.

ნელ-ნელა ივსებოდა და იზრდებოდა ამ საბუთების რაოდენობა; ვთარგმნიდით მას ბერძნულ და ინგლისურ ენებზე და განუწყვეტლივ რამდენიმე ცალად მიჰქონდა ეს საბუთები პატრიარქს და არიგებდა არა მხოლოდ მართლმადიდებლებს შორის, არამედ აძლევდა ყველას, ვინც ამ საკითხით დაინტერესდებოდა.

ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო საეკლესიო ფორუმებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა თემას ეხებოდა ეს ფორუმები, მისი უწმიდესობა და ასევე, მის მიერ წარგზავნილი პირები ყოველთვის პოულობდნენ შესაფერის დროს, რომ ამ საკითხზე ელაპარაკათ.

მოგეხსენებათ, აგრეთვე, რომ ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას მრავალი დელეგაცია ეწვია. მათ შორის მრავალი მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი. ყოველ მათგანთან კვლავ და კვლავ მეორდებოდა და დღის წესრიგში იდგა ეს საკითხი. მაგრამ ბერძნულენოვან ეკლესიათა კალენდარში, რომელშიც დღესასწაულებთან ერთად მართლმადიდებელ ეკლესიათა თანამედროვე სტრუქტურაცაა გაშუქებული, საქართველოს საპატრიარქო კვლავაც ავტონომიურ ეკლესიათა რიგში იდგა, ხოლო მისი მეთაური მხოლოდ კათოლიკოსად მოიხსენიებოდა.

ყოველი კალენდრის მიღებისთანავე საქართველოს ეკლესიიდან იგზავნებოდა შესწორებული ვარიანტი, მაგრამ ამაოდ.

1982 წლის 3 ივლისს ოფიციალური წერილებით მიმართა მისმა უწმიდესობამ ყოველი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს მისი და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით. წერილში საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად იყო წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. წერილს თან ერთოდა დოკუმენტებიც.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი უნეტარესობის ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, ნიკოლოზ VI-ის დამსახურება. მან თავისი და ალექსანდრიის ეკლესიის სინოდის სახელით ოფიციალური წერილით მიმართა მსოფლიო საპატრიარქოს, მის ყოვლადუწმიდესობას დიმიტრიოს I-ს, რომ მხარს უჭერდა პატრიარქილიას კანონიერ მოთხოვნებს საქართველოს ეკლესიის სტატუსის შესახებ. ამ წერილის ასლი პატრიარქმა ნიკოლოზმა ჩვენს ეკლესიასაც გამოუგზავნა.

მინდა ცოტათი წინ გავუსწრო მოვლენებს და აქვე გითხრათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ მივიღეთ ალექსანდრიის საპატრიარქოს 1990 წლის კალენდარი, სადაც დიპტიქში საქართველოს ეკლესია მეექვსე ადგილზე მოიხსენიება, მართალია, მისი უნეტარესობა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გადასცემს წმიდა გიორგის ხატს
მსოფლიო პატრიარქს – ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-ს, 1990 წ.

ნიკოლოზ VI გარდაიცვალა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ის ნიადაგი, რომელიც მან თავის ეკლესიაში მოამზადა, ნაყოფიერი აღმოჩნდა. ძმური ურთიერთობები, რომლებიც მისი უნეტარესობის ნიკოლოზ VI-ისა და მისი უწმიდესობის ილია II-ის მიერ განმტკიცდა, გრძელდება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მისი უნეტარესობის პატრიარქ პართენიოსის კე-თილგანწყობისა და მისი სამართლიანობის დასტურიცაა.

როდესაც 1987 წელს საქართველოს ეკლესიას ეწვია მისი ყოვლადუწმიდესობა დი-მიტრიოს I და კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაცია, მაშინ უკვე საბოლოოდ ნა-თელი გახდა, რომ აღარ შეიძლებოდა ამ საკითხის ისევ გადადება. პატრიარქები შეთან-ხმდნენ, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ეს საკითხი.

და აი, 1988 წლის თებერვალში ჩამოვიდა ხუთი წარმომადგენლისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა მირონის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. საქარ-თველოს ეკლესიის მხრიდან დიალოგს ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სი-ნოდის წევრები და მეცნიერები: ბატონი ნოდარ ლომოური და ბატონი ზაზა ალექსიძე. დიალოგს წარმართავდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. უნდა გითხრათ, რომ დიალოგი მოსალოდნელზე მეტად დაძაბული აღმოჩნდა.

კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაციას ჩამოუტანია ტიპიური სიგელები, რომ-ლებიც ამა თუ იმ ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების, ან საპატრიარქო ტიტუ-ლის ბოძებისას გაიცემა. ამრიგად, მთელი ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი დამოუკიდებელი საეკლესიო ისტორია უგულვებელყოფილი გამოდიოდა. მეხუთე საუკუნეში მიღებული ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას, თურმე, ახლა, მეოცე საუკუნეში უნდა მიეღო...

რა თქმა უნდა, დიალოგი უნაყოფო აღმოჩნდა, უფრო სწორად, ჩაიშალა. მაგრამ მისი უწმიდესობის, ილია II-ისა და დელეგაციის მეთაურის ერთი-ერთზე შეხვედრისას თითქოს გამოსწორდა საქმე. მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა, პატრიარქთან საუბრის შემდეგ, სულ სხვა კუთხით შეხედა ამ საკითხებს და აღუთქვა მის უწმიდესობას, რომ საქართვე-ლოს ეკლესიის მოთხოვნებს უფრო ნათლად წარმოაჩენდა თავისი ეკლესიის სინოდზე.

ორი თვის შემდეგ, მაისში ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდნენ მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, ამ საკითხთა პირველი კურატორი – მიტროპოლიტი დამასკინოსი და კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის მთავარი მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი. მათ მიერ ჩამოტანილ ტექსტში ცვლილებები იყო შეტანილი, მაგრამ არა ბოლომდე სასურველი.

და აი, 1990 წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე ჩვენს ეკლესიას კვლავ ეწვია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. მისმა უწმიდესობამ, პატრიარქმა ილია II-მ და მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა ერთად სწირეს შობის დღესასწაულზე. წირვის დასასრულს მიტროპოლიტმა სიონის საკათედრო ტაძრის მრევლს და სრულიად საქართველოს (დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა ტელევიზიით) ამცნო, რომ მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. ხოლო მისი უწმიდესობა პატრიარქი ილია II სტამბოლში მიიწვია სიგელთა მისაღებად.

მეორე დღეს, 8 იანვარს მისი უწმიდესობა ილია II გაეცნო უკვე საბოლოო ტექსტს. მართალია ტექსტში შეტანილი იყო XII საუკუნის დიდი ბერძენი კანონისტის – ბალსამონის ცნობილი სიტყვები, რითაც წარმოჩნდილი იყო საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, ნახსენები იყო „უძველესი ქართული ისტორიული წყაროები და ქრონიკები“, მაგრამ ტერმინოლოგია მაინც ქართული სინამდვილისათვის შეუსაბამო იყო. სიტყვების: „ვალიარებ“ და „ვცნობ“-ს ნაცვლად ყველგან ეწერა „ვამტკიცებ“ და „ვაცხადებ“. ამასთანავე, ერთ-ერთი ბოლო მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას მირონი უნდა წამოელო კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან. აი ეს მუხლიც: „წმიდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა წესის თანახმად, საქართველოს მოძმე წმიდა ეკლესიამ მირონი უნდა მიიღოს ჩვენი წმიდა და დიდი ქრისტესმიერ დედა ეკლესიისაგან, რათა ხილულად და უხილავად ჩამოყალიბდეს და გაცხადდეს შინაგანი და გარეგანი განუყოფელი ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა“.

ისევ გაგრძელდა კამათი. ტერმინების შეცვლას, როგორც იქნა, დათანხმდა მიტროპოლიტი. აქვე გადაშალა და საკუთარი ხელით ჩაასწორა, მაგრამ განაცხადა: მირონის საკითხი ჩემს კომპეტენციას და ჩემს ძალებს აღემატებაო. ცდილობდა აეხსნა მისი უწმიდესობისათვის, რომ ეს მუხლი სიმბოლურია, რომ იგი არავითარი ვალდებულების წინაშე არ აყენებდა ქართულ ეკლესიას. მისი ყოვლადუწმიდესობა სრულიადაც არ მოითხოვსო ამ მუხლის შესრულებას და ამით არც არავითარ ეკონომიკურ დამოკიდებულებას არ ექნებაო ადგილი. მაგრამ მისმა უწმიდესობამ ილია II-მ მკაცრად განაცხადა: „საქართველოში, არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევენ ამ თარიღს. მე მჯერა თქვენიც და მისი ყოვლადუწმიდესობის დიმიტრიოს I-ის. ეჭვიც არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და საერთოდ, არც ერთი ჩვენგანი უკვდავი არაა. მე არ ვიცი, რა ბედი ეწევა ან როგორ დადგება ეს საკითხი მას შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო“.

წამოდგა პატრიარქი. ეს ხომ მოლაპარაკების შეწყვეტას ნიშნავდა. მეტად აღელვებული და შეწუხებული დაბრუნდა სასტუმროში მიტროპოლიტი. მას მართლაც არ ჰქონდა მთლიანად ამ მუხლის ამოღების უფლება. მთელი საღამო მუშაობდა. შეადგინა სამი განსხვავებული ვარიანტი ამ მუხლის შესაცვლელად და დილით, თვითმფრინავზე გამგზავრების წინ, ტრაპთან გადმომცა და მთხოვა მიმეტანა მისი უწმიდესობისათვის, იქნებ, როგორმე დათანხმდეს რომელიმეზე და მაშინ, საღამოს მოსკოვში დამირეკეო.

მეორე დღეს მითვრინავდა მოსკოვიდან. ფიქრობდა, რომ სინოდის წევრებს დაითანხმებდა რომელიმე ამ ვარიანტზე. ასეც მოვიქეცი, მაგრამ მის უწმიდესობას ბოლომდე არცერთი ვარიანტი არ მოეწონა. ბოლოს ერთ-ერთში მცირეოდენი ცვლილება შეიტანა და მეც, უკვე გვიან ღამით, დავრეკე მოსკოვში. (მოგეხსენებათ, რა ძნელია ტელეფონით ასეთი მნიშვნელოვანი ტექსტის შემუშავება). შევთანხმდით, რომ თუკი ამ, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს დათანხმდებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდი, მაშინ დეპეშას გამოაგზავნიდა მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი და 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე, სტამბოლში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს საზეიმოდ გადაეცემოდა სათანადო საბუთები.

სტამბოლი, მართლმადიდებლობის დღესასწაული მსოფლიო საპატრიარქოში

მოვიდა დეპეშა. ფეხზე დადგა მთელი საპატრიარქო. სულ რაღაც ორ კვირაში უნდა გამზადებულიყო საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობა სტამბოლში, მსოფლიო საპატრიარქოში წარსადგომად. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.
 2. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი.
 3. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე.
 4. თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი, პროტოპრესვიტერი მამა გიორგი.
 5. სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონი ამირან ამირანაშვილი.
 6. საპატრიარქოს ბერძნული ენის თარჯიმანი თამარ მესხი.
 7. საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მდივანი ბორის გაგუა.
- 1 მარტს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. საოცრად მღელვარე და დამქანცველი იყო 1 და 2 მარტი მთელი დელეგაციისათვის. 2 მარტს მხოლოდ საღამოს 7 საათზე მოგვცა ვიზები თურქეთის საელჩომ, მაშინ, როდესაც მეორე დღეს დილით უნდა გავფრენილიყავით თურქეთისაკენ.
- 3 მარტს დილით 4 საათზე გავედით სასტუმროდან. ჯერ ბერლინში ჩავთრინდით, იქ ორსაათნახევარი ვიცადეთ აეროპორტში, შემდეგ კი სტამბოლისაკენ გავფრინდით. სტამბოლში რომ ჩავედით, უკვე 7 საათი იყო ადგილობრივი დროით.

დელეგაციას აეროპორტში შეხვდა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ქალკედონის მიტროპოლიტი ბართლომე, პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი, წმ. სინოდის მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი, პროფესორი სტავრიდისი და სხვა სამღვდელო პირნი.

აეროპორტიდან პირდაპირ საპატრიარქო რეზიდენციაში წაგვიყვანეს (სულ ამაო აღმოჩნდა ჩვენი მოლოდინი სასტუმროში დასვენებისა და თავის მოწესრიგებისა). საპატრიარქო რეზიდენციაში ჯერ მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I შეგვხვდა. პატრიარქებმა მოიკითხეს ერთმანეთი, ეკლესიები, სამღვდელოება და მრევლი. შემდგომ კი მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I უზარმაზარ დაბაზში შეუძლვა დელეგაციას, სადაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობას ელოდნენ კონსტანტინოპოლის ეკკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება და საერო პირნი. მათ შორის იყვნენ: საბერძნეთის ელჩი თურქეთში თავისი მეუღლითა და მცირენლოვანი შვილით, საბერძნეთის კონსული თურქეთში, საბერძნეთის პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, უურნალისტები ამერიკიდან, ადგილობრივი გაზეთებიდან და ა. შ.

შესვლისთანავე დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის დასრულების შემდგომ წმ. სინოდის მდივანმა არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი და 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდური განჩინება.

ამის შემდგომ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის ყოველმა წევრმა მოა-წერა ხელი ამ დოკუმენტებს. დოკუმენტებს ხელს აწერენ მიტროპოლიტები:

- | | |
|------------------|-------------|
| 1. ქალკედონის | ბართლომე |
| 2. როდოპოლისის | იერონიმოსი |
| 3. კოლონიის | გაბრიელი |
| 4. პერგის | ევანგელოსი |
| 5. ლისტროსის | კალინიკე |
| 6. დერკის | კონსტანტინე |
| 7. ელენუპოლეოსის | ათანასე |
| 8. მელიტინის | იოაკიმე |

მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I-მა და მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მეორე დღეს, 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I-მა და კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ერთად შეასრულეს სადღე-სასწაულო ღვთისმსახურება. მათთან ერთად თანამწირველობდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, ვინც კი ხელი მოაწერა ამ დოკუმენტებს, და საქართველოს ეკლესიის დელეგაციის სასულიერო პირნი. წირვის დასასრულს პატრიარქებმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

მისმა უწმიდესობამ ილია II-მ ამ დღის აღსანიშნავად მის ყოვლადუწმიდესობას დიმიტრიოს I-ს საწიალე (გულსაკიდი, ე. წ. პანალია) აჩუქა წმიდა გიორგის გამოსახულებით, ხოლო წმიდა გიორგის სახელობის საპატრიარქო ტაძარს კი – წმიდა გიორგის სვანეთში დაცული ხატის ასლი და ბარძიმ-ფეშუმი.

მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I-მა კვერთხი უბოძა მის უწმიდესობას ილია II-ს.

როგორც წინა საღამოს პარაკლისი და დოკუმენტების ოფიციალური გაფორმება, ასევე საზეიმო ღვთისმსახურებაც საბერძნეთის ტელევიზიამ გადაიღო და უჩვენა იმავე საღამოს.

საზეიმო ლიტურგიის შემდგომ მოეწყო დიდი სერობა, რომელსაც ესწრებოდნენ სტუმრები – საეკლესიო და საერო პირნი.

იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I, მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობის, მიტროპოლიტ ბართლომესა და არქიმანდრიტ მელიტონის თანხლებით, მის უწმიდესობასა და უნეტარესობას ილია II-ეს ეწვია სასტუმროში. ეს ერთგვარი საპასუხო ვიზიტი იყო და პატივისცემის გამოვლინება საქართველოს ეკლესიის მეთაურის მიმართ.

პატრიარქებმა გაააღმინეს მომხდარი ფაქტი და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს, ისაუბრეს როგორც კერძოდ თავიანთ ეკლესიებზე, ასევე მთელი მართლმადიდებლობის წინაშე არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მეთოდებზე.

ამით ერთგვარად დასრულდა ვიზიტის ოფიციალური ნაწილი და საქართველოს ეკლესიის დელეგაციას საშუალება მიეცა ახლოს გაცნობოდა მსოფლიო საპატრიარქოს ცხოვრებას, მის მაჯისცემას.

თამარ მესხი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გიზანტინოლოგი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ

უწმიდესი კირიონ II-ისა და ლეონიდეს მცდელობა განაგრძო უწმიდესმა ამბროსიმ, რომელმაც წერილობით მიმართა კონსტანტი-ნოპოლის უწმიდეს პატრიარქს ბასილ III-ს, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III, იერუსალიმის პატრიარქს უწმიდეს დამიანეს, ალექსანდრიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III-ს, ალექსანდრიისა და სრულიად ეგვიპტის პატრიარქს ნიკოლოზს. 1920 წლის 2 მარტს გ. რცხილაძე კათალიკოს ლეონიდეს ატყობინებს: „ჩემთან იყო სადარბაზოდ მსოფლიო პატრიარქის მოადგილე ლოკუმ-ტენესი... თქვენი უწმინდესობის წერილი წაკითხული იყო სინოდის სხდომაზე და ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამჟამად იმუმავებენ პასუხის ტექსტს, რომელსაც მოკლე ხანში გაახლებენ. აღნიშნული პასუხები საქართველოს ეკლესიის მესვეურთ არ მიუღიათ. ამიტომ ადასტურებს მიტროპოლიტ კალისტრატეს აზრის ჭეშმარიტებას რუსეთის ეკლესიის ხათრის შენახვასთან დაკავშირებით“. სავსებით ლოგიკური იყო კალისტრატე ცინცაძის აზრი, რადგან კონსტანტინოპოლის ეკლესიას სურდა, ქართული ეკლესის ავტოკეფალიის აღიარებით არ გაელიზიანებინა რუსეთის მესვეურები. ყოველგვარ ზღვარს სცილდება 1919 წელს რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქთა ყალბი წერილების შინაარსი. კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილში აღნიშნულია, რომ ის არ ცნობს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას და მოუწოდებს მის იერარქებს, ყური უგდონთავიანთი მწყემსის პატრიარქ ტიხონის ხმას. შეწყვიტონ მასთან მტრობა.

გაცილებით აღმაშფოთებელია ანტიოქიის პატრიარქის ყალბი მიმართვის შინაარსი: დაგავიწყდათ, რამდენ ხანს იყავით მოსვენებით, მშვიდობიანად რუს მართლმადიდებელთა საფარველქვეშ? არასოდეს ყოფილ-სართ ავტოკეფალური... რუსეთის ეკლესი-

ასთან შეერთებამდე თქვენი ეკლესია იყო ანტიოქიის დაქვემდებარებაში... გირჩევთ მოეგეთ გონს და მოინანიეთ.

სამწუხაროა, რომ რუსეთის წარმომადგენლები იმ დონემდეც კი დაეშვნენ, რომ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქების სახელით ყალბი წერილები გამოაქვეყნეს პრესაში, რათა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უკანონობა დაესაბუთებინათ. ამის შესახებ განუცხადებია კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოადგილეს ლოკუმ ტენესს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესია ცნობილია ავტოკეფალურად მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა იქნა ცნობილი. მსოფლიო საპატრიარქოს დუმილი საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში არ დარღვეულა მოგვიანებითაც, მაგ. 1926 წლის 10 ივნისისათვის განზრახულ მსოფლიო მე-8 საეკლესიო კრებაზე არ მიიწვიეს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, მაშინ როცა კრებაზე მიწვეულნი იყვნენ რუსეთის, უკრაინისა და პოლონეთის ეკლესიები.

1926 წლის 2 ივნისს საკათალიკოსო საბჭოს წევრთა და თბილისის ოლქის წარმომადგენელთა თათბირმა მსოფლიო კრებაზე ერთი წარმომადგენლის – ცხუმ-ფხაზეთის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს გაგზავნა დაადგინა, რათა მას კრებაზე ან კრების გარეშე განეცხადებინა, რომ საქართველოს ეკლესია არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და აქვს თავისი სურვილები და მისწრაფებანი. 18 ივლისს ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი დავით კაჭაბიძე საკათალიკოსო საბჭოს მოახსენებდა: სასწაული უნდა მოხდეს (შეიძლება მოხდეს), რომ ჩვენს დელეგაციას უსმინონ და ვაი, თუ მხოლოდ საბაბი მიეცესთ, ჩვენ გამოგვაცხადონ ოფიციალურად სხიზმატიკოსებად: დიდი რუსეთის ეკლესიას ბერძნები არ ანუენინებენ. საბოლოოდ დელეგაციის გაგზავნის საკითხი მოხსნილა, რადგან VIII მსოფლიო საეკლესიო კრება განუსაზღვრელი დროით გადა-

დებულა. საყურადღებოა, რომ მიტროპოლიტ კალისტრატეს მსგავსად ეპისკოპოსი დავითიც რეალურად მსჯელობდა რუსების განაწყენებასთან დაკავშირებით.

1927 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე ასე გადმოცემდა ამ ფაქტს: 1926 წლის 4 ნოემბერს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიმართა რუსეთის სინოდს: „უახლოეს დროში დამყარდეს კანონიკური ურთიერთობა უწმიდეს სინოდსა და საქართველოს კათალიკოსს შორის. რუსეთის სინოდს ბაქოს მიტროპოლიტისათვის დაუვალებია, მოლაპარაკება ენარმონია საქართველოს ეკლესიასთან.“

მიტროპოლიტი ქრისტეფორე ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო რუსეთის წმიდა სინოდის მიერ 1927 წლის 8 თებერვალს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურებისა. რუსეთის ეკლესიის სინოდის 1927 წლის 25 თებერვლის 825-ე მიმართვა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი: მის უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქს საქართველოისას ამბროსის – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო სინოდი ამასთანავე უგზავნის თქვენს უწმინდესობას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის აქტს 1927 წლის 8 თებერვალს მიღებულს... ცნობილ იქმნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. ტფილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდელო სინოდის უწყებაში. აღნიშნული დასკვნა სამღვდელო სინოდის წევრთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო. ასევე დადგინდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის საქმეზე ცალკე აქტი შემდგარიყო, რომელიც უნდა წარდგენოდათ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებსა და საქართველოს ეკლესიას. სამღვდელო სინოდის თავმჯდომარე იყო ლენინგრადის მიტროპოლიტი ბენიამინი. უმნიშვნელოვანესი იყო რუსეთის სამღვდელო სინოდის აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღება გაიოლდა, რადგან რუსეთის ეკლესიას აღარ მართავ-

და პატრიარქი ტიხონი, ვინაიდან იგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო.

1927 წლის ბოლოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა ასევე აღექ-სანდრის პატრიარქმა მელეტიმ, რომელმაც წერილი გამოგზავნა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე ციცქიშვილის აღსაყდრებასთან დაკავშირებით: „გვწამს რა უწმიდესი ეკლესია ივერიისა დარჩა ხელუხლებელი და ერთგული ძველისა და მამაპაპეულისადმი, ვაკურთხევ უფალსა, რამეთუ ინება აღვლენა დაქვრივებულის ტახტისა ღვთივმოსავისა და საღვთო სიტყვათა შინა გამოწვრთნილის კაცისა, თქვენს უნეტარესობას. ვხარობთ ივერიის ძმურ ეკლესიასთან... რაც შეეხება ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებას, ესეც შეიქმნა ჩვენისა და ჩვენთან მყოფ მიტროპოლიტთა დასის მსჯელობის საგნად. ასეთ გარემოებას როგორც ისტორიულსა და კანონიკურს საფუძველზე დამყარებულს პატივსა ვცემთ მქონეთათვის და პრინციპად მიგვაჩნია ღვთის მოსაობით დაცვა ძველთაგან მომდინარე მდგომარეობათა“.

ფაქტიურად 1927 წლისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რუსეთისა და აღექსანდრის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა აღიარეს, ამასთანავე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებდა კონსტანტინოპოლის ეკლესიაც. ამას მოწმობს 1928 წლის 28 სექტემბრის საკათალიკოსო სინოდის ოქმები, სადაც ჩანს, რომ მსოფლიო პატრიარქ ბასილი III-ს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისათვის მიუმართავს კითხვით, თუ როგორ გადაწყდეს მომავალ 1929 წლისათვის პეტრე-პავლობის მარხვის საკითხი, რა სახით შეიძლება მოგვარდეს პასქალის საკითხი ახალი კალენდრის მიხედვით და შეიძლება თუ არა ამ საკითხების გადაწყვეტა მსოფლიო კრების მოუწვევლად. 1927 წლის 17 თებერვლიდან კოსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო გადავიდა ახალ სტილზე, ამის შესახებ პატრიარქი ბასილი საქართველოს ეკლესიას უგზავნის პატრიარქისა და სინოდის ეპისტოლეს.

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხელმეორედ აღიარა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1943 წლის 14 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ოფიციალური წერილით მიულოცა რუსეთის პატრიარქ სერგის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა რწმენა ამ ორ ეკლესიათა შორის ურთიერთობის აღდგენისა. აღსანიშნავია ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის აქტიური პროპაგანდა ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზნით. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ზოგად ეკლესიის ომის საწინააღმდეგო კამპანია მიზეზ-საბაბად იქცა საბჭოურ საეკლესიო კურსში სერიოზული სახეცვლილების შეტანისათვის“ (პავლიაშვილი, 2008:478). ორი საეკლესიო იერარქის ურთიერთობისკენ ლტოლვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1943 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო მთელ რიგ საკითხებზე შემამზადებელი მოლაპარაკებები. ამ მისით რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში წარმოგზავნა მისი წარმომადგენელი, სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსი ანტონი. საქართველოს სასულიერო ხელისუფლებასთან შეხვედრისას მეუფე ანტონმა აღნიშნა, რომ პატრიარქისაგან მოვლინებული იყო საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებასთან, რათა ადგილზე გამოერკვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური განხეთქილების ლიკვიდაციის საშუალებანი. საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ საეკლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სამოქალაქოს, რომ რუსული საპატრიარქო თანახმა იყო ელიარებინა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქართველოს სსრ-ს საზღვრებში.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ევქარისტული კავშირის აღდგენა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. მათ შორის ურთიერთობა 1917 წლიდან გაწყვეტილი იყო. მართალია, 1927 წელს რუსეთის სამღვდელო სინოდმა აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, თუმცა ლოცვითი კავშირი ეკლესიებს შორის არ აღდგენილა. 1943 წლის ოქტომბერში რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქარ-

თველოს ეკლესიის როგორც ტერიტორიული ავტოკეფალია, ასევე საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი მსოფლიო დიპტიხში. რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიისა და ლიტურგიკულ-კანონიკური აღიარების საქმეში დიდი როლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის ერთპიროვნულ ლიდერს იოსებ სტალინს. 1943 წლის 4 სექტემბერს სტალინმა კრემლში მიიწვია მიტროპოლიტები: სერგი, ალექსი, ნიკოლოზი და გადაწყდა რუსეთის ეკლესიაში პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენა. 8 სექტემბერს მოსკოვში 20 იერარქის მონაწილეობით შემდგარმა სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი სერგი. 14 სექტემბერს რუსეთის პატრიარქ სერგის მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ: „ეკლესიებმა, რუსულმა და ქართულმა, იცხოვრონ ერთმანეთთან მშვიდობით და თანხმობით სადიდებლად და აღიარებით საზღვრების სამოქალაქოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესა და სტალინის შეხვედრის ფაქტს არ ადასტურებს: „უწმიდესი კალისტრატესა და სტალინის პირისპირ შეხვედრა არ შემდგარა. ამიტომ გავრცელებული ინფორმაცია, ვითომც კრემლში უწმიდესი კალისტრატე სამოქალაქო სამოსით გამოცხადდა, ფოლკლორის ჟანრს განეკუთვნება. ამ ფაქტს პატრიარქ კალისტრატეს წერილიც ადასტურებს, რომელიც მან ი. სტალინს გაუგზავნა 1948 წლის 21 ივნისს: „კაცთა შორის რჩეულო, ჩემი მოხუცებულობის იცნება იყო, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. აღბათ, ამის ღირსი არ ვარ. მიიღეთ, ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი საბჭოთა კავშირში არსებული სარწმუნოებრივ ორგანოზაციათა სიაში შეყვანისათვის (იქვე:87).

ცხადია, რომ მათი შეხვედრა არ შემდგარა, პატრიარქის სიტყვაში კი კარგად ჩანს პატივისცემა საბჭოთა ბელადის მიმართ. უდავოა, რომ სტალინის ავტორიტეტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეში.

31 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს თანამწირველი იყო მთავარეპისკოპოსი ანტონი. „პატივი და დიდება თქვენ, რადგან პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ ეკლესიას შორის, რომ პირველმა მოისურვეთ და შეიცანით ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიას შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა“, – მიმართა უწმიდეს კალისტრატეს მთავარეპისკოპოსმა ანტონმა (ვარდოსანიძე, 2011:18). რუსეთის პატრიარქმა წერილებით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს და აცნობა, რომ ამიერიდან რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. მომავალში ამას მოჰყენა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარებაც. პატრიარქმა სერგიმ იქტომბერში მიმართა საქართველოში მცხოვრებ რუსებს: „1943 წლის 31 ოქტომბერს დამთავრდა განხეთქილება და ეჭვი წარსულს ჩაბარდა... ვადიდოთ საქართველოს ღვთივსათნომყოფელთა ნათელი კრებული: საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო და ქართველი მოღვაწენი, რომელიც რუსეთის წმიდა ნათლობამდე მრავალი წლით ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლს. გვჯერა, რომ ზეცაში განდიდებული საქართველოს ლოცვით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შუამდგომლობის (ვარდოსანიძე, 2001:211). ეს იყო გულწრფელი აღიარება რუსი პატრიარქისა, რაც ძალზე იშვიათი მოვლენა იყო. პატრიარქ სერგის სინდალური განჩინების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც მიუთითებდა, რომ არ უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რაც ინერებოდა და ითქმებოდა წარსულში ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. უშლიდნენ მოცემული საკითხისადმი მიუკერძოებელ მიღვომას (ჯაფარიძე, 2003,III:117). აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიაში პატრიარქ სერგის აზრს ჰყავდა მონიწააღმდეგენი. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებამ განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია საქართველოს ეკლესიისადმი ოპოზიციურად განწყობილი

რუსი სამღვდელოების ერთ ნაწილში, რომელიც პატრიარქ სერგის საეკლესიო კურსის მოწინააღმდეგე იყო. ყველაზე რთულ დროს, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ქართული ეკლესია აღწევს უდიდეს გამარჯვებას, ნაყოფიერად იყენებს მის ღვაწლს სამამულო ომში და იპოვებს ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლებების აღიარებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან (კულტ. ისტ. საკითხები, 1999, VII:115).

1943 წლის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარების საქმეში იწყება ახალი ეტაპი. 1945 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I. 1948 წელს უწმიდესმა კალისტრატემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საზემო ღონისძიებებში. მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლებმა (ვარდოსანიძე, 2009:93).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში თავისი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს (სიდამონიძეს). 1962 წლის 4 მაისს კათალიკოსმა ეფრემმა ოფიციალური თანხმობა განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში განხევრიანებულიყო. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა, საერთაშორისო ტრიპუნა გამოეყენებინა ჩვენი ეკლესიის ინტერესებისათვის. 1962 წელს უწმიდესი ეფრემმი გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე. როგორც პროფესორი ფიშერი აღნიშნავდა, პატრიარქის გამოსვლისათვის განსაზღვრული იყო 40 წუთი. უწმიდესი ეფრემ II 3-საათიანი გამოსვლით წარსდგა მსმენელთა წინაშე. ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ეკლესიის სრული სურათის წარდგენის მცდელობა, თანაც წარმატებული (ვარდოსანიძე, 2007:39).

ზოგიერთმა ეკლესიამ (მაგ. პოლონეთის) ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა მხოლოდ დე-ფაქტოდ. 1961 წელს პირველ სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე

მხოლოდ ორი სასულიერო პირი მიიჩვიეს საქართველოდან. ეს ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ეკლესია ავტონომიურად იყო მიჩნეული და არა ავტოკეფალურად. ამ შემთხვევაში ქვეყნის სამი წარმომადგენელი უნდა მიეწვიათ. ელადის ეკლესიის მიერ გამოცემულ კალენდარშიც საქართველოს ეკლესია ავტონომიურად (კონსტანტინოპოლის ეკლესიაზე დაქვემდებარებულად) იყო მოხსენიებული. ეს საკითხი პასუხგაუცემელი დატოვეს ბელგრადისა და უენევის საეკლესიო თათბირებმა და კონფერენციებმა. როდესაც მეცნიურული საბუთიანობით ვერაფერს გახდა მეუფე ილია, უკიდურეს ზომას მიმართა – პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა (მეტრეველი, 2008:47-48). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს. იგი ჯერ კიდევ შემოქმედელი ეპისკოპოსი იყო, როცა 1963 წელს კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა ფორუმზე დააფიქსირა საქართველოს ეკლესიისადმი უპატივცემულობა, რადგან ისინი ოფიციალურად არ სცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. მოსკოვის საპატრიარქოს ტახტის მიტროპოლიტი კოლმენისა და კუტიცკის პიმენი, თავის წერილში პატრიარქ ათენიგორას, 1970 წლის 10 აგვისტოს (ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მიღების შემთხვევაში) სწერდა, რომ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა დამყარდა 467 წელს ანტიოქიის ეკლესიის მიერ. ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამდღვარი მთავარეპისკოპოსი იერონიმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ფიქრობდა, რომ 556 წელს ეს საკითხი ანტიოქიის სინოდის მიერ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი საბოლოოდ, მხოლოდ 604 წელს იქნა ეს გადაწყვეტილება ცნობილი სხვა პატრიარქების მიერ. 1971 წელს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარი უკვე რეალურ ინფორმაციას გადმოცემდა. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია დაადასტურა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ასევე ბრიუსელისა და ბელგიის მთავარე-

პისკოპოსი ვასილი (კივოშენი) აცხადებდა, რომ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია V საუკუნიდან დამოუკიდებელია, VIII საუკუნიდან კი ავტოკეფალური. 1012 წლიდან მას პატრიარქი უდგას სათავეში“ (Скурат, 1994:39). ზემოთჩამოთვლილი ცნობები ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს რეალური ინფორმაცია გააჩნდათ საქართველოს ეკლესიაზე, თუმცა საბოლოოდ ამ ყველაფერს ოფიციალური ფორმა უნდა მიეღო.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოწვევით 1978 წლის 1-4 ივნისს თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პრიველი სერიოზული მოლაპარაკება ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი მეცნიერები; პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, თ. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. პატრიარქის თხოვნით ქართველ მეცნიერებს უნდა ემუშავათ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე, რადგან მოსაგვარებელი იყო ავტოკეფალიის აღიარების საკითხი.

1979 წლის 2-8 მაისს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თანმხელებ პირებთან ერთად სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. შეხვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გვიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენიებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე, როგორც წოდებულია V საუკუნიდან... საქართველოს ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, ეს სა-

კითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს” (ვარდოსანიძე, 2008:175).

80-იან წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე. ამ პერიოდში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა ვიზიტებს საქართველოში. მათთან შეხვედრებზე მთავარი საკითხი იყო ავტოკეფალიის აღიარება და საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილი დიპტიქში. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ: 1981 წელს პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა ნიკოლოზ VI, იმავე წლის 17–20 სექტემბერს იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი დიოდოროს I (კარვალისი). ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში დაწყებული კონტაქტების აღდგენა. „ჩვენ გვერდით არიან ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, რომლებმაც იქადაგეს ქრისტეს მცნებანი საქართველოში” („ჯვარი ვაზისა“, 1981, №2:16). დიპტიქში თავის კუთვნილ ადგილთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა და მის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ: სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29. IX), პრალისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოსითეოსი (1982 წ. 16. VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16. V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ V (1982 წ. 1. IX). შთამბეჭდავი იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის წერილი: „დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მონამეობრივმა, მაგრამ ამავე დროს დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიქში“ (ვარდოსანიძე, 2008:177).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარება მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, 1990 წელს, მოხდა. 1990 წლის 7 იანვარს სიონში წირვის დამთავრების შემდეგ საქართველო-

ში სტუმრად მყოფმა მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ. მეორე დღეს, 8 იანვარს, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გაეცნო უკვე საბოლოო ტექსტს. სიტყვების: „ვალიარებ“ და „ვცნობ“ ნაცვლად ყველგან ეწერა „ვამტკიცებ“ და „ვაცხადებ“. ამასთანავე, ერთერთი ბოლო მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას მირონი უნდა წამოედო კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან. ისევ გაგრძელდა კამათი. ბერძენმა მიტროპოლიტმა საკუთარი ხელით ჩაასწორა, თუმცა აღნიშნა, რომ მირონის საკითხი ჩემს კომპეტენციას და ძალებს აღემატებაო. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მირონის საკითხზე მკაცრად განაცხადა, რომ: „საქართველოში არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევენ ამ თარიღს... ეჭვიც არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და, საერთოდ, არცერთი ჩვენგანი უკვდავი არაა. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო?“ („ჯვარი ვაზისა“, 1990, I:20). ბოლოს შეთანხმდნენ, რომ, თუკი საქართველოს ეკლესიის შეთავაზებულ ვარიანტს დასთანხმდებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდი, მაშინ დეპეშას გამოაგზავნიდა მიტროპოლიტი ქრიზოსთომოსი და 4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე სტამბულში საქართველოს ეკლესიის მეთაურს საზეიმოდ გადაეცემოდა სათანადო საბუთები. 1 მარტს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა. ვიზების მიღების შემდეგ, 3 მარტს, დელეგაცია ჯერ ბერლინში, შემდეგ კი სტამბულში გადაფრინდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2. ცხუმ-აფ-

ხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), 3. ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), 4. სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), 5. სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონი ამირან ამირანაშვილი, 6. საპატრიარქოს ბერძნული ენის თარჯიმანი თამარ მესხი, 7. საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მდივანი ბორის გაგუა.

3 მარტს კონსტანტინოპოლის რეზიდენციაში ქართული დელეგაცია მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ყოვლადუშმიდესმა დიმიტრიოს I-მა. აღსრულდა პარაკლისი, რომლის შემდეგ კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდის მდივანმა არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი და 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების სანოდის განჩინება. საქართველოს ეკლესის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აღნიშნული ორი დოკუმენტის მიღებით საბოლოოდ იქნა აღიარებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ისტორიული წყაროების საფუძველზე ქართული ეკლესის სრული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. 4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე კონსტანტინოპოლისა და საქართველოს პატრიარქებმა ერთად აღასრულეს სადღესასწაულო ღვთისმსახურება. წირვის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან ქადაგებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალური იყო და მას კათალიკოსი უდგა სათავეში. XI საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესის მეთაური პატრიარქის ტიტულის მფლობელი იყო. იგი შეეხო საქართველოს ეკლესის ადგილს დიპტიქში და აღნიშნა, რომ საქართველოს საპატრიარქოს მუდამ ეკავა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის შემდეგ (იქვე:10). დიპტიქთან დაკავშირებით მან მაგალითად მოიყვანა სა-

ქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის სიგელი: „ჩვენც გლახაკი ქრისტეს მიერ. შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სვეტიცხოვლის მეექვსესა პატრიარქესა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზი ნიკოლოზი ვამტკიცებ და წარვნერ“. კათოლიკოს ნიკოლოზის სიგელში რომ ისტორიული რეალობაა გადმოცემული, ამას მოწმობს 1437–1439 წლების ფერარა-ფლორენციის კრების აქტები: „პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: პერაკლიის არქიეპისკოპოსი (ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი), ანტიოქიის პატრიარქის მიერ წარმომავნილი ეფესოს არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი. (ტაბალუა, 1984:214).

ვინაიდან დიპტიქში სხვადასხვა დროს მოხდა ცვლილებები, რადგან რომის ეკლესის პირველი ადგილი კონსტანტინოპოლიმა დაიკავა, რუსეთის მეფეს სურდა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებიც არ იყვნენ წინააღმდეგი, რუსეთის პატრიარქს დიპტიქში დაეჭირა ადგილი ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ, რადგანაც წინა საუკუნეებში წმიდა მამათა მიერ დადგენილი იყო დიპტიქში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ხსენება, ამიტომ აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს, რუსეთის პატრიარქის ადგილი დიპტიქში ყოფილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ (იქვე:23). ამრიგად, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის გამო აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას დიპტიქში მეხუთე ადგილი მიანიჭეს, აღნიშნული ქმედებით მანამდე არსებულმა ეკლესიებმა დიპტიქში თითო ადგილით ზემოთ აინაცვლეს, მათ შორის საქართველოს ეკლესიამაც. დღეისათვის საბოლოოდ არ არის განსაზღვრული ქართული ეკლესის ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში, რადგან რუსეთის ეკლესია მეექვსე ადგილზე იხსენიებს ქართულ ეკლესიას, კოსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ბერძნული ეკლესიები კი მეცხრე ადგილზე, ბულგარეთის ეკლესიის შემდეგ.

2011 წლის 22–26 თებერვალს შამბეზში (შვეიცარია) შედგა სრულიად მართლმადიდებლური მოსამზადებელი კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია: მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. აღნიშნულ სხდომაზე განიხილებოდა საქართველოს ეკლესიის საფუძვლიანი თხოვნა, ყველა ადგილობრივი ეკლესიის დიპტიხში მისთვის კუთვნილი მექევსე ადგილის მინიჭების შესახებ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კომისიამ ვერ მოახერხა, რადგან მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ადგილობრივმა ეკლესიებმა ერთობლივი მოსაზრებები ჩამოაყალიბონ. (საპატრიარქოს უწყებანი, 2011:604). 1990 წელს ლიად დარჩა მხოლოდ დიპტიხის საკითხი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის 25 იანვრის კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდის მიერ დადგენილი ორი დოკუმენტი საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობისაა. პირველ სიგელში მოყვანილია საეკლესიო კანონისტ თეოდორ ბალსამონის ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ: „რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“. ამის საფუძველზე: „მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ ამასთანავე იმას, რომ იგი სახელდებულია, როგორც წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა“. ვცნობთ მას, როგორც ჩვენ სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად“ (ჯაფარიძე. 2003:184). აღნიშნული სიგელით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან აღიარებული იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, შესაბამისად აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის მმართველობითი ორგანო წმიდა სინოდი და მისი თავმჯდომარე. ამავე სიგელით საქართველოს ეკლესია და მისი მეთაური ვალდებულია, სხვა დანარჩენ ავტოკეფალურ ეკლესიებთან მიმართებაში დაიცვას სულიერი და კანონიკური ურთიერთობა წესების შესაბამისად.

მეორე სიგელით აღიარებული იქნა საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული: კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მოახდინა აღიარება მასზე, რომ „საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივ-დებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით. როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“. ორივე დოკუმენტის მიღებისას გათვალისწინებული იქნა ისტორიული რეალობა. სწორედ უძველეს ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას მალევე მოჰყვა ლოგიკური რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №183 დადგენილებით: მუხლი 2. ვინაიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის ავტოკეფალური, დაწესდეს, რომ საქართველოში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიების, მათი ქონებისა და სახსრების აღრიცხვას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ახორციელებს დამოუკიდებლად. მე-3 მუხლით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საკულტო ნაგებობა, მათი უძრავ-მოძრავი ქონებით ქართული ეკლესიის საკულტო ნაგებობად გამოცხადდა (ვაშაყმაძე, 2011:7).

ამ დადგენილებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და გავლენა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა დაადგინა: ვინაიდან 1801 წელს საქართველომ იძულების წესით უკანონოდ ჯერ სახელმწიფოებრივი, ხოლო 1811 წელს ეკლესიური დამოუკიდებლობა დაკარგა... დღეს, როდესაც ხდება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ ანექსიის პერიოდში

განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა და სხვა ქმედებანი ვერ ჩაითვლება კანონიერად და უფლებას იტოვებს, თავის კანონიკურ საზღვრებში აღდგენილად გამოაცხადოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე არ-სებული (სტატუს-ქვო-ს) მდგომარეობა.

2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს სახელმწიფოსა (პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე) და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) ხელი მოეწერა საკონსტიტუციო შეთანხმებას. საკონსტიტუციო შეთანხმება დიდი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტია, რომელიც 12 მუხლისაგან შედგება. კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განსაზღვრულია ეკლესიის უფლება-მოსილებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის სფეროებში. ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები, მინის ნაკვეთები, მუზეუმებში, საცავებში არსებული საეკლესიო საგანძურო. კონსტიტუციური შეთანხმებით გამოინახა ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის უნიკალური სამართლებრივი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ეკლესიის დამოუკიდებლობას, მისი სუვერენული უფლებების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის ყველა იმ უფლებით აღჭურვას, რომელიც აუცილებელია ერის გამაერთიანებლისა და მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სხვა ფუნქციების შესასრულებლად. (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008:478) ამ ორი დოკუმენტის მიღება ლოგიკური დასასრული იყო საუკუნოვანი ბრძოლისა, ავტოკეფალის აღსადგენად რომ წარმოებდა. როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო ავტოკეფალია საფუძველია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და პირიქით. XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის გაუქმებას მოჰყვა საეკლესიო ავტოკეფალის შეწყვეტა. რუსული მმართველობის პერიოდში შეიცვალა და განადგურდა

ის ადათები და წესები, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ქართულ ეკლესიაში. ავტოკეფალის საბოლოოდ აღიარების საქმეში აღსანიშნავია კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ს უდიდესი ღვაწლი. მან ჯერ კიდევ მღვდელმთავრობის პერიოდში დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღიარებისათვის და სამი ათეული წელი დასჭირდა ამ პროცესს. 1990 წელს კონსტანტინოპოლიში საბოლოოდ მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის საერთაშორისო აღიარება. ამიერიდან ქართული ეკლესია და მისი მეთაური იმავე პატივითა და უფლებებით ისარგებლებდა, როგორც სხვა ავტოკეფალური ეკლესიები. თანამედროვე ეტაპზე რუსულენოვან და ინგლისურენოვან ელექტრონულ საიტებზე აღიარებულია ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალის მობოვება ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის პერიოდში, სადაც მოხსენიებულია კოსტანტინეპოლის პატრიარქი წმ. გენადი, რომელსაც გაუგზავნია ანტიოქიაში კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი პეტრე. საიტებზე ასევე არსებობს ინფორმაცია 1811 წელს ავტოკეფალის გაუქმებისა და 1917 წელს ავტოკეფალის აღდგენის შესახებ.

ელექტრონულ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა-საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის შესახებ“ ვკითხულობთ: საქართველოს მართმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა ბიზანტიის იმპერატორ ზენონის (474–491) დროს, როდესაც ანტიოქიის პატრიარქი იყო პეტრე ფულონი. ამ დროიდან საქართველოს ეკლესიის მეთაური ატარებს კათოლიკოსის ტიტულს. 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1817 წლიდან საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოს სახით დაექვემდებარა რუსულ ეკლესიას. 1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბარია ასევე ელექტრონულ ენციკლოპედიაში, სადაც აღნიშნულია, რომ ანდრია პირველ-წოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს საქართველოში. V საუკუნიდან საქარ-

თველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია, მცხეთის მთავარეპისკოპოსმა კი მიიღო კათალიკოსის ტიტული. აქვეა საუბარი 1811 წელს ავტოკეფალის გაუქმებასა და 1918 წელს მის აღდგენაზე. მართალია, აღნიშნულ ენციკლოპედიებში ვხვდებით გარკვეულ უზუსტობებს, მაგრამ ძირითადად დაფიქსირებულია საქართველოს ეკლესიის უძველესი სამოციქულო წარმომავლობა და ავტოკეფალის მოპოვების, გაუქმებისა და აღდგენის ძირითადი მომენტები.

ეს არის ისტორიული კანონზომიერება. ავტოკეფალის საბოლოო აღიარებით აღსრულდა ქართველი ხალხის დაუცხრომელი სურვილი და საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა იგივე პატივი და ღირსება, რითაც საუკუნეების განმავლობაში სარ-

გებლობდა. ამიერიდან აღარ იქნება მსჯელობისა და განსჯის საგანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც არაერთხელ მომხდარა ბერძენთა მხრიდან. 1990 წელს კონსტანტინოპოლში მიღებული ავტოკეფალის აღიარებისა და საპატრიარქო ტიტულის დოკუმენტებში ასახულია ქართული ეკლესის ისტორიული და, რაც მთავარია, კანონიერი უფლება, რათა ქართული ეკლესია იწოდებოდეს ავტოკეფალურად, ხოლო მისი მეთაური ატარებდეს პატრიარქის ტიტულს. ავტოკეფალის საბოლოო აღიარების შემდეგ დაიწყო სულიერი ფერისცვალება ქართველ ხალხში, რომელიც მტკიცედ იცავს დიდი გიორგი მთაწმინდელის ნაანდერძევს: „ვინაიდგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს“.

ლევან ჭყვაველაშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო ტერიტორიის საეპარქიო დანაწილება და მართვა პირველი საუკუნი-დანვე იღებს სათავეს. დასაბამიდანვე ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობა წმიდა წერილსა და მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკის უძველეს ტრადიციას ეფუძნება.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგო-მარეობის შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის ისტორია რამოდენიმე პერიოდად განიყოფა, რაც ეკლესიის მწყემსმთავრის უფლებრივი მდგომარეობის და ტიტულა-ტურის, ასევე ეპარქიათა რიცხვის, მათი იურისდიქციის, ადმინისტრაციული საზღვ-რების და იერარქიული წყობის ცვალებადო-ბით და ზოგადად ეკლესიის გავლენის დამ-ცრობა-აღზევებით გამოიხატებოდა. წმიდა მოციქულების მიერ დაფუძნებულ ქრის-ტიანულ თემს, რომელიც მცირერიცხოვნე-ბით გამოიჩინდა, თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა. ქართული წყაროები მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიების მმართველი ეპისკოპოსების თაობაზე თითქმის არაფერს გვაუწყებენ (იმ პერიოდის, I-IV სს. საქარ-თველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსის შესახებ ძალზე მნირი ცნობებია შემონახული ძველ წერილობით წყაროებში).

წმიდა ნინოს მოღვაწეობის შემდეგ ქრის-ტიანობაზე მოქცეული ქართლის პირველი ეპისკოპოსი – იოანე საბერძნეთიდან იყო მოწვეული. საქართველოში ჩამოსვლის შემ-დეგ, იოანე ეპისკოპოსმა აკურთხა მცხეთა-ში აშენებული ეკლესია, წუნდასა და მან-გლისში საფუძველი დაუდო ახალ ეკლესი-ათა მშენებლობას, მდინარე მტკვარში სა-ყოველთაო ნათლობა აღასრულა და სხვა. მის სამღვდელმთავრო მსახურებას უკავ-შირდება მცხეთის პირველი საეპისკოპო-სოს დაფუძნება. საქართველოს პირველი მღვდელმთავარი – იოანე, მთავარეპისკო-

პოსის წოდებით იხსენიება. მთავარეპისკო-პოსის, შესაბამისად, თავის დაქვემდებარე-ბაში მყოფი ეპისკოპოსებიც ეყოლებოდა, თუმცა ქართული წყაროები მათ შესახებაც არაფერს წერენ. წმიდა მეფე მირიანიდან, IV ს. 20-იანი წლებიდან – წმიდა მეფე ვახ-ტანგ გორგასლამდე, V ს. II ნახევარი, საქარ-თველოში ცამეტი მთავარეპისკოპოსი მოღ-ვაწეობდა. მღვდელმთავრებს რუის-ურბნი-სის დიდი საეკლესიო კრება „ეპისკოპოს-კათოლიკოსებს“ უწოდებს.

საქართველოს ეკლესიის ეპარქიებად და-ყოფის ისტორიისათვის თვალის მიდევნება შესაძლებელია წმიდა მეფე ვახტაგ გორგას-ლის მიერ 12 ახალი საეპისკოპოსო კათედ-რის – ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლი-სის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმიდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, მცხეთის, მოგვიანებით ნიქოზის – დაფუძ-ნების შემდეგ.

მეფე ვახტანგის მიერ დაარსებული სა-ეპისკოპოსოების განლაგება ძირითადად ემ-თხვეოდა ქვეყნის იმდროინდელ საერო ადმინისტრაციულ დაყოფას. თითოეულ სა-ერისთავოში ერთი საეპისკოპოსო მაინც არსებობდა. დიდ საერისთავოებში კი რამ-დენიმე საეპისკოპო სამწყსო იყო განთავ-სებული. საეპისკოპოსო ზოგჯერ მხოლოდ ერთი ქალაქით შემოიფარგლებოდა ხოლმე.

V საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბე-ბული საეპისკოპოსოების რიცხვი 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე უკვე გაორმა-გებულია. ამ პერიოდიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელს „კათოლიკოსი“ ეწოდებოდა.

XI ს. დასაწყისიდან (ზოგიერთი მოსაზ-რებით X ს. ბოლოდან) პოლიტიკურად გაერ-თიანებული საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მცყრობელი „კათოლიკოს-პატრიარქის“ წო-დებით მოიხსენიება. იმუამად, ერთიან საეკ-ლესიო ორგანიზმად შეკავშირებულ დასავ-



მეფე მირიანი და ქართველთა მომნათვლელი სამღვდელოება

ლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიათა რიცხვი ხუთ ათეულსაც აღემატებოდა.

ზოგიერთი ეპარქიის ტერიტორია ძალზე განვრცობილი იყო და ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებსაც სცილდებოდა (ნიქოზელი მღვდელმთავრის სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ხალხები: ოსები, დვალები და სხვა).

ისტორიული ძნელბედობისას ზოგიერთი ეპისკოპოსის მართვა-გამგეობა მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა, თუმცა ეპარქიათა ამგვარი ნომინალური არსებობაც კი მომსვლური მტრისგან დაპყრობილ-აოხრე-

ბული ქვეყნის რეალური გაერთიანების საფუძველს ქმნიდა. XIII-XVIII სს.-ში საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და, ამის კვალად, ეპარქიათა რაოდენობა დამოკიდებული იყო ქვეყნის შიდა ფაქტორებსა და საგარეო ვითარებაზე. მონღოლების, ირან-ოსმალეთის, ჩრდილოკავკასიელი ტომების – აფსუების, ლეკების, ოსების და სხვ. აგრესიამ და ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ ეკლესიის დასუსტება, ადგილობრივი მოსახლეობის გამოდევნა და სამხრეთ საქართველოს, კახეთის, აფხაზეთის, ქართლის ათობით ეპარქიის დაცარიე-

ლება გამოიწვია. XX საუკუნის ბოლო ათ-წლეულის კატაკლიზმებისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინტერესთა არეალში საქართველოს მოხვედრის გამო, ქვეყნის მდგომარეობა ამჟამადაც არასახარპირელოდ წარიმართა და მსგავსი ხასიათის სირთულეები ცხუმ-აფხაზეთის და ნიქოზ-ცხინვალის ეპარქიებსაც დაატყდათ თავს.

ტრადიციულად, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქია სარწმუნოებრივი სიწმიდის, ეროვნული სიმტკიცის და ზნეობრივი სისპეტაკის დამცველს წარმოადგენდა (აღმსარებელი და მონამეობრივად აღსრულებული მღვდელმთავრები ყოველთვის მრავლად ჰყოლია საქართველოს, ბოლო პერიოდის მოღვაწეთაგან აღსანიშნავია წმიდა მღვდელმთავრები: გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, ნაზარი ლეუავა და სხვანი).

საქართველოს ეკლესიის ისტორია გარკვეულწილად ქართველ მღვდელმთავართა მოღვაწეობის ასახვასაც გულისხმობს და ზუსტად ესადაგება ცნობილ გამოთქმას ეკლესიისა და ეპისკოპოსის ერთიანობის შესახებ: „ეპისკოპოსი – ეკლესიაშია, ეკლესია კი – ეპისკოპოსში“ (წმიდა კვიპრიანე კართაგენელი), ასევე „ეკლესიის სახე ეპისკოპოსია“ (წმიდა ეგნატე ლმერთშემოსილი).

XIX ს.-ის დასაწყისში, 1811 წელს, საქართველოს წმიდა კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქის, მეფე ერეკლე II-ის ძის, ანტონ II-ე ბაგრატიონის, იძულებითი წესით რუსეთში გასახლებით და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ძალმომრეობითი გაუქმებით, სამ ათეულამდე ქართული ეპარქია დაიხურა. შეიცვალა დაგილობრივი ეკლესიის ტრადიციული მართვა-გამგეობა და მრევლთან ურთიერთობის საუკუნოვანი გამოცდილება. ამიერიდან „კათოლიკოს-პატრიარქის“ ინსტიტუტის ნაცვლად, რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულ საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიის მმართველს „ეგზარქოსი“ ეწოდებოდა. 1811-1917 წწ. საქართველოს ეკლესიაში 19 ეგზარქოსი „მოღვაწეობდა“.

1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განახლებულ 13 ეპარქიას მაღლეორიც დაემატა. აღდგენილი ეპარქიები იყო (დროთა განმავლობაში ეპარქიათა სახელწოდებები იცვლებოდა): მცხეთის, თბილისის (1920 წ. 20 ივლისს, მეორე საეკლესიო კრებამ, დაადგინა მცხეთისა და თბილისის ეპარქიების გაერთიანება, რის შემდეგაც სამღვდელმთავროს მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო მწყემსმთავარს მცხეთა-თბილისის მთავარებისკოპოსი ეწოდა), აგარაკ-წალკის, ალავერდის, აწყურის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, მანგლისის, მარგვეთის, ნიკორწმინდის, ურბნისის, ქუთაის-გაენათის, ცაგერის, ცხუმაფხაზეთის, წილკნის, ჭყონდიდის, თუმცა 20-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული საბჭოური რეპრესიების გამო ქვეყნის ტრადიციული, საეპარქიო მართვა-გამგეობა ათწლეულების განმავლობაში სრულად ვერ აღდგა. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თითზე ჩამოსათვლელი იყო მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა, რომლებიც ძირითადად თბილისში იყო თავმოყრილი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მწყემსმთავრული მოღვაწეობის დაწყებისას, საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. იმჟამად ნომინალურად არსებული 15 ეპარქიიდან მხოლოდ ოთხს – მცხეთა-თბილისის, წილკნის, ბათუმ-შემოქმედისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებს ჰყავდა მღვდელმთავრები. 1977 წელს მათ რიცხვს ალავერდისა და ბოდბის ეპარქიები მიემატა. სამღვდელდმთავრო კათედრათა უმრავლესობა მღვდელმთავრებისთვის დაკატილი იყო და ეპისკოპოსს თავის სამწყსო ეპარქიაში ჩასვლის უფლება არ ჰქონდა. ეპისკოპოსები თბილისში მოქმედ რამდენიმე ეკლესიაზე იყვნენ მიმაგრებულნი. მანგლელი მღვდელმთავარი დიდუბის ყოვლადნიდალვთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებდა მსახურებას, ბოდბელი – თბილისის სამებაში, ალავერდელი – თელავის ღვთაების ეკლესიაში და სხვ. იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიათა უდიდესი ნაწილი ღვთისმსახურებისათვის გაუქმებულად ითვლებოდა. მთლიანად საქართველოში კი სულ რამოდე-

ნიმე მოქმედი ტაძარი იყო. უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად დაიწყო ეპარქიებისთვის მღვდელმთავრების გამორჩევა და კურთხევა. 70–80-იან წლების მიჯნაზე სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა კურთხევა ცხუმ-აფხაზეთის, ჭყონდიდის, ქუთაის-გაენათის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის, ნიკორწმინდის, მარგვეთის ეპისკოპოსებისა.

1995 წლის 5 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეპარქიათა რიცხვი 27-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ დაიწყო ახალგამორჩეულ მღვდელმთავართა კურთხევა და დადგინება. 2002 წლის 17 ოქტომბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ეპარქიათა რიცხვი 31-მდე გაიზარდა. 2003 წ. 18 აგვისტოს საეკლესიო კრების განჩინებით, რომელიც ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 17-მდე გაიზარდა. 2006 წლის 21 დეკემბერს სამღვდელმთავროთა რაოდენობამ 37-ს მიაღწია.

ბოლო პერიოდში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევით საქართველოს ეკლესია იბრუნებს თავის ძველ მნიშვნელობასა და ფუნქციას: – დაიწყო გაუქმებულ ეპარქიათა თანდათანობითი აღდგენა; მის მიერ ნაკურთხი მღვდელმთავრები განაგებენ მანამდე ნომინალურად არსებულ სამღვდელმთავროებს; თანმიმდევრულად მიმდინარეობს საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული ქრისტიანული ხელოვნების და ხელსაქმის (სატაძრო არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, მინიატიურული და მონუმენტური საეკლესიო ფერწერა, ხეზე და ქვაზე კვეთა, ჭედურობა, ქარგვა, გალობა და სხვა), სასულიერო განათლების კერების (მცხეთის, თბილისის, ქუთაისის, ქედის, ბოდბის, ხირსის, ზესტაფიონის, ბათუმის, ხაშურის, ახალციხის, გრემის, ოზურგეთის, ფოთის, საჩხერის და სხვა სასულიერო პროფილის სასწავლებლები), მთარგმნელობითი ტრადიციის აღდგენა და სხვა. უწმი-

დესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ათობით დასახელების საეკლესიო ჟურნალ-გაზეთი, სასულიერო ლიტერატურა, კალენდრები. თბილისში საქართველოს საპატრიარქოსთან ფუნქციონირებს ტელერადიო მაუწყებლობა „ივერია“. შექმნილია ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი; მისისა და ევანგელიზაციის, საგარეო საქმეთა, გამომცემლობის, სინმიდეთა მოძიებისა და დაცვის, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის, ხალხური ხელსახმის განყოფილებები, საინფორმაციო სამსახური; საფინანსო-ეკონომიკური საბჭო, საღვთისმეტყველო კომისია; საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია; წმიდანთა კანონიზაციის კომისია; გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი; ჩამოყალიბდა ახალგაზრდული დეპარტამენტი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური და სხვა. აშენდა და ამოქმედდა რამდენიმე ასეული ეკლესია-მონასტერი, მოხდა გამოჩენილ ქართველ საერო და საეკლესიო მოღვაწეთა წმიდანებად კანონიზირება.

საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია.

მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით აშენდა და იკურთხა საქართველოში ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა – ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი.

2001 წლის 31 მაისს, მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად აღიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსება.

2002 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კონკორდატი)“. შეთანხმების თანახმად გა-

ნახლდა წყვეტილი მემკვიდრეობა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო სინამიდეები კანონიერ მესაკუთრეს – საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა.

ათწლეულობით გამოკეტილ ეკლესია-მონასტრებში, ღვთის მადლით, დღესათვის კვლავ აღესრულება ღვთისმსახურება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ საზრდოს მოკლებული მრევლი ტრადიციულ საეკლესიო წიაღს უბრუნდება.


უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე განცეული წვლილისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოვებულია მსოფლიო საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოვებით. წიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ მას ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა, 1997 წელს კრეტის სასულიერო აკადემიამ საპატიო წევრად აირჩია, იმ წელსვე აირჩიეს გაეროსთან არსებულ ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად, 1998 წელს ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა...

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის და მისი იურისდიქციის ქვეშ არსებული სამწყსო

ტერიტორიის და მრევლის მართვა ხორციელდება საქართველოს აგტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების (მცხეთა, სვეტიცხოველი 1995 წ.) შესაბამისად. დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო იყოფა ეპარქიებად. დღესათვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არსებული ეპარქიების რაოდენობამ 50-ს მიაღწია. ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრები, ამავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებიც არიან.


ეპარქიები, თავის მხრივ, შედგება ოლქებში (სამთავარხუცესოებში) გაერთიანებული სამრევლოებისაგან და სამღვდელმთავროთა ტერიტორიაზე განლაგებული მონასტრებისაგან. სამთავარხუცესოს ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ეპისკოპოსის მიერ დანიშნულ მთავარხუცესს. სამრევლოები კი ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებთან გაერთიანებული მრევლია, რომელიც სამღვდელო და მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანთაგან შედგება. მისი ხელმძღვანელობა ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დადგენილ წინამძღვარს (მღვდელს) ევალება. მონასტერთა საქმიანობა კი ხორციელდება სპეციალური სამონასტრო ტიპიკონის შესაბამისად, მისი მართვა მღვდელმთავრის მიერ დადგენილ შავი სამღვდელოების შესაბამის წარმომადგენელს – წინამძღვარს (მღვდელმონაზონი, იღუმენი, არქიმანდრიტი) აქვს მინდობილი.

დეკანოზი გიორგი გუბაშვილი
თეოლოგიის და ისტორიის დოკტორი



შინაარსი

მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია (ჭაფარიძე). ქართული ეკლესიის ავტოკეფალია	4
ლევან ტყეშელაშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მნიშვნელობა	6
ნოდარ ლომოური. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია	12
ლევან მათეშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სათავეებთან	22
კობა ხარაძე. მოციქული ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა საქართველოში	26
ბაბილინა ლომინაძე. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია	29
გაგა შურლაია. საქართველოს ეკლესიის დიდი რეფორმატორი	56
დავით ხუციძე. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დადასტურება	72
ზაზა ალექსიძე. ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით	74
ელდარ ბუბულაშვილი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება	82
ურნალ „სვეტიცხოვლიდან“	
მომენტისათვის	95
სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება	96
გივი როგავა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა	100
მედეა ბენდელიანი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება 1941–1945 წლებში	111
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საქართველოს ეკლესიის ძველი ავტოკეფალიის აღიარება	113
მთავარეპისკოპოსი ანანია (ჭაფარიძე). * * * (საქართველოს ეკლესიას ჰქონდა უძველესი ავტოკეფალია...)	115
თამარ მესხი. ავტოკეფალია (1978–1990 წლები)	117
ლევან ტყეშელაშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ	123
დეკანზი გიორგი გუგუშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები	133



ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“

მთავარი რედაქტორი დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ზაზა აბაშიძე, ელდარ ბუბულაშვილი,
სერგო ვარდოსანიძე, მთავარეპისკოპოსი თეოდორე,
ზურაბ თორია (პასუხისმგებელი მდივანი), ელენე მაჭავარიანი,
ზაზა სხირტლაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, ედიშერ ჭელიძე

ნომრის რედაქტორი

ნანა კობალაძე

კომპიუტერული მომსახურება:

ზინაიდა სოხაშვილი, ირინე ამირიძე

სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება
ყოველთვის არ ემთხვეოდეს საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას.

საქართველოს საპატრიარქო
„ჯვარი ვაზისა“ №1-2. 2019
თბილისი. ერეკლე II-ის ქ. №1

GEORGIAN PATRIARCHATE
„JVARI VAZISA“ №1-2. 2019
Erekle II st. №1. Tbilisi

ГРУЗИНСКАЯ ПАТРИАРХИЯ
„Джвари Вазиса“ №1-2. 2019
Тбилиси, ул. Эрекле II, №1

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი. კიევის ქ. №10